

644
1958/3

ՀԱՅԿԵՆ
ԳՐԱԳՐԱԿԱՆ
ՊԱՐԿԱՆ

90

Օրվա զրոյն

ՀԱՅԿԵՆ
ԳՐԱԳՐԱԿԱՆ
ՊԱՐԿԱՆ

12

საბავოთა

ლიბერატორულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შურნალი

საქართველოს ალკ. ც. კ-სა და
მწერალთა კავშირის ორგანო

7752

12

1958

დეკემბერი

სახელმწიფო
ბამოცემლობა
„საბავოთა“
საქართველო

შ ი ნ ა ა რ ს ი

კომუნისმის მხანაზლოვის ეკონომიური
პროგრავა 6

მ. მინაჟაძე — ცხოვრება გვიარნახებს 6

ნ. გარინიძე, ი. შავლოზაშვილი, მ. გოლჟვა-
ძე, ნ. შრეთელი, ლ. სტურუა, შ. ციციუაშვი-
ლი, ი. კოზათი, ლ. ირემავილი, მ. მამა-
რიაშვილი, კ. ზერხელია, ბ. ხაიაური, ზ. შალ-
ვაშვილი, ზ. ბერიუაშვილი — ლექსები 17

მ. ელიოვიუვილი — მოთხრობები 27

თ. ნატროვილი — ხვალ დოდი იქნება ხეობაში
(მოთხრობა) 45

ი. შაჟვიუვილი — ზღვის ლომი (მოთხრობა) 58

ბ. აბაშიძე — ლეგენდა პირველ თბილისელღებზე
(დრამატული პოემა ოთხ მოქმედებად) 66

ბ. გავაჟორი — ლექსები 116

კრიტიკა და კუზლიციხისტიკა

ბ. გვერდუითელი — უკანასკნელი წლების ქარ-
თული მხატვრული პროზა და დადებითი
გმირის პრობლემა 121

ვ. ჯიუბტი — ირაკლი აბაშიძე 136

ნ. ჩხეიძე — ანა კალანდაძის პოეზია 137






* * *

| | |
|---|-----|
| დ. გამეზარდაშვილი — გ. წერეთლის ლიტერატურული შეხედულებები | 143 |
| მ. საბაბაშვილი — ნაპოლეონ ციხულსკი ივანე თარხნიშვილის შესახებ | 150 |

ხელოვნება

| | |
|---------------------------------------|-----|
| ა. ვასაძე — ლაღო მესხიშვილი | 157 |
|---------------------------------------|-----|



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:

თ. ბაღურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი, ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/1-59 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შეკვეთა № 614. შე 01006. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 8.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლოგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



კომუნისმის მუხანაზლოვის ეკონომიური პროგრამა

საბჭოთა ხალხის შეგნებაში ახალი წელი ყოველთვის აღიქმებოდა, როგორც განვლილი გზის შეფასების, ზვალინდელი დღისა და უახლოესი მომავლისათვის პარტიის მიერ დასახული ამოცანების განუხრელად გატარების მამობილიზებული საწყისი. მაგრამ მომავალი, 1959 წელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის იქნება და ამიტომ იგი განვლილი ორმოცდაერთი სოციალისტური წლის რიცხვშიც განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს. ეს იმიტომ, რომ ახალი წლის პირველსავე თვეში შეიკრიბება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა, რომელმაც უნდა განიხილოს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 — 1965 წლების საკონტროლო ციფრები“ და დასაბამი მისცეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის გაშლილ მუხანაზლოვას.

უახლოესი 15 წლის განმავლობაში — ნათქვამია საყოველთაო სახალხო წინასაყრილობო განხილვისათვის გამოქვეყნებული მოხსენების თეზისებში — სსრ კავშირი პირველ ადგილს დაიკავებს მსოფლიოში არა მარტო წარმოების საერთო მოცულობით, არამედ ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოებითაც, ჩვენს ქვეყანაში შეიქმნება კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც ამასთანავე იმის მომასწავებელი იქნება, რომ საბჭოთა კავშირმა დიდი გამარჯვება მოიპოვა მშვიდობიან, ეკონომიურ შეჯიბრებაში ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან.

სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების უახლოესი 15 წლის პერსპექტიული გეგმა სსრ კავშირში კომუნისმის მუხანაზლოვის ეკონომიური პროგრამაა, რომელიც ითვალისწინებს მრეწველობის გადამწყვეტი დარგების პროდუქციის 2-3-ჯერ და უფრო მეტად გადიდებას. ამ გეგმით გათვალისწინებულია, რომ რკინის მადნის მოპოვება 1957 წელთან შედარებით გადიდება დაახლოებით 3,5-ჯერ, ნავთობისა — 4-ჯერ, გაზის მოპოვება და წარმოება — 13-15-ჯერ, თუჯისა და ფოლადის წარმოება — 2,3-ჯერ, ელექტროენერჯისა — 4,3-ჯერ და სხვ. გათვალისწინებულია, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობა, რაც უზრუნველყოფს პროდუქტების სიუხვეს და საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებათა საცესებით დაკმაყოფილებას.



აქედან გამომდინარე მთავარი ამოცანა, რომელსაც სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების შვიდწლიანი გეგმა ისახავს, მდგომარეობს სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის შემდგომ მძლავრ აღმავლობაში მძიმე ინდუსტრიის უპირატესი ზრდის ბაზაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას ხალხის ცხოვრების დონის განუწყვეტელი აღმავლობა. დასახული გეგმის წარმატებით შესრულება ჩვენს ქვეყანას საშუალებას მისცემს გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგას კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, რათა განახორციელოს ძირითადი ეკონომიური ამოცანა: ისტორიულად უმოკლეს ვადაში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მიღწეული შედეგები, რაც ამ ცოტა ხნის წინათ გამართულმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა, იმის საწინდარია, რომ საბჭოთა ხალხი მომავალშიც წარმატებით გაართმევს თავს კომუნისმის გაშლილი მშენებლობის დიდ ამოცანებს. კომუნისტური მშენებლობის მომავალ წარმატებათა საწინდარია ისიც, რომ მთელი საბჭოთა ხალხი უმავალითა პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში განიხილავს შვიდწლიანი გეგმის პროექტს, ერთსულოვნად იწონებს მას და მზად არის გადალახოს ყველა სიძნელე და დამბრკოლება დასახული მიზნის მისაღწევად.

წინასაყრილობო პერიოდის ამ ისტორიულ დღეებში ჩაისახა შეჯიბრების ახალი, უფრო მაღალი ფორმა — კომუნისტური შეჯიბრება და დაიბადა კომუნისტური შრომის პირველი ბრიგადა. ცნობა იმის შესახებ, რომ კოლექტიური შრომის თვისობრივად ახალი ფორმა იშვა იქ, სადაც ვ. ი. ლენინის მონაწილეობით მოეწყო პირველი კომუნისტური შაბათობა, ელვის სისწრაფით მოედო მთელი ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენელ ტერიტორიას. და ახალმა, პროგრესულმა მოძრაობამ, ისევე როგორც ყოველთვის, ფეხი საქართველოშიც მოიკიდა. რესპუბლიკის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ფართო მასების ბრძოლას კომუნისტური ბრიგადის სახელწოდების მოპოვებისათვის და ჩვენში კომუნისტური შეჯიბრების კიდევ უფრო გაშლას როგორც ქალაქად, ისე სოფლად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, რადგან საკონტროლო ციფრები მომავალი შვიდწლიანისათვის ითვალისწინებენ მრეწველობის მთლიანი პროდუქციის თითქმის 75 პროცენტით ზრდას. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შემდგომ განვითარდება ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ჩაისა და ციტრუსების წარმოება, მებალეობა და მეაბრეშუმეობა, აგრეთვე კვების მრეწველობის სხვა დარგები. ჩვენ უნდა ავაშენოთ ქვანახშირის შახტების ახალი სიმძლავრენი, მაგნიუმის მადნის მოპოვებელი ახალი მალაროები და გამაუხვევებელი ფაბრიკები. შვიდწლიანში უნდა აშენდეს 15 ჩაის ფაბრიკა, 1,5-ჯერ გაიზარდოს ჩაის წარმოება, 2,5-ჯერ ყურძნის ღვინისა, 1,7-ჯერ ხორცის და 2,4-ჯერ რძის წარმოება, გაშენდეს ახალი ბაღები და ვენახები დაახლოებით 78 ათას ჰექტარ ფართობზე, გადიდდეს ციტრუსოვანთა ნარგავები და სხვა. ამასთან ერთად, მომავალ შვიდწლიანში უზრუნველყოფილი იქნება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის რეალური შემოსავლის ახალი არსებითი აღმავლობა, მუშათა და მოსამსახურეთა მცირე და საშუალო ხელფასიანი ჯგუფებისათვის ხელფასის მნიშვნელოვანი მომატება. 1959-1965 წლების საკონტროლო



ციფრებით გათვალისწინებული სასურსათო და სამრეწველო საქონლის წარმოებისა და მოხმარების დიდი ზრდა. ფართო მასშტაბით გაიშლება, აგრეთვე, საბინაო მშენებლობა.

განსხვავებით კაპიტალიზმისათვის ჩვეული წინააღმდეგობებისაგან, რასაც წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი და მითვისების კერძო წესი იწვევს, სოციალისტური საზოგადოებისათვის უცხოა ისეთი მოვლენები, როგორცაა კონკურენცია, წარმოების ანარქია, უმუშევრობა, ეკონომიური კრიზისები. ჩვენს სინაძღვილეში შეიქმნა და მოქმედებს სრულიად სხვა ეკონომიური კანონზომიერებანი: სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი და პროპორციული განვითარება, რაც საშუალებას იძლევა დაიგეგმოს სახალხო მეურნეობა, განისაზღვროს მისი ძირითადი მიმართულება და სოციალისტურ საწყისებზე მოეწყოს მისი სპეციალიზაცია და კოოპერირება ფართო მასშტაბით.

მაგრამ კომუნისტიკში გადასასვლელად საჭიროა არა მარტო მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არამედ აგრეთვე სოციალისტური საზოგადოების ყველა მოქალაქის შეგნებულობის მაღალი დონე. კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმის განხორციელება მოითხოვს, რომ გადაჭრით გავაუმჯობესოთ მთელი მუშაობა საბჭოთა ადამიანების აღზრდისათვის, მათი კომუნისტური შეგნებისა და აქტივობის გაძლიერებისათვის, კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნების სულისკვეთებით, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ახალი საზოგადოების მორალის მაღალი პრინციპების დაცვის სულისკვეთებით ახალი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის.

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ამოცანები ახლებურად აყენებენ მოზარდი თაობის აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებსაც. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით, სკოლის დაახლოებას ცხოვრებასთან, სწავლების შეერთებას ნაყოფიერ მწარმოებლურ შრომასთან. სწორედ ამ გარემოებით იყო ნაკარნახევი სასკოლო განათლების რეორგანიზაცია, რომლის განხორციელების გზები და საშუალებანი ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თვისებებში „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების შემდგომი განვითარების შესახებ“.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შეიღწლიან გეგმას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ეს არის ჩვენი ქვეყნის კონკრეტული წინადადება კაპიტალისტური მსოფლიოსადმი იმის შესახებ, რომ შევეჯობროთ ერთმანეთს მშეიდობიან ეკონომიურ ასპარეზზე, რადგან სსრ კავშირი წინააღმდეგია გამალებული შეიარაღებისა, რასაც ეწვევიან დასაილეთის სახელმწიფოების იმპერიალისტური წრეები.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშობლიურ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საბჭოთა ადამიანები, მთელი ჩვენი ახალგაზრდობა უბასუხებს თავდადებული, კომუნისტური შრომით ახალ, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებათა მოსაპოვებლად. თვითუღ ჭაბუკა და ქალიშვილს კარგად აქვს შეგნებული, რომ ზრძოლა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტიკის გამარჯვებისათვის წარმატებით დავვირგვინდება.



მოთაჩ ქინქლაქე

ცხოვრება გვიკარნახებს

კიდევ ერთი ქართული ოჯახი შეიქმნა. კიდევ ერთხელ ასწია თამადაშ ყანწი და ნეფედლოფალს პირობა ჩამოართვა: ძეობაზეც მე უნდა ვითამადაო.

და კიდევ ერთმა ქართველმა შემოაღო ცხოვრების კარი.

გვიმრავლოს!

ეს ცხოვრების კანონია და კანონს არ უნდა გაექცე.

ისიც ცხოვრების კანონია, დედ-მამა რომ ღამეებს თერთად ათენებს და თავისი პირშუბს მომავალზე ფიქრობს. ვის მეცნიერების კანდიდატად ესაბება შვილი, ვის — ექიმად, ინჟინრად, აგრონომად, პოეტად და ვინ იცის, კიდევ რად.

შობიელს შვილის მომავალზე ოცნების გამო ვერ დაძრახავ. მაგრამ ოცნება ყოველთვის ხინამდვილედ არ არის. ცხოვრებას ოცნებაში თავისი შესწორებები შეაქვს ხოლმე, აზუსტებს ჩანაფიქრს, სრულყოფს აზრს და ოცნებას რეალური ყოფის იერს აძლევს, ანუ, როგორც იტყვიან ხოლმე, აღამიანს თავის ნება-სურვილს უკარნახებს. ჩვენც ხშირად გვითქვამს: ცხოვრების შიერაა ნაკარნახევიო. ხან გულიც მოგვსვლია ამაზე, უკმაყოფილონიც ვყოფილვართ, ვითომ არ ვიცოდეთ, რომ მას, რასაც ცხოვრება გვიკარნახებს, დასაბამისი ჩვენ თვითონვე, აღამიანებმა მივეციო, საფუძველი ჩვენ ჩაუყარეთ, ეკონომიური და საზოგადოებრივი განვითარების მამოძრავებელ ძალად ჩვენვე ვაქციეთ.

ცნობილია, რომ როგორცაა საზოგადოების ყოფიერება, როგორცაა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები, ისეთივეა მისი იდეები, თეორიები, პოლიტიკური შეხედულებები, პოლიტიკური დაწესებულებები, რადგან „აღამიანთა ცხოვრება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას“. მაგრამ მარქსის ამ სიტყვებიდან არ შეიძლება დავასკვნათ, თითქოს საზოგადოებრივ იდეებს, თეორიებს და პოლიტიკურ დაწესებულებებს მნიშვნელობა არ ჰქონდეთ საზოგადოების ცხოვრებაში, თითქოს ისინი პირუკუ არ ახდენდნენ ზემოქმედებას საზოგადოებრივ ყოფიერებაზე, საზოგადოების ცხოვრების მატერიალურ პირობათა განვითარებაზე. ამასთან დაკავშირებით მარქსი ამბობდა: „თეორია ხდება მატერიალურ ძალად, როგორც კი იგი მასებს დაუფლებს“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი იდეები, თეორიები, პოლიტიკური დაწესებულებები, რომლებიც აღმოცენდებიან საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების, საზოგადოებრივი ყოფიერების განვითარების მომწიფებული ამოცანების ბაზაზე, შემდეგ ახდენენ ზემოქმედებას საზოგადოებრივ ყოფიერებაზე და ქმნიან აუცილებელ პირობებს იმისათვის, რომ ბოლომდე იქნას მიყვანილი საზოგადოების მატერიალური ცხოვრების მომწიფებული ამოცანების აღსაჭრა და შესაძლებელი გახდეს მისი შემდგომი განვითარება. ასე რომ აღამიანი ახდენს გავლენას ბუნებასა და საზოგადოებრივ განვითარებაზე, მაგრამ არც გარემო რჩება ვალში და... კარნახობს. ცხოვრება კარნახობს „ბავშვთა სამყაროსაც“ და გავლენას ახდენს მათს ზრდაზე, განვითარებაზე, თვით აღზრდის პრინციპებზე.

ერთ დროს ურჯულუობისაგან აწიოკებული, დარბეული და განადგურების კარამდე მიხული საქართველოსათვის მთავარი და სასიცოცხლოდ აუცილებელი — მემორის აღზრდაა, ამას თვით ცხოვრება კარნახობდა. მაშინ ქართველის ღედა ამბობდა:

„ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავისსა შვილსა, მას შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ ჰყვარებთან...“



მერე დრო შეიცვალა. მეომრის აღზრდა აღარ იყო მთავარი და გადაწყვეტი. „ახლანდელ დროში, — წერდა ილია ქვეკვაძე, — ცოდნა ყველაფერია, ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმაზედაც უფრო მეტად სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია“. მაგრამ დიდმა ილიამ ისიც კარგად, ძალზე კარგად იცოდა, რომ „არც უწინგნობა ვარგა და არც მარტო წიგნიდამ გადმოხედვა. უწინგნოდ თვალთხედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის“. ომებისა და სისხლისღვრისაგან მოხსენებული ქვეყნის ეკონომიური განვითარების იმდროინდელი ინტერესები ახალგაზრდობის სწავლა-განათლების პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებას კარნახობდნენ და სწორედ ამიტომ შეხვდა ქართველი გრის დიდი მოამავე ასე აღფრთოვანებული წინამძღვრიანთ კარში სამეურნეო სკოლის დაარსებას.

მერე ისევ შეიცვალა დრო. შავი ზღვის სანაპიროებთან მიძინებულ სოფლებს მატარებელმა მიაყოლა. როტშილდისა და მანათაშვიის მიერ დაქირავებული მუშახელი ზედმეტ ღირებულებას აქმნიდა. შარავნაზე მომავალ მეურმეს, რომელიც დაბალ ხმაზე ორგველას დილინებდა, მანამდე უცნობი სიმღერა წამოვიწია:

„ხდაც არის გათენდება,
მუშავ, მუშავ, შენ,
ნუ გძინავს შენ...“

და აღსრულდა რუსი მუშარეველოუციონერის პეტრე ალექსიევის დიადი წინასწარმეტყველება: „აღიშარება მუშა ხალხის მილიონების ძარღვმავარი ხელი და გაცამტვერდება ჯარისკაცთა ხიშტებით დაცული უღელი დესპოტიზმისა!“ ქვეყანა განვითარების ახალ გზას დადგა. ცხოვრება კი ისევ განაგრძობდა კარნახს. ახლა იგი ამ ახალი სოციალური შინაარსისაგან გამომდინარე დასკვნებს უკარნახებდა იმას, ვინც თვითონ შექმნა ეს ახალი ყოფა და ცხოვრება, უკარნახებდა და იძულებულს ხდოდა ანგარიში გაეწია ნაკარნახეისათვის.

ძველი სამყაროს ნაწარგებზე შობილი ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობა ზრდისა და განვითარების რთულ პროცესს განიცდიდა. სოციალისტური მშენებლობის ახალი ამოცანები ახლებურად სვამდნენ ადამიანის აღზრდის, სწავლა-განათლებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხალხთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფის საკითხებს. ძველმა სამყარომ ძველი სკოლაც თან წაიყოლა, ახალმა კი ახალი შექმნა და მას სახალხო განათლების დიდი ამოცანა დააკისრა. სკოლის მიერ ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრამ გადაწყვეტი როლი შეასრულა იმ მხრივ, რომ საბჭოთა კავშირში განხორციელდა ნამდვილი კულტურული რევოლუცია, დაიწყო ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხის კულტურის აღმავლობა. საბჭოთა კავშირში ახლა აღარ არის ჩამორჩენილი „განაპირა მხარეები“, როგორც მეფის რუსეთში იყო. ჩვენს ქვეყანაში ყველა ხალხს აქვს სკოლა მშობლიურ ენაზე, ყველასათვის ფართოდ მისაწვდომია განათლებისა და კულტურის წყაროები, ლიკვიდირებულია უწინგნობა, განხორციელდა საყოველთაო შედფლენი სწავლება, ფართოდ განვითარდა საშუალო და უმაღლესი განათლება.

ორი ათეული წლის წინათ, როცა ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების არსებული სისტემა ჩამოყალიბდა, სკოლას დასახული ჰქონდა ამოცანა უმაღლესი სასწავლებლებისათვის მოემზადებინა მეცნიერების საფუძველებს კარგად დაუფლებული ახალგაზრდობა. ქვეყნის სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანები სკოლას უკარნახებდნენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის წარმატებით განხორციელებისათვის საჭირო კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების აუცილებლობას და სკოლაც მთავარ ყურადღებას უთმობდა იმას, რომ უზრუნველყო მოსწავლეთათვის უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად დაწესებული ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის მიცემა. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია ცალმხრივობა, ერთგვარი აბსტრაქტულობა ახალგაზრდობის სწავლებაში, ცხოვრებისაგან სკოლის მოწყვეტა, რამაც განაპირობა სერიოზული ნაკლოვანებანი აღმზრდელობის მუშაობაში.

დასაძალი აღარ არის, რომ, მიუხედავად დიდი წარმატებებისა, რაც საბჭოთა სკოლამ თავისი განვითარების მანძილზე მოიპოვა, იგი უპირატესად აღზრდის სიტყვიერ მეთოდებს სჯერდებოდა და საჭირო ყურადღებას არ უთმობდა იმას, რომ უზრუნველყო ახალგაზრდობის შექმნილი დავაგარი მონაწილეობა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამ დამახასიათებელი ნაკლოვანებებისაგან გამომდინარე უარყოფითმა შედეგებმა მეტანაკლებად, მაგრამ მაინც, დაასვეს თავისი დიდი სიმწიფის ატისტატის მფლობელთა აბსოლუტურ უმრავლესობას.



იხვე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში, „დადგას-მული“ აღმოჩნდა, და, საფიქრებელია, პროცენტულად მეტი რაოდენობითაც, ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა.

საქართველო მდიდარია გამოჩენილი სწავლულებით საზოგადოებრივი და ზუსტი მეცნიერების სხვადასხვა დარგებში. მათ ქართველ ხალხს სახელი გაუთქვამს რესპუბლიკის საზღვრებს გარეთაც, ჩვენ კანონიერად ვამაყობთ იმ მწერლებითა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეებით, რომლებმაც ფაქიზად შეინახეს ქართული კულტურის მდიდარი ეროვნული ტრადიციები და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებაში.

ქართველი ახალგაზრდობა ყოველთვის მიიღებდა ცოდნისაკენ. მას არც მომავალში შეუშლის რაიმე ხელს ამ კეთილშობილური მიზნის განხორციელებაში. პირიქით, მომავალში, სახალხო განათლების სისტემის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით, უმაღლესდამთავრებული სპეციალისტი გაცილებით უფრო უკეთესად იქნება მომზადებული პრაქტიკული საქმიანობისათვის, ვიდრე იგი აქამდე იყო. მაგრამ ცხოვრება კვლავ განაგრძობს კარნახს და მას ყური უნდა ვათხოვოთ. სინამდვილეს მოწყვეტელმა ოცნებამ და ცხოვრების რეალურ მოთხოვნათა გაუთვალისწინებლმა სურვილებმა შესაძლოა სწორ გზას აგვაცდინოს. მომავალ თაობას გზაკვალი აუბნოს, ქვეყნის წინსვლასა და ერის ინტერესებს ზიანი მიაყენოს.

ყველას კარგად გვახსოვს, განსაკუთრებით ომისშემდგომ წლებში, როცა სიმწიფის ატენტატზე ჩასაბარებელი გამოცდების დამთავრების შემდეგ დღესა და პატარას მხოლოდ ერთი საზრუნავი ჰქონდა: საშუალო განათლების მიღების დამადასტურებელი საბუთი როგორმე უმაღლესი სასწავლებლის კარებამდე მიეტანა და ახვე რაგორმე სტუდენტი გამზადდარიყო. რაღა თქმა უნდა, უმაღლეს სასწავლებლებში ღირსეულნიც ხვდებოდნენ, ამ სასწავლებლების კედლებიდანაც საფუძვლიანად მომზადებული სპეციალისტები გამოდიოდნენ, მაგრამ ზომთვითული ჩვენთაგანი მოწმეა იმისა, თუ როგორ მახინჯ სახეს ღებულობდა უმაღლეს სასწავლებლებში ჩასარიცხავად ახალგაზრდობის ეს მასობრივი „ლაშქრობა“.

ამ „ლაშქრობას“ მეორე და არანაკლებ სერიოზული ჩრდილოვანი მხარეც თან ახლდა. ჩაის და თამბაქოს პლანტაციებს, ციტრუსებისა და ხეხილის ბაღებს, ზოგან ვენახებსაც კი ქართველი ახალგაზრდობის მზრუნველი ხელი მოაკლდა. დაზგასთან ათეული წლების განმავლობაში მდგომი გაქაღარავებული ქართველი მუშაც ელოდა ცვლას. ელოდა და განაგრძობდა ჩარხის ტრიალს, რადგან ამ უკანასკნელ დრომდე ეს ცვლა თითქმის არ ჩანდა.

მართალია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩვენი სკოლის სერიალული ნაკლია სწავლების ერთგვარი მოწყვეტა ცხოვრებისაგან, ის, რომ სკოლის კურსდამთავრებულნი ცუდად აიიან მომზადებულნი პრაქტიკულ საქმიანობისათვის, რამდენიმე ნაბიჯი გადაიდგა ამ ნაკლის გამოსასწორებლად და მისი პირველი შედეგები ჩვენი რესპუბლიკის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდობის ცხოვრების მავალთებითაც თვალსაჩინოა, მაგრამ საერთო მდგომარეობა არსებითად მაინც არ შეცვლილა.

საჭირო გახდა საქმის ვითარებაში უფრო ღრმად ჩახედვა, ამ სრულიად არანორმალური მოვლენების გამოწვევებზე მიზნითა საფუძვლიანი შესწავლა და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის რეალური გზის დასახვა. ამიტომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ მიიჩნიეს სრული მოცულობით განეხილათ ცხოვრებასთან სკოლის კავშირი: განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების საქითები.

საყოველთაო სახალხო განათლებისათვის გამოქვეყნებულ თეზისებში — „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ საზგასმითაა აღნიშნული თანამედროვე სკოლის არსებითი ნაკლი მისგან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგითურთ:

„ბევრ ქალიშვილსა და ქაბუკს, — ნათქვამია პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისებში, — რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს, ცხოვრების ერთადერთი მისაღებ გზად ის მიიჩნიათ, რომ განაგრძონ განათლება უმაღლეს, ან უკიდურეს შემთხვევაში, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, უხალისოდ მიდიან საშუაოდ ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ხოლო ზოგიერთ მათგანს შეურაცხყოფად მიიჩნია ეწეოდეს ფიზიკურ შრომას. ამავე დროს საშუალო განათლების განუწყვეტლივ გადართობა, ბუნებრივია, იწვევს იმას, რომ ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი, რომელიც სკოლას ამთავრებს, უშუალოდ უნდა ჩაება მწარმოებელურ შრომაში. ამასთან



ტექნიკური პროგრესი მოითხოვს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შევსებას ახალგაზრდობით, რომელსაც საკმაოდ მაღალი ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება აქვს.

უმაღლესი სასწავლებლები თანამედროვე პირობებში წლიწლად იღებენ დაახლოებით 450 ათას კაცს, დაუსწრებელი და საღამოს განათლების ჩათვლით. 1954 წლიდან 1957 წლამდე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში არ შესვლია 2,5 მილიონზე მეტი კაცი. იმის გამო, რომ საშუალო სკოლაში სწავლების პროგრამა მოწყვეტილია ცხოვრებას, ბევრ ქალიშვილსა და ქაბუკს არა აქვს შრომითი ჩვევები, არ იცნობენ წარმოებას, რაც სერიოზულად აძნელებს მათ მოწყობას სამუშაოზე და იწვევს იმას, რომ ახალგაზრდობისა და მშობლების მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილოა ასეთი მდგომარეობით“.

ეს იწვევს სკოლის მშუგოზის გარდაქმნის აუცილებელ საჭიროებას

ამჟამად, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, სკოლის გარდაქმნის ამოცანის სწორად გადაჭრის ამოსავალი პოზიცია, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ გარკვეული ასაკიდან მთელი ახალგაზრდობა ჩაებას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში და მის მიერ მეცნიერების საფუძველთა შესწავლა დაუკავშირდეს მწარმოებლურ შრომას მრეწველობაში ან სოფლის მეურნეობაში. აქედან, როგორც ეს თეზისებშია აღნიშნული, გამომდინარეობს იმის საჭიროება, რომ საშუალო სკოლაში იყოს ზოგადი, პოლიტექნიკური და პროფესიული განათლების სწორი თანაფარდობა, რომელსაც საფუძველად დედება ბავშვებისა და ახალგაზრდობის შრომისა და სწავლების გონივრული შეხამება დასცენებასა და ფიზიკურ განვითარებასთან. ბავშვთა აღზრდაში, მიუთითებდა მარქსი, გარკვეული ასაკიდან საჭიროა „მწარმოებლური შრომის შეერთება სწავლასთან და ტანვარჯიშთან“. ეს განაგრძობდა იგი, „იქნება არა მარტო საზოგადოებრივი წარმოების გადიდების მეთოდი, არამედ აგრეთვე უკეთესი ცხოვეთარებულ ადამიანთა შექმნის ერთადერთი მეთოდი“.

ამგვარად, სწავლისა და მწარმოებლური შრომის შეერთების საკითხი ახალი არ არის. ფიქრი ამის შესახებ დიდი ხანია იპყრობს კაცობრიობის მოწინავე ადამიანებს. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები სწავლისა და შრომის შეხამების იდეას სოციალიზმისა და კომუნისმის გამარჯვებისათვის ბრძოლის რეალურ ნიადაგზე აყენებდნენ და მას ორგანულად უკავშირებდნენ ახალგაზრდობის პოლიტექნიკური აღზრდას სოციალისტურ საზოგადოებაში.

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, როცა უკვე განსაკუთრებით ცხადი გახდა სახალხო განათლების არსებული სისტემის მთავარი ნაკლი—სწავლების ერთგვარი მოწყვეტა ცხოვრებისაგან, ახალგაზრდობის სწავლის, აღზრდისა და განათლების შემდგომ გაუმჯობესებასთან დაკავშირებულმა საკითხებმა უფრო კონკრეტული და სავსებით ჩამოყალიბებული სახე მიიღეს. „ყოველმა ქალიშვილმა, ყოველმა ქაბუკმა, — ამბობდა ამხანაგი ნ. ს. სრუშჩოვი კომპარტის XIII ყრილობაზე, — უნდა იცოდეს, რომ სკოლაში სწავლისას იხიბს უნდა ემზადებოდნენ შრომისათვის, იმისათვის, რომ შექმნან ადამიანისათვის, საზოგადოებისათვის სასარგებლო ფასეულობანი. თვითუღს, მიუხედავად მშობლების მდგომარეობისა, უნდა ჰქონდეს ერთი გზა — წავიდეს სასწავლებლად და სწავლასთან ერთად იმუშაოს“. მასხადამე სკოლაში მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლის წამყვანი საწყისი, რომელიც განსაზღვრავს სწავლების შინაარსს, ორგანიზაციასა და მეთოდებს, უნდა გახდეს სწავლების მქიღრო კავშირი ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან. აქედან გამომდინარეობს, რომ სახალხო განათლების არსებული სისტემის გარდაქმნის შემდგომ მომავალი სკოლის ძირითად ამოცანად კვლავ დარჩება ახალგაზრდობის მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნით შეიარაღება, მოსწავლეთა მიერ ზოგადი განათლების მიღება. სკოლა თავისი შინაარსითა და დანიშნულებით მომავალშიც ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებელი იქნება იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოების ეკონომიურ განვითარებასთან დაკავშირებით, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებით, იმასთან დაკავშირებით, რომ განუწყვეტლავ ვითარდება მატერიალური ცხოვრების პირობები, იცვლება თვით ზოგადი განათლების, როგორც ცნების, შინაარსი. იცვლება იმიტომ, რომ ზოგადი განათლებაც ისტორიული კატეგორიის ცნებაა და მისი განხილვა, როგორც ერთობელ და საშუალოდ მოცემული მყუდროებისა და უპრობის, შეჩერებისა და უწყველობის მდგომარეობის კატეგორიისა, დიდი და სერიოზული შეცდომაა. ზოგადი განათლება სრულიადაც არ ნიშნავს ხოლოდ ჰუმანიტარულ განათლებას და თუ ვინმე დღესაც აიგივებს ამ სხვადასხვა მნიშვნელობისა და შინაარსის ცნებებს, ეს ალბათ იმის შედეგია, რომ იყო დრო, როცა ჰუმანიტარული მეცნიერებები ზოგადი განათლების საფუძველად ითვლებოდა, ხოლო საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროფესიონალიზაციად



იყო მიჩნეული. ისევე როგორც, მაგალითად, რევოლუციამდელ სკოლაში ქიმიის დამოუკიდებელ სახანად არ ისწავლებოდა იმის გამო, რომ მას არ მიაკუთვნებდნენ ზოგადსაგანმანათლებლო საგანთა რიცხვს, ასევე აშუამად ზოგიერთი საჩოთიროდ მიიჩნევის მანქანათმცოდნეობას, ელექტროტექნიკას, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლებს, რომელთა სწავლება ახლანდელ შემოიღეს ჩვენს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში. მაგრამ ახლა უკვე აღარ არის საუკუო, რომ, ისევე როგორც არ შეიძლება განათლებული დივიზიონით აღმზინი, რომელიც ვერ ერკვევა ლიტერატურის, ისტორიისა და ბელოვების საფუძვლებში, დღევანდელ პირობებში ვერ იქნება განათლებულად მიჩნეული ის, ვინც არ იცის წარმოების საფუძვლები, ვინც არ იცნობს თანამედროვე ტექნიკის უმნიშვნელოვანეს მიღწევებს. ამიტომ ის სკოლა, რომელიც განათლების არსებულ სისტემის გარდაქმნის შედეგად უნდა იშვას, კვლავაც დარჩება ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლად, რომელიც მოწოდებული იქნება შეიარაღოს მოსწავლე ახალგაზრდობა არა მარტო მეცნიერების საფუძვლების ცოდნით ბუნებისა და საზოგადოების განვითარებას შესახებ, არამედ წარმოების მეცნიერული და ტექნიკური საფუძვლების ცოდნითაც, მისცეს მათ საშუალება გაეცნონ ამა თუ იმ პროფესიას და თავისუფლად აირჩიონ მათი სურვილისა და მიდრეკილების მიხედვით ის სპეციალობა, რომელიც საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივად განვითარებაში. ცხადია, როცა ახალგაზრდა სკოლაშივე ეცნობა მანქანათმცოდნეობის, ელექტროტექნიკის, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლებს, თეორიულად და პრაქტიკულად სწავლობს ძრავას მუშაობის პრინციპს, ტრაქტორს, აგროტექნიკას და სხვა, იგი ამავე დროს ეცნობა მძღოლის, ჭეიხკლის, მონტიორის, ტექნიკისა და მთელი რიგი სხვა პროფესიის აღმზინებისათვის საჭირო ცოდნის საფუძვლებს, და სწორედ ეს აძლევს მას საშუალებას თავისუფლად აირჩიოს მომავალი ცხოვრების გზა, პროფესია, სპეციალობა. ამ ფაქტორების, სახალხო განათლების არსებული სისტემის გარდაქმნა ნაკარნახევი კომუნისმის აშენების პრაქტიკული ამოცანებით, რასაც ახლა, მომავალი უკლასო საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ძველად ასე არ იყო. საზოგადოებაში, რომლის ერთ-ერთი მთავარი მანკი იყო უფსკრული ფიზიკური და გონებრივ შრომას შორის, სკოლა, რაღა თქმა უნდა, ვერ დისახავდა მიწოდებულსა და განათლების მწარმოებელურ შრომასთან დაკავშირების ამოცანას. არ ისახავდა ძველი სკოლა ასეთ ამოცანას იმიტომაც, რომ გონებრივი შრომის მოწყვეტამ ფიზიკურისაგან, გონებრივი საქმიანობის გადაქცევაში გაზარდებული კლასების მონაწილეობა, განსაზღვრა სასწავლებლის ისეთი კონტინგენტით შეესება, რომელიც თავისი მდგომარეობის მიხედვით „მოწოდებული“ იყო მხოლოდ გონებრივი და არა ფიზიკური შრომისათვის. ამიტომ სკოლაშიც ისე იყო აგებული სასწავლო პროცესი, ხოლო მაშინდელ საზოგადოებაში კი განათლების მთელი სისტემა, რომ კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ან უმადლეს სასწავლებელში განაგრძობდა სწავლას, ან სხვადასხვა დაწესებულებებში ასრულებდა „გონებრივი შრომის“ ჩინოვნიკურ მოვალეობას. ის, ვინც მაშინ შედიოდა სასწავლებლად, წარმოებდას ან სოფლის მეურნეობაში ფიზიკური მუშაობისათვის არ ემზადებოდა. ეს არც იყო მისთვის საჭირო. ხოლო მას კი, ვინც მატერიალურ დოვლათს ქმნიდა, იშვიათი გამოწაკლისის გარეშე, განათლების მიღებაზე იცნებდა არ შეიძლო. ასეთები კი საზოგადოების ძირითად მასას, ხალხისა და ახალგაზრდობის დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ.

ახლა მდგომარეობას, როგორც იტყვიან ხოლმე, რადიკალურად შეიცვალა. ჩვენს პირობებში სწავლობს და მომავალშიც უნდა ისწავლოს უკლებლივ ყველა ჰაბუტკა, ყველა ქალიშვილი. უნდა ისწავლონ იმათ, ვინც მომავალში მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ფიზიკურად იმუშავენ, და, ცხადია, იმათაც, ვინც მომავალში გონებრივი მუშაობის გზით წავლენ. ეს ხავსებით კანონზომიერი მოვლენაა ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი განვითარების მიმდინარე ეტაპზე, რადგან გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის დაპირისპირების თანდათანობით მოსპობასთან დაკავშირებით ახალ სკოლას ძველი სკოლისაგან რადიკალურად განსხვავებული მიზნები და ამოცანები აქვს დასახული.

როგორი უნდა იყოს ახალი სკოლა და პრაქტიკულად როგორ შეიძლება განხორციელდეს სკოლაში მოზარდი თაობის აღზრდის ის პრინციპები, რომლებსაც ცხოვრება ასე დაჟინებით გვიარჩებებს?

ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს იძლევა პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებული დოქტრინის პრაქტიკა, რომელიც თეზისების სახით გამოქვეყნებულია პრესაში და აშუამად საყოველთაო სახალხო განხილვის საგანს წარმოადგენს.

გამოქვეყნებულ თეზისებში მიზანშეწონილადია ცნობილი, რომ მთელი ჩვენი ახალგაზრდობა თხოთმეტ-თექვსმეტ წლიდან ჩაებას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. ამიტომ საჭიროა საშუალო განათლება გაეყოს ორ ეტაპად.



პირველი ეტაპი. ეს იქნება სავალდებულო რვაწლიანი სკოლა. დაცვლად ამჟამად არსებული შვიდწლიანი სკოლისა. რვაწლიანი სკოლა გამოუშვებს მოზარედებს, რომლებსაც დიდი მოცულობით ექნებათ ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნა, ფიქლოლოგიურად და პრაქტიკულად უკეთესად იქნებიან მომზადებული საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მონაწილეობისათვის. ასეთი სკოლა წარმატებით გადაჭრის კომუნისტური აღზრდის, შრომითი და პოლიტიკური სწავლების ამოცანებს, აგრეთვე შესაძლებელს გახდის აღმოიფხვრას სასწავლო გადატვირთვა, უფრო სერიოზულად მოეწყოს ბავშვთა ფიზიკური აღზრდა და მათში კარგი მხატვრული გემოვნების განვითარება. რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ მთელი ახალგაზრდობა უნდა ჩაებას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში საწარმოებში, კომმუნერნოებში და სხვ.

მეორე ეტაპი. აქ ახალგაზრდობა მიიღებს სრულ საშუალო განათლებას, რაც სწავლებისა და მწარმოებლური შრომის შერწყმის საფუძველზე უნდა განხორციელდეს შემდეგი გზებით: პირველი ძირითადი გზა — რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდობა მიდის წარმოებაში, წინასწარ იღებს პირველდაწყებითს პრაქტიკულ მომზადებას, ხოლო შემდეგ, წარმოებაში მუშაობასთან ერთად, სწავლობს მუშა ან სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში. მეორე გზა — რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდობა სწავლას განაგრძობს საფარბიკო-საქარხნო და სასოფლო-სამეურნეო შევირდობის ტიპის საწარმოო სწავლების საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომის პოლიტექნიკურ სკოლაში, რომელიც ახლომდებარე სამრეწველო საწარმოების, კომმუნერნოებების, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურებისა და სხვათა ბაზაზე განხორციელებს სწავლების შეერთებას მწარმოებლურ შრომასთან და მისცემს მოსწავლეებს სრულ საშუალო განათლებასა და პროფესიულ მომზადებას იმისათვის, რომ იმუშაონ სახალხო მეურნეობის ან კულტურის ერთ-ერთ დარგში. მესამე გზა — ახალგაზრდობის ერთი ნაწილი სწავლობს ტექნიკურ მეცნიერებაში, რომლებიც რვაწლიან ბაზაზე მუშაობენ, იღებს სრულ საშუალო განათლებას, მუშის სპეციალობას და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტის წოდებას.

ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის არსებული პირობების გარდაქმნა მკვეთრად გააუმჯობესებს უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულ სპეციალისტთა მომზადების ხარისხსაც, რადგან უმაღლეს სასწავლებლებში, უწინარეს ყოვლისა, მიიღებენ იმ ახალგაზრდებს, რომელთაც პრაქტიკული მუშაობის სტაჟი აქვთ. ამასთან, როგორც ამას თეზისები ითვალისწინებენ, უმაღლესი სკოლის განვითარებაში უნდა დავადგეთ, უწინარეს ყოვლისა, საღამოსა და დაუსრულებელი განათლების გზას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნომბრის პლენუმის მიერ მოწონებულ ამ ისტორიულ დოკუმენტში, რომელსაც ახლა ყველგან განსაკუთრებული ინტერესით, ყურადღებითა და დაკვირვებით სწავლობენ, განიხილვენ, იწონებენ, გამოკვეთილია ჩვენი თანამედროვე ცხოვრების კიდევ ერთი საგულისხმო მხარე. იგი ნაკარნახევია კომუნისტური პარტიის ურყევი ერთგულებით დენისტური ნაციონალური პოლიტიკისადმი, საბჭოთა მრავალეროვნა სახელმწიფოს ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობის სისტემური აღიარებით და მათი ეროვნული თავისებურებებისადმი პატივისცემით, იმით, რომ ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცება და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნა უნდა განხორციელდეს გეგმაზომიერად და ორგანიზებულად.

ეროვნულ და ადგილობრივ
თავისებურებათა გათვალისწინებით

სხვათა შორის, შემთხვევითი არ არის, რომ კომუნისტური მშენებლობის ეკონომიური პროგრამის—სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შემუშავებას დაემთხვა განათლების არსებული სისტემის რეორგანიზაცია, საბჭოთა სკოლის გარდაქმნის აუცილებლობა.

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში საბჭოთა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები უფრო აქტიურ როლს უნდა ასრულებდნენ საბჭოთა ხალხის მთელ აღმშენებლობის საქმიანობაში. ეს არის ახლა მთავარი და ძირითადი, ამიტომ მომავალი სკოლის უპირველესი ამოცანაა, უზრუნველყოს 15-16 წლის ასაკიდან მთელი ახალგაზრდობის ჩაბმა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში და მის მიერ მეცნიერების საფუძვლების შესწავლა და უკავშირის მწარმოებლურ შრომას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. თვით პრინციპი—სწავლა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის პირობებში და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა სწავლასთან ერთად, რათა თვითუფლებს, მიუხედავად მისი მშობლების მდგომარეობი-



სა, ჰქონდეს ერთი გზა — წავიდეს სასწავლებლად და სწავლასთან ერთად იმუშაოს — სავსებით შეესაბამება ჩვენს ეროვნულ და ადგილობრივ თავისებურებებს, და, ისე როგორც განათლების არსებული სისტემის მომავალი გარდაქმნის მთლიანი სქემა, ყოველმხრივ მოწონებას, მხარაძეებს და დადებითს შეფასებას იმსახურებს.

მაგრამ, როგორც ეს ხაზგასმითა აღნიშნული თეზისებში საბჭოთა სკოლის რეორგანიზაციის შესახებ, „სასკოლო განათლების ახალ სისტემაზე გადასვლის გეგმა უნდა შემუშავდეს ყოველ მოკავშირე რესპუბლიკაში, მისი ეკონომიური და კულტურული განვითარების თავისებურებათა შესაბამისად“. მაშასადამე, ასეთი გეგმა უნდა შემუშავდეს ჩვენთანაც, საქართველოში, მისი ეკონომიური და კულტურული განვითარების თავისებურებათა მაქსიმალური გათვალისწინებით. რა თქმა უნდა, ეს გეგმა არ იქნება არსებითად, პრინციპულად განსხვავებული იმ გეგმისა და ამოცანებისაგან, რომლებსაც ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების შემდგომი განვითარების ღონისძიებები ითვალისწინებენ. მაგრამ, ისევე როგორც, მაგალითად, აღმოსავლეთის მოკავშირე და ავტონომიურმა რესპუბლიკებმა უნდა შეიმუშაონ ადგილობრივი სკოლის მომავალი რეორგანიზაციის გეგმები იმის აუცილებელი გათვალისწინებით, რომ „შემდგომ ვაიზარდოს მკვიდრ ეროვნებათა ქალიშვილების კონტინენტები... სკოლების უფროს კლასებში“, ჩვენც გავაჩინა სხვებისაგან განსხვავებული ეკონომიური და კულტურული განვითარების ზოგიერთი ისეთი თავისებურება, რომელთა გათვალისწინებისა და ცხოვრებაში გატარებისათვის ახლა რეალური და ხელსაყრელი პირობებია შექმნილი.

უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებულ ყურადღებასა და დიდ მუშაობას მოითხოვს ქართული სკოლისათვის ახალი ამოცანების შესატყვისი პროგრამების, სახელმძღვანელოების, მეთოდური და დამხმარე წიგნების მომზადებისა და გამოცემის საქმე. ამასთან დაკავშირებით, შესაძლოა საფუძველს მოკლებული არ იყოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის გამომცემლობის შექმნა. სწორედ ახალი სკოლის მომავალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში, მეთოდურ და დამხმარე ლიტერატურაში უნდა იქნას გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიური და კულტურული განვითარების თავისებურებანი. რათა მივალწით იმას, რომ აქაწლიანი სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდა ფსიქოლოგი იყო რა და ეს რაქტიკულად მომზადებული იქნეს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მონაწილეობისათვის. ამ ამოცანის გადაწყვეტისას უნდა გვახსოვდეს, რომ დღევანდელი სკოლის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი პროგრამების გადატვირთვა და საქირთა ვიზუალური საპროგრამო მასალის ზედმეტი, არააუცილებელი, ზევშთა ასაკისა და გონებრივ განვითარებისათვის შეუფერებელი საკითხებისაგან განტვირთვისათვის.

მოზარდი თაობის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბნის, ხოლო, რაც მთავარია, თეზისებში ხაზგასმული — „სკოლის კურსდამთავრებულთა სამუშაოზე მოწოდების“ ამოცანა იმასაც გულისხმობს, რომ რესპუბლიკაში საშუალო სკოლების რეორგანიზაციის გეგმის შემუშავებისა და განათლების ქსელის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული იქნეს საქართველოს ეკონომიური და კულტურული მშენებლობის მომავალი, ფართო პერსპექტივები, რათა შესაძლებლობა გვექონდეს დავეკაოფილიოთ ჩვენი მზარდი სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებები. რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში სამუშაოდ უნდა მოვლენდნ სათანადო მომზადებისა და კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდები, რომლებიც მომზადებული იქნებიან იმისათვის, რომ გამოამუღვენონ თავიანთი მიღრეკილებანი, შეგნებულად აირჩიონ პროფესია და შექმნან ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებისათვის საჭირო ფასეულობანი. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ მატერიალური დოვლათის წარმოება, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები წარმოადგენენ ერისა და საზოგადოებრივი განვითარების გადამწყვეტ ძალას, და ეს პეშმარტიბა შეგნებულ ცოდნასთან ერთად ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელებისაც მოითხოვს.

ამ შეიდი ათეული წლის წინათ დიდი ილია გულმეოკლული ჩიოდა: „ჩვენი ხალხი უმთავრესად მიწის მუშაობას მისდევს, წლითი-წლობით მიწას ჩაჰყურებს, ატრიალებს, ზნავს, სთესავს, ვას უდღის, ბოხტნული მოჰყავს; წელიწადზე ფებს იღვამს, თავს მაღლა არ იღებს, ჯაფახს ან ერიდება, ძალ-ღონეს არ ჰშოგავს, ოღონდ საზრდო მოიპოვოს. მაგრამ აი წელს სეტყვამ გაუნადგურა წლის ნადვანევი საზრდო, მერმის კალიამ ხელიცარიელზე დასო, მესამე წელს კიდევ სხვა ღვთის რისხვა დაატყდა თავსა. წლის ნაწევ-ნადავი ხელიდამ გამოეცალა... რა ქნას? ცოდნა მას არა აქვს, ვერც თავის საკუთარს ძალ-ღონეს დანდობია, ვერც სხვას მინდობია, ვერც ცალკე ღონით ვასძლიოდა... სად არის განათლებული, მეცნიერებით შეიარაღებული კაცი, რომ მისთვის გული შესტკიოდეს და წარმატების გზა უჩვენოს?..“



ახლა სხვა სურათია, ახლა ჩვენი ხალხი მარტო მიწის მუშაობას აღარ მისდევს. არც იმის შიში აქვს, რომ წილს სეტყვა გაუწადაგულებს საზრდოს, მერმის კალია ხელცარიელზე დასვამს ან კიდევ სხვა ღვთის რისხვა დაატყდება თავს. მომავალ შვიდწლიდში, როგორც ამას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები ითვალისწინებენ, შემდგომ განვითარდება ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ჩაისა და ციტრუსების წარმოება, მებადლეობა და მებარეშუმეობა, მევენახეობა და მეღვინეობა, აგრეთვე კვების მრეწველობის სხვადასხვა დარგები. შვიდწლიანი გეგმის მიხედვით საქართველოში აშენდება დიდი ელექტროსადგური გაზის სათბობის გამოყენებით, ამუშავდება ქვანახშირის შახტების ახალი, სიმძლავრენი, მაგნიუმის მადნის მოპოვებელი ახალი მალაოები და გამაშხებელი ფაბრიკები. მანქანათმშენებლობის დარგებიდან ყველაზე მეტად განვითარდება ელექტროტექნიკური მრეწველობა და ხელსაწყოთმშენებლობა. საგრძნობლად გაიზარდება თბილისური ელექტრომაგლეების წარმოება. დაახლოებით მეჯერ გაიზარდება ქიმიური მრეწველობის პროდუქცია; მეჯერ გაიზარდება მინერალური სასუქების წარმოება. შვიდწლიდში აშენდება 15 ჩაის ფაბრიკა და 1,5-ჯერ გაიზარდება ჩაის წარმოება. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გათვალისწინებულია გაშენდეს ახალი ბადები და ვენახები დაახლოებით 78 ათას ჰექტარ ფართობზე და გადიდდეს ციტრუსოვანთა ნარგავები.

ეს მხოლოდ ციფრებია, მშრალი ციფრები. ხოლო ამ ციფრებს მიღმა ხვალისდელი საქართველოს ხარაჩობი მოჩანს. ქართული ჩაიც ჩვენ უნდა მოვკრიფოთ. 15 ფაბრიკაც ჩვენ უნდა ავაშენოთ და ჩაის ნედლი ფოთლიდც მზა პროდუქციად ჩვენვე უნდა ვაქციოთ. ელმავალიც და ელექტროსადგურიც ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულმა ახალგაზრდობამ უნდა ააგოს, ქიმიური მრეწველობის საწარმოებში ქართველმა ჰაბუკებმა და ქალიშვილებმა უნდა იმუშაონ და რუსთავის ფოლადიც მათ უნდა გამოადნონ. ჩვენი რესპუბლიკის ხვალისდელი ღვთის ამ რეალური მოთხოვნილებების გათვალისწინებით, ამ ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით და შესაბამისად უნდა გარდაიქმნას ჩვენი პირობებში თანამედროვე სკოლა. ამ შემთხვევაში „ადგილობრივი პირობების“ გათვალისწინება იმასაც ნიშნავს, რომ სწავლებას მეორე ეტაპზე, იმისდა მიუხედავად, თუვისებში რეკომენდებული პირველი ძირითადი, მეორე თუ მესამე გზა იქნება არჩეული სრული საშუალო განათლების მისაღებად, სწავლების მწარმოებლურ შრომასთან შეერთება უნდა ითვალისწინებდეს ახალგაზრდობის მომზადებას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ერთ-ერთ დარგში სამუშაოდ; იმას უნდა ითვალისწინებდეს, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობა განუწყვეტლივ იცნებოდეს ქალაქისა და სოფლისათვის საჭირო სხვადასხვა სპეციალისტის მუშებით, საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის შიქონე ჰაბუკებითა და ქალიშვილებით. კერძოდ, ვასათვალისწინებდეთა რესპუბლიკის მხარედი ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, ქვანახშირისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის საჭირო მუშა ძალითა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრებით უზრუნველყოფა. საშუალო სკოლების რეორგანიზაციის გეგმების შემუშავების დროს აგრეთვე უნდა გავითვალისწინოთ უმაღლესი სასწავლებელთა უზრუნველყოფა საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა საქმარის რაოდენობით, რადგან არ შეიძლება, რომ განუწყვეტლივ არ ხდებოდეს სახალხო მეურნეობის შევსება უმაღლესი კვალიფიკაციის ახალგაზრდა სპეციალისტთა კადრებით. ამ შემთხვევაშიც უმაღლესი სკოლაში სწავლების პრაქტიკასთან, შრომასთან შეერთების კონკრეტულ ფორმები უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ როგორია უმაღლესი სასწავლებლის პროფილი, სტუდენტთა შემადგენლობა, აგრეთვე მთელი რიგი ეროვნული და ადგილობრივი თავისებურებანი.

ჩვენი პირობებში ვასათვალისწინებულია აგრეთვე სასწავლო მეცადინეობის დაწყებისა და დამთავრების, არდადეგების დროის განსაზღვრა უკვე ბუნებრივი პირობების „ადგილობრივ თავისებურებათა“ მიხედვით. ეს საკითხი, რომელიც ჩვენი ცხელი ზაფხულის სპეციფიკურ პირობებთან და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების სეზონურობასთან არის დაკავშირებული, წლების მანძილზე იყო გადაქცეული მსჯელობის საგნად: ვადავლოთ სასწავლო წლის დაწყება 15 სექტემბრამდე ან 1 ოქტომბრამდე, თუ არა? მე ისიც მახსოვს, მშ აგვისტოს „დახუთილ თბილისში“ აგარკიდან ჩამოყვანის, „წამსვე სოფელში რომ მიკრის თივა“, და, იმისდა მიუხედავად, რომ „მამინ თორმეტი წლისა ვიყავი“, ახლაც ჩვენი სოფლის შემადგომი ადგილს თვალსწინ, ახლაც შემოდგომის სურნელი მცემს და ახლაც კმაყოფილი ვიგონებ იმ დროს, ზურგზე გოდორს რომ მომიკიდებდნენ, ძროხას საბაღახოდ გამატანდნენ და სიმინდის ტაროებს ნაღავში მყარვინებდნენ. ახლა არის ამ საკითხის გულდასმით შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საშუალება, მით უფრო, რომ სოფლის სკოლებში სასწავლო წელი უნდა აიგოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოსა სეზონურობის გათვალისწინებით.

უთულო მისასაღებელია ის გარშეობა, რომ „რვაწლიანი სკოლის მოსწავლე გოგონებას



შრომით მომზადებაში გათვალისწინებულ უნდა იქნას ქალის შრომის თავისებურებანი. მისასაღმებელია იმიტომ, რომ აქამდე ჩვენი სკოლა ჯერჯერობა უპრადლებას არ აქცევდა ბავშვთა აღზრდის ამ მნიშვნელოვან მხარეს, რაც იმას ნიშნავს, რომ გოგონებს საქმარისად ვერ ამზადებდა მომავალი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. სამწუხაროდ, მიუხედავად ჩვენში ოჯახური აღზრდის კარგი ტრადიციებისა, ბევრ ოჯახში აღარ მიაჩნიათ მშობლებს ეს საკითხი სერიოზული ზრუნვის საგნად, რაც ხშირად, ქალიშვილების ცხოვრების დამოუკიდებელ გზაზე გამოსვლის შემდეგ, უარყოფით დაღს ასვას ახალშექმნილ ოჯახს და მომავალი თაობის აღზრდას, აქედან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგითურთ.

არის საკითხის კიდევ ერთი მხარე, რომელიც მართლაც და სპეციფიურია საქართველოს ბუნებრივი მდებარეობის გამო და იმიტომ აგრეთვე მოითხოვს „ადგილობრივი პირობების“ გათვალისწინებას. ლაპარაკია სკოლა-ინტერნატების ქსელის შემდგომ გაფართოებაზე, განსაკუთრებით მთიანი და მაღალმთიანი რაიონებში, იმ ვარაუდით, რომ ამ ტიპის სასწავლო-აღმზრდელთა ბიზნის სასწავლებლებში შეიქმნას მოზარდი თაობის სწავლისა და აღზრდის ყველაზე ხელსაყრელი პირობები. ამასთან დაკავშირებით, და აგრეთვე იმის გამო, რომ უნდა შეიქმნას საყოველთაო სავალდებულო სწავლების ფონდი ხელმოკლე ბავშვებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად, როგორც ბიუჯეტის ხარჯით ისე კოლმეურნეობათა, კოოპერაციულ ორგანიზაციათა და პროფკავშირთა სახსრების მოზიდვის ხარჯზე, იზრდება საშუალო მუშაობის მნიშვნელობა და ამ საქმეში ადგილობრივი კომპაგვირული და პიონერული ორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა.

ბუნებრივია, რომ სახალხო განათლების არსებული სისტემის გარდაქმნა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში ახლებურად აყენებს

პიონერული და კომკავშირული
ორგანიზაციების მუშაობის საკითხის.

ახლებურად იმიტომ, რომ საბჭოთა სკოლისათვის დამახასიათებელია ერთგვარმა ცალმხრობამ, აბსტრაქტულობამ ახალგაზრდობის სწავლებაში, ცხოვრებისაგან სკოლის მოწყვეტამ, რამაც განაპირობა სერიოზული ნაკლოვანებანი აღმზრდელობის მუშაობაში, უარყოფითი გავლენა მოახდინა აგრეთვე სასკოლო პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაზე, მათი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებზე, მოსწავლე პიონერთა და კომკავშირელთა ლენინური მოთხოვნების პრინციპებით აღზრდაზე.

უპირველეს ყოვლისა, როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული, სასკოლო პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში ეწეოდნენ სასწავლო მუშაობის ერთგვარ დუბლირებას და მექანიკურად, უფრო ხშირად ფორმალურად, მოსწავლეთა ახარება და მისწრაფებების გაუთვალისწინებლად, „ემხარებოდნენ“ სკოლას უმთავრესად მაღალი აკადემიური მოსწრების ამოღებისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

ერთგვარი გარდატეხა პიონერული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში მოხდა საკავშირო ალექ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის შემდეგ, რომელმაც აღნიშნა, რომ პიონერულ რაზმებსა და რაზმულეებში უპირატესად მუშაობის სიტყვიერი მეთოდებია დანერგული, საქმე ხანგრძლივსა და მოსაწყენ საუბრებს არ შორდება, მაშინ, როდესაც ჰოცანა მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდა და ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის, თვითელი ჩვენთაგანი შეიარაღებულია ვ. ი. ლენინის კლასიკური ფორმულით: „მხოლოდ მუშებთან და გლეხებთან ერთად შრომაში შეიძლება გახდეთ ნამდვილი კომუნისტები“.

მაშინ, ამ პლენუმზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „ნორჩ პიონერთა საფეხურების“ შემოღების შესახებ და განვილიმა პერიოდმა სავსებით დაადსტრია „საფეხურების“ სიცოცხლისუნარიანობა. მათ უკვე მოიპოვეს მოქალაქეობრივი უფლება, დიმიხსურეს პედაგოგების, მშობლების, და, რაც მთავარია, თვით ნორჩი პიონერების აღიარება პიონერული ცხოვრების მოსაწყენი პერიოდის შემდეგ ბავშვები გაიტაცა ამ სიახლემ. მათ მოეწონათ პიონერთა ცოდნისა და სანიმუშო ნუსხის მოთხოვნები და ახლა იხიან სიხარულით მიჰყვებიან ზემოთ „პიონერულ საფეხურებს“. აქ შედგებოდა „ნორჩ პიონერთა საფეხურების“ ჩამოთვლა, რადგან ეს მასალები თავის დროზე პრესაში იყო გამოქვეყნებული და მათ, ვფიქრობთ, იცნობს ყველა, ვინაც პიონერთა შორის მუშაობის საპატიო და საპასუხისმგებლო მოვალეობა აქვს დაკისრებული. მაგრამ იმის თქმა არ უნდა იყოს უადგილო, რომ საშუალო განათლების პირველ ეტაპზე, როდესაც მოზარდები საშუალო განათლებას რვაწლიან სკოლაში ღებულობენ, სადაც უმთავრესად პიონერული ასაკის ბავშვები ისწავლიან, ამ ტიპის სკოლებში განსაკუთრებით გაიზრდება პიონერული ორგანიზაციის აღმზრდელობით



როლი და მნიშვნელობა. და, აქედან გამომდინარე, მკვეთრად უნდა ამაღლდეს უფროსი პიონერ-ხელმძღვანელის როლი, ავტორიტეტი, გაიზარდოს მისი ზედერთი წონა სკოლის მიეღი სასწავლო და აღმზრდელითი მუშაობის პროცესში.

საქვოა, რომ საფუძვლიანი გადამზადების გარეშე უფროს პიონერხელმძღვანელთა ძირითადმა მასამ წარმატებით გაართვის თავი იმ გაზრდილ ამოცანებს, რომლებიც სახალხო განათლების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით პიონერული ორგანიზაციების წინაშე დაისახება. აქედან გამომდინარეობს უფროს პიონერხელმძღვანელთა კადრების შერჩევის, განაწილებისა და სწავლებისადმი ყურადღების მკვეთრად ამაღლების აუცილებლობა, რაც, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს პიონერთა შორის მუშაობაში სიტყვიერი მეთოდების დაძლევის და არა მარტო წრუნვის იმისათვის, რომ თვითმოდ პიონერხელმძღვანელს კარგად ესმოდეს და შეგნებულ პიონერებს რა უნდა აკეთოს, არამედ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ისიც, თუ როგორ უნდა აკეთოს, მუშაობის როგორი ფორმები და მეთოდები უნდა გამოიყენოს მან იმისათვის, რომ ნამდვილად დაეხმაროს სკოლას „მომზადდეს მრავალმხრივ განათლებული აღმზანები, რომლებმაც კარგად იციან მეცნიერების საფუძვლები და ამასთან უნარი შესწევს სისტემატური ფიზიკური შრომისა, ჩაუნერგოს ახალგაზრდობას მისწრაფება — იყოს სასარგებლო საზოგადოებისათვის, აქტიურად მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებისათვის საქირო ფასეულობათა წარმოებაში“.

სკოლა და, მასთანადამე, პიონერხელმძღვანელიც მოწოდებულია გააცნოს მოსწავლეებს სხვადასხვა სახეობის შრომა, დაეხმაროს მათ გამომყდავნი თავანთი მიდრეკილებანი და თავისუფლად აირჩიონ მომავალი პროფესია. ამისათვის კი საქიროა მეტი ყურადღება მიექცეს ყველა ბავშვის ნიჭისა და უნარის განვითარებას როგორც ხელოვნების დარგში, ისე მათემატიკაში, ფიზიკაში, ბიოლოგიასა და მეცნიერების სხვა დარგებში. ფართოდ უნდა იქნას შემოღებული პრაქტიკაში უმაღლეს სასწავლებლებთან და სკოლებთან წრეების, სტუდიების, სპეციალური ლექტორიუმის მოწყობა, შეიქმნას ნორჩ მათემატიკოსთა, ფიზიკოსთა, ქიმიკოსთა, ბუნების, ტექნიკის მოყვარულთა საზოგადოებანი.

ის პიონერხელმძღვანელი, რომელშიც ბავშვი ვერ დაინახავს დამხმარესა და მავალითის მაჩვენებელს, რომელსაც არ ეცოდინება მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების საფუძვლები, თუნდაც სკოლის საპროგრამო მასალის ფარგლებში, ვერ დაიმსახურებს პიონერთა კოლექტივის წევრობას და მას არ ექნება ავტორიტეტი.

სკოლაში პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ახლებურად, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნასთან დაკავშირებით, გაცილებით უფრო იზრდება სასწავლო მუშაობის მნიშვნელობა, აუცილებელი ხდება სკოლასა და წარმოებას შორის კავშირის შემდგომი განმტკიცება და პიონერთა რაზმების ხელმძღვანელებად მუშა ახალგაზრდობის, საწარმოთა კომკავშირული აქტივისტების მოზიდვა. წარმოებიდან მოსულ ამ ახალგაზრდობას, რომელსაც მუშაობის პროცესში საქმე უშუალოდ უფროს პიონერხელმძღვანელთან ექნება, ბავშვთა შორის სასარგებლო საქმიანობასთან ერთად, შეუძლია დადებით ზეგავლენა მოახდინოს თვით უფროს პიონერხელმძღვანელშიც.

ის გარემოება, რომ მომავალი რვაწლიანი სკოლის მოსწავლეები ფსიქოლოგიურად და პრაქტიკულად უკეთ უნდა იყვნენ მომზადებული საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მონაწილეობისათვის, პიონერულ მუშაკს შემოქმედებითი ინიციატივის გაშლის განუსაზღვრელ შესაძლებლობას აძლევს. და როცა ახლა, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, ჩვენ ბავშვების მომავალი შრომითი საქმიანობისათვის „ფსიქოლოგიური მომზადების“ თაობაზე ვლაპარაკობთ, მე მაგონდება ჩემი ამასწინანდელი მოგაზრობა ჩეხოსლოვაკიაში და იქ ნახული „ფაბრიკა“ სკოლაში. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ჩვეულებრივი ფაბრიკა დაზგეობა, საამქროებით და ნედლი მასალით ან მზა პროდუქციის საწყობებით. იგი არც სასკოლო სახელოვნო იყო, რომ ერთგვარი საფუძველი მინც ყოფილიყო მისთვის ფაბრიკის დსარქმევად. მაგრამ სკოლაში მინც ფაბრიკა იყო და მას ბავშვები აგებდნენ. თანამედროვე ჩეხურ სკოლაში შემოღებულია მოსწავლეთა მიერ წარჩინებული ნიშნის მიღებისათვის წახალისების მეტად ხანტერესო და ორიგინალური ფორმა: „რომელი კლასი უფრო სწრაფად ააგებს ფაბრიკას?“ თვითმოდ კლასს მიცემული აქვს ხის სათამაშო აგურების თანაბარი რაოდენობა ფაბრიკის მკეტის ასაგებად. უმაღლესი ნიშნის მიღებისთანავე მოსწავლე თავის გვარს მიაკრავს აგურს დამიაქვს იგი აქვე, საკლასო ოთახში მოთავსებულ და „მშენებლობის პროცესში“ მყოფ ფაბრიკისაკენ. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით „ფაბრიკის“ სკოლაში არსებობის ფაქტს უდევოდ დადებითი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა სწორედ იმ „ფსიქოლოგიური“ აღზრდისათვის, რომლის დადებითი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა სწორედ იმ „ფსიქოლოგიური“ აღზრდისათვის, რომლის გამოც ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ. ბავშვის ფსიქიკაზე დიდ ზეგავლენას ახდენს თამაშიც. ამიტომ



მან, ვინც ოქტომბრულბთან და უმცროსი ასაკის პიონერბთან მუშაობს, თამაშიც უნდა იცოდეს.

მნიშვნელოვნად გაზრდილი ამოცანები, რომლებიც აშუამალ პიონერული და კომკავშირული მუშაკების წინაშეა დასმული ჩვენი სკოლის მომავალ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ახლებურად აუყენებენ უფროსი პიონერბელმძღვანელებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების საკითხსაც. ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერება არ გულისხმობს ამ საქმეში მხოლოდ ადგილობრივი კომკავშირული ორგანოების პასუხისმგებლობის გაზრდას. პიონერბელმძღვანელს დახმარება ესაჭიროება ლიტერატურითაც, კვალიფიციური პედაგოგიური და მეთოდური ხასიათის რჩევა-დარიგებებითაც. ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, უნდა დაინტერესდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, რესპუბლიკის ნორჩ პიონერთა საბჭო და პიონერბელმძღვანელთა რესპუბლიკური სკოლა.

ახლებურად უნდა დაისვას საშუალო განათლების მეორე ეტაპზე სხვადასხვა ტიპის სკოლებში პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების შექმნის საკითხიც. შესაძლოა, უფრო მიზანშეწონილად იქნეს, მიჩნეული, რომ ახალგაზრდა კომკავშირულ აღრიცხვაზე იყოს სკოლაშიც და იმ წარმოებაშიც, სადაც იგი მუშაობს. სკოლის პროფილის მიხედვით უნდა გადაიკრას საკითხი, თუ როგორ იქნება ძირითადი ორგანიზაცია — სკოლისა თუ წარმოების პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია.



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისებში „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სასკოლო განათლების ახალ სისტემაზე გადასვლის გეგმა უნდა შემუშავდეს ყოველ მოკავშირე რესპუბლიკაში, მისი ეკონომიური და კულტურული განვითარების თავისებურებათა შესაბამისად. ამასთან, საჭიროა შეიღწილიანი სკოლების რვაწლიან სავალდებულო სწავლების სკოლებად გარდაქმნა, აგრეთვე სწავლების მეორე ეტაპზე სხვადასხვა სკოლის ორგანიზაცია დაიწყოს 1959-60 სასწავლო წელს და ეს მუშაობა დამთავრდეს ოთხ-ხუთ წელიწადში. ასევე მიზანშეწონილად არის მიჩნეული 1959 წლიდან დაწყებული, განხორციელდეს უმაღლეს სასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილის გარდაქმნა თანდათანობით, სამი-ხუთი წლის განმავლობაში.

საეკვოა, რომ ჩვენში მოიძებნოს ისეთი ოჯახი, რომელიც ცხოველი ინტერესით არ ეკიდებოდეს სკოლის გარდაქმნის საკითხებს, იმას, თუ როგორი იქნება მომავალი სკოლა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პროცესში. საეკვოა, რომ ვისმეს არ ესმოდას როგორც რუსული ენის, ისე არაქართულ სკოლებში ქართული ენის სავალდებულო შესწავლის აუცილებლობა და, მიუხედავად ამისა, სახალხო განათლების თანამედროვე სისტემის მომავალ გარდაქმნასთან დაკავშირებული დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები გულისხმობენ არა მარტო ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებების გატარებას, არამედ ღრმა, კვალიფიციური და დამაჯერებელი ახსნა-განმარტებითი მუშაობის ფართოდ გაშლას, რათა მთელ ქართულ ხალხს, თვითეულ ახალგაზრდას, ყველა მშრომელს კარგად ჰქონდეს შეგნებული ცხოვრებით ნაკარნახევი იმ დიდი გარდაქმნების ისტორიული აუცილებლობა, რომელთა მოწამენი და უშუალო მონაწილენიც ჩვენ ვართ.

... და როცა ამ ისტორიულ დღეებში კიდევ ერთი ქართული ოჯახი შეიქმნება, თამადას კიდევ ერთი სადღერტმელო აიწევა და... ცხოვრების კარს კიდევ ერთი ქართველი შემოადებს, მაშინ ქართულის დედა იტყვის:

— ჩვენს დროში „მარტო წიგნიდამ გადმოხედვა“ მართლაც და არაფრის მაქნისია. ახლა ჩემმა შეიღმა უნდა იცოდეს, რომ სკოლაში სწავლისას იგი უნდა ემზადებოდეს შრომისათვის, იმისათვის, რომ შექმნას ადამიანისათვის, საზოგადოებისათვის სასარგებლო ფსევულობანი. ახლა ერთადერთი სწორი გზაა სწავლა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის პირობებში და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა სწავლასთან ერთად. ქართული ჩაიც ჩვენმა შეიღებმა უნდა მოიყვანონ და ჩვენებური ღვინოც მათ უნდა დააყენონ; ჩვენმა შეიღებმა უნდა გამოაღონ ქართული ფოლადი და თბილისური ელექტრომავლებიც მათ უნდა ატარონ. ხოლო ვისაც ეს არ ესმის, „მის შეიღი თვისი, ჩემო კარგო, არ ჰყვარებან“.



ამას წინათ თბილისში ჩაკარდა ახალგაზრდა მწერლების
რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც ბევრი საინტერესო ახალ-
გაზრდა გამოავლინა.
ვბეჭდავთ რამდენიმე მათგანის ლექსებსა და მოთხრობებს.

7752

ნადი გაბრიჩიძე

საქართველოში სიყვარული ისე კარგია,
როგორც ჩნდებიან
აყვავებულ ხეზე ფოთლები.
და გული ისე ნებიერია,
როგორც მინდვრიდან მომწვანო ფერი
ცამდე ადის და იქ გაიშლება...
ბალახებივით მრავალია სასიხარულო
და შრომა ისე გულკეთილია,
როგორც სოფელში სალამობით
არჩევენ სიმინდს.

საქართველოში ყველაფერი
სასურველია,
სიკვდილის გარდა.
მე ვერ მოგკვდები საქართველოში.
ვერ დავინახავ სიკვდილის წინ

ჩვენებურ ღრუბლებს,
ვერც მოწმენდილ ცას,
ვერც ვახის ფოთლებს,
ვერც წიფლის ტოტებს.
მაშინ სიკვდილი ერთი ასად
გაძნელდებოდა

მე სადმე წავალ,
შორს დავტოვებ
შავ ზღვას და რიონს,
ქართულ მიწასაც არ წავიღებ,
მე ისე წავალ.
ქალარა თმებით
და ცრემლებით სავსე თვალებით,
მე ვერ მოგკვდები საქართველოში.

ნესტიან ხავსზე წვებიან ხენი
კაცები კიდევ სხვა ხეებს ჭრიან.
ტყე ღრუბელია, ტყეა ღრუბელი,
და მძიმედ ისმენს ჩეხვას და ჭრიალს.
ნესტიან ხავსზე კვდებიან ხენი,
ხავსი და მიწა. ნისლი და ხავსი,
კაცებს სიცოლით მოაქვთ წაღლები

და აქვთ ძარღვები სიმწვანით სავსე.
დაურიდებლად თელავენ ფოთლებს,
ყრიან ნაფოტებს ზევით თუ მარცხნავ,
მაგრამ ტყის მსხვერპლი თუ გახდა ვინმე,
ჩერდებიან და ტირიან კაცნი...
სოველ ხავსზე კი ხეები სდუმან...

სინათლე

სინათლით ვივსები და თვითონ არ
ვიცი,
რა ღრუბლებს მოვყვები, რა ქარებს.

თითქოს ქალაქი ვარ და ჩემი ქუჩებო
ჭრელმა ყვავილებმა დაფარეს.
თითქოს დავარხივ ზარი და ზარები



და ეს ხმა სად დაიმალება,
 ჰეი — ეზოებში თოვლივით სარეცნი
 გაჰფინეს მაღალმა ქალებმა.
 ჰეი, სად მივდივარ და საით ვიციანი,

სად არის მტკვარი და ავჭალა...

...
 ...თითქოს ქალაქი ვარ და შულამისას
 ავანთე სუყველა ფანჯარა.



ნისლში გამჭრალა...
 ისეც პატარა სოფელი
 ნისლში გამჭრალა...
 ველარ მოვნახე, თვალებით გზები,
 ტბა და ფიქრალა...
 დანისლულია.
 მეც დაეიკარგე, ვერ მიპოვის
 ეხლა ვერავინ...

დანისლულია ცოლიკაური
 და საფერავი.
 ბურანთა იქით...
 სხვარიგ მეგულვის ბურანთა იქით
 დიდი ქვეყანა,
 ვარდიგორა და ალისუბანი...
 და... ნაქერალა...



იპოლიდო შავროსაშვილი

აი, იმ ბროწეულთან

სიო უბერავს და ფოთლებში ჩოჩქოლია,
 ირგვლივ ფორიაქი და ხალისია...
 ეს — ამ ზაფხულს დაბადებული
 ბოჩოლა,
 კოჭლი ბებია რომ კინაღამ წამიქცია.
 თაფლივით ტკბილი ხართუთაც
 მოწეულა,
 ღობესთან მოვტრიალდი და
 მივტრიალდი.
 ბავშვობა დაეკარგე, აი, იმ
 ბროწეულთან,

ჩემს შვილს უბოვნია და იჩემებს დიდი
 ამბით.
 ტიკტიკებს და...
 გარდასულ წელთა ყრიაშული
 ნაცნობ ხმებს ფანტელელებით
 ჩამომიბნევს.
 ვინ იცის,
 ამ ეზოში წყაროსავით მზიარული
 რამდენის ბავშვობა გაირბენს და
 გამოირბენს.

ორღობევი მიირხევა ჩრდილი

უცებ აირ-დაირია
 ნისლის ფარა — მთის უბეზე დაყრილი.
 შეეცას მთვარის დაირიანს
 შეესია ვარსკვლავების ნახირი.
 და გაისმა მენახირის ძახილიც.

თვალი ხედავს, აი, რას.
 ზღაზვნით მოდის ნახირი,
 ქალებს მოაქვთ დაირა.
 გოგონები იცინიან,
 ვაჟი წრეში ჩოხის კალთებს კეცავს.


მაყვლის თვალთა ციმციმია,
თუ ციმციმებს
ვარსკვლავებით გატენილი ზეცა?!
ორღობეში წყვილი ჩრდილი მიიბრუნევა,
სიომ იცის მათი ავან-ჩავანი.
ვიღაც ნახავს და ქალებში იტყვის
ხელად:
— მავენს ყვარობს მავანი!
და ატყდება ხალხში მითქმა-მოთქმანი,

ბიჰის დედა საბატარძლოს წარმოიდ-
გენს გომბიოდ.
...დიასახლისს ზედადგარზე დარჩენია
ქოთანის
და თუხთუხით ამომშრალა ლობიო.
კამეჩივით ღამეც მოდის ზმორებით...
მოშრიალებს საამოდ
ტაშვანდურით, დაირით და ჭორებით
გატენილი საღამო.

აკრ, უნდა წავიდე სოფელში!

მომწყინდა ასფალტზე სიარული,
თბილისს უნდა გავეყარო დროებით.
მინდა მოვისმინო ბაღჩაში ჩიტების
ყრიამული
და ვნახო სიმინდში გადასული ხბორები.
ვარ წმინდა გლუხკაცის ნაპუსივით,
გაზრდილი ცვრიანი და რძიანი
ბალახით.
რამ დამავიწყოს შარვალი — ლაფში
ამოსვრილი
და გემო ჩვენებური ტალახის.
არა!

უნდა წავიდე სოფელში უეჭველად,
ფეხშიშველი შემოვირბენ ფერღობებს.
იქ, სადაც ჩემი წყარო ღელეს
უერთდება,
გავეშაირები ბაბუა თევდორეს.
არსენასავით შემოვეყრები
საროსტანას,
ალაზანზე წავალ და ავაცხედებ
მებორნებ.
სალამოხანს ჩაეირბენ წყაროსთანაც
და კოკას გაგუტეხავ თებრონეს.



მეჩი ბოლქვაძე



— ქარი არ ჩანს?
— ქარი, არა!
— წყარო?
— არა!

— კაცი?
— ერთი!
კაცმაც ჩუმად ჩაიარა,
ვინ გაგვაცნოს ერთმანეთი?!

ჰ ა რ ა

ჯარა, ჯარა!
თუშმა ბებომ ჯარა დაატრიალა;
მოვუსხედით ჯარად
და ამღერდა ჯარაც.

ზამთრისათვის ყველას ერგოს
ხელთათმანი, წინდა...
მე კი ვამბობ: — ჩემი ბებო
ყველას სჯობდეს მინდა!



ჯარა, ჯარა!
 თუშმა ბებომ ჯარა დაატრიალა;
 მოვესხედით გოგონები ჯარად
 და ავმღერდით ჯარად
 და ამღერდა ჯარაც.
 ბუხარს ცეცხლი ლოკავს ფრთხილად
 და ოთახშიც თბილა.
 მის ლულუნში ჩამოირთა
 მატყლის ყველა ფთილა.
 ჯარა, ჯარა!
 თუშმა ბებომ ჯარა დაატრიალა;
 მოვესხედით გოგონები ჯარად
 და ავმღერდით ჯარად
 და ამღერდა ჯარაც.
 ბებო უქმად როგორ გასძლებს?! —
 გულში აზრად ივლებს:
 „ვინ დაართავს, ნაძეს რომ აძევს,
 თოვლის ფაფუკ ფთილებს!“

ბებო, სხივებს, ერთ მშვიდ დილას,
 მზეც შეარხვეს ჯარად,
 ჩამოართავს ყველა ფთილას
 არ დაგიჩინს ჯავრად.
 ჯარა, ჯარა!
 თუშმა ბებომ ჯარა დაატრიალა;
 მოვესხედით გოგონები ჯარად
 და ავმღერდით ჯარად
 და ამღერდა ჯარაც.
 განა მარტო ჩამოართავს,
 მზე გამართავს ალოს
 და ხალიჩებს მოქსოვს მართლა
 შენებრ, თუშის ქალო.
 ჯარა, ჯარა!
 თუშმა ბებომ ჯარა დაატრიალა,
 მოვესხედით გოგონები ჯარად
 და ავმღერდით ჯარად
 და ამღერდა ჯარაც!



ნუგზარ ნეჩითელი

ფიქრი სმოლნიდან პერიტაჟამდე

მაშინ ოქტომბრის ქარი უბერავდა,
 ჯერ არ შეტოკებულებო ქანდაკი
 ელინთა.
 მაშინ პეტერბურგი არ იყო უბელადო —
 პროლეტარიატი იდგა ლენინთან.
 მაშინ სმოლნი იყო მსოფლიოს ზენიტი,
 აქ თავი მოიყარეს მხოლოდ გულადებმა,
 გუთნისდედას,
 მეზღვაურს,
 მკედელს
 თუ ზეინკალს
 ლენინი გზას უჩვენებდა
 და გზას უნათებდა!
 ზელები გაეხსნა მარადჯამს შებორკილს,
 უღლის დამდგმელები უკვალოდ გაის-
 ტუმრეს,
 იმ დამეს დაიწყო ახალი ეპოქა

— სოციალისტური!
 იმ დამეს დაემხო მარადი უკუნე,
 დაინგრა ქვეყანა ნაშენი ალიზით,
 იმ დამეს მოისპო ასე საუკუნოდ
 იმპერიალიზმიც
 და კაპიტალიზმიც!
 და უკვე არავინ არ იყო დევნილი,
 თავისუფლება მოვარდა უჩვევი,
 ყველასთვის ახლობელი დიდი ლენინი
 ზეიმით გამოვიდა პიტერის ქუჩებში.
 და იყო დროები ცისკენ აზიდული,
 ყველა მზიარული,
 ყველგან სიმღერა და ყველგან იარაღი,
 ეგდო პეტერბურგი ბურჟუაზიული,
 იდგა ლენინგრადი
 — ჩვენი სიამაყე!

თბილისში რა მალე მოველით

დაბლა ქალაქია ცეცხლმოკიდებულებით,
 ვყვებით ტყუილსაც და მართალსაც,
 ირგვლივ სიბნელეა.
 ხელჩაკიდებულები
 ვეშვებით თანდათან!
 ზემოთ სიმწვანეში დარჩა აგარაკი,
 ბალებით,
 სახლებით, აივნებით,
 როგორ გაგვიგრძელდა ლაპარაკი,
 არ გვეგონა,

ასე თუ დავიგვიანებდით.
 სხეულზე ღამე გრილად გვეკვრება,
 ქარი აღარ არის, მარტო ნიავია,
 ახლა არავინ არ შემოგვეყრება,
 მართლა გვიანია!
 გზა არის ნათელი,
 შავია ხეობა,
 ლექსი გავიხსენეთ მრავალი პოეტის,
 ნეტავ ეს მანქანა არ წამოგვეწეოდა
 — თბილისში რა მალე მოველით.



ღიანა სვუკაუ

ღღეს მწვანეა გალახი

თეთრი სივრცეები, თითქოს თოვლი არი,
 ტალღებს და სილას ხალხი უხარია,
 მე მიყვარს, როცა კვდებიან თოლიები
 და როცა ნავსადგური მაინც ცოცხალია.
 ჩაეწვები ბალახში და გავიხარებ,
 გემიდან მოვა სუნი მაზუთის,
 ღღეს ისე ხარბი ვარ,
 რომ მსურს ყველას თვალები
 დავისაკუთრო.
 და ვუთხრა ყველას ტალღის სიამაყით,
 რომ ჩვენ დავიბადეთ რუსთაველის
 ნეკნიდან,

რომ ფიროსმანს უყვარდა ცა და არაყი
 და სხვა ყველაფერი ფეხებზე ეკიდა.
 რომ მე დარები მწამს მხოლოდ ქარიანში,
 და მცივა თუ არა, ეს სულერთია,
 რომ ახლა მიყვარს და ვარ ადამიანი
 და მასაც თუ ვუყვარვარ, მაშინ ღმერთი
 ვარ...
 ღღეს ისე მწვანე არის ბალახი, და
 ფოთლები
 და ისე გემრიელი სუნი აქვს ჩალას.



ღღეს ცა ლურჯია, ხვალ აღბათ მოთოვს
 და ღღეს თუ ვიტყვებ, ხვალ მაპატიე,
 მე ვარ ისეთი პატარა გოგო,
 გარეთ კი ისეთი აშარი მარტია.
 არა, მეც მარტი ვარ, მე ვარ ეს ტოტები,
 ტოტები — რძით თუ სიცოცხლით
 მიმიე,

მე ვარ შხაპუნი და სინოტივე
 შენს ფანჯარასთან დაღვრილი წვიმის.
 მე მიწა ვარ ცხელი, შავი და სურნელი,
 მე ისეთი კოცნა ვარ, სახეს რომ
 აგიწვავს,
 მე ვარ სახრეთი ნაცემი ურმული
 და შენი თვალების ღრუბლიანი ცა.



შაშა სიხიაშვილი

თეთრი თმები აქვს მას,
 თეთრი, ძალიან თეთრი,
 გადავარცხნილი უკან.
 სუფთა შუბლი აქვს მას,
 სუფთა, მაღალი შუბლი.
 და იყურება მშვიდად სათვალღიდან.
 მე გრამატიკას მასწავლიდა
 და ვერ მასწავლა
 და არ სწყენია, რომ არ ვისწავლე.
 ის მიყურებდა მშვიდად სათვალღიდან.
 მე არასოდეს არ მინახავს
 თვალები მისი.

ის გრამატიკას მასწავლიდა
 და ვერ მასწავლა,
 მე სულ სხვა რამე ვისწავლე მისგან,
 სულ არაფერი არ უთქვამს ჩემთვის,
 ისე მასწავლა.
 და სხვანაირად ვუყურებ ბალახს,
 სულ სხვანაირად დავალ და ვსუნთქავ
 და რაღაც ნედლი სიხარული
 ნედღვრება სულში.
 თეთრი თმები აქვს მას,
 თეთრი, ძალიან თეთრი,
 გადავარცხნილი უკან.

ო, რა კეთილია სიყვარული შენი,
 თუმცადა სიყვარულს არ უყვარს
 სიკეთე,
 ო, რა კეთილია სიყვარული შენი...
 ნელნელა ილევით შენ
 ქარიანი ცის ღრუბელივითა,
 წვიმასავითა მზიანი ამინდის
 ნელნელა ილევით შენ,

შენ, ჩემი საფერი.
 ძნელია დუმილი შენი,
 დაბურული ტყის დუმილივითა.
 ძნელია სურვილი შენი,
 გადახრილი მზის სურვილივითა.
 ვითა სიმწვანე ჟამსა ფოთოლცვენის
 ნელნელა ილევით შენ.
 ო, რა კეთილია შენი სიყვარული.

მე მომწონხარ შენ და შენი თმები
 და მომწონს კიდევ გაზაფხულის
 მწვანე სხეული,
 როცა თანდათან თეთრდება თუ
 ჭალარავდება.
 მე ქარიც მიყვარს ხანდახან, როცა
 შენს ვნებიან სუნთქვას მაგონებს
 და შენი გულის მოძრაობას თუ ძლიერ
 ფილტვებს.
 წვიმა კი ჩემთვის სულ არ არის
 უბრალოდ წვიმა,
 არამედ უფრო მაღალი, ვიდრე

მისი მანძილი ციდან მიწამდე,
 რადგან სიცოცხლის თუ სიმწვანის
 წყაროა იგი.
 მზე ზომ სულ სხვაა,
 მზე ნამდვილად შენს თავს მაგონებს,
 მიზანი თქვენი ერთია რადგან.
 აღამიანო, გაგიმარაოს შენ!
 მე მომწონხარ შენ და შენი თმები
 და მომწონს კიდევ გაზაფხულის
 მწვანე სხეული,
 როცა თანდათან თეთრდება თუ
 ჭალარავდება.



გამარჯვებული ჯარისკაცის ძებლთან
ბერლინში

შენს მძლე ქანდაკთან, სხვადასხვაერთა
შვილები დგანან ქუდმოხდით დიდხანს,
მეც მოკრძალებით მოვსულვარ

შენთან,

რომ დიდზე დიდი მადლობა გითხრა.

შენს შუბლზე სევდის ჩრდილი არა

ჩანს,

მკერდზე მიგიკრავს პატარა ბავშვი,
შენ აქ მშვიდობის ერთგულ დარაჯად
მოუგზავნიხარ საბჭოთა კავშირს.
დგახარ, ზარსა სცემ მტერთა გულშაფთა
და ქვეყნად შიში არ გაქვს სრულიად,
მსურს გესაუბრო, მაგრამ გუშაგთან
ლაპარაკი ხომ აკრძალულია.

ოსურიდან თარგმნა ჯანსუღ ნიქაბაძემ



ღაღო იჩაგაშვილი

*
* *

ტყეში წავიდე,
მე ეხლა მინდა ტყეში წავიდე.
წვეალ და მოვპირი თელის ტოტებს...
უნდა წავიდე.
ნელი ლაფნისას დაეწნავ შოლტებს...
უნდა წავიდე.
შოლტებს მხარზედა გადავიგდებ,

ისე ვიმღერებ.
გზაზე მეურმე შემხვდეს იქნებ,
მისთვის ვიმღერებ.
გზაზე მეურმე თუ არ შემხვდეს,
მაინც ვიმღერებ.
გაეაქხუნებ ლაფნის შოლტებს,
ისე ვიმღერებ;

*
* *

მიემართება ქალიშვილი მდინარისაკენ
სევდიანი და... მიემართება.
ქრება ვარსკვლავი განთიადისა
სევდიანი და... ქრება, ნათღება.
ლურჯი ფერებით იბურებიან
და შრიალებენ ნელა ვერხვები.

შიშველნი ფეხნი მდინარეში იყურებიან,
მხიარული და თეთრი ფეხები.
მდინარე მიდის, ნება-ნება მიეღინება.
ქალიშვილს მოსწონს ცისა ფერები.
მდინარე მიდის, მიეღინება
და სოფლებს იქით ღრუბლებს ერევა.



მანანა მამაიაშვილი

უფოთლო ხე

მთაწმინდის ზემოთ
ერთი ხე დგას შემოძარცვული,
ის დაავიწყდათ...
ოღონდ ღრუბელი
გადაუვლის ფიქრით გართული.

მთაწმინდის ზემოთ
ხე უფოთლო თრთის და კანკალებს.
.....
მოსჭერით იგი,
გამოსთაღეთ მისგან აკვანი!

ზ ი ს

გარეთ წვიმს და წვიმს,
გარეთ ქარი ჰქრის,
ვის ტირიან,
ვის?!
უფეთქნია

კვირტს,
მწვანე ფურცლებს ჰყრის,
ვის აჩუქებს,
ვის?!



ბაბუაწვერაჲ,
ჩემს სიყვარულს
რად უნდა წერა,
ნამცეცა გული
რასაც იტევს,
ვერ იტყვის ენა.

წადი, ქარს მიჰყევ
და ვინც შეგხედეს,
აცინე ყველა,
რომ ყველა ყვავილს
ვამჯობინე
ბაბუაწვერა.



ქონსჯანვინე გეიხელი

არ დაგივიწყებს აზხაზეთი

(ხერგო ორჯონიკიძის ხსოვნას)

გულში ჯავრი და ცაზე ღრუბელი,—
აი იმ დღეთა თავი და ბოლო.
ჩვენ გვედგა მაშინ მძიმე უღელი,
და ხალხის გმინვა ისმოდა მხოლოდ.
გულში ნისლი და ქედებზეც ნისლი,
და ჩვენი ოფლი აწვიმდა მინდვრებს.
ჩვენ მიწას ვრწყავდით ცრემლით და
სისხლით,

ის ოქტომბერი მოვიდა ვიდრე.
ცეცხლი ეკიდა მილიონ გულთა
და ჩვენი კენესა ჰგავდა მუქარას.
ვინ იყო ხალხის იმედი მულამ,
ხალხს ის წუხილი ვინ განუქარავა!
შენ ჩვენს მიწაზე დაადგი ფეხი,
შეუღრეკელი იყავ ქართველი.
ხალხის მტერთათვის რისხვა და მეხა

ხალხისთვის იყავ მართლა ნათელი.
ჩვენ მწუხრისფერი რიდე ავგზადე,
შენზე ამღერდა ხალხში ლექსები.
დააიწყებდი განა აფხაზეთს,
შენ ჩვენს გულებში გიდგა ფეხვები!
შენ ვეჟაკობა აგრე გამკობდა.
მტრის რისხვა იყო შენი სახელი.
შენ გაგყვა ჩვენი გმირი ლაკობა,
და გაზაფხულის გზებზე ვახვედით.
შენ აფხაზეთი გაგყვა მხარდამხარ
და ნისლიანი ზეცა გაიხსნა.
შავ დროს მიუხტით აგრე ხმალდახმალ
და ჩვენი სუნთქვა იქცა ქარიშხლად.

ხალხის ტკივილი თითონ გტკიოდა
და ემაგ წრფელი გულით გიყვარდით.
ციხეში იჯექ. ციხეც სტიროდა,
კედლებიც გრძნობდნენ, თუ ვინ იყავი.
და მერე მწუხრი რა ფერმიხდილი,
მღულარე ცრემლმა გული დათუთქა.
მაგრამ ვინა თქვა შენი სიკვილილი,
ჯერ აფხაზეთში აგრე არ უთქვამთ.
დღეს ჩვენ შეგხარით დიად მომავალს,
თვალეებს აღარ გეწვავს ცრემლის
სიმლაშე.
დგას აფხაზეთი, როგორც მოვალე—
შენი ნათელი ხსოვნის წინაშე.

აფხაზურიდან თარგმნა
ანზორ აბულაშვილმა



აღუბა ხაიუჩი

წამოყვებ ცოლად!

მეყვარები მყავდეს ვიდრე
მოყვრები მთაში,
თუ არა ვქნა, რაც დაგბირდე
მკლავ მომჭრან მაშინ...
მთის დედოფლად დაგვამ — დარღსა
არ მოგაკარებ,
თუ მოგწყინდეს — მკერდზე ვარღსაც
არ მოგაკარებ...
მე ვიშრომებ, შენ კი გარჯას
არ მოგაკარებ,
სულ ატლასებს, სხვა რამ ფარჩას
არ მოგაკარებ.

არ მოეუშვებ შენთან ქარსა,
არ მოგაკარებ,
სულ ვარდის წყალს გასმევ — წყალსა
არ მოგაკარებ.
ტყის ჩრდილებში ვივლით — გვალვას
არ მოგაკარებ,
ციხეზე შეგსვამ — ფეხით გავღას
არ მოგაკარებ.
გარდა ქარვის, სხვა რამ მძივსა
არ მოგაკარებ.
სიყვარულით ღამე ძილსაც
არ მოგაკარებ...

მოხევე გოგონას

გავილაღებდი, დაშეცეს
მაგ თვალთა ცრემლის მტვერანი,
ან თუ ვახდები, მზექალავ,
მაგ ზაგეთ დასაწყევარი.
ქარქაშში არის ადგილი
მხოლოდ ხმლის დასატევარი,
ეს გულიც მარტო შენია
შენზე ღამეთა მთევარი.

უარობ? — გამაგიტაცებ —
ვერას დავაკლებს მღევარი,
მეც მყვანან დისწულ-ძმისწულნი
ბიჭები ყვეარ-ყვეარი.
იქ შეგახედებ მთვარესა,
სადაც უღრანი ტყე არი...
მას ვერვინ ველარ წამართმევს,
ვინც ამ მკლავების ტყვე არი...





ბაღა ზაქაშვილი

ნაწვიმარ იფანს ჩიტი სწვევია,
 ფრთებს ეფერება.
 გაშლის და კეცავს...
 ასე სჩვევია.
 დამატებობელად აამდერებს
 უღრუბლო ზეცა

ფრთაგაშლილ მერცხალს...
 ნაწვიმარია...
 ცვარი ეცემა
 მინდორს ხალიანს,
 სიცოცხლე მოჩქევს და მიხარია.

შებინდებისას ახმაურდა ღელე პაწია,
 დასიცხულ ნაპირს მიაგება გრილი
 ტუჩები,
 სიცოცხლეს ჰფენდა მოვარდნილი სიო
 უტეები...
 შებინდებისას ახმაურდა ღელე პაწია,

მაყვალმა ტოტი სიხარულით გადაარწია-
 ღრუბლიდან მთვარე დაჰყურებდა
 ღიმილთ, უჩვევით...
 შებინდებისას ახმაურდა ღელე პაწია,
 დასიცხულ ნაპირს მიაგება გრილი
 ტუჩები.

სუსხი მოჰყვება ადრეულ ნიავს —
 სითბონარევი...
 აცანცახდება წიფლის ფოთოლი,
 ზებერი მუხა დაიწყებს კრიალს,
 ირგვლივ არაეინ...
 მინდორს ვუცინი თრთოლვით
 მოთოვლილს,

ფიფქები ჰქრიან...
 ლამის დავიდგა აქვე კარავი,
 დილას შეეხედები რა უშფოთველი,
 მზეზე მინდორი დაიწყებს ბრჭყვიალს,
 სითბონარევი...
 დამებურება წიფლის ფოთოლი.



ბაჩია ბაჩიაშვილი

ვარაზისხევთან თეთრი შენობა

ვარაზისხევთან თეთრი შენობა,
 აღმართულია სინათლის სვეტად.
 ვით სხვა, მეც სიბრძნის ტაძარს
 ვუწოდებ
 და მიყვარს ყველა ტაძარზე მეტად.

ვარაზისხევთან თეთრი შენობა,
 დგას სიჭაბუკის გადასახედად.
 ვით სხვა, მეც სიბრძნის ღედას
 ვუწოდებ
 და მიყვარს ნამდვილ ღედაზე მეტად!

ნატავ...

რაც ვერა თქვა,
 რაც უთქმელი დარჩა ტატოს,
 სულ მე მეთქვას,
 მე მიმეგნოს მათი ბინა.

ნეტავ ერთხელ
 ყველა ლექსი დამეკარგოს,
 შემდეგ ყველა
 ზალხის გულში მაპოვნინა.



მეჩაბე ელიოზიშვილი



პირველი და ოცდამეთერთმეტე ღღე გვირაბში

პირველი ღღე

დილის რვა საათია. რეზინის ჩექმებით, ბრეზენტის ტანსაცმლითა და მე-
შახტის მუზარადით, გვირაბის ხმაურისა და გრილისაგან დაფეთებული, დაჭ-
ყეტილი თვალებით ფეხდაფეხ მივლევ პირველი ცვლის ექვსეულს. მე მეშვიდე
ვარ. ბურღების გამაყრუებელი ხრიგინი მახნვეს. ზემოდან სახედანაოჭებულ,
კბილებდაკრეკილ თავებად მოჩანს ოკრო-ბოკრო ლოდები. პაერში ქვის მტვე-
რი ტრიალებს. ბურღები ღრქიალით ერჭობა დაჯაბრული კლდის ფერდებსა და
გულში. კლდე ზრიალებს, კენესის, ნიათგამოლეული აქა-იქა შრებად ჩამოდის.

ვიღაცამ ნიჩაბი მომცა, ლიანდაგის გასუფთავება მიბრძანა. მეც ვაწვებ
ნიჩაბს, მაგრამ ნიჩაბი წამდაუწუმ ედება ლიანდაგის სოლებს. მრცხენია თუ
მეშინია — კარგად არ ვიცი. უფრო მაგრად ვაწვები ნიჩაბს, მაშინ ნიჩაბი
სსლტება. მე ვბარბაცებ. ხანდახან წავიჩოქებ კიდეც. ვიხედები აქეთ-იქით,
მუშების მტვერგადაკრულ ტუჩებშუა თეთრი კბილები ელავს. შემდეგში მივხე-
დი, რომ ასე იცინიან გვირაბში.

ხახადაღებული ქანის სახვეტი ტლანქი მანქანა ბასრ კბილებს უყრის ჩი-
მონგრეულ ქანს; მეჩე რკინისძარღვებიან კისერს უკან იქნევს და გვერდებ-
შეშეკცილი ვაგონეტი ჩახეთქებული ქანის სიმძიმისაგან კარგახანს ძაგძაგებს.
მეც ვძაგძაგებ. კისერში თალიდან ჩამონაყური ცივი წყალი წვეთავს. მეჩე მუ-
შები დატვირთულ ვაგონეტს მიაგორებენ შორიახლოს გაჩერებულ, ბეჭემოტი-
ვით ბრტყელშურგა და დაბალ ელმავალთან. ორნი აწვებიან. მეც ვაწვები. ვაწ-
ვები კი არა — ვეყუდები, დასვენება მინდა. ჭერიდან ჩამონალღენითი ცივი წვე-
თები კისერზე მეცემა, იქ ოფლს ემატება, ზოგი ხერხემალზე მისრიალებს, ზო-
გიც კისერს აქეთ-იქიდან ჩაეტმასნება და ხორხზე დიდ წვეთად შეერთებული



ძირს ეცემა. მერე შეწყდა ხმაური, ყურებში ათიათასი ჭრიჭინობელა ერთბაშად აჭრიჭინდა. მუშები სანგრისიდან გვირაბის უფრო სუფთა და განათებული ნაწილისაკენ გაეშურნენ. ხეებსა და მიღებზე ჩამოსხდნენ, შავი ხელებით გახსნეს თეთრი ქაღალდები და კარაქიანი პურის ბრტყელ ნაჭრებს თეთრი კბილები გაუყარეს.

მეც ჩამოვჯექი, მაგრამ კარაქიანი პური არ მქონდა. ჯიბეში პაპიროსის კოლოფი მოქექე, ამოვიღე. პაპიროსი დამბალი იყო, ალბათ ოფლისაგან. კარგახანს ვაფხაკუნე ასანთი, არც ასანთი აინთო. ასანთიც სველი იყო. მივიხედ-მოვიხედე. ისევ კრიალებდა მტვერმოკიდებულ ტუჩებს შუა კბილები, ისევ იცინოდნენ მუშები. დამბალი პაპიროსი დაიჩლიჩა და სველი თამბაქო ძირს დაცვივდა. ხუთიოდე წლის წინათ უქვევლად ვიტირებდი, მაგრამ ახლა ტირილი არაფრისღიდებით არ შეიძლება. ყურებში ისევ ჭრიჭინებენ ჭრიჭინობელები. ვილაყამ შავი ხელი გამომიშვირა, ხელის გულზე ყვითელკარაქწასმული პურის ნაჭერი შევნიშნე. მერე რიგრიგობით ეყულებოდნენ მუშები ონკანს. აღი-ჩა-დიოდა ხორხი. მეც დავეყუდე, დიდხანს აღარ ამიწვევია თავი. წყალი გემრიელი იყო, ლაღიძის წყლებზე უფრო გემრიელი. მერე ჩამოვიგრიალა ურიკამ, რომელსაც ფეხდაფეხ მოსდევდა ადამიანი. ურიკაზე იდო ახალი, თეთრი ყუთი, ყუთზე რამდენიმე შუბისტარივით გრძელი ჯოხი ელაგა.

მერე პაპიროსებს მოუკიდეს მუშებმა. მეც მომაწოდა ვილაყამ ერთი ცალი. პაპიროსი მშრალი იყო. საკვირველია; იმათაც ხომ ჯიბეებში ეწყობ!

მერე ყველა ერთბაშად წამოდგა, გვირაბის თავისაკენ გაეშურა, მეც უკან გავეყვი. უცბად, თითქოს მეხი გავარდაო, გაისმა ხათქანი. უკნიდან რაღაც თბილი ტალღა დამეჯახა, დიდი ნაბიჯი გადამადგმევინა და შემდეგ გრიალზე უკვე მუხლებამდე წყალში ვიდექი. ჭრიჭინების ხმა შეწყდა. ისმოდა მხოლოდ ხათქა-ხუთქი. კიდევ და კიდევ მეჯახებოდა ჰაერის ძლიერი და თბილი ტალღა ზურგში, კისერში, ყურებში. რეზინის ჩექმები კი ცივი, ჭუჭყიანი წყლით იესებოდა.

მერე ლალუმების ხათქა-ხუთქი შეწყდა, აგრიალდა მძლავრი ვენტილატორები, ისევ აჭრიჭინდნენ ჭრიჭინობელები ყურებში. მუშები ერთ ხანს კიდევ ისხდნენ. მეც ჩამოვჯექი, წვალებით გავიხადე რეზინის ჩექმები, წყალი ვაღ-მოვღვარე, წინდები გავწურე. ისევ დიდი წვალებით ჩავიცვი ჩექმები.

მუშები დგებიან, მიდიან სანგრისაკენ. მეც მივდევ უკან. ისინი ექვსნი არიან, მე მეშვიდე ვარ. ისევ ვიღებ ნიჩაბს ხელში. ნიჩაბი უფრო დამძიმებულია. ვინდები საათზე, საათი გაჩერებულა. შიგ ორთქლის წინწყლები ჩაწოლილა. მრცხვენია ვინმეს შევეკითხო — რომელი საათია-მეთქი. რას იფიქრებენ — ჯერ მუშაობა არ დაუწყია და უკვე საათზე იხედებაო. ვაწვები ნიჩაბს, ვცდილობ რაც შემიძლია; მივდევ ვაგონეტს, ვასუფთავებ ლიანდაგს ქანისაგან, ვყრი ვაგონეტში, მაგრამ ნიჩაბი ისევ კვლავინდებურად სხლტება, ისევ ვბარბაცებ. ისევ იძაგრება ქანის სახვეტი მანქანის კისერი, ისევ კანკალებს ვაგონეტი, ისევ ჩამდის კისერში ჭერიდან ჩამონაყური წვეთი. ნეტა რომელი საათია?..

გარეთ გამოვდივართ, გარეთ მზეა, გვირაბიდან გამოსულს თვალები მეჭუტება ძლიერი სინათლისაგან. ფიცრების ნამტვრევებ ამოიღლიავენებული მუშები დიდი სატიერთო მანქანისაკენ მიდიან. ფიცრები ალბათ შეშად უნდათ.

ახლა ხომ ოქტომბერია. აქ კი მთიანი ადგილია. ოქტომბრიდან ცეცხლის დაუნთებლობა არ შეიძლება.

მუშები ადიან მანქანაზე. მეც ვებლაუჭები მანქანას, ბორბალზე ფეხს ვაღამ, ფეხი ხსლტება, ხელები მეშვება. კიდევ ვებლაუჭები მანქანას. ახლა უკვე ვიღაც მაწვება უკანიდან. წონა მაკლდება და მანქანაზე ავღივარ. ძარის იატაკზე ვჯდები, ოღრო-ჩოღროში ხტუნვისაგან მანქანა ირწევა, გვერდები მტკივა, მაგრამ ადგომა უფრო ძნელია. ბარაკებთან გადმოდიან მუშები, გადმოაქვთ ფიცრის ნამტვრევები, გადმოვდივარ მეც. მივდივარ ჩემი სახლისაკენ. მაიწყდება პირის დაბანაც. მტვრიანი ვწვები გაუშლელ ლოგინზე და უსიზმროდ მეძინება. რამდენი სიზმრების ნახვა ვიცოდი წინათ, სულ წინათ, დღევანდელ დღემდე!

ოცდამეთერთმეტე დღე

დილის შვიდის ნახევარია. უკვე კარგა ხანია ამ დროს ვიღვიძებ, როცა დილის ცვლაში ვარ წასასვლელი. ვდგები ლოგინიდან, პირს ვიბან. ვსაუზმობ, ვიცემ მეგვირაბის ტანსამოსს, ვიხურავ მუზარადს. სატვირთო მანქანა კლუბის წინ დგას. მუშები სხდებიან, მეც ვჯდები მანქანაში. მერე ერთ-ერთი სიმღერას იწყებს, სხვებიც მღერიან, მეც ვმღერი. მარჯვენა ხელს ნათელას მხარზე ვადებ. ნათელა ჩვენი ცვლის ელექტრომაგლის მემანქანავა. მას არ ეუხერხულება ჩემი ხელის შეხება, არც მე მეუხერხულება. ჩვენ ყველანი ერთ საქმეს ვაკეთებთ, ყურებში აღარ ჰკრიჭინებენ ჰკრიჭინობელები. ყურებში სიმღერა დგას, შრომის სიმღერა, ჩვიდმეტი წლის გულის სიმღერა. ცვლაში ისევ შვიდნი ვართ, მაგრამ მე აღარა ვარ მეშვიდე, მე ერთ-ერთი შვილთაგანი ვარ. გვირაბში შევდივარ. თვალები აღარა მაქვს დაჭყეტილი. ვიხედები ჩვეულებრივად, მარჯვენავ და მარცხნივ ელნათურებია ჩამწყკრივებული. ზემოთაც ელნათურებია. გვირაბი გაჩირადდნებულია. გვირაბი საზეიმოდ განათებულ ქუჩასავითაა, სწორედ ისეა, როგორც მელიქიშვილის ან რუსთაველის პროსპექტი შვიდი ნოემბრისა და პირველი მაისის წინა დამეს. პირველ დღეს კი როგორი ბნელი მეჩვენებოდა!

გრიალებს მძლავრი ვენტილატორები, მაგრამ მე უკვე აღარ მეშინია მათი გრიალისა. მე მსიამოვნებს მათი გრიალი, მე ვიცი, რომ ისინი ქვის მტვრისაგან ასუფთავებენ სანგარს. ისევ მივდივარ, გვირაბში ქანით დატვირთული ელმავალი მოქპრის, მაგრამ მე უკვე დამფრთხალი აღარ ვეკვრი გვირაბის კედელს. ოდნავ გვერდზე ვდგები. მინდა ახლოს ჩაიქროლოს ელმავალმა. ელმავალზე ხომ ნათელა ზის. ვიცი გამიცინებს, ხელს მაღლა აწევს, მომესალმება. მეც ვიცინი, მეც მაღლა ვწევ ხელს; მეც ვესალმები.

დღეს შაბათია. ოქტომბრის ბოლოა. ექვსი დღის შემდეგ კი ორი დღით, სანოემბროდ თბილისში ჩავალ. დედასთან ჩავალ, მამასთან ჩავალ. ნათელაც მოდის თბილისში, ისიც თბილისელია. ელმავალმა ჩაიქროლა, მე ისევ მივამიჯებ გვირაბში, გვირაბი ისევ განათებულია. ისევ გრიალებს მძლავრი ვენტილატორები. ვენტილატორების გრიალს წყლის საქაჩი დანადგარის ხრიალი უერთდება. ვეებერთელა სპილოსავით ჩაუშვია ხორთუმი ორმოში, სადაც ქანის წყალი გროვდება, ზვრეპავს და ზვრეპავს ცივსა და ჭუჭყიან გვირაბის წყალს. დაე ზვრიპოს, გვირაბი უფრო სუფთა და უფრო ლამაზი იქნება...

კიდევ მივამიჯებ გვირაბში. აგერ სანგარიც გამოჩნდა. ვენტილატორებისა და წყლის საქაჩი მანქანის ხმაურს კლდეს მიძალეებული ბურღების ღრჭია-



ლი შეემატა. ახლა უფრო მეტ ღონესა ვგრძნობ. ეს ხომ უბრალო ხმები არაა, ეს ადამიანის ყიფინაა, კლდეზე იერიშიშობიანილი ადამიანების საომარი დაფის ცემაა. გულმკერდდალაღი კლდე კენესის ადამიანების საბრძოლო ყიფინზე, შუბლიდან და გვერდებიდან ლოდები სცივია. ჩამონგრეულ ლოდებს დიდხანს არც ძირს აჩერებენ. ხანდაღებული სამტონიანი ქანის სახვეტი მანქანა ორივე ყბას ივსებს ნადავლით, მერე რკინის მძლავრძარღვებიან კისერს უკან იქნევს, ფოლადის რქებს უკან მიბმულ ვაგონეტს ურტყამს და ჩახეთქებული ქანისა და დაჯახებული ფოლადის რქების სიმძლავრისაგან ფერდებდაჰვეჭყილი ვაგონეტი ციბეტხელებიანით ძაგძაგებს. მაგრამ მე უკვე აღარ ვძაგძაგებ, მე უკვე აღარ მეშინია.

უკან მივდევ მოცახცახე ვაგონეტს და ვაგონეტში ნიჩბით ვყრი განზე გადაცევილ ღორღს. ნიჩაბი თავისუფლად მიცურავს, უკვე აღარ ედება ლიანდაგის სოლებს, აღარ ვაწვები მთელი ძალით ნიჩაბს, ვაწვები მხოლოდ მარჯვენა მუხლით და ფუთიანი ნიჩაბი პირამდე ივსება. ივსება და ისევ იცლება, ივსება და ისევ იცლება. ვიხედები გვერდზე, მაგრამ უკვე აღარავინ აელვარებს მტვერმოკიდებულ ტუჩებშუა თეთრ კბილებს, აღარავინ დამცინის.

ზოგჯერ ზევითაც ვიხედები; ზევით ახედვაც საჭიროა, ასე იქცევიან გამოცდილი მესანგრები, ასე ვიქცევი მეც. ხანდახან იცის ხოლმე, ძალაგამოლეული ღორღი ჩამოსავარდნად დაეკიდება, მაშინ მუშაობას თავს ვანებებთ, ხელში გრძელსა და მსუბუქ რკინის კეტებს ვიღებთ და ყბებმონჯღრეულ კლდეს მოფამფალბულ კბილებს ვაგლეჯავთ. მერე ისევ ვიღებთ ნიჩბებს ხელში, ისევ მივდევთ მოცახცახე ვაგონეტს უკან. ისევ ივსება და იცლება ნიჩაბი. ისევ წვეთავს ცივი და ჭუჭყიანი წყალი კლდიდან, ისევ მეცემა კისერზე, მაგრამ ძირს უკვე აღარ ვარდება, გახურებულ კისერზევე ორთქლად იქცევა. მერე სავსე ვაგონეტს ვხსნით ქანის სატვირთავ მანქანას და ელმავალთან მივაგორებთ. მივაგორებთ უკვე ორნი და არა სამნი. ვაგონეტს აღარ ვეყუდები, აღარა ვგრძნობ დაღლას.

ცოტ-ცოტაობით ბურღის დაკაეებასაც შევეჩვიე. აი, ნამდვილი საქმე თუ გინდა — ეს არის! ბურღი ოცდაათ კილოზე მეტს იწონის. წონა არაფერი, მახსოვს, ბიჭები მეთათე კლასში ორფუთიანი გირებით ვვარჯიშობდით. პირველ დღეებში, ბურღის ხმარების შემდეგ, ყურებში თითქმის აღარაფერი გესმის. მკლავები ისე გიმძიმდება დაღლილობისაგან, რომ საღ წაიღო არ იცი; ხან ჯიბეებში გინდა ჩაიწყო, ჯიბეებში ჩაიწყო და ისე გეჩვენება, თითქოს ჩამოშვებული სჯობია ატარო. ერთი-ორი კვირის განმავლობაში ხან ჯიბეებში იყოფ ხელებს, ხანაც ჩამოშვებული დაგაქვს.

ბურღის ხმარება გიგლამ მისწავლა. აუჰ, რა ბიჭია გიგლა! ჩვენი ცვლის ბრიგადირია. ჩვენი ბრიგადა კომკავშირული ბრიგადაა. პირველ დღეს კი ყველანი ბებრებად მომეჩვენენ.

სანგრის ზედა ნაწილის დაბურღვაში ვერავინ სჯობნის გიგლას. ყველაზე ძნელი კი სანგრის ზედა ნაწილის დაბურღვაა. დგახარ ფიცრებისაგან სახელდახელოდ გაკეთებულ საყრდენზე. ფიცრები ცალი ბოლოთი ზვინად დამდგარ ჩამონგრეულ ქანზე აღავია, მეორეთი კი დასაბურღ კლდეზეა ჩამოწყობილი. ამ სიმაღლეზე დგომაც არა კმარა, მკლავები უფრო მაღლა უნდა აღმართო. ასე გიჭირავს ორფუთიანი ბურღი. მართალია, ბურღს შუაზე რკინის ორკაპა აქვს შეყენებული, მაგრამ კარგი ბიჭი ხარ და ამ ორკაპას იმედად იყავი. მერე გადაწვე საკეტს და ბურღი ჩაირთვება. ჩაირთვება და აძაგძაგდება. შენც აგაძაგ-

ძაგებს. ისე აგაძაგაძაგებს, თითქოს ტიტლიყანა იდგე ოცდაათგრადუსიან ყინვაში. გიგლა ჯერ-ჯერობით მხოლოდ სანგრის ქვედა ნაწილის დაბურღვისას მანდობს ხოლმე ბურღს. მაშინაც სულ თავზე დამტრიალებს, სანახევროდ ისევ თვითონ უჭირავს ბურღი.

მუშაობის დროს ლაპარაკი არ უყვარს გიგლას. ცვლა ისე დამთავრდება ხოლმე, რომ სამჯერ ზედიზედ არ დამეღლაპარაკება. პირველ ხანებში ვფიქრობდი, ალბათ არ ეხერხება-მეთქი ლაპარაკი. მალე დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი. წინა კვირას ჩვენი უბნის ღია პარტიული კრება ტარდებოდა. კლუბის დარბაზი ხალხით იყო გამოქვიდილი. პირველად უბნის უფროსი გამოვიდა.

— ჩვენი უბანი ყველაზე მოწინავე უბანია მთელ მშენებლობაზეო...

გიგლა ჩემს გვერდით იჯდა. ახალი კოსტუმი ეცვა. უბის წიგნაკი გადაეშალა და რაღაცას იწერდა. ძალიან მინდოდა თვალი მომეკრა გიგლას ჩანაწერი-სათვის, მაგრამ გიგლას ვეება მუშტის მეტს ვერაფერს ვხედავდი.

უბნის უფროსი სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა: ჩვენს უბანზე გეგმით გათვალისწინებული იყო ამდენი და ამდენი გრძივმეტრიო, შესრულებული გვაქვს ამდენი და ამდენიო, შესასრულებელი გვრჩება ამდენი და ამდენიო.

გიგლამ ხელი ასწია, გამოსვლა ითხოვა. სანამ კრების თავმჯდომარე გიგლას ხელს მოჰკრავდა თვალს, მე გიგლას უბის წიგნაკში ჩახედვა მოვასწარი. გიგლას წიგნაკში კათედრაზე მდგომი ჩვენი უბნის უფროსი ჩაეხატა. ისე მიემსგავსებინა, რომ მეტი არ შეიძლებოდა. ქვეშ წაეწერა: 140 კგ. გეგმას გადააქარბა 20 კგ-ით. ერთხანს შევეფიქრიანდი, არაგონ მოჰკრას თვალი და უბნის უფროსს არ უთხრას-მეთქი. მუჯლუჯუნიც წაკვარი გიგლას, მაგრამ მას ჩემსკენ არ მოუხედავს, წამოდგა და კათედრისაკენ გაეშურა.

და უცბად თვალწინ ისევ სანგარი წარმომიდგა. წელზემით ვაშიშვლებული გიგლა ისე მიბჯენია მკერდით ბურღს, თითქოს ბურღი კი არა, დაზგის ტყვიამტრქვევი ყოფილიყოს. ბურღიც ტრიალებს, გრიალებს, ღრჭიალებს. თხუთმეტი წუთი, თხუთმეტი წუთი, კიდევ თხუთმეტი წუთი; კიდევ და კიდევ და გიგლას დაზგის ტყვიამტრქვევის ცეცხლისაგან დაცხრილული სანგარი კრახანების ბუდეს ემსგავსება. ტრიალებს გიგლას ბურღი, გრიალებს გიგლას ბურღი და დარბაზი სულგანაბული უგდებს ყურს.

— რას მიქვია 120 მეტრი თვეში!

— რატომ 150 მეტრი არა!

— უბანში რატომ საკუთარი აბანო არა გვაქვს! სამანქანო გზა... რატომ უნდა ვეღობოდეს მანქანები ტალახში?

გრიალებს გიგლას ბურღი, ბზრიალებს გიგლას ბურღი და უბნის უფროსის ქვეშ სკამი კენესის, კრიალებს...

უპ, კარგა მაგრა კი წავსულვარ ფიქრებში ნიჩბით ხელში! გიგლასაც და სხვა ბიჭებსაც ბურღვა დაუმთავრებიათ, ცარიელ ყუთებზე ჩამომსხდარან და პაპიროსს აბოლებენ. თან მე მიყურებენ ღიმილით.

მეც მეცინება. მივდივარ მათთან, ცარიელ ყუთზე ვჯდები, ვიყოფ ჯიბეში ხელს, ვიღებ პაპიროსს. პაპიროსი აღარ არის სველი. ვკრავ ასანთს, ასანთი ერთ ჩამოკვრაზევე ბრიალდება. გიგლა თავის პაპიროსს მაწვდის სიცილით:

— აპა, მოწიე, მშრალიაო, — მეუბნება.



პირველ დღესაც გიგლა იყო, მშრალი პაპიროსი რომ გამომიწოდდა. კვირა ქიანი პურიც მისი მოცემული იყო.

კიდევ გამოჩნდა ურიკა. ურიკაზე ახალი თეთრი ყუთი და რამდენიმე შუბისტარივით ჯოხი ალაგია. ურიკას ისევ მოსდევს კაცი. ეს კაცი ამფეთქებელი ვანოა. ურიკას მოახლოვებისთანავე ვდგებით, ვაქრობთ პაპიროსებს და მერე ვანოს ვეხმარებით დაბურღული სანგარის დატენვაში. დატენვისას საშიში არაფერია. კრახანების ბუდეებში ვაწყობთ გრძელსა და წითელ ვაზნებს. მერე ჯოხით ვუბრაგუნებთ, რომ უფრო მჭიდროდ მიეჯრას ვაზნები ერთიმეორეს. მერე ვანო გვანიშნებს — წადითო. ჩვენც მივდივართ...


საათზე ვიხედები. ცვლა დამთავრებულია, მეორე ცვლის ხალხი გვხვდება წინ. ჩვენ მათ უკან ვაბრუნებთ. მალე ვანოც გამოიბის. ზოგიერთებს ყურებში თითი დაუყავთ. მე გიგლას შევხედე, გიგლას არა აქვს დაცობილი ყურში თითი. ორივე ხელი ჯიბეებში ჩაუწყვია და დინჯად მიაბიჯებს. მეც ჯიბეებში ვიწყობ ხელებს და აუჩქარებლად მივდევ გიგლას. გაისმის ხათქანი, ერთი, მეორე, მესამე, პაერის თბილი და ძლიერი ტალღა მეჯახება ზურგში, ყურებში, კისერში. გიგლა ჯიბიდან ხელს არ იღებს, არც მე ვიღებ. ორივენი ჯიბეებში ხელებჩაწყობილნი გამოვდივართ გვირაბიდან. გვირაბი განათებულია, მაგრამ მზე უფრო ძლიერად ანათებს.

ისევ ვკუთავ თვალებს და შემოდგომის ნანატრი მზე ქუთუთოებზე უხილავ, თბილ ენებს მისვამს. და მე მიხარია, რომ თბილა, რომ გიგლას დავუშეგობრდი, რომ ნათელა ცვლის მემანქანეა, რომ ექვსი დღის შემდეგ, ორი დღით, თბილისში მივდივარ სანოემბროდ. ერთი ფეხის დაკვრით ვხტები მანქანის ძარაში. მანქანა მიდის. მერე კანტორის ეზოში ჩერდება. მუშები გადმოდიან, შედიან კანტორის შენობაში ხელფასის მისაღებად. მეც შევდივარ. შევდივარ, მაგრამ თან ფეხები უკან მრჩება. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სხვაზე ნაკლები მემუშავოს და ხელფასის აღება მრცხვენია. გიგლას ვეუბნები ჩურჩულით: მრცხვენია-მეთქი, გიგლა. აი, სულელიო, — ამბობს გიგლა, თან მოლარისაკენ მიბიძგებს: — სირცხვილი დედ-მამის კისერზე ჯდომაა, ეს კი შენი ნაოფლარიაო. ვიშვერ ხელს და ვიხედები ფანჯარაში. მოლარე ხელის გულზე მიდებს ფულის შეკვრას. მესმის მისი ხმა: „მეგვირაბე ნოდარ დათიკაშვილო, თქვენთვის გამოწერილია ათას ასი მანეთი, ერთი თვის ხელფასი“.

აუჰ, ათას მანეთზე მეტი! რა უნდა ვუყო ამოდენა ფულს! ათას ასი მანეთიო! ჯერ ხომ ჩვიდმეტი წლისა ვარ, ათას ასი მანეთიო! ხელფასის ნახევარი ერთ თვეს თავისუფლად მეყოფა საცხოვრებლად, მეორე ნახევარს კი... მეორე ნახევარს დედას მივუტან. როგორ გაეხარდება!

მისი ამბავი რომ ვიცი, ამ ფულს ისევ მე შემინახავს და მომიგროვებს. ისევ ისა სჯობს, ფული კი არ მივცე, კარგი რამე ვუყიდო — საკაბე, ან ფეხსაცმელი. როგორ გაეხარდება! ო, როგორ გაეხარდება ჩემგან ნაყიდი საჩუქარი!





უკანასკნელი კონსილუ

ბნელი, აპრილის ღამე აწევს ღიახვის ხეობას. მაინც რა ზამთარი გასტეხა აპრილის ორმა კვირამ! მთებში კაცის სიმაღლე თოვლი ჭყაბად აქცია, ასვა და ასვა ზამთრის განმავლობაში დასუსტებულსა და მიკნავებულ მდინარეს. ერთიასად აუნაზღაურა წყლის ნაკლებობა. ღიახვამაც თავი აიშვა, ყინულის ლაგამი დაკვიტა, მკლავები გაშალა და ხეობა ლამის პირამდე აავსო. აღარც ხიდი დაინდო, აღარც ჯანგატეხილი ნაძვი და ნერგი. გაღმა ნაპირის ხე გამოღმისკენ გამოაბურთავა, გამოღმისა — გაღმისაკენ, შიგ შუაგულში ერთმანეთს ახეთქა და ტოტებდალეწილ-თავპირდამტკრეულები აავორა და ხათქა-ხუთქით დაბლა ბარს დაუშინა.

გაღმელებს რა უშავთ, სასაფლაო იმათ მხარესაა, გამოღმელებმა იდარდონ, რომ ერთი კვირის მიცვალებული დაუსაფლავებელი უსვენიათ.

ვინ უნდა იდარდოს? ვინაა მიცვალებული? ღიახვის მსხვერპლი თუ? ჭირისუფალი ვილაა?.. გაბრომ უნდა იდარდოს, გაბროა ჭირისუფალი. კონსილუა



გაბროს დიდედამ, კონწილაანთ სონამ მეშვიდე დღეა რაც ოთხმოცი წლის სული გაღმა გააფრინა, თვითონ კი მოკუნტული, გამოფიტული, მსხლის ჩირივით გამომშრალი უცდის, როდის გაიმართება ხიდი სააქაოდან საიქიომში. გაბროც უცდის, მაგრამ რასა?..

ისე გაუვლ-გამოუვლის მაგიდას, თითქოს მაგიდაზე კონწილაანთ სონას მეტრნახევრიანი კუბო კი არა, დიდი საფერფლე მდგარიყოს.

გალმელებმა რახანია მიწას მიაბარეს სარიყლაპია ილა — თეოს ქმარი...

მას შემდეგ, რაც სულამომავალმა კონწილაანთ სონამ სიკვდილის წინ გაბროს საიდუმლოდ რაღაც გაანდო, გაბრო აივანს აღარ სცილდება გვიან ღამემდე. გაღმა შექმნილი ჩოჩქოლიც პირველად გაბრომ შენიშნა. კარგად გაარჩია, ძირფესვიანად მოდღღებულ წიფელს გაღმელები ნაპირიდან მოსდევდნენ გრძელი, ნარიყის საჭერი კავებით, მონგრეული ხიდის გოდორყურებთან დაიპირეს; გაითრიეს, რის ვაივაგლახით გამოაძრეს სარიყლაპია ილა დაღეწილი ხის ტოტებიდან. ილასთანა თაღლით გლეხს მთელ კოლმეურნეობაში კი არა, მთელ საბჭოშიაც არ იცნობდა გაბრიელი. ოთხი წელია ტყის მცველია გაბრო და ბარე ოთხასჯერ მაინც წაუსწრია სარიყლაპია ილასათვის უკანონოდ ხის ჭრახე. ხან სასარცხედ ქერქავდა ხეებს, ხანაც ჩქოლა ხეებს სხეპდა სარებად. მერე კი ურმით, ქვემოთ, სოფლებში ან ქალაქშიც კი მიჰქონდა.

ან რა გულითა და რა პირით მიათხოვა ფეხშიშველანთ დათამ დედისერთა თეონა მაგ ჭიაყელასა, მაგას! ხომ იცოდა, რომ გაბროს მოსწონდა თეო და თეოც თანახმაზე მეტიც იყო. კონწილაანთ ქალს როგორ მიეცემ, ეგლა მაკლია, ჩემ დედისერთა თეოს მავათსავით ჩლახვი და თეძობემონგრეული შვილი ეყოლოსო. მაშინ კი ველარ მოითმინა გაბრომ და დათას სახალხოლ უყვირა, რომ თეოს პირველი შვილი კონწილაანთ გაბროსი იქნებოდა და არა სარიყლაპია ილასი...

ოთხმა წელმა განვლო მას უკან, რაც გულგაბოროტებულმა გაბრომ დათას თავისი და თეოს საიდუმლო უთხრა სახალხოლ. თეოც მოიმდურა. მას აქეთ აღარ სჩვენებია გაბროს. ერთთავად ემალებოდა. ბავშვი გაჩნდა, ბიჭი, მერე რა ბიჭი, თითისტარივით მოუსვენარი, ცეცხლის ნაპერწკალი. დიდრონი, ცისფერი წყლიანი თვალები გაბროსი ჰქონდა. ხშირად ხედავდა ხოლმე გაბრო ბიჭს თავისი საყვარელი მუხის ნაკრძალიდან რომ ბრუნდებოდა. ნაკრძალიდან თეონანთ სახლისაკენ მიმავალ ბილიკზე თამაშობდა ბავშვი. პირველად რომ ნახა, რაღაც უსიამოვნო გრძნობამ დაუარა. ბიჭი ოდნავადაც არ კოჭლობდა, კონწილაანთ მახინჯი ფეხები არ დაჰყოლია. იქნებ სარიყლაპია ილასია, ჰა?!

ხელში აიყვანა. თვალებში ჩახედა, ლიახვისფერი წყლიანი თვალები გაბროს მეტს არავისა ჰქონდა მთელ სოფელში...

გაბრო ზეზე წამოიჭრა, აივანზე გადაიხარა. მსხვილ, რკინის ბაგირს ორივე ხელი ჩაავლო და ისეთი ძალით მოჰქაჩა, თითქოს მოდღღებვას ლამობსო...

რისთვის და როდის ვაჰიმეს თითქმის ორასმეტრიანი ბაგირი ჰიდროლოგებმა თუ გეოლოგებმა, რივიანად არც კი იცის გაბრომ. რკინის მსხვილი ბაგირი ზედ კონწილაანთ ეზოს თავიდან იწყება, მთელ ლიახვზე გადადის, გაღმა უბანს თავზე ევლებდა და მუხის ნაკრძალში, სწორედ იმ ბილიკზე, სადაც გაბრო თეოს ბიჭს ხედებოდა ხოლმე, ბოლო აქვს ჩაბეტონებული...

რამდენჯერმე დასვა საკითხი გაბრომ კოლმეურნეობის კრებაზე — რა ეშმაკად ვაცდნთ ამოდენა რკინის ბაგირსო. მოვხსნათ, დაგვრათ და ხიდი გავამაგროთო. ბოლოს, როგორც იქნა, ბეტონის ხიდს ჩაუყარეს საფუძველი, მაგრამ ჯერ დამთავრებამდე ბევრი აკლდა...

გაბრომ ბაგირს ხელი გაუშვა, ისევ დაბალ სკამზე ჩამოჯდა და გაღმა გაიხედა. წყვილიაღში არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა. აზრით კი ზედმოდმა გაბრო, თუ საით იყო თეონანტ სახლი — ზედ თეონანტ ეზოს თავზე გადადიოდა ბაგირი, ორი საშუალო კაკლის ხის სიმალღეზე თავს ევლებოდა თეონანტ ეზოს. ისეთი კაკლები სიმალღეზე კი არა, სოფლის თავში რომ დგას. უპ, რა ნიგოზი იცის იმ დიდმა კაკლებმა! ნაჭუჭი ისეთი თხელი აქვს, რომ ძირს დაცემისთანავე იმსხვრევა. ისეთი ძნელი ასასვლელებია, რომ ყოველ წელიწადს დაუბერტყავები რჩება. გაბრომ კი ხერხი იცოდა. თუმცა ხერხი აქ რა შუაშია — ღონე ჰქონდა, ღონე! დაბლა დაშვებულ ტოტს დაიწვედა, დაღუნავდა და აცოცდებოდა ხოლმე. ტოტიდან ტოტზე, ტოტიდან ტოტზე. ერთსაც არ შეისვენებდა. ფეხებს ზომ არა და არ მიაშველებდა ხელებს, ფეხების ჯაგრი სჭირდა — მახინჯი და სუსტი ფეხები ჰქონდა. წვერამდე ფეხების მიუხმარებლად აცოცდებოდა, იქ ერთ კარგ ყირასაც გავიმავდა და ახლა სულ სხვა მხრიდან ჩამოცოცდებოდა ხოლმე. ძარღვიანი და ჩაყუნთული მკლავები მუხლებამდე სწვდებოდა. ფეხები კი — ეპ, ფეხებზე ლაპარაკიც არა ღირდა. გაბროს პაპას, მამასაც და, წარმოიდგინეთ, დიდდასაც კი მახინჯი ფეხები ჰქონდა. თითქოს თაობიდან თაობაში გადადიოდა ეს სიმახინჯე. გაბროს დედ-მამა ხუთი-ექვსი წლის წინათ დაეხოცა. კონწილანთ გვარში ახლა ორი კონწილა-ლა რჩებოდა: ოთხმოცი წლის კონწილა სონა და გაბრიელი. სონასაც სული უკვე გაღმა გაეგზავნა და ახლა ხიდის შეკეთებას-ლა უცდიდა, რომ სამუდამოდ გადაბარებულყო კონწილანთ საიქიო საბუღარ-საყუღარში... კოლმეფრნობას მასალა უკვე მზად ჰქონდა, მაგრამ არ იქნა საშველი და არა — წყალმა არ იკლო, ხიდი გაუმართავი რჩებოდა.

გაბრო ისევ ზეზე წამოდგა. კარი ფრთხილად გაიხურა. გარეთ გავიდა. შუაღამე მოტანებული იყო, აივანზე ბოლოთის ცემას მოჰყვა. ხან მარცხნივ გადააქნევდა ოთხმტყაველიან მხრებს და ხანაც მარჯვნივ — ტყუილად ზომ არ ერქვა გაბროანთ ოჯახს კონწილანთ!

...მაგრამ არა, არა!! გაბრო კონწილანთ გვარის გამგრძელებელი არ იყო. გაბრო სხვა იყო და კონწილანთი კი სხვა... უკანასკნელი კონწილა — ოთხმოცი წლის სონა აგერ იმ ოთახში ასვენია უსულო. გაბრო აყვანილია, ნაწვილებია... კონწილა-სონას ამ აღსარებას გაღმა, აი ამ რკინის ბაგირის გაყოლებით, თეოს ცისფერთვალემა ბიჭიც აღსატურებდა. არა, სარიყლაპია ილასი არ იყო ბიჭი! მართალია, თეონას არაფერი უთქვამს, მაგრამ ბიჭი გაბროსია. ვანა გაბრო არ იყო ამ ოთხი წლის წინათ, თეონანტ სახლის ზემოთ, გოგოების საჭანაოზე წყალდაწყალ რომ წაეპარა ლამის დედიშობილასა! პირობა ბარე ერთი წლის მიცემული ჰქონდათ ერთმანეთისათვის. იმ დღის შემდეგ, მთელი თვე, ყოველ მზის ჩასვლისას გადიოდა ხოლმე ცურვით გაღმა. დანარჩენი გოგოები ამ დროისათვის უკვე შინ ბრუნდებოდნენ. საბანაოზე, ბუჩქებში გატვრენილი უცდიდა ხოლმე თეონა გაბროსა. უყვარდა, გაგიჟებით უყვარდა. ახლაც ისევ უყვარს... ზომ სთხოვა კიდევ მამამის დათას იმისი თავი... იმან კი ქვა აავდოდა თავი შეუშვირა, ცეცხლზე დაჯდა — თემოებმონგრეული შვილიშვილი არ მინდაო. რასა ჯიუტობდა ნეტავი? აგერ ორი წელიწადია მოკვდა. შვილიც აქ დარჩა და ცისფერთვალემა შვილიშვილიცა...

გაბრომ ისევ ჩაავლო აივნის გვერდით გავიმულ ბაგირს ხელები და მძლავრად მოსწია, მაგრამ ბაგირი ოდნავდაც არ განძრეულა. სხვა დროს გაბროს ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, თითქოს რამდენიმე მაგარი მოქაჩვით ბაგირის გაწყვეტას ან მოგლეჯას შესძლებდა.

ისევ წინდაუკან სიარულს მოჰყვა, ისევ აქანავდა... მერე შეჩერდა. გაირინ-



და. აქაფებული ლიახვის შხულის მეტი არა ისმოდა რა. ახლა ფეხის წვერებზე წამოიწია გაბრომ, გაიარ-გამოიარა. თითქოს ისე აღარ ირწევა გაბრიელი! მე-რე ფეხის თითების ტკივილი იგრძნო...

ხიდი, ხიდი მაინც არ იყო მოტაცებული, მაშინ ხომ ყველაფერს ეტყოდა თეოს. ეტყოდა, რომ ის, გაბრო, კონწილანთ შვილი არ არის, რომ სულ რამდენიმე თვისა გამოუყვანიათ საღ-საღამათი უბატრონო ბავშვთა ბაგიდან უშვილო კონწილანთ მიხასა და მის ცოლს. სოფლის თვალის ასახვევად ერთი წელი ქალაქში ცხოვრობდნენ მიხა და მისი ცოლი, ვითომც მკურნალობის შედეგად შეეძინათ შვილი... და რომ უბრალო უყურადღებობის ბრალი იყო მისი დამახინჯება, ვითომც აკენიდან წელი გადმოუქნევია და მაშინ ამოვარდნია თქოებო.

...ხიდი... ხიდი... ხიდი! მაგრამ ხიდი ერთ სამ დღეს მაინც დაიგვიანებს. არადა... ვერა! ვეღარ მოითმენს გაბრიელი თუნდაც ერთი ღამითაც კი. გული ვეღარ გაუძლებს, ვიდრე თეონას არ შეატყობინებს მომაკვდავი სონას აღსარებას, მერე კი, მერე თვითონ გაბრიელი გამოვა და... თეოსთან ერთად გამოვა... ბავშვსაც გამოიყვანს — დაე ხალხმა ნახოს, იტყვის კიდევ გაბრიელი, რომ ის კონწილანთ ვაბო კი არა — გაბრიელ სამადაშვილია, რომ უკანასკნელი კონწილა ვაბრო კი არა, ოთხმოცი წლის დაღეული სონაა...

გაბრიელმა ისევ წამოიწია, ფეხის წვერებზე გაიარ-გამოიარა. არა, ეხლა ისე აღარ ირწევა გაბრიელი... მერე მოაჯირს ჩავლო ხელები. ყირა გაქიმა. რამდენჯერმე დაეშვა მხრებზე და ისევ გაიმართა!

გაუძლებენ, ჰა! გაუძლებენ!..

კაკლები, გაბრიელ, კაკლები!

ტოტიდან ტოტზე, ტოტიდან ტოტზე!

მკლავები გაუძლებენ. მკლავები მაგრები აქვს. ფეხები? ფეხებზე ლაპარაკიც არა ღირს... მთავარი ხელებია... გაბრიელმა ხალათი გაიძრო...

გაღმა, სერზე, მუხის ნაკრძალი წითლად შეფერადდა... განათდა... გაბრიელის საყვარელ ნაკრძალში დიდი წითელი ბორბალი ამოვორდა. აივანიც განათდა და ჩაკუბრულ ლიახვის ხეობასაც ფერი მისცა... გაბრიელი იდგა წელზემოთ გაშვებულზე. მერე ისევ წამოიწია ფეხის წვერებზე, მკლავები მთვარისაკენ გაიშვირა და კინაღამ მისწვდა... რკინის გრილი ბაგირი გახურებულ ხელისგულს ესიამოვნა... მაგრა მოუჭირა ხელები ბაგირს და მთვარის შუქზე გაბროს დაგრეხილ, მძლავრ მკლავებზე ავორებულ კუნთები ათამაშდა. მერე, მარცხენა ხელი წინ გადავიდა — მერე ისევ მარჯვენამ გაუსწრო მარცხენას... მერე მარცხენა მოექცა მარჯვენას წინ. კაკლები, გაბრიელ! ტოტიდან ტოტზე, ტოტიდან ტოტზე! არა, თეო ქმრის დასაფლავებაზე არ იტირებდა, არა! სარიცხლავია ილა იმისი ქმარი არ იყო, არა... თეოს ქმარი გაბროა, გაბრიელ სამადაშვილი! მშვიდობით, კონწილანთ, მშვიდობით.. აი, ნახავს გაბრო, თავის თვალთ ნახავს, თუნდ თავსაც დადებს სანაძლეოზე, თუ თეოს შავი ტანისამოსი სკივრში არა ჰქონდეს ჩაკუქული...

— მოვდივარ, მოვდივარაააარ!

და წამით გაბროს ხმამ თითქოს ლაგამდაღრღნილი ლიახვის ღმუხილიც კი დაფარა. დაფარა, ნამდვილად დაფარა... გაბროს საყვარელმა მუხის ნაკრძალმა ხმა უკან დაუბრუნა. ესიამოვნა გაბრიელს საკუთარი ხმის ძალა... თვალისჩინივით უელის გაბრიელი მუხის ნაკრძალს... კარგი მოვლისათვის შარშან სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზეც კი წარადგინეს, მაგრამ გაბროს გულმა არ გაუწია... წელს კი წავლენ. წავლენ გაბრო და თეო მოსკოვში... უეჭველად წავლენ...

— მოვდივარ, მოვდივასააარ!

კიდევ გაისმა გაგიებულ ლიახზე გაბროს ვაჟაკური დაჭეჭება... რა ხმა ჰქონდა გაბრიელს! როგორ ისმოდა ხოლმე ტყეში გაბროს გრიალა ხმა!.. სარი-ყლაპია ილაზე უფრო კარგ ვაჟაკებს უვარდებოდათ ხოლმე ხელიდან ცული გაბროს დაჭეჭებაზე...

ლიახვი კი ბრღვინავდა, ღრიალებდა, ვეება მორებს ნაფოტებივით ათა-შაშებდა... მარჯვენა ხელი მარცხენას უსწრებს, მარცხენა — მარჯვენას. მერე ისევ მარჯვენა, მერე ისევ მარცხენა. კიდევ მარჯვენა, კიდევ მარცხენა... ხომ არ დაილაღე, გაბრიელ? გამაგრდი! გამაგრდი!

გახსოვს, სოფლის თავში რომ გოლიათი კაკლებია? გახსოვს, ერთ დღეს საჩვენებელი ასვლა რომ მოაწყვე? თეოც იქ იყო, თეონა, რა თვალებით გიყურებდა! თითქოს გეუბნებოდა — არ ჩამოვარდე, გაბრიელ, არ დაიმტკრეო. განარალა გქონდა დასამტკრევი. რაც მოსატეხი იყო, ხომ მოტეხილი გქონდა... მაშ რიდასი ეშინოდა თეონას?... რისა და შენი ცისფერი, დიდი, წყლიანი თვალე-ბის დახუჭვისა.

შენ კი — ტოტიდან ტოტზე, ტოტიდან ტოტზე...

ჯერ ნახევარ კაკალზეც არ იქნები ასული, გაბრიელ. ნუ გეშინია, ნუ! გაღმა თეონა გიცდის! თეონა!.. გაბრიელის შავი შარვალი არა ჩანს მთვარის სინათლეზე... მხოლოდ ჩაყუნთული, ოთხმტკავლიანი, თეთრი მხარბეჭი მისრი-ალებს ბაგირზე. მხოლოდ ორი, დაძარღვული თეთრი მკლავი და ოთხადლიანი ბეჭები, თეთრად რომ მოჩანს... უკვე შორსაა კონწიალანთავან. შორსა ხარ, გაბრიელ, ნულარ გეშინია!

შორიახლოს თეონათ სახლიც გამოჩნდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი აქვს საცოცი. ბაგირის ბოლომდე უნდა გავიდეს... თეონას ეზოში ხომ ვერ ჩამოხტება... ორი საშუალო კაკლის სიმაღლეზე გადის თეონათ ეზოში ბაგირი.

ჰოი! ფეხები! ფეხები რომ მაგრები ჰქონდეს, იქნებ კიდევაც გაუბუნდა ჩამოხტომა, მაგრამ არა, ვერც მაგარი ფეხები გაუძლებდა ასეთ სიმაღლეს...

— თეონაა! თეოო! — ისევ გაისმა ლიახვის შხუილში გაბრიელის დაჭე-ჭება... ცოტათი, მგონი, დაეღალა მკლავები გაბრიელს... იღლიებში ტკივილსა-ცა გრძნობს. ხუმრობა საქმე ხომ არაა, აგერ ოც წუთზე მეტია, ცივი რკინის ბაგირზე დაკიდებული მიცოცავს... ერთი დასხლტომა და ნაფოტებივით ჩაიკარ-გება გაგიებულ ლიახვში, მაგრამ იქით თეოა, თეო!

— თეონა, თეო! — კიდევ დასჭეჭა გაბრიელმა. ახლა უფრო მძლავრად გაისმა გაბრიელის ხმა... „აი, ნახე, თუ თეონას შავი ტანისამოსი სკივრში არა ჰქონდეს ჩაკეტილი, გაბრიელ!“

დაუძახე, გაბო, იქნებ არა სძინავს? იქნებ შენზე ფიქრობს? კიდევ დაუძა-ხე, გაბრიელ, უკვე თეოს ეზოს თავზე ხარ!

— თეონა, თეოო! მოვდივარ, მოვდივასა-არ!..

გაბრიელი დაბლა იყურება. ვილაცის თეთრი ლანდი გამოჩნდა აივანზე. რაღა ვილაცისა — თეოა, გაბრიელ, თეონა! შეხე, გაბო, თეთრები აცვია, თეთ-რები... ქალის შეკვივლება მოესმა გაბრიელს ქვემოდან. თეოს ხმაა, თეოსი. და-ხე, რა სიყვარულით ეხმაურება შენი საყვარელი მუხის ნაკრძალი?

— გაბრიელ, გაბოო!

— აქა ვარ, აქა! შენთან მოვდივარ!

გაბრიელი კარგად არჩევს თეთრ ლანდს თეოს ეზოში... თეონაა, თეონა, გაბრიელ! თეთრები აცვია, ხომ ხედავ. და გაბრიელი ძალას ეკრებს, მკლავებ-ზე იწევა და... ყირა, გაბრიელ, ყირა!

გაბრიელი მუცელზე ეშვება, ისვენებს, მერე ისევ მიცოცავს.

ბაგირის ჩასწვრივ, ქვემოთ, თეთრი ლანდი გარბის ნაკრძალისაკენ, იქ, სადაც ბაგირის ბოლოა ჩაბეტონებული. იცის თეომ ის ადგილი, კარგად იცის: რამდენჯერ გაუყვანია ბავშვი იმ ადგილას, თვითონ კი იმალებოდა ხოლმე... ტყის შემოვლიდან მომავალმა გაბრომ სწორედ იმ ადგილზე ნახა თავისი და თეოს ბიჭი ორფეხზე, გამართულად, სწორად მოსიარულე...

გაბრიელი ისევ მუცლით ეკიდება ბაგირს.

დაისვენე, გაბრიელ, დაისვენე! დასვენებული მიუხვალ შენს თეოსა.

მერე ისევ უსწრებს მარცხენა ხელი მარჯვენას, მარჯვენა მარცხენას, კიდევ მარცხენა, კიდევ მარჯვენა. კიდევ და კიდევ...

გახვალ, გაბრიელ!..



ბ ე ჭ ე რ ი



მ ე ზ უ რ ნ ე ე ბ ი

ერთიმეორეში თულა შეიკრიბებოდნენ ძველი გორელი დამკვრელები: მედლოე თედო, მეზურნე ბუთხუზა და მეგარმონე სოსა. თორემ ისე ვილას ახსოვდა ისინი სადღეობოდ ან საქორწილოდ.

ხალსშიაც ისე ხშირად აღარ ახსენებდნენ მცხეთიჯვრობასა, სამეზობასა, გერისთობასა. გლეხიკაცი უფრო შინ იყენებდა დღესასწაულსა, ოჯახში ლამის



ყველას თავთავისი საკრავები ჰქონდა და ნაკლებდა ჰკითხულობდნენ კარგ მუშურნეებსაც კი. შვიდ ნომბერს ან პირველმაისობას თუ მოიკითხავდნენ ხოლმე სხვა დღეობებთან შედარებით მეტ დამკვრელებს, მაგრამ ჩვენს მეგარმონე სოსას, მედოლე თედოსა და მუშურნე ბუთხუზას ამ დროსაც არავინ მოიგონებდა.

ისე რომ გეკითხათ კია, ან ერთი გეტყოდათ: იმ კვირას ქორწილში ვართ წასასვლელები, ბე უკვე მოცემული აქვთო, ან მეორე — წინა კვირას ვიყავით დაბარებულები, მაგრამ ფული გვეცოტავა და უარი შევუთვალეთო. კიდევ რომ გეკითხათ, კიდევ გეტყოდნენ რამეს და ისე გამოიყვანდნენ, თითქოს მართო გორის რაიონში კი არა, ლამის მთელ ქართლშიაც ისე ლხინი და ქორწილი არ გაიმართებოდა, რომ ისინი იქ არ დაეპატიყთ და ბე არ შეეძლიათ.

ეჰ, გულგაუტეხლები იყვნენ თორემ! — თორემა ბუთხუზას რაღა ბუთხუზა დაეძახებოდა. საღლა ჰქონდა კვერცხწასმულ ნაზუქივით დაბარწულ-დაბტიკნილი ლოყები. ლოყების მაგივრად ახლა გაცრეცილი, ცარიელი ქისებდა ჩამოჰკონწიალებოდა. და ეს ქისებიც სანახევროდ მაშინაც კი ვეღარ ებერებოდა, როცა ძველი საბერველივით დაქაიქებული ბუთხუზას ფილტვები მთელი მონდომებით აქშუტუნდებოდა ხოლმე.

აღარც მედოლე თედოს ეთქმოდა მუშურნეზე ბევრად უკეთესობა. ძველისძველი დოლი ერთი ოთხგან მაინცა ჰქონდა გაბზარული და სანთელწასმული. თითები ჯანდაბას, თითების მაგივრად დოლის ჯოხებს უფრო ხმარობენ ხოლმე მედოლეები, მაგრამ იმ ოხერა ქარებს ისე შეეკარ-შეებორკათ თედოს გამომშრალი სახსრები, რომ აწვე-დაწვევასე სათონე ფიჩხივით გაჰქონდათ ლაწა-ლუწი.

მეგარმონე სოსა კიდევ ივარგებდა რამეთა, მაგრამ გარმონი ლამის თავისავე ხნისა ჰქონდა. საკერებელზე კიდევ საკერებელი ეღო და კოწიწზე კიდევ კოწიწი რკინეულობის ნაწილებიც ისე ჰქონდა დაკოწიწებულ-დამუწუქებული, თითქო ეს-ეს არის „ბატონები“ იხადა სოსას გარმონმაო.

სამივენი ტანმორჩილები იყვნენ. სამთავეს ძველებური, გახუნებული „კარტუზები“ ეხურათ, მაშუანთ კაკას ნაკერი ცხვრამოკრული ჩუსტები ეცვათ და ალაგ-ალაგ საკახმა ვარდნილი წვრილი ქამრები ჰქონდათ შემოჭვრილი ფერდაკარგულ სატინის ხალათებზე...

ერთიმეორის კარის მეზობლები იყვნენ ძველ უბანში. დილბო პირველი ბუთხუზა გამოიტანდა ხოლმე თავის გასიპულ სამფეხასა, ბუთხუზას დანარჩენებიც ამოუსხდებოდნენ აქეთ-იქიდან. მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე ითბობდნენ ბებერ, დაქარიანებულ ძვლებსა, ძველის მოგონებაში ჩაფლულები. ცოტა ხნის შემდეგ იმათი მეორენახევრებიც გამოხუსხუსდებოდნენ, თითო-თითო თაბახ მწვანის წინ დაიდგამდნენ და მუშტრის მოლოდინში თავთავიანთი კაცების მასლაათს უგდებდნენ ხოლმე ყურსა. შებინდებისას ისევ აპკრეფდნენ მთელი დღის მზით ოდნავ გამთბარ ძვლებსა, შეჭამანდის ნარჩენს მიირთმევდნენ, ზედ თითო პიტნის ჩაისაც დააყოლებდნენ — მარგებელიაო და მერე კი მძინარაანთ მიაკითხავდნენ. დალოცვილი რამაა ძილი სიბერეში...

თვეში ოთხჯერ, კვირადღეობით, ძველი მეთევზე ძმა-ბიჭი — გოლა ამოაკითხავდათ ხოლმე. მანუელზე ასხმულ მურწასა და ღვატას ამოიტანდა, ერთ ხარეჭა საიე არაყსაც ამოაცოცებდა საიდანდაც.

თითო ჭიქის შემდეგ, როცა დანასკვული ძარღვები აქა-იქ მაინც გაეხსნენ-



ბოდატ და შემთბარი სისხლი საფეთქლებში შეუღლიტინებდა, საიდანღაც ვაი
 ნდებოდა დაკოწიწებული გარმონი, ხანებზე სანთელწასმული ძველი დოლი,
 ყამიშმოცვეთილი ზურნა და თვალებზე ცრემლმომდგარი გოლა „ტანინანი-ტინი-
 ნანის“ ძახილით, სკამიდან წამოუღვომლად, სასროლი ბადის თრევით დაგრქე-
 ლებული მკლავების ფართხუნსა და კანწიკუნწს მოჰყვებოდა.

საცოდავად იბერებოდა ბუთხუზას ჩამოგრძელებული ბებერი ლოყები ამ
 დროს. სოსას გარმონსაც ვაჰქონდა ბროჩეტიანი სტვენა-ქშუტუნნი. თედოს
 დაბზარულ დოლსაც ხან ზემოდან მოხვდებოდა ჯოხი — ხან ქვემოდან, ხან
 ზემოდან — ხან ქვემოდან.

დროსტარების მეორე დილას ჩვეულებრივზე გვიან გამოვიდოდნენ ხოლმე
 მზეზე გასახუხად, თვალბშეშუბებულები და თავქვეწმინდები ტანისამოსივით
 დაქმუქუნულები. დიდხანს ხმის გაუცემლად, უსიტყვოდ ამთქნარებდნენ.

მერე რომელიღაცა იტყოდა: კინწურაანთ ნიკა შემომხვდა გუშინწინ, იმ
 კვირია შვილიშვილის ქორწილი მაქ და მუზიკა თქვენი უნდა იყოსო.

— როდისაო? — შეესიტყვებოდა ხოლმე მეორე.

— იმ კვირიაო.

ახალი ამბით ნასიამოვნები იმათი მეორენახევრები ერთმანეთს გადახედავ-
 დნენ, ტუჩებს ყურებთან მიუტანდნენ ერთიმეორეს და კარგახანს ჩასტუტუნებ-
 დნენ ღიმილმორეულები.

— ოქროსკვერცხანთ სიმონას დიდი ნათლობა ჰქონია, საგანგებო კაციც
 გამოუგზავნია ჩვენ დასაძახებლად, მაგრამა იმ ტუტუცსა ვერ მოუგნია და!.. —
 იტყოდა ხოლმე მეორე.

— თუ ჩენი თავი უნდოდა, კაცს რაღასა გზავნიდა, თითონ ამოერბინა, სახ-
 ლიც იცოდა და კარიცა.

— ეჰ, თითონ მუხლთ აღარ ერჩის და!..

— ჰაი, ჰაი, დედასა!..

— დედასა!..

— დედასა!..

ეჰ, გულგაუტეხელები იყვნენ, თორემ!.. თორემ! ოქროსკვერცხანთ სი-
 მონას ბარე თვეზე მეტია წლის ხარჯიც გადაუხადეს შვილებმა...

კინწურაანთ ნიკას შვილიშვილის ქორწილიც შარშანწინდელი თუ არა,
 შარშანდელი ამბავი მაინც იყო..

— ბიჭო, თედო! — ეტყოდა ხოლმე ერთი მეორეს.

— ბიჭო, ბუთხუზ!

— ბიჭო, სოსა!..

ეჰ, გულგაუტეხელები იყვნენ, თორემ!.. თორემ! ამათ ბიჭობის შემდეგ
 ბარე ოთხმა ბიჭობამაც ჩაიარა...

„რა არი წუთისოფელი! — ფიქრობდა თავისთვის რომელიმე მათგანი, —
 ისე როგორ უნდა ავიდოთ ხელი ამ ქვეყანაზედა, რო ერთი კოხტა „ტუში“ არ
 ჩავაწკრილო ერთ მაგარ ქორწილში ან დღეობა-ნათლობაშია“...

ამასვე ფიქრობდნენ დანარჩენებიც.

ერთმანეთს კი უმაღლავდნენ თავიანთ გულისწადილს. ენას კბილს აჭერდ-
 ნენ უკანასკნელი სურვილის დასაფარავად, მაგრამ ერთად შებერებულებს
 ერთიმეორისა უთქმელადაც ესმოდათ...

ასე ჩალიჩით გადიოდა დრო, მობატოე კი არსად ჩანდა...

ისევ ისე კვირადღეობით ივიწყებდნენ გულისწუხილსა, გოლა რომ ამოუგ-

ლიდათ საბებრო არაყითა და მანუღზე ასხმული ცოცხალით. იშვიათად რომ გოლას ეს დღე გაეცდინა, მაგრამ ზოგჯერ ასეც მოხდებოდა ხოლმე...

მაშინ მის მოლოდინში სამივენი უბნის შემოსახვევს გასცქეროდნენ გვიანობად. მერე კი, მოწყენილები დასაძინებლად ჩამოფარუთხუნდებოდნენ.

— სიპზე ხო არ დაუცდა ფენიო, — იტყოდა ერთი.

— იმ ოხერა ბადემ ხომ არ გადაითრია მორევეშიო.

— ალბათ ხელი მოეცარა და სახემტვრიანი ვეღარ გვეჩვენაო, — ამბობდა მესამე.

„ნეტა ქარებმა ხო არ დაჰკრუნჩხაო“ — ფიქრობდა ერთი.

„ნაღელის ბუშტი ხო არ გაუსივდაო“ — ფიქრობდა მეორე.

„ემანდ სისხლი არ ჩაექცესო“ — ფიქრობდა მესამე.

ეჰ, გულგაუტეხლები იყვნენ, თორემ!!! თორემა გოლას უკანასკნელი რვა-მხრიანი სასროლი ბადე ბარე შვიდიოდ წელია ძონძებად ქცეული კაქანათებადა და კალიების საჭერებად დაუქუცმაცეს შვილიშვილებმა. მერე პენსია დაუნიშნეს გოლასა, მაგრამ ბადე აღარ აყიდინეს შვილებმა და რძლებმა — ემანდ სადმე არ ჩაიხრჩოს მუხლებში ძალგამოლეულიო.

მუხლებში ძალგამოლეულიო!...

რას იზამს, ჰა!.. მუხლებში ძალგამოლეულიო!... მერე კვირაობით ბაზარზე სიარული დაიწყო გოლამ. აფსუს, კილო ცოცხალი ოცი მანეთიო!.. დედასა!.. სასწორზე ნაყარი ღვატაც ცოცხალია და ის ჭანარებიცა, დაბმულებივით რომ ჰყავდა შეგულბული მტკვარში გოლასა!...

დედასა!... ოც მანეთს აძლევს კილო თევზში ქართლში განთქმული მეზადური..

ხანდახან ქლორით მოწამლულ თევზსა ჰყიდინ ხოლმე მარჯვენამოსაჭრელები ბაზარზე და გოლაც მაშინ თუ გააცდენს თავის სიყრმის მეგობრებთან დათქმულ დღესა...

აბა რა პირით უნდა აუტანოს საწამლავეთ აყროლებული თევზი...

„ნეტა თუ ხვდებიან, ბაზარზე ნაყიდი თევზი რო მიმაქვს ხოლმეო“ — ფიქრობს გოლა. ეჰ, თვალი დაუდგეს სიბერესა!...

„ემანდ სადმე არ ჩაიხრჩოს მუხლებში ძალგამოლეულიო!“ ჰმ!.. დედასა!..

იმ ხანებში საშუალო სკოლას ვამთავრებდი. ჩვენი სკოლისაკენ მიმავალი გზა ძველ უბანზე გადიოდა. სკოლაში მიმავალს თავთავიანთი სახლების წინ მსხლომი მეზურნეებისათვის უნდა ჩამეგლო ხოლმე. ჩემს გამარჯვებაზე „ჰაი, ვაგიმარჯოს და გაიხარდეს“ მეუბნებოდნენ.

ბოლო ორი გამოცდა ისე ჩავაბარე, რომ სკოლისაკენ გზად მიმავალს ჩემი ნაცნობი მეზურნეები აღარ მინახავს სამფეხა სკამებზე გასახუხადა და მწვაინლის გასაყიდად გამოსულები. ეს შემთხვევა ძალზე მეუცნაურა. ამბის გაგება მინდოდა, მაგრამ გამოსაშვები გამოცდების აღიაქოთმა თავისი გაიტანა. მეც დავამთავრე გამოცდები და მამაჩემიც თბილისში გადაიყვანეს სამუშაოდ, ისე, რომ იენისის ბოლოსათვის მთელი ოჯახი თბილისში გადავსახლდით. ორმა თუ სამმა წელმა ისე გაიარა, რომ გორში არ ჩავსულვარ. ერთხელ, ვაზაფხულის არდადეგებზე მოვახერხე და ორი კვირით ბიძაჩემთან ჩავიბრინე. ჩავედი თუ არა, მაშინვე მეზურნეების ამბავი ვკითხე ბიძაჩემს. ბიძაჩემმა შემდეგი მიამბო:



თურმე ერთ დღეს, დიდი ყოყმანისა და უარობის შემდეგ, ვიღაცა ინახურელ ოსს გაპყლოდნენ ქორწილში. შეძლებული ფული კი ეცოტავათ, მაგრამ უფიქრიათ, ერთ ამდენსაც ქორწილში აკვრფავათ მოცეკვავეებისაგანო... ქორწილში კი არავის არაფერი გაუმეტებია. ✓

ქორწილის მეორე დღეს, რომ დაუტყვიათ, არავინ არაფერს გვაძლევს, თანაც ქორწილიც თავდებაო, ამდგარან და წამოსულან. ვიღაცას შეუცდენია: ნახევარ საათში სამანქანო გზაზე გახვალთ და მანქანაზე დასხდებითო. სიარულში შემოღამებიათ. იქვე, შორიახლოს, ერთი პატარა წისქვილი დაუნახავთ და ღამის გასათევად იქ შესულან.

მთის წისქვილებში მეწისქვილეები არა ჰყავთ, ყველა თავთავის საფქვავსა ფქვავს. იმათ კი გონებით, მეწისქვილე აქვე იქნება გასულიო და იმის მოსვლამდე კარს ნუ ჩაკვეტავთო. ამასობაში ღამენატეხებსა და დალილ-დაქანცულებს ჩასძინებიათ. უცბად კარი ლაწუნით გაღებულა ხმაურისაგან დამფრთხალებსა და თვალბდაჰყეტოლ დამკვრელებს თავზარი დასცემიათ, როცა გაღრიალებულ კარებში ფქვილის ჰამას შეჩვეული ვეება დათვი დაუნახავთ. ჯერ კარგახანს გონზე ვერ მოსულან შეშინებულები. მერე უფიქრიათ ეგება დაკვრით მაინც დავაფრთხოთო. დიდი სიფრთხილით მოუშარჯენიათ საკრავები და ერთბაშად დაუცხიათ. დამფრთხალი დათვი კარისაკენ შეტრიალებულა, კარს დასჯახებია და მარტივი საკეტი დაჯახებისაგან ჩაკეტილა. ამრიგად, ჩვენი ბებერი დამკვრელები, შუალამიდან მოკიდებულნი გათენებამდე განუწყვეტლივ უკრავდნენ თურმე. თუკი ოდნავ შეისვენებდნენ — გაგიყებულნი დათვი მაშინვე იმათკენ იწევდა.

ალიონისათვის ბუთხუხას ტუჩები დასისხლიანებია, დასიებია, ყურებიდან სისხლი წასკდომია მედოლე თედოს დოლის ჯრხები დამტვრევია და გათენებამდე დაქარიანებული და დაკრუნჩხული თითებით ურახუნებია დოლისათვის. აღარც სოსას დასდგომია თავის მეგობრებზე უკეთესი დღე.

გათენებისას, წისქვილში მომავალ გაღმასოფლელ გლევს დაკვრის ხმა გაუგონია. უფიქრია, ინაურელების მაყრიონი წისქვილში ჩამოსულა საქეიფოდ, დროზე მივიდე, ეგებ ყანწი ლუდი და არაყი მეც მერგოსო. საფქვავე იქვე დაუდგამს და კარი გაუღია. კარის გაღება და დაფეთებული დათვის გამოვარდნა ერთი ყოფილა. გლევს გული შეღონებია და კარგახანს გონს ვეღარ მოსულა. გონზე მოსული ინაურში გაქცეულა და ამბავი შეუტყობინებია. საშველად მოსულ გლვენებს მთელი ღამის შიშისა და დაკვრისაგან დაოსებული და დასისხლიანებული მეზურნეები ჯერ მკვდრები ჰგონებიათ, მერე წყალი უსხამთ. ამ ამბის შემდეგ ბუთხუხას და თედოს დიდხანს აღარ უცოცხლიათ.

მათი დაობლებული მეორე ნახევრებიც სულ რაღაც ორიოდ თვეში უკან მიპყოლიან თავიანთ კაცებს საიქიოს გრძელსა და უშფოთველ გზაზე. მარტო სოსა და თავის ცოლიდა დარჩენილან. მაგრამ სოსაც სანახევროდ ვეღარ არის სრულ ჭკუაზეო და იმისი ცოლიც გულის დამბლისაგან ლოგინათაა ჩავარდნილიო.

ჩემი ნაცნობი უწყინარი მეზურნეების ასეთმა უბედურებამ ძალზე დამწყვიტა გული. ბიძაჩემს მეტი აღარ ვკითხვარა. საღამოხანს გარეთ გამოვედი და იმათი ქუჩისაკენ გავწიე, რამდენჯერმე ავიარ-ჩავიარე იმ ადგილებში. თითქოს გზა დამეზნაო, იმათ სახლებს ვეღარ მივაგენი. მერე მივხვდი, რაშიაც იყო საქმე. ახალი, დიდი სახლი აემენებინათ ბუთხუხას, თედოს და სოსას ნამოსახლარებზე. სახლი ავათვალიერ-ჩავათვალიერე, კარგი შენობა იყო. ოთხსართუ-



ლიანი, წითელი ტუფით ნაშენები. პირველ სართულზე მალაზიები ჰქონდა. უცბად ერთ-ერთი მალაზიიდან გამოსულ „კარტუზიან“ ბებერს მოვკარი თვალი. პატარა, ბებრული ნაბიჯებით წააცანცარდა და იქვე შორიახლოს ჩამოჯდა დამხობილ თუნუქის დიდ ქილაზე. მეც მივუახლოვდი.

გამარჯობა ძია სოსა, როგორა ხართ-მეთქი. სოსამ დაჩამიჩებული სახე ასწია, დამაშტერდა. დიდი გაჭირებით გადაყლაპა ლუკმა.

— რომლისა ხარ, შვილო, ველარ გიცანი.

ამისა და ამის შვილისშვილი ვარ-მეთქი.

— ჰაი გაგიმარჯოს და გაიზარდო, — მითხრა სოსამ და თან საწყალობლად გამიღიმა. მერე მოჰყვა ჩიფჩიფითა და სვენებით თავის გასაჭირსა:

— რაღა როგორ ვარ, შვილო, რაც ეს კოშკი აგვიშენეს, მას აქეთ დავკარგე ჩვენი ბუთხუზა და თედოი. რამოდენას ვეძებ, ვუძახი, ჰაი აქეთ, ჰაი იქეთ. არ იქნა და არა, იმათ გზასა და კვალს ველარ მივაგენი. ზოგი მეუბნება, მეოთხე სართულებზე ცხოვრობენო, ზოგიც — მესამეებზედაო. დღესა, აგერა ჩვენ მეპურესაც ველაპარაკე მაგის თაობაზედა, იმან კი სულ ამირდამირია გზა და კვალი: ბუთხუზა და თედო ბარე ორ წელზე მეტია თბილისში წაიყვანეს და რაპერიაში აკვრინებენო... მოდი და მაგისთანა ბრეყვსა კიდე რამე ჰკითხე და.. მაგას ამხანაგობისა არა ესმის რა. თედო და ბუთხუზა უჩემოთა პურსაც არა სჰამდნენ და რაღა ამ სიბერის დროს გაუწყრებოდათ ღმერთი.

— ეს ოხერაც როგორა ხურდება მზეზედა, — თქვა სოსამ და ქვეშამოდებულ თუნუქის ქილას გამხდარი ხელი მიადო. ჯერ კიდე სად არი, ჯერ კიდე ისე არ გაფიცებულა.

წინა კვირას იმოდენა მუშტარი მოგვადგა, იმოდენა, რომა. ჰა! სუ შავი კარტუზები ეხურათ, შავი ქაბრები ეკრათ. ბეც დამიტოვეს, აი, — თქვა სოსამ და უბიდან ერთი დასტა გორის საკონსერვო ქარხნის ეტიკეტები ამოიღო და აცანცანებული ხელებით ქაღალდებს სწორება დაუწყო. — აბა უთედოთა და უბუთხუზოდ რაღა იქნება-მეთქი. ე ბე მე დამიტოვეთ, ი ბიჭებს შევატყობინებ და საცა გენებოთ იქ წამოგყვებით დასაკრავათა-მეთქი. დღეს ხვალ მოგვაკითხავენ კიდეცა, მე კი ჯერაც ვერ მივაგენ იმათ კვალსა.

სოსას ნალაპარაკევიდან მივხვდი, რომ ცუდლუბტი მოსწავლეები იქნებოდნენ „შავკარტუზიანები“ და „შავქაბრიანები“..

— ბე უკვე მოცემული აქვთ, ხვალ-ზეგ ალბათ გამომივილიან კბდეცა და მე კი ჯერაც ვერ მინახია ი ბიჭი. — გუშინ ისევ მეორე სართულები დავათვალიერე, დღეს ეგება მესამე სართულზე ავიდე როგორმე. ეჰ... ეს ოხერა მუხლები მიბჟუიან და! სართულებზე ასვლა-ჩასვლა მიპირს... დედასა!.. — სოსა წამოდგა, ქილა გადმოაბრუნა, შუაზე გაჭრილი თეთრი, სამმანეთიანი პური შიგ ჩადო, გულზე მიიხუტა. ერთხანს ასე იდგა გარინდული, გულზე მიხუტებული ქილით. მერე შეტრიალდა და ახალი შენობისაკენ წავიდა. ჩემსკენ ერთხელაც აღარ მოუხედავს, ერთბაშად დაავიწყდა ჩემი იქ ყოფნაცა და ჩემთან ლაპარაკიც. ვიფიქრე, ალბათ შინ მიდის-მეთქი. უკან დავედევნე, მინდოდა მისი ოთახი და შემახსოვრებინა საცოდავი ფორთხვა-სვენებით სოსამ კიბეები აათავა და მეორე სართულის დერეფნის კართან შეჩერდა. „კარტუზი“ მოიხადა, ჯიბიდან ჩვარი ამოიღო, ცანცახით მიისვ-მოისვა შუბლსა და თავპირზე, სული მოითქვა, მერე ისევ დაიხურა „კარტუზი“, ისევ მოიხადა. რაღაც მოკრძალება და დაბნეულობა ეტყობოდა.

კარს ზემოთ გაკრული აბრა მხოლოდ ახლა შევნიშნე. „ქ. გორის მუსიკა-

ლური ათწლელი“ — ეწერა აბრაზე. ჩემს იქ არყოფნაში. გორის მუსიკალური სკოლა ახალ შენობაში გადმოეტანათ.


ოდნავ გამოღებულ დერეფნის კარიდან საკრავების არეული ხმები ისმოდა.

სოსა დერეფანს ჩაუყვია. ხან ერთ კარს მიაღებდა ყურს, ხანაც მეორეს. მერე ერთ-ერთი კარი შეაღო. მეც უკან მიეყვები. ოთახში ორი ჰობოისტი მეცადინეობდა. სოსას დანახვაზე ორივენი წამოდგნენ, ერთმანეთს გადახედეს, მერე ორივემ ჯერ ძველი, მეზურნეების ტუში ჩაბერეს, მერე ახალიც მიაყოლეს. შორიდან მივესალმე ბიჭებს. ორივეს კარგად ვიცნობდი, ჩემზე უკან იყვნენ ერთი წლით ჩვენს სკოლაში. ტუში რომ გაათავეს, სავარძელი მიაწოდეს სოსას. სოსაც ჩამოჯდა. კარგახანს იჯდა და ყურს უგდებდა ჰობოის ოდნავ-მოგულულ ხავერდოვან ტემბრს. მერე თავის ქინდვრა იწყო. ცოტა ხნის შემდეგ ტკბილად ჩაეძინა. ბიჭებთან მივედი. მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი. მერე სოსას ამბავიც ვკითხე, თურმე სოსა ყოველდღე დადის მუსიკალურ სკოლაში. სასულე საკრავების კლასში საათობით რჩება და ყურს უგდებს ბიჭების მეცადინეობას. მერე თვლენა მოერევა, სავარძელზევე ჩაეძინება და ასე სძინავს თურმე, სანამ მეცადინეობა არ დამთავრდება.

ბიჭებს დავემშვიდობე და გარეთ გამოვედი. ნეტა რასა ხედავს საწყალი სოსა სიზმარში?

სხვას რასა, თუ არა ბუთხუზას, თედოსა და თავის თავს ძველი ზურნით, დაბზარული დოლითა და დაკოწიწებული გარმონით ხელში..

დერეფანში კი დედალ-მამალი ქედნების ღულუნვით ისმოდა პირველი და მეორე ჰობოის შეწყობილი ხმები.



თაბაზ ნაჯიოზილი



სკალ
ლოლი
იქნება
ხეობა

მხედარი ჭენებით შეუყუვა აღმართს. უკან აღარ მოუხედავს. ბიჭები მდინარის პირას იდგნენ და ხარბად ადევნებდნენ თვალს.

ზურიკომ გაიცინა.

— რა გაცინებს?

— სასაცილოა. ქალი ცხენს დააგელვებს, ჩვენ კი ჯამებს ვრეცხავთ.

დათოს გაეღიმა. ღურბინდი თვალვებთან მიიტანა და გაჰხედა. ღურბინდში დათვიჯვრის კალთა გამოჩნდა. ცხვრები ბალახს სძოვდნენ. დათომ ოდნავ ჭვევით დასწია ღურბინდი. მდინარის გაღმა ფერდობზე დაკლავნილ ბილიკს ნელ-ნელა ჩამოატარა თვალი, მერე ისევ ზევით აჰყვა.

— აღარ ჩანს, — თქვა ზურიკომ.

— დაინახა, რას ვაკეთებდით?

— ჰო, დაინახა.

— ალბათ თვალვებით გვითხრა: ა-ჰუ თქვენს ვაჟკაცობასო;

— არა, თითონაც შერცხვა. კაბა მუხლებს ზემოთ ასწეოდა ჭენების ღროს.

ჩვენ შემოგვხედა, შერცხვა და გაისწორა.

— ლამაზი გოგო იყო?

— ისე-რა.

— ხეირიანად ვერც მოვკარი თვალი, მხოლოდ ქერა თმები ვინიშნე.

— ჰო, ქერათმიანი იყო. ტანდი.

— ამორძალებს მგონი შავი თმები ჰქონდათ.

ზურაიკომ ისევ გაიცინა, თვალი ჩაუკრა დათოს და თქვა:

— ხევსურეთში ქერათმიანი ამორძალები სცოდნია.

ორთავემ გაიცინა.

— წარმოგიდგენია, ქალი ასე გიყურად მიაქენებდა და ვაყები რაღის იზამენ. მე ვერ ვენდობი ცხენს ამ დახლართულ ბილიკებზე, — თქვა დათომ.

— ყველაფერი მიჩვევაა. შენ გაქანებულ ტრამვაის შეახტები, ეგენი ვერ შეახტებან.

ცოტა ხანს გაჩუმდნენ. დათო კვლავ გაჰყურებდა ფერდობს, სადღაც მოჩვენებასავით აიჭროლა ქერათმიანმა ხევსურმა ქალმა.

— აქაური დოლი კარგი საყურებელი იქნება, — თქვა ზურაიკომ.

— ხარების ბრძოლასავით, არა? ჟრუანტელის მომგვრელი...

— ხარების ბრძოლა არ მინახავს, — მხრები აიჩეჩა ზურაიკომ.

— კინოში?

— არც კინოში.

ზურაიკო ჩაცუცქდა. მოწითალო ფერის ფხვნილი, რომელსაც „ნედეს“ ეძახიან, თითებით წაუსვა ჯამს. დინჯად, გულმოდგინედ უსვამდა, კარგი დიასახლისივით მკლავებაკაპიწებული. ჯამი გაქონილი იყო და ქონი ვერ შორდებოდა. ზურაიკო მოთმინებით ასუფთავებდა ჯამს. მას არ ეთაკილეობდა დიასახლისობა.

— მომბეზრდა ამდენი ჯამების რეცხვა, სადილების კეთება და, საერთოდ, სიარული, — თქვა დათომ.

— დაიძალე და იმიტომ, — მზრუნველი კილოთი შენიშნა ზურაიკომ.

— არა, დაღლის ბრაღი არ არის, მომბეზრდა.

— ცხენები უნდა გვექირავა და არ დავიღლებოდით.

უკვე მეორე კვირა გადიოდა, რაც ისინი ხევსურეთში მოგზაურობდნენ და მართლაც დაღლილი იყვნენ. მაგრამ ზურაიკოს ჯერ არ მომბეზრებოდა სიარული. ზღვა შეიძლება მოგბეზრდეს, ფიქრობდა ის, ზღვა ერთფეროვანია. მაგრამ ეს საკვირველი მთები როგორ მომბეზრდება აღამიანს.

— მოიტა, მაგასაც გავრეცხავ, — თქვა ზურაიკომ.

— გაუშვი. მე თვითონ...

დათოც ჩაცუცქდა და მიწანარევი ქვიშა წაუსვა ჯამს. მოწითალო ფერის ფხვნილს თავისებური, ერთობ უსიამოვნო სუნე ჰქონდა. დათოს არ უყვარდა მოწითალო ფერის ფხვნილი.

ცხელოდა. შუბისწვერზე ასული მზე მაგრად აქერდა. ირგვლივ მთები იყო. ამაყი და მხარგაშლილი მთები. ისინი მედიდურად გადმოსცქეროდნენ ხეობაში ჩაკეტილ სოფელს. სოფლის იქით წუბროვანის არაგვი მოდიოდა დათვიჯგრის მთიდან. ფართო კალაპოტში ტოტებად დაყოფილიყო. კარავი სოფლიდან ოდნავ მოშორებით, ორმოციოდე ნაბიჯის მანძილზე იდგა. კარავი კონტად იყო გაჭიმული. მთებივით მხარგაშლილი და ამაყი. გარინდებულ სოფელში ჩამიჩუმი არ ისმოდა. რომელიღაც სახლის ბანზე მოხუცი ქალები ისხდნენ.

ბიჭები კარვის ჩრდილში წამოწვენენ. კარავში აღარ შეიძლება ყოფნა. პაერი დახუთული იყო და ცხელი.

ზურაიკოს თავქვეშ ჰქონდა შემოწყობილი ხელები. შავი ნაბღის ქული შუბლზე მოეგდო, თითქმის თვალებსაც უფარავდა.



- დარდს რა ხელი აქვს ჩვენთან? — დაიწყო მან, — მწვანე ბალახი, ლუკმა, მდინარის ხმაური და ლამაზი ქალის სახე.
- კარგები არიან ხევისურის ქალები.
- ყველანი კარგები არიან. გახსოვს ბაბო?
- ბაბო ნამდვილი ხევისურია.
- ჰა-ჰა-ჰა, — გაიცინა ზურიკომ, — გახსოვს, როგორ შეიგინა, შენ რომ უთხარი, ხევისურები გერმანელთა შთამომავალი არიანო. რამ გათქმევინა?
- რა ვიცი, ისე ვთქვი. მაინტერესებდა, რას მიპასუხებდა.
- კარგად გიპასუხა.
- ისინი გაჩუმდნენ. დათომ პაპიროსს მოუკიდა და თქვა:
- მე ახლა სიმშვიდის სიმღერა მესმის, — დათომ თვლები მოკრულა და იდაყვზე დაყრდნობით წამოიწია, — შეხედე, ყველაფერი სიმშვიდეს მღერის: მთები, კაშკაშა მზე, სოფელი, სახლები. აგერ, ის ძველი ციხე და ჩვენი კარავი. მე მგონი მთებიდან ეშვება სიმშვიდე დაბლა, ნისლივით. მერე ხეობაში იფანტება.
- კარგია სიმშვიდე.
- განა მოდუნებული სიმშვიდეა. არა, სიცოცხლით სავსე სიმშვიდე. ამ მთებივით მშვიდი. აქ მშვიდად უნდა იშრომო, მშვიდად უნდა ილაპარაკო.
- და მშვიდად უნდა მოკვდე. სხვანაირად არ შეიძლება.
- ერთ ზამთარს სიამოვნებით გავატარებდი ამ სოფელში.
- ცაში ღრუბლები მიცურავდნენ. ისინი ხან ლომებს ჰგავდნენ და სანადიროდ მირბოდნენ, ხანაც ქარის წაღებულ ბუმბულს. ღრუბლის ჩრდილები წვებოდნენ მთის კალთებზე.
- იქნებ იწვიოს. — თქვა ზურიკომ.
- დათომ არაფერი უპასუხა.
- ზეგ უკვე თბილისში ვიქნებით, — სიამოვნების კილოთი თქვა ზურიკომ.
- აბა თბილისში იკითხე სიცხე. ალბათ დნება ასფალტი.
- გაისად კიდევ წამოვიდეთ?
- არა ღირს მეორეჯერ ჩამოსვლა.
- რატომ?
- ქრება ეგზოტიკა. აღარც სწორფრობაა, აღარც კექნაობა, აღარც სისხლის აღება.
- მერე განა ცუდია?
- რა ვიცი.
- გაისად რომელიმე დღესასწაულზე ჩამოვიდეთ. ივლისში აქვთ ხოლმე დღესასწაულები. იქნება დოლიც ვნახოთ.
- კარგი.
- არხოტი დავლაშქროთ გაისად. ყაზბეგიდან წავიდეთ. ცხენები ვიშვოთ და გავვიადვილდება სიარული.
- კარგი.
- რამე წამალი დაგვრჩია?
- რათ გინდა?
- ვილაც მოხუცი ყოფილა ავად. იქნება გამოადგეს ჩვენი წამლები.
- მერე იყოს. ახლა წავიძინოთ, მაინც ცხელა, — თქვა დათომ.
- ისინი კარავში შეძვრნენ. კარავში უარესად ცხელოდა. ჰაერი დახუთული იყო.

მოხუცი ტახტზე იწვა გაუნძრევლად. თავი ბალიშზე დაედო და მიცვალეზულივით იწვა. ხელებიც ისე ჰქონდა დაწყობილი გულმკერდზე, როგორც მიცვალეზულს, მორჩილად, უნდილად. ფეხებიც მორჩილად ელაგა. ქუსლები ერთმანეთზე ჰქონდა მიკრული. ჰერხოში ბნელოდა. მხოლოდ პატარა სარკმელი იყო გამოჭრილი კედელში და იქიდან შემოდინდა მზის წვრილი სხივი. სხივი თეთრად სჭრიდა ოთახს და სარკმელიდან იატაკამდე მტვერს ატრიალებდა. მტვერის ნაწილაკები თოვლის ფიფქებივით ფარფატებდნენ მზის სხივში.

მოხუცი მიცვალეზულს არ ჰგავდა. ის იწვა მიცვალეზულივით მორჩილად, მაგრამ რაღაც ცოცხალი დაჭიმულობა ემჩნეოდა სხეულს. მოხუცი ტკივილს ელოდებოდა. ის ცოცხალი იყო და აუღელვებლად ელოდებოდა ტკივილს თვალეზდახუტული... ხელები მიცვალეზულივით ჰქონდა დაწყობილი მკერდზე და ტკივილს ელოდებოდა. ტკივილი რამდენიმე წუთით გაუჩინარდა, თითქოს სულის მოსათქმელად წავიდა დაღლილი და მოხუცსაც აჩუქა დასვენება. მაგრამ მოხუცი მოუთმენლად ელოდებოდა ტკივილს. ტკივილი უკეთესი იყო. ტკივილი ფიჭრის ნებას არ აძლევდა, ხან თავიდან ფეხებამდე დაუვლიდა, ხან დაწყულულეზულ მარცხენა ფეხს გაუბურავად და ტუჩებს აკვნეტინებდა. ებრძოდა და არ ასვენებდა. ახლა კი ტკივილმაც სული მოითქვა, წაქეუულ მოვიდავესავით ჩაიქნია ხელი და მოეშვა.

მოხუცმა ველარ შეიგრძნო თავისი სხეული, თითქოს ისიც ტკივილს გაპყოლოდა. სხეული დაბუქებული იყო, როგორც მაგრად ნაბეგვი.

ტკივილი აღარ იყო და ფიჭრები აფორიაქებული სკიდან გამოფრენილი ფუტკრებივით შემოეხვივნენ, კბენდნენ და ისევ კბენდნენ. ტკივილი უკეთესი იყო, რადგანაც ტკივილი ებრძოდა და ფიჭრის ნებას არ აძლევდა. ახლა კი გარინდება მოვიდა, ტბილი, მაგრამ უფრო მტკივნეული.

ტახტი გრძელი იყო და მოხუცის ფეხები ბოლომდე არ წვდებოდა. ტან-მორჩილი, თეთრწვერა მოხუცი იწვა თვალეზდახუტული და ფიჭრები ფუტკრებივით კბენდნენ მის დაღლილ გონებას.

ის ახლა თავის თავს ხედავდა ჰანჭახის წყალთან. ჰანჭახის წყალი ქვემოთ ხმაურობდა, ძალიან ქვემოთ, უფსკრულში. ბილიკზე კი ქისტის მიაქნებდა ცხენს. მგელიკას ნასროლმა ტყვიამ ბეჭებში გაუარა ქისტს. მხედარი ცხენიდან გადმოვიდა, მაგრამ არ გადმოვარდნილა, ფეხი ჩარჩენოდა უზარგში და კლდეს ეხეთქებოდა თავით. ცხენი აღარ ჩერდებოდა, ისევ მიაქნებდა დაჭრილს. ახლა ცხენს ესროლა მგელიკამ. საცოდავად. წაბორძიკდა ცხენი და ქვევით ჩაგორდა. დაჭრილმა მოაწრო ქვებს ჩაბლაუქებოდა. ის გულალმა იწვა ბილიკზე და თვალეზს ახამხამებდა. მგელიკამ ცხენი მოღრიჯა, დაქვეითდა და ნელი ნაბიჯით გასწია დაჭრილისაკენ. ნუ მომკლავო, თვალეზით შევედრა ქისტს. მას ეშინოდა სიკვდილის, თუმცა უკვე სიკვდილის პირას იყო მისული. მას ეშინოდა ამ ტანმორჩილი ხეცსურის, რომელიც მეძებარივით უახლოვდებოდა. მგელიკა გაოგნებული იყო. მას დაავიწყდა, რომ კვდებოდა მისი ძმის — თორღვას მკვლელი. დაავიწყდა, რომ მისმა ნასროლმა ტყვიამ გააკრა ის მიწას. მგელიკას ყველაფერი დაავიწყდა. მის წინ ადამიანი იწვა და თვალეზით ითხოვდა შეწყალებას, ადამიანობას და შველას. მგელიკამ დაიჩოქა. ხელების ფათურით დაუწყო ძებნა ჭრილობას, მონახა, სისხლით შევლეზა ხელები, და უმწეოდ მიმოიხედა ირგვლივ. ირგვლივ შიშველი კლდეები იყო და სიჩუმე. სიჩუმეს მომაკვდავი ქისტის კენესა არღვევდა მხოლოდ. მგელიკას არც მალამო ჰქონდა

ხელთ, არც სახვევი და დაბნეული ეძებდა საშველს. მას უნდოდა გადაერჩინა ეს ქისტი, მაგრამ გვიან იყო. მგელიკას აღარაფერი შეეძლო. ტყვიამ აჯობა გულში გვიან მოსულ სიბრალულს. უძლური იყო სიბრალული. ნელ-ნელა ქრებოდა სინათლე ქისტის თვალებში. მგელიკამ უხმოდ ჩაღუნა თავი, თითქოს მსაჯულის განაჩენს ისმენსო. მერე ქუდი მოიხადა და ისევ დახედა მომაკვდავს. ქისტი ღიმილით უყურებდა. ის თითქმის აღარ იყო ამ ქვეყნისა და ვიღაც თავისიანი ეგონა ეს ტანმორჩილი ხეცსური. თმა მალლა წაუვიდა მგელიკას, უაზროდ შეხედა მომღიმარს და ბარბაცით გამობრუნდა უკან თავგზაბნეული. მას შემდეგ კაცი აღარ მოუკლავს. ძალიან ახალგაზრდა იყო მაშინ მგელიკა. იქნებ ეპატიოს იმ ქისტის ცოდვა.

რისად გამახსენდა ჩემგან მოკლული ქისტი, გაიფიქრა მოხუცმა. წინათაც ახსენდებოდა ყოველი მომაკვდავის დანახვაზე, მაგრამ ბუნდოვნად. ახლა კი ის თვალნათლივ ხედავდა, როგორ იწვა ქისტი ბილიკზე და ცდილობდა კლდეს მიხუტებოდა, რადგან მეორეს მხარეს უფსკრული იყო. სულ ქვემოთ კი ქანჭახის წყალი, სადაც ფეხაცდენილი ცხენი ჩაგორდა, სადაც თვითონაც ჩაგორდებოდა ის საცოდავი, მაინც ჩაგორდებოდა, თუნდაც მაგრად მიჰხუტებოდა კლდეს. სიკვდილი ჩააგორებდა.

იმიტომ ეშინოდა გადახედვა, ქვევით სიკვდილი იყო, ნაღდი სიკვდილი. იქნებ მეც მაგისად მეშინის მარცხენა ფეხზე დავიხედო, გაუელვა თავში მოხუცს, წყლულია მარცხენა ფეხზე, სიკვდილის ანგელოზის დარად დაუჭყეტია თვალები.

მოხუცმა თვალები გაახილა. არა, არ შეეხედავ, გადაწყვიტა მერე, ისევ დახუჭა და საფიქრალს გაჰყვა. შეეცადა ისეთი რამ გაეხსენებინა, სადაც სიკვდილი არ იყო ზა სისხლი. მაგრამ ისევ სულთმობრძავი ქისტი ედგა თვალწინ, მომღიმარე.

ამაზე აღრინდელი აღარაფერი ახსოვდა. ამაზე აღრე ბურუსი იყო, სქელი და გაუვალი. დავიწყებოდა წლები მოხუცს, როგორც გზის გასწვრივ ჩარგული ხეები ავიწყლებათ ზოლმე მგზავრებს.

მოხუცმა ისევ გაახილა თვალები და ჭერს აპხედა, თითქოს ჭერში ეძებდა ამაზე აღრინდელს. ჭერშიაც სიბნელე იყო. ამაზე აღრინდელი არაფერი ახსოვდა.

ოთახში გამხდარი ახალგაზრდა შემოვიდა. ტახტთან მივიდა და მოხუცს ხმამალა დაელაპარაკა. მოხუცს კარგა ხანია ყურთ აღარ ესმოდა რივიანად.

— ზომ არაფერი გჭირდების, პაპავე!

მოხუცმა თავი გააქნია უარის ნიშნად.

— წამალი?!

— არა.

— წამლები გვაქვსო კარგი. მოგზაურები არიან. ეგრე თქვეს.

— ვინ არიან? — იკითხა მოხუცმა.

— მოგზაურები ვართ, ვათვალისწინებთო ზევსურეთს.

— მოგეყვანა მერე. ამბავს რასმეს მოგუყვებოდი.

— რა ვიცი, ავად ხარ, არ გესიამოვნების ეგებ.

— წყალს მამაწვდიდე. მწყურია.

ახალგაზრდამ ტოლჩა მიაწოდა. მოხუცმა სავსე ტოლჩიდან იღნავ მოსვა წყალი და ტოლჩა სამფეხა სკამზე დადგა.

ახალგაზრდამ მალულად შეავლო თვალი მოხუცს. მოხუცის გამხდარ პირისახეს უფრო მკვეთრად დამჩნეოდა ნაოჭები. თვალები ჩამქრალი ჰქონ-



და, ცოცხალი და ჰევიანი თვალეზი. კარგ ამზავს ეტყოდი, თვალეზი ზარდებოდა, გაიფიქრა ახალგაზრდამ, ცუდს გაიგებდა და წუხილი ჩაეღვრებოდა. ახლა კი თვალეზი ჩამქარალა და სახეზეც თავისი ფერი აღარ აქვს.

— ბარისახოში მივდივარ, პაპავ. მოგგვრიდი ექიმს.

— რა გინდა ბარისახოში? — უკმაყოფილოდ ჰკითხა მოხუცმა.

— იმედა უნდა მივიყვანო ინტერნატში. საცაა სწავლა დაეწყებათ.

— ისწავლოს იმედამ, ისწავლოს, — სითბო დაეტყო მოხუცის ხმას, — გამოადგების, — მერე ისევ შესცვალა ტონი და მკვახედ გაათავა, — რათ მინდა ექიმი ნეტავ.

ახალგაზრდამ აღარაფერი თქვა და დასტოვა მოხუცი.

ამასობაში ისევ მოვიდა ტკივილი. დაისვენა და მოვიდა, გაიფიქრა მოხუცმა. ტკივილმა მთელს სხეულში დაუარა. ფიქრები სადღაც თავის ადგილას ჩააღდნენ და მოვიდა ტკივილი.

რა კარგი იქნებოდა უტკივილო იყოს სიკვდილი, გაიფიქრა მოხუცმა, შეჩვეული სტუმარივით ჩუმად ეწვიოს, ბევრი მოკითხვის გარეშე, ჩუმად და უტკივილოდ.

მოხუცს მოეჩვენა, რომ ვიღაც აეყუდა თავსასთუმალთან, სუხთქვაზე-კავებული, მტრული ღუმილით. უღონოდ ასწია თავი. არავინ იყო აყუდებულ-ლი. მერე ისევ მოეჩვენა, რომ შემოსასვლელთან ღიღინებდა ვიღაც. გაჰხედა. თავტიტველა იყო, ნაბაღში გახვეული. თვალში არ მოუვიდა. მიხედა, რომ სამტროდ იყო მოსული.

— თეთრი ციხე დგა სულეთში... — ღიღინებდა თავტიტველა.

სიკვდილი თუა, გაიფიქრა მოხუცმა.

— ვინა ხარ?

თავტიტველა გაქრა, მაგრამ ხმა ისევ ისმოდა. ნაღვლიანად ღიღინებდა ერთსა და იმავეს:

— თეთრი ციხე დგა სულეთში...

— არ გინდა. ნუ მღერი. ეგ ლექსი მეც ვიცი. მაგრამ შორსაა სულეთი. თავტიტველამ ჩაიფრუტუნა:

— ახლოა, ახლოა სულეთი, მგელიკავ. ისეთი ალვის ხეი დგას იქა, წვერი ცაში მიუღის.

— ვინა ხარ, ტილო, სახელ საიდან იცი ჩემი? — შეშფოთდა მოხუცი.

— ვემა წყაროც დის სულეთში. გემრიელ არს სასმელად.

თავტიტველას ხრინწიანი ხმა ჰქონდა.

— არ მინდა სულეთი, — ეჩინაანად თქვა მოხუცმა, — შორსაა სულეთი.

— ახლოა, ახლო, — ისევ გაიმეორა თავტიტველამ.

მოხუცი ვერ ჰედავდა თავტიტველას. მხოლოდ ხმა ესმოდა, დამცინავი და მოურიდებელი.

— თეთრი ციხე დგა სულეთში. — ნაღვლიანად ღიღინებდა თავტიტველა.

მოხუცმა გაიცინა. სიკვდილი თუა, მოვიდეს, მომკლას, გაიფიქრა მან. არ მოეწონა, დაურიდებლად რომ უხსენებდა სულეთს უცნობი ხმა.

— მიგაგდეს განა მგელიკავ, გეუბნებიან: მოკვდიო და არა კვდები.

— არა, არც ეგრეა საქმე, მე თითონ ვუთხარი, შემეშვით, თავს კარგად მოგუელო-მეთქი.

— ეჰ, ვილა დაქეზს შენს ბედ-იღბალს, მგელიკავ, ექიმი მაინც მოეყვანათ.

— ექიმი? სახელით მიცნობ და ვინ ვარ, არ იცი? .

თავტიტველამ თავხედურად გადაიხარხარა:



— ვიცი, გამიგია მგელიკას სახელი. უებრო მკურნალი ხარ და დოსტაქარი. გაჯობა სენმა?

მოხუცი დაფიქრდა. ის ჯერ კიდევ არ თვლიდა თავს დამარცხებულად. აი, ტკივილი გაუვლის, ადგება, კიდევ ერთხელ გაჭრის წყლულს და საღსალამათი გახდება. ცოტანი როდი დაუბრუნებია სულეთის მრუდე გზიდან. აღარც ახსოვს, რამდენი დააბრუნა, როდის, სად, როგორ. ტკივილმა წაართვა გახსენების უნარიც.

— ვერა, ვერ მორჩები, მგელიკავ, — უხეშად მოსჭრა თავტიტველამ, — ბებერი ხარ უკვე, ჯანგაღეული და სუსტი. დოსტაქრობაც დაგვიწყებია ძველებური.

მართლა დამვიწყებია, გაიფიქრა მოხუცმა. გაახსენდა, როგორ მკურნალობდა დაჭრილებს, სნეულებს, მომაკვდავებს. მაგრამ მათი სახეები აღარ ახსოვდა. ყველანი ერთმანეთს ჰგვანდნენ, ყველას ტანჯული თვალები ჰქონდა და ყველანი იმას ლამობდნენ, ერთი კენესა არ დასცდნოდათ. მერე ყველანი მადლიერები შორდებოდნენ, გულუხვად ასაჩუქრებდნენ და ლოცავდნენ დოსტაქრის მარჯვენას. ახლა აღარც მათი სახეები ახსოვდა, აღარც სახელები. ერთი რომელიმე მინც გაიხსენოს და ამ თავტიტველას უთხრას.

— ვერა, ვერ მორჩები, მგელიკავ. წინათ სხვა იყავ, ახლა სხვაი ხარ. ვერ ამცნევ, დაოსებულხარ. ბეწვი ორად ველარ გაგიგლეჯია.

— არ მინდა სიკვდილ. — თქვა მოხუცმა.

— შენ უკვე მკვდარი ხარ, მგელიკავ. გამხმარი ხეც სიცოცხლის იმედით სულდგმულობს, და მინამ არ მოჭრიან, ცოცხალი ჰგონია თავი. შენც ეგრე ხარ, მგელიკავ, შენ უკვე ცოცხალი მკვდარი ხარ.

— გაგიწყდა ძმის წილი, ტიალო, არ მინდა სიკვდილი: — ჟინიანად გაიმეორა მოხუცმა.

— საწყენად როდი მითქვამს, მგელიკავ...

— არ მინდა სიკვდილი.

— კარგია სიკვდილი. — შემპარავი ხმით დაიწყო თავტიტველამ, — არმოცინარია, მაგრამ შართალი. სულ დაგაცილებს ჯაერებს, ზარი აქვს იმნიირი. გაექცევი? სად უნდა გაექცე. გინდ გყავდეს ფეხმარდი ცხენი. ვერა, ვერ გაექცევი სიკვდილს.

— ვერ გაექცევი, — გაუბედავად თქვა მოხუცმა.

— ვერც შეებმევი. არ დააშინებს შენი ფრანგული, — უტიფრად განავრძობდა თავტიტველა.

— ვერა, ვერ შეებმევი, სნეულ ვარ.

— ვერც ტირილითა და ხვეწნით შააბრალებ თავს. უფლისგანა გამოგზავნილი.

მოხუცი აღშფოთდა.

— რას როშავ, ოხერო, სიკვდილი ეშმაკის კვალზე დადის. რა ხელი აქვს უფალთან.

— ეგრეა, ეგრე, როგორცა ვთქვი, — თავტიტველამ ჩაიციხა, როგორც საკუთარ თავში დარწმუნებულმა ადამიანმა.

ტკივილმა უფრო მძაფრად დაბუზნა მოხუცის სხეული, თითქოს ქვები დააყარესო მთიდან, ცხელი, გახურებული ქვები ფეხებზე, მკერდზე, ხელებზე, თავზე, თვალბში. მოხუცი უკვე კენესოდა. კენესოდა საცოდავად. ტკივილი თოვლის ზვავივით იზრდებოდა და საღდაც შორს, ბნელეთში ეწეოდა მოხუცს. მოხუცმა იგრძნო, რომ მეტი აღარ შეეძლო, იგრძნო, რომ ტკივილი სჯობნიდა და ახლატკივილზე უკეთესი იყო სიკვდილი.



— მოვიდეს სიკვდილ, — მორჩილად თქვა მოხუცმა.

თავტიტველა თითქოს ამ სიტყვებს ელოდებოდა, ისევ ალაპარაკდა სიბნელიდან.

— ახლა არა სცალია სიკვდილს. ან ბნელის პირას მოდის, ან თენებზე. ახლა კი დღეა. თავად შენ წადი სიკვდილთან, მიგასწავლი გზას.

მოხუცი მიხვდა, რასაც გულისხმობდა ამ სიტყვებში თავტიტველა და შეკრთა. ეშმაა, გაიფიქრა მან, ეშმაა და მაცდურის გზაზე მაცუნებს. რქები დაუმაღლავს, ნაბადში გახვეულა ბანჯგვლიანი ტანის დასაფარავად, თუმცა ვინ იცის, იქნებ ბანჯგვლებიანად მოვიდა და მე ნაბადი მეჩვენება.

— თავად შენ წადი სიკვდილთან, — ფოლადი ჩაისხა ხმაში თავტიტველამ.

ყურში ჩამძახიან და არ მესმის სოლმე, გაიფიქრა მოხუცმა, ეს კი რამსიშორიდან მეხმინება და ვითომც არაფერი. ტვინში ხომ არ ჩამიჯდა ეშმა. იქნებ ტყუილად მომეჩვენა ნაბდიანი თავტიტველა.

თვალეები გაახილა მოხუცმა. ირგვლივ მიმოიხედა. ამაოდ ცდილობდა, რამე გაერჩია სიბნელეში თავისი ჩამქრალი თვალებით. არც თავტიტველა იყო და არც სხვა არავინ. თვალეებში ნისლი ჩამდგარიყო.

მეჩვენება ალბათ, დაასკვნა მერე და ისევ დახუჭა თვალეები. ქვები კვლავ ცვივოდა მთიდან მის წყლულზედა, ამაოდ იკავებდა კენესას მოხუცი.

— თავად შენ გაეშურე სულეთში, მგელიკავ. გონს მოდი, გონს. გესმის? — მბრძანებლური ხმით თქვა თავტიტველამ უკვე სადღაც ახლოდან.

მოხუცი გამოფხიზლდა.

— ხელი შევაშველო სიკვდილს? არა. თავად მოვიდეს, დამცეს და გამათავოს.

თავტიტველას სიცილი აუტყდა, ნაღვლიანი სიცილი.

— გონს მოდი, მგელიკავ, გესმის?! სიკვდილს ეამება, შენ რომ წვალობუნდოდეს, ახლავე გაათავებდა, მაგრამ გაწვალებს და თავს ირთობს. ეამება შენი წვალება, აღარ გაქვს მუხლში ძალა. ადვილი საწვალებელი ხარ.

ხმა ახლა სათნო იყო, მზრუნველი. წელანდელი გაბოროტებაც აღარ ემჩნეოდა. აღარც თავხედობა. მოსიყვარულე შვილივით არიგებდა მოხუცს.

სჯობს თავი ანებოს ტკბილსიტყვაობას, გაიფიქრა მოხუცმა, ტკბილად მოლაპარაკე მტერზე უარესი არაფერია ამ ქვეყნად. თუმცა იქნებ მოყვარეა ვეცოდები და გზას მანიშნებს.

მერე ისევ, უკვე მერამდენჯერ მოვიდა ტკივილი. უკვე მერამდენჯერ შეუხუთა სული მომაკვდავს და მაშინლა იგრძნო მოხუცმა, რომ მეტი აღარ შეეძლო. იგრძნო, რომ აბღავლდებოდა პატარა ბაღლივით, აბღავლდებოდა სუსტი და ჯანმილეული.

— მოძებნე სიკვდილი, მგელიკავ. რაღა ფასი აქვს შენს სიცოცხლეს. დოსტაქარს რამდენი კაცი მოგიჩინია და საკუთარ თავს ვეღარ უშველე ვერაფერი. ვეღარც სხვებს შველოდი ბოლო ხანებში. არც გაკითხავდნენ საეჭიმოდ. ზოგს ხათრი მაინც მოიყვანდა, მაგრამ მერე ისევ ქალაქელ ეჭიმებთან გარბოდნენ. ვადა გაგივიდა ბერიკაცო, გესმის! თუმცა რაღას მალაპარაკებ, თავდაც კარგად იცი, უბირ ხომ არ ხარ. იცი და ტკივილზე მეტად ეგ გაწუხებს. მოხუცი დაეთანხმა უხმოდ, ტუჩების ცმაცუნით.

— მართალი ხარ, ტიალო, მართალი, — ჩურჩულით თქვა მან, — მაგას შენზე აღრე მიეხვდი და გამხელა არ მინდოდა. იმედი მქონდა.

— ახლა? კიდევ გაქვს იმედი, კიდევ გგონია მოირჩენ თავსა?



— არა, დავმარცხდი. სხვებს ვაჭირობდი და ჩემმა წყულულმა მაჯობა. მოხუცი ვარ, მეპატიების, — ის უკვე გულთბილად ესაუბრებოდა უცნობ ხმას, მშვიდად და თავდაჯერებულად. ტკივილიც დაუამდა.

— მამ გაათავე სატანჯველი. ეგეთი არს წუთისოფლის წესი. კაცი იბადება, ცხოვრობს და ბოლოს კვდება.

— სწორია. იბადება, ცხოვრობს და ბოლოს კვდება, — დაუდასტურა მოხუცმა.

— შენ კი გახსოვს შენი პატარაბიჭობა? — მოულოდნელად ჰკითხა თავტიტველამ.

— არა, აღარ მახსოვს. წინათ იყო, ძალიან წინათ, — დამნაშავესავით გაიღიმა მოხუცმა.

— ხედავ, რამდენი იცოცხლე. ახლა დროა უკვე. კარზეა მომდგარი სიკვდილი. აგე, ეზოში შემოვიდა.

— უკვე შემოვიდა? — უიმედოდ იკითხა მოხუცმა.

— ჰო. არ შემოუშვა. შენ გადი და შეეგებე. დაასწარ, მგელიკავ. ბევრჯერ გაგიბრუნებია უკან სიკვდილი, ახლა იმის ხელში ხარ, სამაგიეროს ვიხდის. ველარ გააბრუნებ.

— ჰო, ველარ გააბრუნებ, — უმწეოდ ამოიხრიალა მოხუცმა.

— ჰოდა დაასწარ. სანამ ფარხმალს აგყრიდეს, შენ თავად აიყარე. მიდი, დაასწარ.

— არ მინდა სიკვდილი. — ისევ რაღაც იმედი გაცოცხლდა გულში, — არ მინდა სიკვდილი. ბნელა სულეთში, ბნელა.

მოხუცმა კედლისაკენ იბრუნა პირი.

— ჯაბანი ყოფილხარ, მგელიკავ, ლაჩარი. ვაჟაკი არა ხარ? ხევსური მეგონე ბედშავო, არა ყოფილხარ ხევსური, — უგულოდ ქირდავდა თავტიტველა მოხუცს და ფეხებს ბრაზიანად აბაკუნებდა.

— ეზოშია? — გაახსენდა მოხუცს.

— ჰო, ეზოშია. ველარ გააბრუნებ.

— დაეასწრო?

— ჰო, დაასწარ.

— მერე — რაღა იქნების? — გაუბედავად წარმოსთქვა მოხუცმა.

— თეთრი ციხე დგა სულეთში, — წაიღიღინა თავტიტველამ. უფრო მეტი სევდა ისმოდა ახლა მის ხმაში.

— ჰო, თეთრი ციხე. წვერი ცამდე აქვს.

— იქ ისეთი ალვის ხეი დგას, — ისევ ღიღინებდა თავტიტველა.

— ჰო. იმასაც ცაში მუღდის წვერი.

— მადლიანები წყალსა სვამენ. ცოდვიანები მწყურვალნი იბრაზობიან. შენ მადლიანი ხარ, მგელიკავ. არ დაგიშურებენ წყალს.


— არ დამიშურებენ?

— არა, მგელიკავ, არა. აქაც გაგიხსენებენ დოსტაქარს.

— გამიხსენებენ?

— გაგიხსენებენ, მგელიკავ, დალილი მზის მადლმა, გაგიხსენებენ, ცხენს მოახტება ხევსური და მაშინვე მოაგონდება, რომ შენ მოურჩინე მტკივანი ფეხი. განა ერთსა და ორს გაახსენდები? ქალაქელ სტუმრებს მოუყვებიან შენს ამბავს, ყველას მოუყვებიან. დაგიფასებენ ამავს.

— მამ გამიხსენებენ... ყველანი... გამიხსენებენ? — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა მოხუცი. სუნთქვა უქირდა. ტკივილი ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი.



— ლიქოკის ჯვარს შეგავედრებენ. ლიქოკის ჯვარია მხსნელი მაცდურის გზაზე წასულისა.

— ზვავისაგან დაღუპულიც ლიქოკის ჯვარს უნდა შეგვედრონ, წყალში დამხრჩვალნი, და...— მოხუცს სიტყვა გაუწყდა.

— და ვინც თავს მოიკლავს, ისიც, — მკაცრად თქვა თავტიტველამ.

— არ მინდა მაცდურის გზაზე დადგომა, — ამოიღულღულა მოხუცმა.

— კობალა და იახსარი მბრძანებლობენ ლიქოკის ჯვარში. შეგინდობენ, მგელიკავ, უსათუოდ შეგინდობენ, — დაანუგეშა თავტიტველამ.

ამასობაში ისევ მოვიდა ტკივილი.

— ნუღარ გადასდებ სახვალიოდ, მგელიკავ. დაასწარ, მანამ თავს წამოგადგება, — ყურში ჩასძახოდა მოხუცს ხრინწიანი ხმა.

— უკვე მოვიდა? — იკითხა ქანცაწყვეტილმა.

— არა, ჯერ ისევ ეზოშია. დაასწარ, მგელიკავ, დაასწარ.

მოხუცმა უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა, რის ვაი-ვაგლახით წამოადგა. სარკმლისაკენ გაემართა. იატაკზე მიგდებულ სპილენძის ქვებს წამოაკრა ფეხი, აახმაურა. მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა რამდენიმე წუთით. მერე ისევ დაიძვრა სიჩუმე და ავის მომასწავებელი გრიალი წუბროვანამდე გავიდა.

არც თავღლის სანთელი მიუჩეჩებიათ მარცხენა ხელში მოხუცისათვის. არც ხმალი — მარჯვენაში. არც უყვირია სულთმობრძაძეს: მაჰკალითო, არც არავის უშიშვლია ხმალი პასუხად და არ შეუფიცია: მავკლავთო. რა საქმე ჰქონდა ძველ ხევსურულ წესს მგელიკასთან. მოკლულიც თვითონ იყო და მკვლელიც.

მოხუცი იწვა მზის ქვეშ. სუღარა გადაფარეს და იწვა გაუნძრევლად. ხელები მკერდზე მორჩილად ჰქონდა დაწყობილი. ფეხებიც მორჩილად გამოტილიყვნენ მიწაზე. მოხუცი იწვა მიცვალებული. იწვა მზის ქვეშ. მზის უკანასკნელი სხივები ათბობდა მის გაცხვებულ სახეს და გატანჯულ სხეულს. აღარც ტკივილი იყო სუნთქვის შემკვრელი, აღარც ფიქრები, რომელნიც აფორიაქებული სკიდან გამოფრენილი ფუტკრებივით კბენდნენ მოხუცის გონებას, აღარც ის თავტიტველა მოჩვენება, შემპარავი ხმითა და მბრძანებლური კილოთი. მოხუცი იწვა მზის ქვეშ.

ცა იღრუბლებოდა. ღრუბლებმა თითქოს უმატეს სვლას. მათი ჩრდილებიც უფრო სწრაფად მისრიალებდა ფერდობზე, მთის წვერს აღწევდა და მერე გაღმა გადადიოდა. მთის ძირიდან ახალი ჩრდილი მოდიოდა. ასე გეგონებოდა, ჩრდილები მთის იქით გადადიან, თვალის ერთ დახამხამებაში ჩაცურდებიან, მთას მკვირცხლი ბავშვივით შემოაუბრებენ და ისე მიისწრაფვიან მწვერვალისაკენ.

ღედაკაცები ტიროდნენ. თავდახრილნი იდგნენ ხევსურები, ქუდები ჩიბღლუჯათ ხელში. ისინი არა ტიროდნენ. ჰქონდათ შექმუნნილი სახეები. დათო შორიახლოს იდგა. დათო პირველად ხედავდა ახალ მიცვალებულს. ისინი მხოლოდ პანაშვიდებზე ენახა. იგი მორიდებით გამოელაპარაკა ვიღაც პიჯაკიანს, რომელიც ყველაზე მეტად ჰგავდა ხევსურს, თუმცა პიჯაკი ეცვა, რუხი ფერის გაცვეთილი პიჯაკი და ახლად ნაყიდი ჩექმები, მაგრამ ის ყველაზე მეტად ჰგავდა ხევსურს.

— რაისად მოიკლა თავი? — დათო ხევსურულად უტყვევდა და ხევსურულადვე უსვამდა მახვილს სიტყვებში, გარკვევით და რიხიანად.

პიჯაკიანმა პასუხი დააყოვნა. ვიღაც მის გვერდით მდგომმა თქვა:

— მაცილ-ეშმაკებმა შეაცდინეს და იძალ.

პიჯაკიანმა თავი გაიქინია.

— წყლული ჰქონდა ფეხზე, ტკივილებმა შააწუხა. ღროული კაცი იყო, უკვე ოთხმოცდაათ წელიწადს ითვლიდა. ველარ გაუძლო სატკივარს, — პიჯაკიანი სუფთა ქართულით ლაპარაკობდა. დათო პილიჩით, ცდილობდა ხევსურულად მოეცია და ხევსურულადვე დაესვა მახვილი სიტყვებში.

— ექიმ არ მაგიყვანიათ? — იკითხა მან.

— ექიმი რად უნდოდა. მგელია ლიქოკელი არ გაგიფინიათ? თითონ იყო ექიმიც და დოსტაქარიც. ორჯერ გაიყეთა ფეხზე ოპერაცია. მაინც ვერ მოიჩინა, — უბასუხა პიჯაკიანმა.

— თითონ გაიყეთა ოპერაცია?

— ჰო, თითონ.

ხევსურები ახმაურდნენ.

— აქიმობაში ბადალი არა ჰყოლია.

— ორჯერ წაართვა სიკვდილს ხახმატელი ბერდია.

— ოთხასამდე კაცი მოუჩინია.

— მეტი იქნების, მეტი.

— მამაც დოსტაქარი ჰყავდა, პაპაც.

— შატილიდან აკითხავდნენ ჩვენს მგელიკას, არხოტიდან, ბარისახოდან. პიჯაკიანმა ხელით ანიშნა ხევსურებს, დაჩუმდითო, და თითქოს დასკვნა გაუკეთა ყველას ნათქვამს, მოკლედ მოსჭრა:

— ერთხელ ქალაქშიაც უნდოდათ წაყვანა — შენი წამლები გვაწავლეო. ხევსურები ისევ ახმაურდნენ.

— არ მალავდა წამლებს, ავე, იმის წამლები, — თქვა ცისფერთვალბა ხევსურმა და ხელი გაიშვირა მთების მიმართულებით, — სულ იქა ხარობენ.

— ბალახ და ყვავილ ზეპირ იცოდა.

— მინდიასავით იცოდა.

— ბრძენ იყო მინდიასავით.

— ჩვენი მგელიკაო, ყველანი ასე ეძახდნენ.

დათო შუბლშეკრული უსმენდა ხევსურებს.

პიჯაკიანს ცრემლი მოადგა თვალეზში, სახელოთი მოიწმინდა და თქვა:

— მთელი ხევსურეთის მკვდარია მგელიკა. მთელი ხევსურეთი დაიბრუნეს, ხვალ დოღი იქნება ხეობაში. ბევრი ჭირისუფალი ჩამოუტა ჩვენს მგელიკას, მისი ხელით ხელახლა ვაცოცხლებულები, ჩვენ შეგვავლია სიცოცხლე და კიდევ ბევრჯერ მოვიფინებთ.

დედაკაცები ხმამაღლა ტიროდნენ.

დათო უკან გამობრუნდა.

ასე კარგად არ უნდა გაგვეჭიმა კარავი, გაიფიქრა მან. ამაყად მდგარი კარავი უცნაური და არაბუნებრივი მოეჩვენა. რატომღაც უზრუნველობისა და სიმშვიდის მყვიარლა სიმბოლოდ მოეჩვენა მას მაგრად გაჭიმული კარავი. თუმცა მთები ხომ ისევ ისეთები დარჩნენ, ფიქრობდა იგი, ამაყად მხარგაშლილები, გულგრილნი სიკვდილის მიმართ. მხოლოდ მზე დაჰფარეს ღრუბლებმა, ეს შემთხვევითაა. დღეს დილიდანვე იღრუბლებოდა, იმიტომაც ჩამოცხა. ალბათ იწვიმებს. მაგრამ ეს შემთხვევითაა. ბუნება არ გლოვობს მკვდარს. ბუნება გულგრილია. ხშირად უნდა ხედავდე სიკვდილს და შეეჩვევი. ტირილი აღარ მოგინდება. ცრემლები დაკარგავენ თავის მნიშვნელობას. ხშირად უნდა ხედავდე სიკვდილს. ეს ხომ ყველაზე ჩვეულებრივი რამ არის ცხოვრებაში. სიყვარულზე უფრო ჩვეულებრივი. ადამიანმა შესაძლოა ვერც გაიგოს სიყვარული სიკვდილამდე. მაგრამ სიკვდილი აუცილებელია. ზურვიკოს კი სძინავს.



მაგრად, ამაყად გაჭიმულ კარავში სძინავს და აზრზე არ არის, რომ მგელიკამ თავი მოიკლა, ჩვენმა მგელიკამ. იქნებ წამალი რომ მიმეტანა დროზე, გადარჩენილიყო. მგონი ჩემი ბრალია. არა, რა სისულელეს ვამბობ. რაღას უშველიდა სტრეპტოციდის საცხი. თითონ ვერაფერი გააწყო სიკვდილთან. ნეტავი იწვიმოს, ზურიკოს კი სძინავს. გავაღვიძო ზურიკო? გავაღვიძებ.

ღამით წვიმდა. კარვის კალთები მაგრად იყო დაჭიმული. წვიმის წვეთები მონოტონური ხმაურით ეცემოდა ბრეზენტს. ბრეზენტი იყლინებოდა, მძიმდებოდა. ეკლესიის ზარების სამგლოვიარო რეკვას ჰგავდა წვიმის წვეთების რაკუნ დაჭიმულ ბრეზენტზე. ოღონდ უფრო ხშირი იყო, მომაბეზრებელი და არასერიოზული.

ისინი საძილე ტომრებში იწვნენ და არ სციოდათ. არც წვიმა იყო საშიში. კარვის კალთები მაგრად იყო დაჭიმული.

— მე მთელი ღამე ვერ დავიძინებ,—თქვა დათომ.

— ვერც მე,—თქვა ზურიკომ.

ორმოციოდე ნაბიჯის მანძილზე სოფელი იყო. სოფელში კი ახალი მიცვალებული. ის ალბათ ისევ ტახტზე იწვა და აღარ აწუხებდა ტკივილი. არც ფიქრები აწუხებდა.

— ოთხმოცდაათი წლის მოხუცის სიკვდილიც კი საშინელებაა,—თქვა ზურიკომ.

— შეიძლება უფრო მეტადაც. ახალგაზრდის სიკვდილი მეტწილად შემთხვევის ბრალია. იტყვიან: რაღა ეს მოკვდა. მოხუცის სიკვდილი ნამდვილი სიკვდილია. თუნდაც თავი მოიკლას, როგორც მგელიკამ.

მათ არ შეეძლოთ სხვა რამეზე ელაპარაკათ.

მათ დაავიწყდათ, რომ ყოველ საღამოს, დაძინების წინ ანთებდნენ ცეცხლს, აღუღებდნენ ჩაის ან კაკაოს და სვამდნენ. პური, კარაქი, ჩაი ან კაკაო. მათ დაავიწყდათ, რომ იძინებდნენ ადრე და დგებოდნენ ადრე, რათა ევლოთ, ვიდრე მზე დააცხუნებდა. ევლოთ მთის სიგრძეში.

— როგორ დავიძინოთ? ნეტავი დამეძინებოდეს,—თქვა ზურიკომ.

— არ ვიცი, როგორ დავიძინოთ. ვილაპარაკოთ და დაგვეძინება,—თქვა დათომ.

— არა, ვერ დავიძინება ლაპარაკში.

— რა საოცარი სიკვდილი ვნახე, ნეტავი გაგვეცნო, სანამ თავს მოიკლავდა,—თქვა დათომ.

— საინტერესოა, რატომ მოიკლა თავი.

— მაცილ ეშმაკებმა შეაცდინესო.

— ეშმაკი ჰო, მაგრამ მაცილი რაღა არის? — გაიკვირვა ზურიკომ.

— რა ვიცი, ეგრე თქვა.

— სისულელეა. ალბათ ტკივილები ვეღარ აიტანა.

— ჰო, ეგრეც თქვეს, მაგრამ მე სხვა მგონია.

— რა?

— აბა შენ დაფიქრდი. სახელგანთქმულმა დოსტაქარმა თავისი ავადმყოფობა ვეღარ მოიხრინა. ოპერაციაც გაუკეთებია თავის ხელით. მაინც ვერ მოიხრინა. დამარცხდა. უკვე ზედმეტობას გრძნობდა, — აღელვებით ლაპარაკობდა დათო,—თანაც წინ აღარაფერი დარჩა. გზა გავლილი იყო, გრძელი გზა და წინ უფსკრულს ხედავდა...

— ფორთხვით უნდა წასულიყო უფსკრულისაკენ,—სიტყვა ჩამოართვა ზურიკომ.



— ჰო, ფორთხვით, ტყივილითა და კენესით. ნახტომი არჩია. დაასწრო სიკვდილს.

— აგონიას თავის მოკვლა სჯობდა. ნამდვილად სჯობდა.

— ვაჟაკურად მოიქცა, — თქვა დათომ.

— იცი, რომელიდაც ფილოსოფოსს უთქვამს ოდესდაც, მგონი ძველ რომში, რომ ყველაზე კარგი, რაც ადამიანს გააჩნია თავის ცხდვრებაში, ეს არის შესაძლებლობა სიკვდილისა, როცა მოგესურვება, გესმის?

— როცა მოგესურვება, არ ვარგა. მე ასე ვიტყვოდი: როცა აუცილებელ ზღება, როცა სხვა აღარაფერი არის წინ, — თქვა დათომ.

— ჩემის ფიქრითაც ეგრე უნდა იყოს, — თქვა ზურიკომ.

სოფელში ძაღლები ყეფდნენ. მხოლოდ მათი ყეფა ისმოდა გარეთ.

ალბათ უხმოდ დასტირიან მგელიკას, გაიფიქრა დათომ, ან ჩვენამდე ვერ აღწევს მოტირალთა ხმა. ნამდვილად ვერ აღწევს.

სიბრაალული კარავში ვეღარ ეტეოდა.

წვიმამ უმატა. უფრო მეტის სიხშირით უკრავდნენ რალაც მომაბეზრებელ მოტივს წვიმის წვეთები დაჰიმულ ბრეზენტზე. ახლა უკვე სულ აღარა ჰგავდნენ ეკლესიის ზარების რეკვას.

— ალბათ მაგიტომ იტოვებდნენ ფრონტზე უკანასკნელ ტყვიას საკუთარი თავისათვის, — თქვა ზურიკომ.

— ვისაც სიცოცხლე უყვარს, ნამდვილი სიცოცხლე, ვინც იცის სიცოცხლის ფასი, ის დაიტოვებს უკანასკნელ ტყვიას. თუნდაც ოცი წლის იყოს, ჩვენსავით, — თქვა დათომ.

— ყველანი როდი იტოვებენ.

— ლაჩარი არ დაიტოვებს, — დარწმუნებით თქვა დათომ.


— მგელიკა დაიტოვებდა.

— შენ, შენ დაიტოვებდი?

— არ ვიცი, — თქვა ზურიკომ, სანთელს შეუბერა და ჩააქრო, — მე არ მინდა სიკვდილზე ფიქრი.



იოსებ ყაჭიიშვილი



მზით გათანგული პლაყის მარცხენა მხარეს, მამველ სადგურთან ახლოს, თხელ წყალში იწვა ჩია ტანის მელოტი კაცი. იგი უფრო მოხუცი ჩანდა, ვიდრე ხნოვანი. იწვა გულადმა, თავქვე შემოწყობილი ხელების თითები ერთმანეთში გადაეხლართა და ბეჭებზე ოდნავ წამოწეული, დაყინებით გასცქეროდა ზღვას.


სალამო ხანი იყო. სანაპიროზე ნელი ზღვაური ქროდა. ჩამავალი მზის გასწვრივ, წყალზე უსასრულოდ გაკვირულიყო ლაპლაპა ზოლი. მობანავეთა ჟრია-მულში ზოგჯერ სუსტი ტალღების თანაბარი ტლაშუნის ხმაც მოისმოდა.

მოხუცი ყურადღებას არ აქცევდა, რა ხდებოდა ირგვლივ. არც ის ორი ახალგაზრდა შეუმჩნევია, ახლახან რომ მოვიდნენ და მის ახლოს ახდიდნენ. ბიჭებმა კი მაშინვე შენიშნეს იგი:

— შეხედე, გოგი, — თქვა ერთმა და ხელი მოხუცისაკენ გაიშვირა, — ისევ აქ არის.

— ვხედავ... უცნაური ბერიკაცია, უსიცოცხლო, — უპასუხა მეორემ, — რაღაც მეჯავრება ასეთი ხალხი.

ირგვლივ ყველა სცნობს მოხუცს. ეს ორი თვეა საბანაოდ მუდამდღე და-



დის; გასახდელი ადგილი რიყის ბრტყელ ქვასთან აქვს ამორჩეული. არც არავინ ეზიარება. თუ ზოგჯერ ვინმე „ახალი“ გამოჩნდება, დაუშლიან.

— უკაცრავად, მოხუცის ადგილია, საცაა მოვა.

მალე გამოჩნდება მოხუციც. მოდის ნელი, გამოზომილი ნაბიჯით, თან ისე ირწყვია, თითქოს ფეხქვეშ მყარ ნიადაგს ვერ გრძნობს და წაქცევისა ეშინაო. მოვა უხმოდ; უბრალო გამარჯობასაც არ იტყვის. ქვაზე დადებს მახუთის ლაქებით აპრელეზულ ძველისძველ ქუდს, საფეთქლებთან და კედის გასწვრივ შერჩენილ ფერფლისფერ თმაზე ხელს გადაისვამს და ჩაჯდება.

იგი ყოველთვის დამჯდარი იხდის, როგორც ყველა მოხუცი: გაიხდის ტილოს ჯიბეებიან ბლუსას, მეზღვაურის ზოლებიან მაისურს და ლურჯსათავე შემოკერებულ ხვანჯრიან შარვალს. სატინის შავი ტრუსი ერთ ადგილას თეთრი ძაფით აქვს გაქარდული. მოხუცი ყოველთვის ცდილობს დაიძალოს განაკერი.

ტანსაცმელს ლამაზად დაკეცავს და ქვაზე გადაჰდენს. მერე მთელი დღე ნაპირა წყალში წევს, სუსტ ტალღებზე. ან არა და წვრილ კენჭებზე წამოწოლილი მზეს ეფიცება. ნაცრისფერი ჩოღერა კბილები აქვს. წინა ორ კბილს შორის მუდამ პაპიროსი აქვს გაჩრილი. პაპიროსს ბოლომდე ისე ჩასწავს, ერთხელაც არ გამოიღებს პირიდან. მერე თავს წააკენეტს და ენის წვერით გადაისვრის.

საღამოს, როცა ანთებული მზე პორიზონტის ლურჯი ზოლის გადაღმა წაინავლება, მოხუცი აუჩქარებლად ჩაიცვამს, ზღვას კიდევ ერთხელ გადაავლებს თვალს და მიდის.

ნავთსადგურთან ჩასვლისას არ შეიძლება ვინმე არ მიესალმოს. ესენი მისი მეგობრები არიან, ძველი მეზღვაურები და მეთევზეები.

— გამარჯობა შენი, ზღვის ლომო!

— გაგიმარჯოს, — პასუხობს ოდნავ შემკრთალი, მერე თანდათან ებადრება სახე, — ეს შენა ხარ, გალა სოსე?

— ჰო, მე ვარ... შენ რა, ისევე ავადმყოფობ?

— აბა, კაცო, — გულდაწყვეტით ამბობს მოხუცი, — ძან დამიგდო ამ ბოლო დროს. უსამველო ყოფილა მაინც ეს წნევა... თანაც გული...

— არაფერია, არაფერი, მაგას არჩენენ ახლა, — ამხნეებს მეგობარი და მხარზე ხელს უთათუნებს, — ზღვას კი მაინც არ ეშვები, ჰა?

— გული არ მითმენს, თორემ აბა რაღაა, თუ კაცი ხარ, — მოხუცი ნაღვლიანად გაჰხედავს ზღვას და მერე თვალებს დაბლა ხრის, — ექიმებმა — არ გაბედო, ნაპირს არ მოცილდეთ... გლახაკივით ვგადივარ წყალში.

— რას იზამ, სანამ მორჩებოდე... — ამბობს სოსე, მერე თვალებს ეშმაკურად ჭუტავს და ტონს იცვლის, — არ გადავკრათ თითო-თითო?

— ეჰ, ექიმები მაგასაც მიშლიან, მარა ჯანდაბას, ოღონდ თითო-თითო.

აი, ასეთი კაცია ჩვენი მოხუცი. პლაჟზე ვერაჟის შეეთვისა და მუდამ განმარტოებულია. ახლაც მარტოა. ისევე ისე გულადმა წევს და ამოჩემებულ წერტილს გასცქერის. კბილებს შუა გაჩრილ პაპიროსს ამოლებს, ფერფლს კი ვერ ამჩნევს, რომელიც საცაა მოსწყდება სანახევროდ ჩაწურულ პაპიროსს და მკერდზე დააცივია.

მის პირდაპირ რომ ორი ბიჭი ბანაობს, რაღაც არ მოსწონს. განსაკუთრებით ის, მაღალი, გოგის რომ ეძახიან. ეტყობა ძალზე თავზედია. წელან ისე ახლოს გადაიდგაფუნა წყალში, კინაღამ ფეხი დააბიჯა. მაშინ განგებ არ შეიმ-



ჩნია მოხუცმა ეს. ახლა რაღა უნდა ნეტავი, ღიმილით რომ იცქირება და მეგობარს ეჩურჩულებს?

მოხუცმა თვალი აარიდა ბიჭს, მაგრამ სწორედ ამ დროს ჩაესმა ყურში მისი ხმა:

— რა ბალღევით ჭყუმპალაობ, მოხუცო, მოდი ცურვას გასწავლი.

— ამ სიტყვებმა ისე შეაერთო, თითქოს უბეში ნაპერწკალი ჩავარდნოდეს. ხელისგულზე წამოიწია და ჩამოფოცხილი ჭაღარა წარბებქვეშიდან ნალვლიანი მზერა ესროლა ბიჭს.

— შენ... შენ მე რაზე დამცინი, შვილო... შენხელობას... — სიტყვა გაუწყდა. ალბათ ძალზე სასაცილო ვჩანვარ და ეს ბიჭი რაა, გულში ყველანი დამცინიანო. გული ეტკინა.

ნაპირზეც გაიგონეს მათი ლაპარაკი. ერთმა ღიპიანმა, ბანქოს რომ თამაშობდა, თავისებურად დატუქსა ბიჭი:

—თავი დაანებე, ბიძიკო, საწყალ ბერიკაცს. ვერ ხედავ, მიწაზე ძლივსა დაბობლავს.

„საწყალი ბერიკაცი“, „მიწაზე ძლივსა დაბობლავს“. ამ სიტყვებმა გული გადაუტრიალა მოხუცს. გაფითრდა. სიბრაზისაგან ცრემლი მოაწვა თვალებზე. ეს რომ არავის შეემჩნია, ყბების ნერვული მოძრაობით პაპირისი რამდენჯერმე ზედიზედ მოქაჩა და სახეზე ირისისფერი სქელი კვამლი აისაფრა.

ეს ორი თვეა მოხუცი ზღვაზე დადის და არავის დაუხანავს, ოდესმე წელამდე წყალს გასცილებოდეს. ყველა ფიქრობდა, მას ზღვის უფრო ეშინია, ვიდრე გასროლილი ტყვიისო, მაგრამ აი, მოულოდნელად მოხუცმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წყალში და ლამაზი მხარულით ბიჭთან მისცურა.

— ოო, ცურვაც გცოდნია? აქამდე სად იყავი?

მოხუცმა არაფერი უპასუხა. იგი თვალებში ჩასცქეროდა ბიჭს. კაცს შეზარავდა მისი დანახვა: ლურჯი თვალები ჩამუქებოდა, ტუჩის კუთხეებში წვრილი ნაოჭები ეყარა. მოკლედ შეკრეპილი ჭაღარა წვერი ვერცხლის ძაფებივით უბრწყინავდა ჩამავალ მზეზე.

— არ ვიცი... ჰო, არ ვიცი.. მასწავლი? წამოხვალ?

ლაპარაკისას კისრის ძარღვები ებერებოდა. გამოშვერილ დაწვისთავებთან კიდევ უფრო უღრმავდებოდა ორმოები.

ბიჭმა ვერ გაუძლო მოხუცის თვალებს და სახე აარიდა, მაგრამ იხტიბატი მაინც არ გაიტეხა. დამცინავად გაიღიმა და ჩაილაპარაკა:

— ჰმ, მეჯობრები, მოხუცო, კარგი, წავიდეთ.

ერთი წუთის შემდეგ ისინი შეწყობილი მხარულით მისცურავდნენ შეგული ზღვისკენ. ნაპირიდან ჯერ კიდევ ესმოდათ ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები:

— ჩვენს მოხუცს არ უყურებთ!

— ძველი მეზღვაური იქნება.

—საინტერესო შეჯობრი კია, ისე.

დიდხანს იცურეს ასე უსიტყვოდ. დროდადრო მოხუცი უკან მოიხედავდა და იმის მიხედვით, თუ როგორ იწეოდა ნაპირი თანდათან მალა, იგი ხვდებოდა, უკვე კარგა შორს გასულიყვნენ ზღვაში. მოლუშულ წარბებზე ეტყობოდა, ჯერ კიდევ არ გავლო მისთვის სიბრაზეს.

დიდხანს იცურეს.

რაც უფრო წინ მიიწევდნენ, წყალი მით უფრო ანკარა და თბილი ხდებ-



ბოდა, ტალღები — სუსტი. ზოგჯერ ონავარი თევზები ამოხტებოდნენ ზედაპირზე, ჰაერში შეტრიალდებოდნენ და თეთრ გულს აკიაფებდნენ. მზეზე თვალის მომპრეღად გაიბრკვევიალებდა მათი ზურმუხტისფერი ქერცლი.

მოხუცი ოღნავ წინ მიდიოდა. მისი მოძრაობა მსუბუქი და თანაბარი იყო, თითქოს ჯერ ორიოდ მეტრიც არ გაეცუროს; ბიჭი კი დალლას გრძნობდა უკვე: ხელ-ფეხი თანდათან დაუძძიმდა. კისრის ქვემოთ ხერხემალიც სტიოდა.

ნაპირს გაპხედა. მანძილი ეშორა და გულში თავზარდამცემი შიში იგრძნო, ისეთი, ნებისყოფას ერთბაშად რომ აღუნებს ხოლმე.

— ვის გადავეყიდე, დამახჩრობს ეს ოხერი, — ჩაილაპარაკა თავისთვის და შიშისაგან დამრგვალებული თვალებით შეხედა მოხუცს, — ჯანდაბას იქით მაგასთან ჯიბრი, ქაჯია ვიღაცაა.

ნაპირისაკენ პირი იბრუნა და გაბრაზებული ხმით დაიძახა:

— ეეი, მოხუცო, სადღა მიდიხარ, აღარ დავბრუნდეთ?!

მოხუცმაც იბრუნა პირი. სახეზე სიამაყის ღმილმა გადმოხეთქა, — მოგტეხე თუ არა ეშმაკის კერძო, — გაიფიქრა. ასეა, უკუქოს და ბრიყვს დარიგება მოუხდება, თავხედს — შერცხვენა.

ღმილი ჩამორეცხა და ბიჭს უპასუხა:

— როგორც გინდოდეს შვილო, რავარც შენ იტყვი.

ერთხანს წყალში გულადმა იწვნენ და ისვენებდნენ. მოხუცმა შეატყო დალდა და გააფრთხილა:

— წყალში გული არ უნდა ვაიტეხო, შვილო. ნაპირის სიშორემ არ შეგაშინოს. ცოტა გასცურე, მერე დაისვენე და ისევ წადი. ერთბაშად კი ნუ მიეძალე. შიშმა თუ ერთხელ დაგჯაბნა, მერე ჰაიდა, წასულია საქმე.

ნელი მხარულით მიტურავდნენ ნაპირისაკენ. მოხუცი ხშირად თვალს მოავლებდა ირგვლივ. სახეზე ეტყობოდა ბუნების სასიამოვნო ვანცდა. გაღმა გორაკები ოქროსფრად ჩააყვითლა მზემ. წყალი თანდათან იღებდა მეწამულ ფერს. თოლიები სულ ახლოს დაფრინავდნენ ზღვასთან. ზოგჯერ წყალში თავს ჩაპყოდნენ და ლიფსიტებს იტაცებდნენ.

— ჩემი სიტყვები ასე რად გეწყინა, მოხუცო? — ჰკითხა ბიჭმა.

— ეე... საწყენია, შვილო, აბა რა არის. ჩემი დღე და მოსწრება ზღვაზე გამიტარებია: შენ კი — ცურავს გასწავლით... ის კი არა და აი, ერთ ამბავს გეტყვი. სწორედ შენოდენა ვიყავი მაშინ. ლელვაში მოვხვდი. კბი მეგობრები ვიყავით, მარა ერთმანეთს ტოლს არ ვუდებდით. ჰოდა, ბოლომდე გელარ გამიძლო. მე გავიყვანე. იმის მერე გამარჯობასაც აღარ მეუბნებოდა. ვითომღა შენ როგორ მაჯობეო. ასეა. ზღვის კაცი უფრო სხვანაირია. სხვანაირი ხასიათი აქვს... მასხარად ავდება გეწყინება კაცს, აბა რა იქნება. — მოხუცის ხმაში შემარტივებელი კილო ისმოდა, — კიდევ კარგი, ერთი ვაჟკაცის ოღენა კვლავ შემიძლია.

ლაპარაკი უცებ მოკვეთა. ინანა: უკანასკნელი სიტყვები რაღა ვთქვი, ბიჭს ეწყინებო. ბიჭს კი არ გაუგია მისი ნათქვამი. იგი მხრის ათიოდე მოსმით წინ იყო და თანდათან შორდებოდა მოხუცს.

მოხუცმა სცადა წამოსწეოდა, მაგრამ ვერ შესძლო. კუნთები დაეღალა და სუნთქვა გაუხშირდა.

— დაველოდო თუ წავიდე, მოხუცო? — დაუძახა ბიჭმა.

— შენ წადი, შვილო, დაღლილი ხარ და გეჩქარება, — უპასუხა მან, — მე უკან მოგვეები ნელა-ნელა. რა მაჩქარებს: კარგი წყალია.



ნაპირამდე ჯერ კიდევ გრძელი გზა ედოთ. მოხუცი აუჩქარებლად მისცურავდა. მისი ვარაუდით მზის ჩასვლამდე უნდა გასულიყო.

არა, ექიმებს ნაღდად არაფერი დაეჯერება, — ფიქრობდა იგი. — ნაპირს არ მოსცილდეთ. ზღვის კაცს ექიმები რას გაუგებენ. ღღეიდან მაგათ არც დაუჯერებ. მიწის შვილს რომ მიწას მოსწყვეტ, უარესია... ის ბიჭი კი მაინც არაა ცუდი. რა ვუყოთ, ახალგაზრდა და ყოყოობს.

მოხუცი წყალში შეტრიალდა და გულღმურზე გადავიდა. ნიჩაბივით უსვამდა ორივე ხელს. უსასრულო ცას თვალგაშტერებით შესცქეროდა.

მოწმენდილია და წყალი კი მაინც იმღვრება. გაავდარდება — ჩაილაპარაკა მან. უცებ მარცხენა ხელში საშინელი დაჭიმულობა იგრძნო, დასასვენებლად წყლიდან ამოსწია. ამ დროს თავზე ტალღა გადაეკლო. ერთი ორჯერ მაინც გადასცდა წყალი. ხველა აუტყდა. სახე ჩაეტეტკვა. ერთ ხანს სუნთქვაც შეკრულად ჰქონდა.

— დასწყევლის ღმერთი, უწინ რამდენიც უნდა მესვა, კახურივით შემერგებოდა. ახლა კინაღამ გულ-ღვიძლიც ამომავოლა.

როგორც იქნა დამშვიდდა. ტკივილიც თითქოს მიყუჩდაო, მაგრამ დროებით, მალე ისევ განუახლდა. ხელის ხმარება შეუძლებელი გახდა.

— ძარღვი გამენასკვა, ოხერი, — ჩაილაპარაკა მოხუცმა. — არა უშავს, მე ვიცი მაგის წამალი.

გაშეშებულ ხელს მაჯის ზემოთ კბილებით დასწვდა და მომკნარო ხორცი გაკვინტა. მარილიან წყალში მოშაო სისხლი დაიბოლქვა, შვება იგრძნო, თავისუფლად ამოძრავა ხელი.

— მე რა მიჭირს, ნეტავი ბიჭს არ დაუვლიდეს კრუნჩხვა, დაიღალა და თან გამოუტყდელია. წელან მინდოდა მესწავლებინა, მაგრამ დამავიწყდა. კარგია, იქ ვიყო ახლა.

ნიჩბების ხმაური შემოესმა. თავი მიიბრუნა. ორადგილიანი სპორტული ნავი წამოსწვოდა.

— თუ გინდა, ჩაჯექი, ბაბუ, გაგიყვან! — შესთავაზა შეტუხა ბიჭმა.

— არა, მე ჩემითაც ვავალ, შეილო. შენ აი, თუ სიკეთეს იზამ, წინ ბიჭი მიდის და იმას მიჰხედ; იქნება უჭირს და დაეხმარე.

მენავემ რაღაც ჩაილაპარაკა და თავისი გზა განაგრძო. მოხუცმა მწყრალი თვალები გააყოლა. მერე ტანის ოსტატური რხევით წყლიდან წელამდე ამოიწია და, ეგებ ბიჭი დავინახო, ნაპირისაკენ გაჰხედა წყალს.

— არაუშავს, ყოჩაღი ბიჭია, საცაა ვავა, — ჩაილაპარაკა და მეტი ხალხით მიეძალა ტალღებს.

ბიჭს ნაპირამდე მართლა აღარაფერი დარჩენოდა, მაგრამ საშინელ დაღლილობას გრძნობდა და შიშისაგან გული უსკდებოდა.

საკმარისი დაღლილ სხეულში რომელიმე ნაწილი მოიშალოს და წახვალ სიღრმისაკენ, — ფიქრობდა იგი, — ეხუმრები ზღვას! ხმელეთზე ჰო, — თუ გული წაუვა კაცს, წამოწყება და ნახევარ საათში მობრუნდება. აქ კი, ზღვაზე, სადაც მოგისწრებს კრუნჩხვა, იქვეა შენი სამარეც. არა, მაინც რა ძალად გავიბი ხიფათში თავი. რას მივეყვებოდი ამ სიშორეზე. მისთვის სულ ერთია, გადწვეს თუ არა ნაპირს. მე კი... მე ჰმ...

შეშინებულმა კიდევ უფრო მოუსვა და ღმერთს მადლს სწირავდა, რადგან სხეულში ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე იყო.

მოხუცი კი მისცურავდა ნელა, აუჩქარებლად. კარგა მანძილიც მოთოკა. მარცხენა ხელში ტკივილები განუახლდა, მაგრამ არაფრად ადგებდა. ჩქარა



ტკივილები მოედო მარჯვენა ხელსაც. ფეხები ისე დაუმიძიდა, თითქოს ტყვისაგან ყოფილიყო ჩამოსხმული. ყურები უწიოდა. ეგონა ირგვლივ ათასი ჭრიჭინობელა გალობსო.

— ალბათ ჩქარა გამივლის, — გაიფიქრა მან, — ეს ზღვამ დამახამა, დიდი ხანია წყალს მოვცილდი.

მტანჯველმა ტკივილებმა ახლა მთელი სხეული გაუჯავა. ჰორიზონტალური მდგომარეობა დაჰკარგა და ნელ-ნელა მიიწევდა სიღრმისაკენ.

— ასე იცის დალოცვილმა ზღვამ, — ფიქრობდა მოხუცი, — თუ ერთხელ ჩაგითრია, მერე ძნელია წყალზე გასწორდე... მაგრამ არაუშავს, მე მოვახერხებ ამას. აი, ტკივილები დამიყუჩდება... მანამდე კი წყალი არ უნდა გადამცდეს.

გაიარა რამდენიმე წუთმა. ტკივილები უფრო და უფრო ძლიერდებოდა. სუნთქვა შეკრული ჰქონდა და გული ისე მაგრად უცემდა, ეგონა საცაა მკერდს გადმოხტეჯავსო. თავში კი ზედიზედ სკდებოდნენ ცისფერი ნალმები.

დიახ ცისფერი, ასე ეჩვენებოდა მოხუცს.

მის ზევით უკვე პირი შეიკრა წყალმა, ამ ადგილას ჰაერის ბუშტულები ბუხბუხებდნენ ახლა.

უცებ მას მოეჩვენა, თითქოს ვიღაცა უჩინარი ხელებით დასწვდა, თითქოს ზევითაც ეწევიან. ზედიზედ ჩაისუნთქა სუფთა ჰაერი. ინსტინქტით ჩაებლაუქა ნავის კიხოს და ერთ წუთში უკვე შიგ იჯდა.

ვიწრო და გამხმარ ბარძაყებზე სველი ტრუსი შემოტმანსოდა. ლურჯად შეღებილ ნავის კედელზე კვალდაუმიხნევლად მიწურწურებდა წყალი. ორი კუნთმაგარი მენავე უსიტყვოდ შესცქეროდა. მოხუცი ზღვის ჯანსაღმა ჰაერმა გამოაცოცხლა. ტკივილებსაც ნაკლებად გრძნობდა. ნაჭრილობევი მარცხენა ზურგს უკან გაიტანა და მენავეები თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა.

„ამათ უნდათ მაშველი ნავით გამიყვანონ და საქვეყნოდ თავი მომჭრა“, — გაიფიქრა შეშფოთებულმა, — ჰმ, მაშველი ნავით გამიყვანონ მე, ვისაც ზღვის ლომს შექაზდნენ. არა, ყოვლად შეუძლებელია ეს!“

ისეთი სახე მიიღო, თითქოს აქ არაფერი მომხდარიყო და მენავეებს ჰკითხა:

— ერთი ეს მითხარით, ბიჭი გავიდა?

— რომელი ბიჭი? — ერთად იკითხა ორივემ.

— რომელი და აი ის, ქერათმიანი, მე რომ გამეჯობრა.

— კი, გავიდა.

— თავისით გავიდა?

— ჰო, თავისით გავიდა.

— ისრაჩობოდი, ბაბუ, გადაგარჩინეთ, — უთხრა მეორე მენავემ. მოხუცს დამცინავად გაეღიმა, მაგრამ მის თვალებში მაინც გამოჩნდა დიდი სულიერი ტანჯვის ნასახი.

— ვინ? მე?.. მე ვისრაჩობოდი? და თქვენ გადამარჩინეთ, არა? ახა, ხა! — მერე უცბად დაეუფლა სიბრაზე, — ლაწირაკებო! აბა წყლითაც ვიქნები გაბერილი, ა?

მენავეებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს. მოხუცი კი განაგრძობდა.

— არ ვამიკვირდა, რა სამასხრო მე მნახეს-მეთქი. მართლაც რომ გამჭირვებოდა, გვერდს ამივლიდით ალბათ, ახლა კი იმასაც არ მანებებთ, ჩემს ვემოზე ვიბანავო... მე რომ ვიყო თქვენი უფროსი...



— წყალქვეშ იმდენ ხანს იყავი, ბაბუ, და... — შეაწყვეტინა შეცბუნებული ბუნებამ, — ვიფიქრეთ რაღაცა დაემართათ. რა ვიცოდით თუ...

— ეს რაა, შვილებო, — მოლბა მოხუცი, — თქვენ აი, ახალგაზრდობას უნდა გენახეთ. იხვივით ვყვინთავდი, მაშინ მართლაც ბარე ორი მოტყუებულა. თქვენ რა... განა გამტყუნებთ.

მოხუცმა ესა თქვა და თავის ოღნავი დაკვრით დატუქსა ბიჭები, მერე ნავისკიჩოზე აიწია და წყალში გადახტა. ისე სწრაფად, ტანის ისეთი მსუბუქი და სხარტი მოძრაობით, რომ თუ მენავეებს მის ნათქვამში ოღნავი ეჭვი მაინც შეჰქონდათ, ამ ნახტომის შემდეგ საჭოკმანო აღარაფერი დარჩენოდათ. მხოლოდ მოხუცმა იცოდა ამ ნახტომის ფასი. იგი მთელი თავის ძალისა და ნების უკანასკნელ დამბავად დაუჯდა.

მენავეებმა წელი ბიძგით გააცურეს ნავი ნაპირის გასწვრივ. მოხუცი კი კვლავ შეეჭიდა ტალღებს.

ზღვას შეეხო ვეებერთელა მზის ქვემო კიდური. თითქოს მზის ჩასვლას უღარაჯებდნენო, სამხრეთ დასავლეთიდან ტყვიისფერი ღრუბლები ამოიწვერნენ. თანდათან აიძვრა და ჩაშავდა წყალი, მოზრდილი ტალღები გამალეებით ურტყამდნენ ნაპირს. ქაოსურ ხმაურში წვრილი კენჭების იღუმალი ჩხრიალის ხმა მოისმოდა.

მოხუცი აჩქარებული ცურვით უახლოვდებოდა ნაპირს. მის გარდაწყალში უკვე აღარავინ ჩანდა. ზღვის მოულოდნელმა აბობოქრებამ დააფრთხო ყველა: ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ნაპირთან და სიამოვნებით უცქერდნენ დღევას.

მოხუცს ახლა თანაბრად სტკიოდა თავი, გული, კუნთები, თვალეხი და სხეულის ყველა ნაწილი. თუმცა იგი მხოლოდ ერთ, საერთო არაადამიანურ ტკივილს გრძნობდა, რომელიც თანაბრად მოდიოდა მთელი სხეულიდან და ერთმანეთში იხლართებოდა. მოხუცის მთელი არსება მხოლოდ ერთი ფიქრით, ერთი აზრით იყო გამსჭვალული: წინ, ნაპირისაკენ, წინ! ამ სიტყვებს თავისებური მუსიკით იმეორებდა მისი სხეულის ყველა ნაწილი. გულიც, მკერდიდან ამოვარდნას რომ ლამობდა, მხოლოდ ამ სიტყვებს იმეორებდა.

— წინ, წინ, წინ...

ნაპირზე შეკრებილი ხალხი უცქეროდა შეუპოვარ მოხუცს, მარტოდ მართო რომ შევიდებოდა ფაფარაყრილ ზღვას. მათ არ იცოდნენ მისი გაჭირვება და იცინოდნენ, როდესაც მოხუცს დიდი ტალღა დაეჯახებოდა და ერთხანს წყალში გაუჩინარდებოდა. მათ ეგონათ, ის განგებ აკეთებდა ამას, რომ თავისი ძალა და ოსტატობა ეჩვენებინა. ამ საღამოს შემდეგ ყველამ სასწაულმოქმედად ჩათვალა მოხუცი. ახლა ერთობოდნენ და ზოგჯერ საოხუნჯო სიტყვებსაც გასძახოდნენ.

მოხუცს კი არაფერი ესმოდა. მხოლოდ ინსტინქტით მიიწევდა ნაპირისაკენ. ნებისყოფამ უდიდესი ძალით დამუხტა მისი სხეული. ახლა რომც მოენდომებინა, ვეღარ შეაჩერებდა ნაპირისაკენ ლტოლვას. ხომ არის ზოგჯერ მიცვალებულს ჯერ კიდევ უტოკავს რომელიღაც ნერვი. ასევე იყო მოხუცის თავსაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, იგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მისი ნერვებიც ძალუმად ფეთქავდა.

იგი უკვე ვეღარ ხედავდა ნაპირს. მის თვალწინ დიდი ყვითელი წრეები მისდევდა ერთმანეთს, ისე როგორც წრიული ტალღები. ეჩვენებოდა, თითქოს თავი ცისფერი ნისლით ჰქონდა გავსებული.

— გავსულვარ, — ჩაილაპარაკა მოხუცმა, როცა ქვიშიან ნაპირს ტალღებ-



თან ერთად თავით მიეხალა ხელებით ჩაბლუჯა წვრილი კენკები და გაიღიმა. ეს ღიმილი იმდენად ძლიერი იყო, მის სახეზე ერთი წუთით ტანჯვის ნიშანიც ვერ ვაპყრო. სცადა წამოწევა, მაგრამ ვერ შესძლო. კიდევ წამოიწია და... ჩაიკეცა.


მისცივიდნენ.

ის ღიპიანი, წელან რომ ბიჭი დატუქსა, ეჭიმი აღმოჩნდა, ხელში მოხუცის მაჯა ეჭირა და სულგანაბული ჩასცქეროდა ნაწამებ სახეში. თვალები ჩასისხლოდა მოხუცს. გამხდარ, ჩავარდნილ ლოყებზე სიჭრელე გადაჰკრავდა. ცხვირის ნესტოებზე ლილისფერი წვრილი ძარღვები აჩნდა. არაადამიანური ტანჯვისაგან სახე მოღრეცოდა.

ეჭიმა მაჯაზე ხელი შეუშვა, მედიკამენტების ყუთში ხელი ააფათურა და თავი საეჭვოდ გაიქნია.

...გამართლდა მოხუცის ნათქვამი.

ის იყო წყალში კანკალით ჩაიმალა მზის უკანასკნელი ნამცეცი და ცაზედაც დაიტალდა საავდრო ღრუბლები. პლაჟზე აქა-იქ დაეცა წვიმის მსხვილი წვეთები. ბრაზიანად აღმუვლდა ჩაკუბრული ზღვა; აღმოსავლეთის გორაკებზე კი მგლოვიარესავით ჩამოწვა ღამე.



გრიგორ აბაშიძე

წიგნი მეორე მხარე 1881

(დედა)

დრამატული პოემა 4 მოქმედებად და 9 სურათად

მოქმედნი:

- დაჩი ხუროთმოძღვარი
- ვარდო
- დიღმელი
- ბაკურ ციხისთავი
- დედა
- უხუცესი მშენებელი
- გელა მეფანდურე
- გოლა
- ვახტანგ გორგასალი
- ვახა
- ხანი
- სარდალი
- ვაზირი
- სასოწარკვეთა
- შიმშილი
- სახადი
- ნიავე
- არწივი
- ძალი
- მლილი
- ჩვილის დედა
- შეყვარებული ქალი
- შეყვარებული ვაჟი
- I გოგონა
- II გოგონა
- შთამომავლობა
- მაცნე

ციხის მშენებლები, მოქალაქეები, მეციხოვნეები, გუშაგები, დაჭრილები, შაოსანი ქალები, ჩაფრები, მეფის ამალა, ხანის მცველები.

პროლოგი

მწვანე გორაკი ქალაქის თავზე. მარცხნივ — ჭაბუკი გადაყრდნობია კლდეს და დასცქერის ქალაქს. მარჯვნივ საფლავთან თმავაშლილი შაოსანი დედა. იქვე ახლოს, ახლად გაჭრილი საფლავი... აღმართზე ამორბის ქალიშვილი.

ვაჟი — აჰა, გამოჩნდა ჩემი ცისკარი,
თითქო მოფრინავს, ჩემსკენ იჩქარის
წამოდგება და ეგებება
მოხველ და მოგყვა ვარდი ყელამდის,
შემომემატა თვალში ნათელი,
ძვირფასო, შენი ნახვის მნატვრელი,
როგორ გელოდი, როგორ ვღელავდი.
გული ლოდინით გადამელია...

ქალი — მემღური?

ვაჟი — არა, რა სათქმელია!
შენი შეხვედრის იმედიც მარტო,
ჩემთვის უსაზღვრო სიხარულია!

ქალი — ამ ბილიკებზე ვის არ უვლია,
მაგრამ მეგონა თვალეები ფართო,
ჩემსკენ მოაპყრო იმ წუთში ყველამ,
როცა ამ აღმართს ამოვყევ ნელა.

ვაჟი — სახეზე ჩრდილი გადაგფენია...

ქალი — შიშით დამიწყო გულმა ფართქალი,
მოვრბოდი, როგორც შველი დამფრთხალი.

ვაჟი — ახლა ჩემთან ხარ, არაფერია.

ქალი — სულ შენთან ვიყო როდის იქნება?!

ვაჟი — მეც ახლა მხოლოდ ეგ მეფიქრება,
მალე ჩამოგსვა ჩემს ღამაზე ქოხთან,
მალე მოვისპო ეგ სამღურავი...
უკვე დავხურე ქოხს სახურავი...

ქალი — (დაჰურებს დაბლა ქალაქს) ქოხი კი არა, სახლია კოხტა,
დიდი ეზო ჩანს და ახლო-მახლოს,
ეტყობა, მეტი არავინ სახლობს.

ვაჟი — არავინ, ბევრი არის ალაგი,
ფეხს ახლა იდგამს თბილისი ჩვენი,
ჯერ ყანები და მინდვრები შვენის,
ჯერ ხომ ნორჩია ჩვენი ქალაქი.

შემოდის ორი გოგონა. ერთი ყვავილებს ჰკრეფს, მეორე პეპელას მისდევს დასაქერად.

I გოგონა — შორს აღარ წავალ, დავრჩე აქა სჯობს,
რა ხელი დაჰკრეფს ამდენ ყაყაჩოს!

II გოგონა — ერთი შეხედე, რა პეპლებია!
ფერად ყვავილებს თავს ევლებიან..
მისდევს სირბილით პეპელას

მთელ დღეს რომ ვთელო ეს მწვანე მდელო,
მაინც დაგიჭერ, პეპელავ, ჭრელო,
მაინც დაგიჭერ, პეპელავ, ჭრელო!..

პეპელას დევნით გართული გოგონა უახლოვდება ახლადგაჭრილ საფლავს. ვაჟი დანინახავს და შეშფოთებული წამოხტება.

ვაჟი — შეჩერდი, ბალო!

გარბის გოგონასკენ

II გოგონა — (შემკრთალი შეჩერდება): ეს რა ხრამია? ჩასიქერის საფლავს შიგ როგორ ბნელა, თითქოს ღამეა!

ვაჟი — როგორ იქნება თხრილთან ნავარდი,
ცოტალა გაკლდა, შიგ არ ჩავარდი!
აქ საფლავია გათხრილი ახლად.

II გოგონა — საფლავი რაა, ან რისთვის თხრიან?

ვაჟი — საფლავებს თხრიან მკვდრებისთვის სახლად,
მაგრამ შენ ამას გაიგებ გვიან.
როგორც ჩრდილი სდევს ნათელ დღეს მზიანს,
სიკვდილი მუდამ თანა სდევს ყველას,
იქ, სადაც აკვანს არწევენ ნელა,
უჩუმრად კუბოს ფიცარსაც თლიან.
და საქორწინო ლოგინს რომ შლიან,
შორს, სადღაც, მათთვის საფლავსაც სთხრიან...

II გოგონა — ახალ ქალაქში რა უნდა სიკვდილს,
ჯერ ჩვენს ქალაქში ვინ მოკვდა, განა?

ვაჟი — სიკვდილ-სიცოცხლე მხარდამხარ დგანან
და ამ ჩუმ სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილს
კაცის ცხოვრება უწოდა ხალხმა...
ქვის მთლელი მოკვდა გუშინ მტკვარგაღმა
და ჩვენს ქალაქში იგი პირველი
მკვდარია, ვისაც აქ დამარხებენ.
გიკვირს? კი არი გასაკვირველი,
მაგრამ მოსცილდი საფლავს ახლავე
და შენს პეპელას გასდიე ისევე!

II გოგონა — კარგი, მე ისევ პეპელას მივსდევ...

გარბის იქით, სადაც შაოსანი ქალი ზის. მის დანახვაზე შეჩერდება

მაგრამ ეს ქალი? ამ ხის ქვეშ ხედავ?
თმაჩამოშლილი ვის გლოვობს ნეტავ?

ვაჟი — ეს არის ქართლის დედა მწუხარე
და ამ ქალაქის ადგილის დედა,
ვისაც საფლავი აქ გაუთხარეს,
მისთვის ღვრის იგი ცრემლებს მდუღარეს,
მაგრამ შენ პეპლებს გასდიე ისევე.

II გოგონა — კარგი, მე ისევ პეპელას მივსდევ...

მთელ დღეს რომ ვთელო ეს მწვანე მდელი,
მაინც დაგიჭერ, პეპელავ, ჭრელო,
მაინც დაგიჭერ, პეპელავ, ჭრელო...

მოქმედება I

სურათი I

ციხის მაღალი ზღუდე, ცადატყორცნილი კოშკები. მშენებლები უკანასკნელ აგურებს აწყობენ... ისმის ჩაქუჩების კაკუნი და ხმადაბალი ლიღინი. კოშკზე შემდგარი დანი შორს ვაკუყურებს.



- დაჩი** — შუბლზე დამქროლა კოჯრის ნიავმა,
უჰ, რა გრილია, როგორ მიამა!
- ნიავი** — სალამი, დაჩი, ხუროთმოძღვარო!
- დაჩი** — სალამი, კოჯრის გრილო ნიავო!
რაგინდ მეფერო, მილოლიავო,
ციხის წინ ქედი უნდა მოხარო!
- ნიავი** — მოვხარე კიდეც, მასთან ცელქობა
არ გამივიდა, თუმცა ვეცადე,
რატომ ამართე ზღუდე ზეცამდე,
გზის ორივე მხარეს გადამეღობა.
- დაჩი** — ფრთას გაიმაგრებ, არაფერია,
ცოტა მაღალი ასაფრენია.
ზედ გადაფრენა თუ ვერ შესძელი,
რას იზამ, ხევ-ხევ უნდა იარო...
ნახვამდის, კოჯრის ცელქო ნიავო!
- ნიავი** — ნახვამდის, დაჩი, იყავ დღეგრძელი!
- დაჩი** — აგერ, დიდ კოშკზე არწივი დაჯდა!
- არწივი** — მთის მწვერვალია, თუ ციხე ქაჯთა,
თვალს ვერ ვუსწორებ ამ მაღალ კოშკებს,
გზას ვეღარ ვუვლი აწვდილებს ცამდის,
კაცი აღარ ჩანს, დაბლა რომ დადის,
მტკვარი ძლივს მოჩანს, დაბლა რომ მოსჩქევს.
როგორ ღრმა არი ბნელი წკვარამი!
- დაჩი** — ფრინველთა მეფეს ჩემი სალამი!
- არწივი** — სალამი შენდა, ხუროთმოძღვარო!
თვალი ვერ ძღება ღრუბლების ცქერით.
ვერას დააკლებს ამ კოშკებს მტერი,
ეს მაღალი მთა სულ რომ მოთხაროს,
სულ რომ უნთებდეს გარშემო კოცონს!
- დაჩი** — მოგწონს, არწივო?
- არწივი** — ძალიან მომწონს.
და თუ არ მიწყენთ, დარბაისელნო,
როცა ბარისკენ წამოვალ მაღლით,
ნება მომეცით, შორი გზით დაღლილს,
ამ კოშკზე დაეჯდე და დაეისვენო.
- დაჩი** — რა ნებას ითხოვ, თუ ჩამოჯდები,
გაიხარებენ ჩვენი კოშკები.
- არწივი** — შენს გარჯას ვუცქერ, შორით ვდარაჯობ,
მგონი ათავებ ციხის შენებას.
- დაჩი** — ვეღარც მოასწრებ თვალის შევლებას,
ისე უეცრად მოვხსნი ხარაჩოს...
- არწივი** — მოსალოცია, მახარებს სწორედ,
ღრო არი, მეც რომ გაუუდგე შორეთს,
ლამის აქ ჯდომამ ძილი მომგვაროს,
სჯობს ცაში ყოფნა გავიხანგრძლივო...
- დაჩი** — მშვიდობით იყავ, ლალო არწივო!
- არწივი** — მშვიდობით იყავ, ხუროთმოძღვარო!



დაჩი ჩამოდის დაბლა... აცქერდება ზღუდეს

დაჩი — შენ სადღა მიხვალ, საბრალო მილიო, იქნებ ამ ციხის შემოვლას ცდილობ. კოშკზე თუ ფიქრობ ასვლას ტაატით, როდის აივლი ამ ზღუდეს მაღალს, საწყალო, სანამ კედელზე ახვალ, შენი სიკვდილის დაკრავს საათი. როგორის ტანჯვით მიჰყვები ჩეროს, სალამი შენდა, პატარა მწერო!

მლილი — სალამი დაჩი, შენ გაგიმარჯოს! ქვეყნად თუ დიდი არა მაქვს ვადა, თქვენსავით დიდი არა მაქვს მადაც, ერთ ქვაზე ვპოვებ ერთი წლის სარჩოს.

დაჩი — მოგეხმარები, ოღონდ მითხარი, ვისთვის ჯახნობ, ვისთვის იჩქარი? ვითომ შენც ხარობ ქვეყნის მშვენებით, ცას ვერ ახედავ, ისე მოკვდები, ძლიერ დაგდლიან შენ ეს ლოდები, გზას შეგიმოკლებ, მოგეშველები.

მლილი — არა, მე შენი არ მინდა შველა, სულ ერთი არი, სწრაფად, თუ ნელა, შენც საბოლოოდ იქ ხარ მომსვლელი, სადაც მე მივალ ადრე თუ გვიან, რასაც სიკვდილის სამეფო ჰქვია, სადაც თავს იყრის ქვეყნად ყოველი.

დაჩი — რამ მოგაგონა სიკვდილი ახლა, როცა სიცოცხლე მეძახის მაღლა, როცა ლაღად ვშლი ფრთებს შთაგონებით გარღუეულს რატომ მახსენებ იმ დღეს, გესმის? სიცოცხლის სიმღერას მიმღერს ეს ციხე-კოშკიც, ეს მთაგორებიც!..

მლილი — მესმის, ოსტატო! მეც მაღლა მივჭრი, თვით გამახსენე სიკვდილზე ფიქრი, როცა ჩემზე თქვი: „რა საწყალია!“ მეც შენებრ მტანჯავს ტრფობის ისარი, მეც გულის სწორის ნახვას ვიჩქარი და სიკვდილისთვის სადა მცალია! იქ მელის სატრფო, ხომ ხედავ გრილოს... მშვიდობით, დაჩი...

დაჩი — მშვიდობით, მლილო..

გაყოლებს თვალს ჩაფიქრებულს
ტრფობა აჩქარებს, მასაც გიჟური,
მლილიც ტოლს ელტვის, უბრალო მწერიც...
მარტოკა მე ვარ ჩემივე მტერი,
არც თავი მახსოვს, აღარც მიჯნური.
შორიდან ისმის ბუკის ხმა და ძაღლების ყეფა
დილიდან ისმის და აღარ წყდება



ეს ბუკის ხმა და ძაღლების ყეფა.
 ალბათ, ხელმწიფე ნადირობს ჩვენი
 და რაკი მოსვლა ადრე ინება,
 როგორც მორჩება გასეირნებას,
 უნდა გასინჯოს ქალაქის ბუკენი.
 უბირველესად აქ მოვა, ალბათ,
 თუ დავასრულებთ ამ კოშკსაც სწრაფად
 და მის წინაშე მოვხსნით ხარაჩოს,
 მჯერა ხელმწიფე მარჯვენას მიქებს...
 ზეიმზე სატრფოც გამოჩნდეს იქნებ,
 განთიადიდან მის გზას ვდარაჯობ.

შემოდის უსინათლო გელა. ცალ ხელში ფანდური აქვს, მეორე ხელში ჯოხი უპყრია და გზას მოიკვლევს. გვერდით გოლა მოჰყვება.

გოლა — აი, ამ ლოდზე ჩამოჯექ, გელა.

გელა — ჩეროში დავსხდეთ, ძალიან ცხელა.
 ვერ ვხედავ, მაგრამ ეტყობა ჩრდილით,
 მაღლა ასულა ციხის კედელი.

გოლა — შენება არი შეუწყვეტელი
 გვიან ღამით და ადრიან დილით.

გელა — არ ეკარება ჩემს თვალსაც ძილი,
 მშენებლობაში მეცა მაქვს წილი.

გოლა — შენ როგორ, გელა, შენ რითღა შეგელი?

გელა — ყოველდღე ვზივარ ამ ლოდზე მარტო,
 ფანდურის დაკვრით მშენებლებს ვართობ,
 ლამის სიმღერით გამიცვდეს ყელი.

გოლა — მშენებლობაში რაკი გაქვს წილი
 ფანდურის დაკვრით, სიმღერით ტკბილით,
 გამრჯე ყოფილხარ, დაუზარელი,
 მაგრამ ციხეზე შენი ამაგი
 თუ გასურს დაფასდეს, გახდეს სამმაგი,
 ახლავ გაუწყე ფანდურს ლარები.

გელა — დაჩიზე ლექსი გამოვთქვი ერთი,
 იმას ვიმღერებ, ჩამოჯექ გვერდით.
 აწყობს ფანდურს, უკრავს და ამღერებს

ნეტავ ქება როგორ ითქმის
 ამ თბილის ქალაქისაო,
 ზამთარი არის ბროლისა,
 ზაფხული ზურმუხტისაო...

გაისმის ბუკის ხმა და ძაღლების ყეფა. გელა გაჩუმდება და ყურს მიუგდებს

გოლა — გესმის ძაღლები გაბმით რომ ყეფენ?

სასწაულია სწორედ ნამდვილი,
 ის რაც ჩვენს ახლოს მოხდა ამ დილით...
 წამოფრენია ხოხობი მეფეს,
 გათენებისას ოდნავ მღვიძარი
 და ცად აჭრილა ფერად ყინედილად
 თურმე ხელმწიფემ, როგორც იხილა,
 თან დაადევნა ფრთოსანს ისარი.
 წამსვე ხოხობი ფრთების სავსავით



ძირს წამოსულა მძიმე ქვასავით.
 და დავარდნილა მეფის წინ მკვდარი,
 იქ, სადაც წყარო ამოსჩქეფს ცხელი,
 რომ არ დაწვოდა ხელმწიფეს ხელი,
 თურმე ხმლით მისწვდა ნაპირზე მდგარი
 და ნანადირევს როგორც დახედა,
 გაოცებისგან თურმე გახევედა.
 გონს ვერ მოეგო მეფე ერთბაშად,
 დასცქერდა ფრინველს მუხლზე დახრილი,
 ხოხობი იყო ბუმბულგაყრილი
 და ცხელ წყალს თურმე მთლად მოეხარშა.

გელა — მე ეგ ამბავი მითხრეს სხვაგვარად:
 ხელმწიფე დილით ადრე ამდგარა,
 გზა მოუვლია მცხეთიდან შორი,
 იქ, სადაც უხეფს ჰყრის ცხელი წყლის ტბორი,
 მარჯვენა მხარში ისარგაჩრილი
 თითქმის მოკლული ნანადირევი,
 ხელთ დასხლტომია ვახტანგს ირემი.
 ფეხათრეული, მძიმედ დაჭრილი,
 ძლივს შევარდნილა წყალში დგრიალით,
 ნაჭრევზე ცხელწყალ დაპყურებული,
 წყალგალმა უკვე განკურნებული,
 გარბოდა თურმე რქებჯაგნიანი.
 შემოდინ თბილისელი მოქალაქენი

- I მოქალაქე** — როგორ ამიხდა, რაც მინატრია,
 პირისპირ შევხვდი ხელმწიფეს ჩვენსას!
- II მოქ.** — ზეიმი მართებს ჩვენს ქალაქს დღესა,
 მეფე ქალაქის არის ნათლია!
- III მოქ.** — როგორ?
- II მოქ.** — არ იცით გასახარელი
 ამბავი? მეფემ ქალაქს სახელი
 დაარქვა ჩვენსას სწორედ საფერი.
- I მოქ.** — არ გამიგია მე არაფერი.
- II მოქ.** — ყური დაუგდე მაშ ჩემს მოთხოვნილს,
 ჭურში ყოფილხარ, ძმაო, ნამდვილად,
 თუ არც ეს იცი, რომ ინადირა
 თბილ წყაროებთან მეფემ ხოხობი.
- I მოქ.** — ეგ ვიცი, განა ვინ არ უწყოდა?!
- II მოქ.** — ჰოდა, თბილ წყლებთან მეფემ საზღაპროდ
 რომ ინადირა, ხელი ალაპყრო
 და თბილი წყლების გამო უწოდა
 ქალაქს თბილისი!

გოლა — მომწონს სახელი!
გელა — საფერიც არის, მარჯვედ სათქმელიც.
უხუცესი — თბილისი! გესმით? ჩვენს ქალაქს ზვიადს,
 დღეიდან ძმებო, თბილისი ჰქვია.
 და ჩვენ ვართ მისი ამშენებლები,



მისი პირველი დამშვენებლები.

(დაჩოქებს, მოხდის ქულს)

მადლი ვთქვათ, ძმებო, ღვთისა და მისი,

ვინც ამ დიდების გაგვხადა ღირსი!

ყველანი ქულმოხდილი იჩოქებენ

ყველანი — დიდება, ღმერთო! დიდება, შენდა,

ჩვენი ქალაქის ადგილის დედავ!

დიდება ჩვენს ბურჯს, ქვეყნის მტრის ლახვარს,

ვახტანგ გორგასალს, ერის წინამძღვარს:

შორიდან ისმის სიმღერა:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,

ციდან ჩამოესმა რეკა,

იალბუზზე ფეხი შედგა,

მაღლა მთებმა იწყეს ღრეკა.

I მოქ. — წავიდეთ, ხალხნო, მეფეს ვეახლოთ!

ყველანი — წავიდეთ, ჩქარა, ვეახლოთ მეფეს. გადიან.

დაჩი განაპირებული ზის დაღონებულ

უხუცესი — ჩვენს ხუროთმოძღვარს რა მოსდის ნეტავ,

გული რატომღაც სევდას მიანდო.

II მშენ. — მეც ვხედავ, მაგრამ კითხვას ვერ ვბედავ,

ყველაფერს უცქერს უხასიათოდ.

უხუცესი — დღეს დაჩის დღეა, ვამთავრებთ ზღუდეს,

უნდა მღეროდეს, რად უნდა სწუხუნდეს.

შემოდინ დიღმელი და ვარდო

ვარდო — უჰ, როგორ მცხელა, დავეცე ლამის,

ამ ჩრდილში ლოდზე დაეჯდები წამით.

დიღმელი — დაჯექი, შვილო, მეც გატყობ დაღლას,

ძლიერ ცხელოდა, ბევრი ვიარეთ...

მე კი ისედაც დავიგვიანე

და მეფეს უნდა ვეახლო ახლავ.

მათი ხმა მომდის, რომ ვუგდებ ყურსა,

მოდის და ხალხი თანმოსდევს ჯარად,

მეც მათთან ერთად აქ მოვალ ჩქარა,

ოღონდ აქედან ნუ წახვალ ნურსად.

ვარდო — აბა, უშენოდ სად წავალ, მამი,

ფეხს არ მოვიცვლი აქედან წამით.

ჯდება, დიღმელი გადის. შემოდის გახა ფეხაკრეთით. აქეთ-იქით იხედება, უახლოვდება ვარდოს.

გახა — ვარდო!

ვარდო — (თავისთვის) ოჰ, ღმერთო, ისევ ეს არი,

ლანდივით დამდევს ეს აბეზარი.

გახა — როგორც მწყერს დასდევს ცაში მიმინო,

და არ გაუშვებს თვალთაგან არსად,

დიღმიდან მოგდევ, აჩრდილის მსგავსად.

ძლივს მარტო დავრჩით, გთხოვთ, მომისმინო...

ვარდო ყურს არ უგდებს. ვითომ არ ესმის, წამოღებება და ციხისკენ მიდის.



გახა — მაღალი ღმერთი იყოს თავდებად!..

ვარდო — მაღლობა უფალს, უკვე თავდება,
როგორც ეტყობა ციხის შენება...

ღაჩი ღაინახავს, სახეგაბრწყინებული მოდის მისკენ. გახა უკან იხევს, კლდეს ეფარება.

ღაჩი — თავდება, მაგრამ ვთავლები მეცა,
მოწმეა თავათ მაღალი ზეცა,
აღარ მაქვს ძილი და მოსვენება,
შენი ლოდინით და შენი ფიქრით.

ვარდო — აგრე რომ იყოს, გზა იცი ჩვენი,
წინათ დიდმისკენ მოჰქროდი ფრენით,
ახლა კი ფეხსაც აღარ დგამ იქით.

ღაჩი — თვალს არ მისწორებ, ვხედავ, მემღური,
გულს მიკლავს კარგო, ეგ საყვედური.
თუმც შენი ნახვა მწადდა ძალიან,
და შენსკენ მქონდა თვალი და ყური,
მხრებზე დამაწვა საქმე საშური,
ერთი წუთითაც არა მცალია.
მეფეს ველოდით, მოსვლა ენება,
საჩქარო იყო ციხის შენება,
რომ დახვედროდა დამთავრებული
ხელმწიფეს ჩვენი ქალაქის ზღუდე.
მაგრამ რა, საქმეს გულს ვეღარ ვუდებ,
დავიარები, ვით მთვარეული,
დღედაღამ შენი ნახვის მნატვრელი,
ლამის გამიქრეს თვალში ნათელი.

ვარდო — გულით არ ამბობ და მეც არ მჯერა,
როდესაც საქმე არ მოსდევს სიტყვას,
შენ ჩემზე მეტად ეგ ციხე გიყვარს,
თუნდ შემომფიცო ხატზე ასჯერაც.

უხუცესი — შეხედეთ, ჩვენი ხუროთმოძღვარი
როგორ ყლურტულეებს საქმეს მომცდარი.
თურმე ის ჯაგრი, სულ რომ თან სდევდა,
დარდი ყოფილა ლამაზ ქალისა,
მისმა დანახვამ გაახალისა
და გაუფანტა უმაღვე სევდა.
(შემოდის დედა)

დედა — (შეხებულებს): ციხის მშენებლებს მშვიდობის დილა,
ბარაქა ჰქონდეს მარჯვენას თქვენსას!
ხუროთმოძღვარი ვერ ვნახე ვერსად,
თუმც გავიკითხე გზადაგზა წვრილად.
ხელმწიფეს ფეხად გამოვასწარი,
თვითონ გაჩნდება აქ, სადაც არი,
და რომ მას ღაჩი არ შეეგებოს,
საქმე იქნება გაუგონარი...

უხუცესი — აგერ, აქ არი ხუროთმოძღვარი.

დედა — (თავისთვის) ჩემი ცხოვრების ოქროს ნერგებო,
მაღლობა ღმერთს, რომ კვლავ ერთად გხედავთ,



როდის იქნება, მოვესწრო, ნეტავ,
დავარწო თქვენი შვილის აკვანი!...

დაჩი — (ვარდოს) აბნეული მაქვს მე გზა და კვალი,
ასეთ ყოფას სჯობს სიკვდილი ჩემთვის.
ან ახლავ მომეც პირობა შერთვის,
ან მითხარ „არა“ და თვით ვეცდები,
ალარსად გნახო! გზად არ დაგხვდები,
მეფეს სინდეთში ლაშქრად გაეყვები
და სამშობლოდან გადვიხვეწები.

ისმის მოახლოებული სიმღერის გუგუნი. შემობრბიან დაწინაურებული მეფის მსლებლები
ძახილით:

— მეფე მოდის!

— მეფე მობრძანდება!

— მეფეს დიდება!

დაჩი შემობრუნდება და დაინახავს დედას

დაჩი — აქა ხარ, დედა?

დედა — აქა ვარ, შვილო!

ამ წუთს მოვადექვ გალავნის გრილოს,
მიტომ წამოველ სწრაფად ამ მხარეს,
რომ შენთვის მეტქვა მეფის წადილი —
ციხის ნახვა სურს მეფეს ამ დილით,
მაგრამ შენ მისი მოსვლაც გახარეს.

უხუცესი — ხუროთმოძღვარო, ჩვენ უკვე მოვრჩით
და გვინდა შენი ბრძანების მორჩილით,
მოვხსნათ ხარაჩო ციხე-გალავანს.

II მშენ. — უკვე სრულეყავით ზღუდის შენება
და თუ მეფისთვის გინდა ჩვენება,
აჩვენე, გეტყვით დაუფარავად.
ხარაჩოს მოხსნის ჩვენც ვართ მომხრენი.

დაჩი — (უვალოდ): რაკი ავრე გსურთ, დაე მოხსენით!..

შემოდინ მეფე, ბაკურ ციხისთავი, მეფის ამაღლა, თბილისელი მოქალაქეები. მშენებლები
ხსნიან ხარაჩოებს. მეფე ალტაცებით შეჰყურებს ციხეს.

ვახტანგი — აჰა, სრულქმნილა, რაც მინატრია,
რა მტკიცე არი, რა ზვიადია!

დაჩი დაჩოქებს და ქუდმოხდილი ესალმება მეფეს.

დაჩი — დიდება მეფეს, ვახტანგს უძლეველს
მშენებლები იჩოქებენ და ერთხმად შეჰლაღლებენ:

— დიდება მეფეს, ხელმწიფეს მგელ-ლომს!

ვახტანგი — (თავისთვის) მყარი ციხეა, გაუძლებს გრძელ ომს,
მეტოქეობას ვერ გაუწევენ
მას ციხეები აღრე ნაშენი...
მაღალი ზღუდე მაღალ მთას შვენის!
მოუბრუნდება ციხისთავს

და ციხისთავო, ციხისთაობა

შენც ახლა გშვენის

(მშენებლებს) არ ვიცი ზომა,

რით დავაფასო დღეს თქვენი შრომა,
მაგრამ თქვენ შვილთა გმირი თაობა



ღირსეულს უზღავს თქვენს თავდადებას,
 ძეგლს დაგიდგამენ თბილისის ძენი,
 შარავანდედი არ გაგიჭრებათ,
 ქვეყნად ქართველი სანამ იქნება,
 მანამ დიდებაც იქნება თქვენი.

ღაჩი და მშენებლები —

მადლობა მეფეს, ვახტანგს დიდება!
 დე დიდხანს იდგეს ციხე ურღვევად!
 მიიწვიენ ჩოქვით მეფის კალთის სამთხვევად.

ვახტანგი — წესია, გვმართებს ციხის კურთხევა,
 ლხინის მიზეზიც უნდა ასეთი!
 მაგრამ ერთ დღესაც არ ძალმიძს დაცდა,
 ახლაც მეახლა შიკრიკი სპარსთა,
 სალაშქროდ მიხმობს შაჰი სპარსეთის.
 რას უზამ ეშმაკს, ღმერთი დალაზვრავს,
 ახლა მოუნდა სინდის დალაშქვრა.

ციხისთავი — ჩვენ ხომ გვიახლებ, მეფევ ბატონო!

ვახტანგი — ვერა, შენ მიზეზს თვითონ მიხვდები,
 სანამ ქართლიდან მე შორს ვიქნები,
 ამ ქალაქს უნდა შენ უბატრონო.
 თორემ ხომ იცი მზირის გუნება,
 როცა ხელმწიფე შორს ეგულება,
 მაშინ წამოვა მცხეთაზე სამტროდ.
 და რომ იქუხებს გრგვინვა მჭექარი,
 თქვენ უნდა იდგეთ, როგორც კლდეკარი,
 ქართლს იხსნის თქვენი გმირობა ამ დროს.
 აღაპრობს ხელებს

ღმერთმა აშოროს ხალხს დანაკლისი,
 გადაიხადეთ ხვალ პარაკლისი,
 აკურთხეთ ციხე, გამართეთ ლხინი,
 დალოცეთ ფუძე პურით და ღვინით.
 მე კი წასვლის წინ მინდა ვიდროვო,
 ხუროთმოძღვარი დავაჯილდოვო!
 (ღაჩის)

ჩემი მეფური სიტყვით ვკისრულობ,
 რაც უნდა მთხოვო, მსწრაფლ ავისრულობ!

ღაჩი — ქება მეფისა მე მიღირს მეტად,
 ვიდრე წყალობა მისი ყოველი,
 მე სხვის არაფრის არ ვარ მთხოვნელი,
 მეფის წინაშე ერთ თხოვნას ვბედავ:
 ჩემი ხმალ-მკლავის სიმტკიცეც სინჯეთ,
 მეც წამიყვანეთ სალაშქროდ სინდეთს.
 გახა გამოცოცხლდება, ვარღო შეპკივლებს.

ვარდო — ვაი, რას ამბობ?!
 მიეყრდნობა მამის მკერდს ქვითინით.

დიღმელი — რა იყო, შვილო,
 რა დაგემართა, ცრემლი რადა გდის?



ვახტანგი — ქვეყნის წინაშე ვალის გადახდის
სურვილით ამბობ, მეფისთვის ცდილობ,
მაგრამ თუ ჰკითხე დედას ნებართვა,
მან სამი ვაჟი გაზარდა გმირად,
სამივე მამულს და მე შემომწირა.
მას ჩვენი ვალი აღარ ემართა.
მოუბრუნდება დედას

რას იტყვის დედა?

ვარლო მიიჭრება დედასთან და ქეთინით ჩაეკრობა.

დედა — (ვარლოს) ნუ სტირი, კმარა...

მეფევე, ამ შეილსაც იმ სამის დარად,
სამშობლოს ჭირის სანაცვლოდ ვზრდიდი,
ოთხი შეილისგან ეს დამრჩა კენტად
და თუმცა უმძიმს დედის გულს მეტად,
სამშობლო არის ყველაზე დიდი —
და უნდა ვიყო მართლა უწყალო,
შვილს მისთვის გარჯა რომ დავუშალო.
იახლე, მეფევე! ეს შევილიც შენდა
ზვარაკად იყოს ჩემგან გაზრდილი...

ვახტანგი — იკურთხოს შენი წმინდა მანდილი,

ქვეყნის იმედო, ქართველო დედავ!
როდესაც კითხვით მოგმართე წელან,
არც მოველოდი სხვა პასუხს შენგან.
მე რომ დღეში ვარ, მტერს არ ვუსურვებ,
უნდა გავტეხო მეფური აღთქმა,
თუნდ თქვენთან ერთად გამოვიცხოს ხალხმა,
თქვენს შვილს ამ თხოვნას ვერ ავუსრულებ.

ვარლო გახარებული გამოიხედავს. გახა შუბლს შეიკრავს.

როცა მტერია კარზე მომდგარი,
სამშობლოს ბევრი ჰყავს მეომარი
და ცხარე ომში ერთი რომ კვდება,
მის ნაცვლად მწყობრში მეორე დგება.
დაჩიმ თხოვნისთვის თუმც დრო მიხელთა,
მაგრამ ხომ უნდა ითქვას მართალი,
ქართლში არვინ გვყავს მისი ბადალი
ამშენებელი ქალაქ-ციხეთა.
მტერმა რომ დაჩის დაჰკრას ისარი,
მისი შემცვლელი არავინ არი.

ყველანი — (მხოლოდ გახა სდუმს) დაჩის შემცვლელი არავინ არა!

ვახტანგი — ჰოდა, თქვენც რაკი ესა გაქვთ აზრად,

ამით გათავდეს, აქ დარჩეს იგი,
ციხის კურთხევის გააწყოს რიგი
და ამ თხოვნაზე სიტყვაც არ დაძრას.

ვარლო — (მიდის დაჩისკენ): დაჩი, ხომ დარჩი! რა მიხარია!

დაჩი — მაშ თანახმა ხარ?

ვარლო — კარგი ხანია!..

მხოლოდ მამისთვის მიმძიმს გამხელა.



ვახტანგი — ხვალვე აკურთხეთ ქალაქის ზღუდე,
 მისი სახელი საქვეყნოდ ჰქუხდეს,
 ქალაქს თბილისი ერქვას სახელად.

ყველანი — დიდება მეფეს!
 მეფეს დიდება!

ვახტანგი — მალე თბილისის მზე გაბრწყინდება
 თქვენი გმირობით და თქვენი შრომით..
 დრო არი, უკვე, მივდივარ ლაშქარად,
 იფხიზლეთ, მტერი გარს ბევრი გაკრავთ,
 ისევ მენახოთ მალე მშვიდობით!

ყველანი — მშვიდობა მეფეს! დიდება მეფეს!

სურათი II

ღამე ციხის წინ. გაჩირადნებულ სუფრას უსხედან თბილისელი მოქალაქენი, მშენებლები. მათ შორის ციხისთავი, დიდმელი, ვარდო. ხისქვეშ, მწვანეზე გაშლილ სუფრას უზის დედა. გულაღმა წამოწოლილ დაჩის თავი დედის კალთაში უდევს და მალა ცას შეკყურებს.

ციხისთავი — რაკი ვაკურთხეთ ციხე-ქალაქი,
 და სადღეგრძელოც შევსვით დიდებით,
 ღმერთს შევავედროთ მისი მკვიდრებიც,
 მათი გმირობით, მათი ბარაქით.
 დღეგრძელი იყვნენ თბილისელები —
 ქალაქის მკვიდრნი, ციხის მცველები..

დიდმელი — თქვენ რომ აქა ხართ, დიდომს კი არა,
 თქვენი იმედი მცხეთას ამხნევებს,
 შებერებოდეთ ამ მთებს, ამ ხევებს,
 მათი სიმტკიცის იყოთ ზიარად.
 ვიდრე მზე ნათობს, მტკვარი დის ვიდრე,
 სიცოცხლე ჰქონდეთ თბილისის მკვიდრებს.

ყველანი — დიდება თბილისს!
 ვაშა, დიდმელო!..

ციხისთავი — აბა, ბიჭებო, ახლა ვიმღეროთ!
 ცა ჩამოვიდოთ, შევეძრათ უკუნი,
 ვარსკვლავებს მისწვდეს ჩვენი გუგუნი.
 მღერიან

დაჩი — ნუ ჩამომართმევ, დედავ, ქაღილად,
 და ნურც მიიღებ შვილისგან კვენხნად,
 ბედნიერება თუ არის ქვეყნად
 დღეს ბედნიერი მეც ვარ ნამდვილად.
 განა თვით მეფემ არ თქვა მართალი,
 რომ ამ ჩვენს ციხეს არ ჰყავს ბადალი?

დედა — მეფეს არ უყვარს ტყუილად ქება,
 ვახტანგმა იცის ციხეთა ყადრი...
 ძლივს გაგიტეხა ხელმწიფემ ხათრი,
 გულით რომ სთხოვე ლაშქარში ხლება.
 მე რომ მომმართა, გულს მეცა ელდა,
 იმ წუთში თითქო თვალთ დამიბნელდა.



ამიცაცხანდა მუხლიც, ბაგენიც,
 და თუმც მერჩია ენის გახმოზა,
 შენი თანხლების მივეც თანხმოზა,
 სათქმელი სიტყვა ძლივს მივაგენი.
 რა ექნა, მეწოდა სიმწრით გულმკერდი,
 მაგრამ შვილს მეფეს ვით დაუშუქერდი.
 მამული არი ბატონ-პატრონი
 შვილთა ჩვენთა და გაზრდილთა ჩვენთა,
 შენ წახვიდოდი მშობლების ერთა,
 ჩვენ დავრჩებოდით მარტოდმარტონი.
 გვრჩებოდა ცრემლი და ღამის ტეხა,
 არ გვიტოვებდი ბაღს მამის ფეხად...
 რა სჯობს ბარტყებით ავსებულ ბუდეს,
 ერთადერთ თხოვნას შეგთხოვ რა ხანი, —
 დამარწვევინე შვილის აკვანი
 და მერე წადი, საითაც ვსურდეს.

დაჩი — ეხ, დედავ!

დედა — ოხრაე? ვიცი ყოველი,
 რა არის დედის შეუტყობელი!
 ვხედავდი, როგორ მოსწყდა ფიცხლად და
 მკერდში ჩამეკრა დიდმელის ქალი,
 სავსე რად ჰქონდა ცრემლებით თვალი,
 შენი ლაშქრობა რად შეიცხადა.
 რად არ მითხარი, შვილო, მანამდის,
 შენ ხომ არაფერს არ მიმაღავდი.

დაჩი — რა უნდა მეთქვა ვისმესთვის, დედავ,
 როდესაც შიში და ფიქრი მღევდა,
 ვაჰ თუ მითხრას-თქო სატრფომ უარი,
 ამიტომ ვსდუმდი და ახლა, როცა
 დიდმელის ქალმა თანხმოზა მომცა,
 რაღა მაქვს თქვენი მოსატყუარი!

დედა — ხელს რაღა გიშლით, თუ ეგრე არი,
 იქნება მალე დაგწეროთ ჯვარი.

დაჩი — ქალის დედ-მამამ არ იცის ჯერაც...

დედა — მამ მე მომანდეთ გამხელა ამის,
 ფიქრი არა მაქვს დედის და მამის,
 უარს არ მეტყვის დიდმელი, მჯერა.

დაჩი — ვერ გიბედავდი, ვარჩევდი დუმეილს,
 თუმც მქონდა შენი იმედი ჩუმი.
 შენ გაუმხილო დიდმელს იქნება,
 რომ მისი ქალის შერთვას ვაპირებ.

დედა — როგორც კი მარტო გავინაპირებ,
 ყველაფერს ვეტყვი, ნუ გეფიქრება,
 მიდის დიდმელისკენ

ციხისთავი — ღვინის სმაში და პურის ჭამაში
 ლხინს შევენის, ხალხნო, ცეკვა-თამაში.
 დაცხეთ, ბიჭებო, გახურდეს დოლი,

რომ ყრუანტელი მოგვევაროს ტანში,
წრედ გავიშალოთ, ავაწყოთ ტაში,
და მოედანზე ტოლს მიჰყვეს ტოლი.

ყველანი დგებიან. ხურდება დოლი და ტაში. ახალგაზრდა ვაჟი გამოითამაშებს ქალს, ვაჟი რომ ჩერდება, ქალი მეორე ჩამოვლაზე ცეკვით მიდის დაჩისკენ. დაჩი მიჰყვება ცეკვით, ახლა ქალი ჩერდება. დაჩი ვარდოს გამოითამაშებს. ვარდო შედის წრეში ცეკვით. მათი ცეკვის განმავლობაში ციხისთავი, დიღმელი და დედა საუბრობდნენ.

დიღმელი — როგორ მიუბრბის, თითქოს შევლია,
ერთი მეორეს როგორ შევნიან.

დედა — ჰოდა მათ სურვილს ჩვენც მივცეთ მხარი,
არა ღირს დიდხანს გადასადებად,
დროზე ქორწილით რა დაშავდება,
დღეისწორისთვის დავწეროთ ჯგარი.

დიღმელი — მე დიდად ვხარობ, როგორც ვითხარი,
მხოლოდ არა ვარ მომხრე სიჩქარის.
მეც კაცი მქვია, მეც მყავს მოყვრები,
და სამზადისი მმართებს ორწილი,
თუ არ გავაწყე მზითვიც, ქორწილიც,
ისე მაყრიონს ვერ გამოვყვები.
კოშკიდან ისმის გუშაგების გადაძახილი.

I გუშაგი — ეპეი, რა მოხდა?

II გუშაგი — სათვალთვალზე ცეცხლის ალია!

ციხისთავი — (შეშფოთებული): რა? კოშკებზე არის ნიშანი?
შემორბის აქოშინებული მაცნე.

მაცნე — თბილისისაკენ ჯარი მტრისანი
მოდის ურიცხვი, როგორც კალია.
დაეცემა. მიცვივდებიან მოსაბრუნებლად.

ციხისთავი — ხალხნო, მტრის ჯარის დახვედრა გგმართებს,
როგორც შეჰფერის ვახტანგის მართვებს.
ეგებ ხანგრძლივი ალყაც მოგველის
და რომ მტერს მტკიცედ დავხვდეთ კლდის დარად,
უნდა დავხიზნოთ ციხეში ჩქარა
დიდიც, პატარაც, საზრდოც ყოველი.

დიღმელი — მე წავალ, ბაკურ, მომგვარონ ცხენი.

ციხისთავი — იქნებ აქ სჯობდეს დარჩენა თქვენი.

დიღმელი — არა, პატრონი უნდა დილომსაც,
არ გვაკრავს თქვენებრ მყარი კედლები,
მეც ჩემს ციხეში ჩავიკეტები
და ხალხს მივხედავ მცხეთის მიმდგომსა.

დაჩი — (ვარდოს) ღამე ბნელია, ვზა საშიშარი,
ხალხი ციხეში ასვლას იჩქარის,
ამ დროს ციხიდან არავინ წავა,
აქ როგორ დავრჩე უშენოდ, მარტო,
დარჩენის ნება შენ მაინც დავართოს,
თუ მამაშენი არ რჩება თავათ.

ვარდო — არა, დარჩენა რა სათქმელია,
შინ მოუთმენლად, ალბათ, გველიან.



უნდა წავიდე, მაგრამ რა გულით,
სულ უნდა ვიყო ფიქრში, კანკალში,
შენ აქ იქნები — მტრების ალყაში,
მე — შენგან სადღაც შორს დაკარგული.
შენთვის აღვაკლენ ლოცვას მხურვალეს,
ნახვამდის, დაჩი...

დაჩი — გნახავ სულ მალე,
გზა რომ გადაჭრან, დასწვან ხიდები,
ალყა რომ მერტყვას გაასკეცებით,
შენს შეხვედრას და ნახვას ვეცდები,
ჩიტივით შენსკენ გადმოვფრინდები.

ეხვევა, ვარდო დაინახავს მათკენ მომავალ დედას და გაუსხლტება, დაჩი გარბის ციხისკენ.

დედა — აჩქარდით, შვილო, რაკი არ იშლით!
ვარდო — მივდივართ, ჩვენი ნუ გედარდებათ!
მშვიდობით გნახეთ..

დედა — მშვიდობით, შვილო!
(დედა და ვარდო გადიან სხვადასხვა მხრით. ვარდოს წინ გადაუღვება გახა)

გახა — გთხოვ დაივიწყო წყენა ყოველი,
შენთან ვარ მხოლოდ ერთის მთხოვნელი,
რომ საბოლოო დღეს დასდო მსჯავრი
ჩემს ცხოვრებას და ბედიღბალს ჩემსას,
ან შემიბრალო და დამხსნა ცრემლსა,
ან არ დამინდო და მომკლა ჯავრით.
თუ „არას“ მეტყვი, ვიცი ეგ „არა“
ქვეყნის მტრად გამხდის და გარეწარად.
მაგრამ თუ დაგცდა ჩემი დასტური,
თუ შეერთდება ჩვენი ფიქრები,
მეც ჩემი ხალხის გმირი ვიქნები,
მეც მხსურება ქუდი კაცური.

ვარდო — პასუხი ჩემი შენ უკვე იცი,
სხვა მიყვარს, მე სხვას ვეკუთვნი ფიცით.

გახა — საბოლოოა ეგ მსჯავრი შენი?
თუ მალე ჩემი ამაღლდა ბჭენი,
თუ გავხდი ბატონ-პატრონი დიდმის
და გამგებელი სრულიად ქართლის,
მაშინაც ასე უღირსად ჩამთვლი?
კარგად განსაჯე, გონების სიღრმით..

ვარდო — ჩემი პასუხი ისევ ეგ არის, —
დასანახად მძულს კაცი შენგვარი,
ორპირები და შენებრ მრუდები.
შურით, ბოროტით სავსე ავსული,
რომ მეფის ტახტზეც გნახო ასული,
უფრო ზურგს გაქცევ და შემძულდები.

გახა — თბილისი ცეცხლში თუ დაინთქმება,
რაც ნებით არ გასურს ძალით იქნება —
ჩემს მობრუნებას გვიან ეცდები,

აღერსით შეცვლი დღევანდელ წყევლას,
 ხარჭად წაგიყვან, დაგისვამ მხველად,
 კალთაზე მთხვევას შემეხვეწები.

ვარდო — ეგ არ იქნება, ეგ არ მოხდება!

გახა — მოხდება და შიგ გულში მოგხვედება
 შურისძიების მწვავე ისარი, —
 თბილისის ნგრევად მტრების შემკრები,
 დაჩის ცხედარზე ფეხით შევდგები,
 მისივე სისხლით ნაჭეიფარი.

გარბის

ვარდო — ო, ღმერთმა ნუ ჰქნას! საით, მზაკვარო!
 ვაი, თუ მართლა მტერი ახაროს
 და განიზრახოს ხალხის ზიანი,
 თუ გადასწყვიტა გაყიდვა ქართლის,
 მე ამ ღალატის მიზეზად ჩამთვლის
 და ბოროტების ვხდები ზიარი...
 გახა, შეჩერდი!.. (გარბის)
 შემორბის ბაკურ ციხისთავი

ციხისთავი — ხალხო, ისწრაფეთ, ციხისკენ ჩქარა,
 სანამდის მტერი მოგვერტყმის ჯარად.
 ძმებო, შევწიროთ უფალს მადლობა,
 და ვით თბილისის პირველ ომს შვენის,
 მომხდურს ვაჩვენოთ სიმტკიცე ჩვენი,
 გადავიხადოთ სისხლით ნათლობა.

გააძრობს ხმალს, სხვებიც იშვიშვლებენ ხმლებს, ისმის ბუქნადარის ხმა. ხალხი შერბის ციხეში.

უ ა რ დ ა

მოქმედება II

სურათი III

ხანის კარავი ალყის უკან. ალყის წინ, ღრმა თხრილებს იქით მოჩანს თბილისის ციხე-გალავანი.

ხანი — ბოლო არ უჩანს ქლეტვას და ხოცვას,
 დიდხანს გაგრძელდა ეს გარემოცვა,
 სანამ ზურგში მყავს ძლიერი ჯარი,
 მანამ მცხეთისკენ ვერ დავიძრები,
 ქალაქს იცავენ დღელამ მღვიძრები
 და აღარ იქნა შეტეხვა კარის.
 თითქო ტინს სცემდეს ძლიერი ტალღა,
 ვერაფერს ვაკლებთ თბილისის ზღუდეს,
 ვახ, თუ ვახტანგი მალე დაბრუნდეს,
 ვერ გავაგრძელებ დიდხანს ამ ალყას.

სარდალი — გურჯთავან ციხის მტკიცედ შენება
 მბრძანებელს უკეთ მოეხსენება.



მაგრამ რომ ისხდნენ გურჯინი რკინაშიც,
ირგვლივ კედლებიც რომ ერთყაით ფარად,
მინც გატყდება თბილისი ჩქარა
და დაემხოზა თქვენს ფერხთ წინაშე.

ხანი — მაგის ნიშანი ჯერ არ ეტყობა.

სარდალი — ის ხვალ თუ არა, ზევ დაემხოზა,
ოღონდ გარედან ხელი შევეუწყოთ,
საშველს ნუ მივცემთ, ვით სიკვდილ მისჯილთ,
და თუ ჯერ კიდევ უძლებენ შიმშილს,
გაუძნელდებით გაძლება უწყლოდ.

ხანი — შენა გგონია, წყალიც მოაკლდათ?

სარდალი — ნატვრად ექნებათ ცვარიც მომაკვდავთ,
იქ წყლის შემტანი არავენ არი,
სულ რომ ყველანი იქნენ ჩიტებად,
ჩიტიც ვერსაით გადაფრინდება,
ციხეს მოვარტყით ალყა იმგვარი.

ხანი — მე ციხისთავზე დიდად ვარ მწყრალი,
მაგრამ თუ მართლა არა აქვს წყალი,
ღვინოს თუ ნატრობს მოსალხენადა,
დიდსულოვნება ვაჩვენოთ ჩვენი,
მას შევეუგზავნოთ მცირედი ძღვენი —
კახური ღვინო, ერთი ხელადა.

ვაზირი — ძლიერმა ხანმა რაკი ინება,
ახლავ ასრულდეს, კარგი იქნება.
ჰეი, მერიქიფევ, აუვსე ღვინით
ხელადა ციხის მცველებს მოზრდილი,
ხანი უგზავნით ძღვევამოსილი,
რომ გაუხელდეთ წყურვილის ყინი.
მერიქიფე ავსებს ხელადას.

კარგად დაუცე ხელადას ყელი,
ციხისკენ უნდა გავტყორცნოთ ხელით..
კარგია... — ახლა ნაჭრები რბილად
შემოვახვიოთ ვით სამოსელი (ახვევენ).
კმარა! წამოდგეს მარჯვედ მტყორცნელი
და ციხისაკენ ისროლოს ფრთხილად.

წამოდგება ბუმბერაზი ვაჟაკი. ხელებს დაიკაპიწებს და გასტყორცნის ხელადას ციხისკენ. ხანი და ყველანი წამოიშლებიან, გაჰყურებენ ციხისკენ სმენად და ხედვად ქვეუღებია.

ხანი — როგორ ავარდა ბურთივით მაღლა!

ვაზირი — ნამდვილად ცლიან ხელადას ახლა.

სარდალი — ვინ იცის, იქნებ, ხელადას წამით
ხელიც არ ახლონ მოწამელის შიშით.

ხანი — ალბათ სტაცებენ ერთმანეთს პირში,
მწყურვალეებს ფიქრი სადღა აქვთ შხამის.

მაგრამ ეს რაა (დაიხეხს უკან, ყველანი უკან იხვევენ. მათ წინ ეცემა ციხიდან გა-
შტყორცნილი ცოცხალი თევზი)

ღმერთო, ძლიერო,

თევზი გვესროლეს სამაგიერო?!

იხვევიან ცოცხალ თევზს და გაოცებული აცქერდებიან.



ვაზირი — ჯერ ცოცხალია, სველია ისევ,
ჩანს დაქერილი არის ახალი!
ხმელეთზე ისე გააქვს ფართხალი,
თითქოს კვლავ ცივი ტალღისკენ იწევს.

ხანი — (ვანისხეხული):
ახლა რას იტყვი, სარდალო ჩემო,
იქნება თევზის გასინჯო გემო!
ციხისთვის მარჯვედ' ვერ გიბრძოლია,
რასაც ამბობდი არაკებია,
მათ არაფერი არა კლებიათ,
წყალში ცოცხალი თევზიც ჰყოლიათ.

სარდალი — სასწაულს ჰგავს და მაინც არ მჯერა.
თუგინდ ამკუწონ ნაქერ-ნაქერად.
ციხეს მოვარტყი ალყა ორმაგი,
მოვწყვიტე წყალს და დანარჩენ ხმელეთს
კახეთშიც სისხლი ვადინე ღელედ,
რომ არ გაუჩნდეს თბილისს ჭომავი.

ხანი — კმარა! ეგ სიტყვით არის აღვილი,
მაგრამ ვერ გასტეხს ციხეს ქადილი.
რაკი შენ ამბობ, მართლა გგონია,
არ ჰქონდეთ წყალი, ნატრობდნენ ლუკმას,
მაგრამ ხომ ხედავ, ტრაბახობ უქმად,
წყალი კი არა თევზიც ჰქონიათ.

სარდალი — თუ არ შემრისხავს მე უძლეველი,
კვადრებ — ეგ არის შეუძლებელი,
მე მაგ ცოცხალი თევზის არ მჯერა.

ხანი — უარყოფ, რასაც მე თვითონ ვხედავ?
თუ არ ხარ ბრმა და ამის თქმას ბედავ,
აუტანიხარ სარდალო წერას.

სარდალი — ძლიერო ხანო...

ხანი — გიკრძალავ მკაცრად,
ამაზე მეტი სიტყვაც არ დაძრა,
თავის მართლება არ მინდა შენი,
საქმით შავი ხარ, სიტყვით ცბიერი.
მე თვით დავიწყებ ციხის იერიშს,
რომ ჩქარა დავსცე თბილისის ბეჭნი.
გარედან ისმის ყვირილი: ვაი, ხელი... ვაიმე... ხმაური გრძელდება.

ხანი — რა ამბავია, რა ყაყანია?
ხანის მცველებს შემოპყავთ ხელბეჭერილი გახა.

მცველი — ძლიერო ხანო, კარგი ხანია,
ბანაკის ახლოს მოხეტიალე
ეს კაცი დადის მარტო, ვით მთვრალი,
თქვენნი კარისკენ უჭირავს თვალი
და შორით უვლის ოხერტიალი.

ხანი — სადაღურია, ვინ არის ურჩი?

გახა — აქაური ვარ, დიდმელი გურჯი.
თქვენს სამსახურად ნებით მოსული,



დავეხეტები კარიდან კარად,
 უბრძანე, ხელი გამიხსნან ჩქარა,
 ციხის ჯავრი მაქვს გარემოცულის.

ხანი — ჯერ ქართველთაგან ნებით არავის
 მოუძებნია ჩემი კარავი

და თუ მიზნად ვაქვს ეს დასახული,
 ჩვენი შეწევნა შენს კისრად იდო,
 წყალობან მრავალს მიიღებ ჯილდოდ.
 დაგიფასდება ეგ სამსახური.

გახა — უბრძანეთ, ჩქარა გამიხსნან ხელი,
 თქვენთან პირისპირ დარჩენას ველი.

ხანი — (მცველს) გაუხსენ ხელი (მცველები უხსნიან ხელს)
 დაგვტოვოს ყველამ.

(ყველანი გადაიან)

ჩამოჯექ, გურჯო, აგერ, ჩემს გვერდით.

გახა — ქვეყნის მპყრობელ ხანს წყალობდეს ღმერთი,
 თქვენს სამსახურში ვხედავ ჩემს შველას.

მეცა მაქვს ჯავრი თბილისის ციხის
 და უფრო ერთი მეციხოვნისა,
 მინდა ეს გითხრათ აღრე ყოვლისა —
 თბილისი დღემდე ქედს რად არ იხრის.

ხანი — თქვი, ვით გვიძლებენ, რა აბადიათ?

გახა — იქ არც მეფეა, არც თავადია,
 ციხეს იცავენ მოქალაქენი,
 ქვისმთლელები და ხით ხუროები,
 დღეს რომ შესცვალეს ხმლით უროები.

ხანი — საკვირველია მათი საქმენი!
 რათ არ ტყდებიან, ჩქარა მითხარი.

გახა — საზრდო აღარ აქვთ არავითარი,
 მაგრამ წყალი აქვთ...

ხანი — წყალი? საიდან?

გახა — ციხეს ხვრელი აქვს სადღაც შორს, მტკვართან,
 ეს საიდუმლო მათგან ორს გარდა
 არვინ იცის და ვერცვინ გაიტანს.

ხანი — ორი ვინ არის?

გახა — ხანი მიხვდება,
 რომ ბაკურს ხვრელი ეცოდინება,
 ხოლო მეორე მცოდნე იმ ხვრელის
 მისი ვაჟია — ციხის ამგები,
 ის ხვრელი კლდეში რაღაც განგებით
 მას გაუთხრია თავისი ხელით.
 ჰოდა ის შვილი ციხისთავისა
 ჩემს საცოლეს სთვლის უკვე თავისად.
 არ ჩამომეხსნა სამტროდ მომდგარი,
 გზა აღარ მომცა და აი, ბოლოც —
 ჩვენს ორში ერთი იცოცხლებს მხოლოდ,
 ან მე, ან დაჩი ხუროთმოძღვარი!

ხანს სურს შელევწოს კარნი მტრისანი,
 ახლა ეს არი ჩემი მიზანიც —
 თბილისის ციხის თლილი ლოდები
 ვაქციო მტკვარზე გაფანტულ რიყედ,
 შენ გაასწორებ მიწასთან ციხეს,
 მე ციხის ამგებს გავუსწორდები.

ხანი — უნდა ჩავახრჩო სისხლში ძაღლები!

გახა — ერთადერთი გზა ციხის აღების
 არის იმ ხერელის კვალის მიგნება,
 წყალს რომ მოვუსპობთ, უწყლოდ დარჩენილთ
 სულ მალე გასტეხთ რისხვა გამჩენის,
 ალყის გამძღები არვინ იქნება.

ხანი — შენ იმ ხერელის კვალს როგორ მიაგნებ?

გახა — მე დაჩის ჯავრი მაფორიაქებს,
 ვფიქრობ ნამდვილად ავიღე გეში —
 თურმე საცოლეს აცნობა თავათ,
 რომ საიდუმლოდ ციხიდან გავა
 და სატრფოს ნახავს ამ ორ-სამ დღეში.
 ჩავუსაფრდები საცოლის სახლთან
 და თუ ეს ჩემი გუმანი ახდა,
 არ შევებმები რაგინდ ვღელავდე,
 იქ არ გავხდები მეტოქის მკვლელი,
 რომ საიდუმლო შევიტყო ხერელის,
 უკან მივყვები ჩუმად ხერელამდე.

ხანი — მოსაწონია განზრახვა შენი
 და თუ ასრულდა, თბილისის დღენიც
 დათვლილა, როგორც შენი მოცილის,
 უამი რომ დაჰკრავს ციხის აღების,
 მშენებელს დაფლავს მისი თაღები
 და ეს იქნება შენი ქორწილიც.
 ბედით მოსულხარ თუ უბედობით,
 მე შენს ვაჟკაცურ სიტყვას ვენდობი.
 აჰა, მეფურ ხელს გიწვდი გულწრფელად.
 ნურც შენ იფიქრებ უკან დახევას,
 და თუგინდ მთხოვდე ქართლის ნახევარს,
 ჯილდოს მიიღებ სიტყვის უთქმელად.

გახა — ჩემი ჯილდოსთვის არ გაგრჯით დიდად,
 მე ჯილდოდ დაჩის საცოლე მინდა,
 ერთი პატარა დიდმელი ქალი.

ხანი — ქალით და კაცით, ტყითა და ველით,
 შენი იქნება დიღომი მთელი,
 ოღონდ წყლის ხერელის იბოვე კვალი.

გახა — ხანო, მაგაზე ნუ გეფიქრება.
 როგორც აღვითქვი, ისე იქნება,
 მხოლოდ მაახლე რაზმი მცირედი,
 როცა მტერს სადმე ჩავესაფრები,



მინდა თან ახლო მყავდეს ჩაფრები,
რომ ჭირში მქონდეს მათი იმედი.

ხანი — შენ ოღონდ ციხის იპოვე ხვრელი
და თუნდ ლაშქარი იახლე მთელი.
ჰეი, მანდ ვინ ხართ?

შემოდის ვაზირი, უკან სარდალი მოჰყვება.

სად ხარ, ვაზირო?

ვაზირი — (თავდახრით)

აქ ვართ... სარდალიც აი, აქ არი.

ხანი — ამ კაცს მიეცით ოქროც, ლაშქარიც,
რამდენიც მისთვის იყოს საჭირო.

ვაზირი და სარდალი ეთაყვანებიან. ციხის ქონგურზე გამოჩნდება მარგილზე წამოცმული გოგრა. გოგრას კაცის სახე აქვს და ძალიან გავს ხანის სახეს. ისმის ციხიდან შაირი:

ეჰეი, ხანო, ვაცის წვერავე,
მშიშარა და გაიძვერავე.
თხის მსგავსად რომ გამოვსახეთ,
იქნებ იცნო შენი სახე.
თბილისს რატომ არ დაღეწავე,
აღარ უნდა მოითავო?
მაგ წვერს მალე გაგლეჯინებთ,
კისერ ბოტო, გოგრის თავო!

სარდალი — ამას რას ხედავს ჩემი თვალები (თვლებზე ხელს იფარებს)

ვაზირი — ამას ვით ბედავ, მტერო თავხედო! (ყურებზე ხელს იცობს)

სარდალი — დიდო ხელმწიფევე, შენ არ გახედო...

მოზრუნდებიან ორივენი

ხანი — როგორ, მტრის ხარხარს დავემალეები?

გამოდის წინ, შეჰყურებს ციხეს სახეშეშლილი

სარდალი — (თავისთვის) ვით მიამსგავსეს სახე ამგვარად!

გახა — ნახატს ვცნობ იმის ნაეშმაკარად...

ხანი — ვინ იეშმაკა, ჩქარა მითხარი.

გახა — ეგ ციხისთავის შვილი გახელეებს,
ის მხოლოდ ციხეს როდი აშენებს,
დაჩი ხელობით მხატვარიც არი,

ხანი — მერე აქ ამ დროს რას დგახარ შენა?!

გახა — ახლავე წავალ, მოგეცეს ღებნა...

მათ ჩავუწყვიტო სულ მალე ენა (გადის)

ისმის ისევ ციხიდან ტაში და ხარხარი. შემდეგ ისევ შაირი;

ეჰეი, ხანო, ვაცის წვერავე,
მშიშარა და გაიძვერავე.

ხანი — თხად გამომსახეს, წვერიან ვაცად,
წაივლებს გაბრაზებული წვერში ხელს.

მაგრამ მხატვრობას დაგისვამთ ფასად,

მალე განანებთ მაგ თავხედობას,

მოგენატრებათ მალე წყლის წვეთი,

რომ არ დაგტოვოთ ცოცხალი ერთიც

ზედ შეგაწყვიტავთ მთელ ჩემს მხედრობას.

ციხიდან ისმის სიმღერა:




ეი, მუშლი და მუხასა,
 გარს ეხვეოდა...
ხანი — წადით, დაჰკარით ბუკი ძლიერნი,
 ახლავ დაეწყებ ციხის იერიშს.
 ხანი და სარდალი გადიან, ფარდა ეშვება მეციხოვნეთა სიმღერაში.
 ჰეი, მუშლი და მუხასაო...
 გარს ეხვეოდაო,
 მუშლი ჭრებოდაო, მუშლი წყდებოდაო,
 ხე არ ხმებოდაო...
 ჰეი, მუშლი და მუხასაო...

სურათი IV

ღამე მეციხოვნეთა ბანაკში — ციხისთავი ბაკური, დედა, დაჩი, მეფანდურე გელა, უხუცესი, გოლა, მეციხოვნენი. ისმის ხმადაბალი სიმღერა:

ჰეი, მუშლი და მუხასაო,
 გარს ეხვეოდაო...
დაჩი — სიმღერა გადის ციხიდან გარეთ,
 შიგ კი, ციხეში ტირიან მწარედ,
 ჩვენ სიკვდილს ველარ წაუფვალთ ვერსად,
 მაგრამ ვიყაროთ ძმებო მტრის უინო —
 მოგკვდეთ ღიმილით, მოგკვდეთ ღიღინით,
 არ გავაგონოთ მტერს ჩვენი კვნესა.
ციხისთავი — თუ განსაცდელმა გვაქცია რკინად,
 ჩვენ განსაცდელი ვაქციეთ ლხინად,
 იმას არ ვჯავრობთ, სხვა განსაცდელი
 უფრო სასტიკი რომ არ აგვცდება,
 ერთ რისხვად იქცა და ერთ არსებად
 ციხე და ხალხი მისი დამცველი.
დედა — ვერ იტყვი, უფრო არის, რომელი,
 ციხე თუ ხალხი მიუდგომელი.
 ზედ აწყდებიან მტრის მოლაშქრენი,
 მაგრამ ვერ სტეხენ ხმლითა და ალყით,
 ერთმანეთს სჯობნის სიმტკიცით ხალხი
 და ციხე იმაე ხალხის ნაშენი.
უხუცესი — დიდმა და მცირემ, ქალმა და კაცმა,
 თავს იღო ნებით ნამდვილი ჯვარცმა.
 და როდი არის გასაკვირველი,
 რომ ზღაპრად დარჩეს მრავალ თაობას
 თბილისის გმირთა გამბედაობა
 და ეს თბილისის დაცვა პირველი.
დაჩი — დაგვძლევს თუ არა ძლიერი მტერი,
 ჩვენ შემოგვეყურებს დღეს მთელი ერი,
 თბილისისათვის პირველ მეომრებს
 აღფრთოვანებით გვითვლის მადლობას,



და მაღლიერი შთამომავლობაც
ჩვენს სახელს კრძალვით გაიმეორებს.

დედა — შეხეთ ჩვენს ქალებს, ყრმებს და მსცოვანებს,
მათი ხმა ვის არ აღაფრთოვანებს,
ყველა მათგანი მტერს უმკლავდება,
სიკვდილად ასეთ სიკვდილს ვინ ჩათვლის —
სამშობლოსათვის, თბილისისათვის
სიკვდილში ვპოვებთ ჩვენს უკვდავებას.

გელა — (აწყობს ფანდურს და ამღერებს)
გვიამბე, ციხის ნაშალო,
რა დრო გაქვს გამოვლილია,
ან ფისგან ანაგები ხარ,
ან ფისგან ჩამოშლილია...
ციხემ თქვა ერთი სიტყვაი,
ძალიან გასაკვირია:
მე დაჩის ანაგები ვარ,
რკინის ჩამიდგა ძირია,
დღედაღამ მტრისგან მიცავდა,
შვილდს აჩქამებდა გმირია,
ხმლის ქნევა, ფარის ფარება
რამდენი გამომივლია.
ჩემი კალთა და ფერდები
სულ სისხლით ჩამოსვრილია,
მებრძოდა მტერი ურიცხვი,
ვერ შემიწყია ძირია,
მებრძოდნენ, ვერას მრჩებოდნენ,
ვერ შემიცვალეს ნირია.

გოლა — ჰეი, ვინ მოდის?

ყველანი გაშრებიან. გელა ფანდურს გააგდებს ხელიდან. შემოდინ სასოწარკვეთა, შიმ-
შილი და სახადი. სასოწარკვეთა თმებჩამოშლილია, ტანთ შავი აცვია და ფრთები ჩამოყრილი
აქვს. შიმშილი ყვითელია და გასიებული. სახადს თავი და ფეხები შეხვეული აქვს და ყა-
ვარჯნებით მოდის.

ციხისთავი — არ ჩანს არავინ.
გელა — თვალით ვერ ვხედავ, მაგრამ მპარავის
ჩუმი ნაბიჯის მომესმა ჩქამი,
წინ გამიარა სიკვდილმა თითქოს.

ციხისთავი — მოჩვენებაა. ჯანი ძილს ითხოვს,
ქვას გასტეხს ტეხვა ამდენი ღამის.

დაჩი — თურმე არც ისე ყოფილა ძნელი,
ახლო რომ დაჰქრის სიკვდილის ცელი.
ჩვენ შევეჩვიეთ თვალბში ცქერას
და ველარცა ვგრძნობთ შავეთის ლანდი,
როდესაც ჩუმად ჩვენ შორის დადის
და ჩვენსავ ძვლებზე თავის ცელს კვერავს.
თავს ჩაუღებს კალთაში დედას. ყველანი ძილს ეძლევიან.

სასოწარკვეთა — (შიმშილს და სახადს) სად არის თქვენი თავგამოდება,



რატომ არ ისმის კენესა-გოდება?
ხალხს რად არ მუსრაგ, სახადო, სენით?
შენც გაზარმაცდი მგონი შიმშილო,
დღესვე შავეთში უნდა გიჩვილოთ,
თორემ აღარ მაქვს იმედი თქვენი.

შიმშილი — ეგ საყვედური შენგან არ მეთქმის,
მკლავებში ღონე წავართვი ბევრ გმირს.
შიმშილით მიხრწნილთ, როგორც შეჭვერით,
გასივდნენ, ძლივსდა ახელენ თვალებს,
კუბოში ვაწყობ ბავშვებს და ქალებს,
მიწაში ჩავდე ბევრი ბებერი.

სახალი — მეც საყვედური არ მეთქმის შენი,
ციხისმცველთ მოვდე ათასი სენი.
ვისაც კი ჩემი მისწვდა თარეში,
მან ფეხზე დიდხანს ვერ იბოგინა,
ბევრი ჩავაგდე უკვე ლოგინად
და ბევრი ჩავდე ცივ სამარეში.

სასოწარკვეთა — თუ მართალია, რაც თქვით ყოველი,
რათ არ მიხმობენ მეციხოვნენი?
ჭუჭრუტანაში ძლივს შემოვძვერი,
მომემტერა რკინის კარში თითები...
ზოგი გამირბის თვალის რიდებით,
და ზოგიც მიბღვერს როგორც მოზვერი.
მაგრამ ციხის კარს რაკი გამოვცდი,
მე მათ სიმტკიცეს მაინც გამოვცდი.
მიდის დაჩისთან

მე ვარ წყარო და სათავე ცრემლთა,
ტანჯვისგან ვიხსნი, ვინც მომენდობა...

დაჩი — (ძილში ხელს აიქნევს) არ მომეკარო, უიმედობავ,
სასოწარკვეთას რა უნდა ჩემთან!
სასოწარკვეთა დამფრთხალი შორდება, მიდის გელასთან.

სასოწარკვეთა — შენ რაღას მხნეობ, ბრმა მეფანდურეც,
მომეყრდნე, ხელი მომიფათურე,
ნუთუ ბრმა თვალთაც ცრემლი არ წვეთავს,
რას გამოჩეხები შიმშილთან ჭიდილს?

გელა — (ძილში) შორს ჩემგან! რა სჯობს სიმღერით სიკვდილს,
ჩემთან რა უნდა სასოწარკვეთას! გაიქნევს ხელს.
დამფრთხალი სასოწარკვეთა მიდის დელასთან.

სასოწარკვეთა — შენ მაინც მენდე, საბრალო ქალო,
ხომ ხედავ, როგორ ამოდ წვალობ.
გზა მიეც ცრემლებს, ტანჯვა იკმარე!

დელა — (ძილში) თუნდ ახლავ მოვეკდე, არ დავღონდები,
მე ჩემს შვილთან და ქმართან მოვეკვდები,
შენ კი ახლოსაც არ გაგიკარებ!
იიქნევს ხელს. სასოწარკვეთა შორდება გაბრაზებული.

სასოწარკვეთა — (სახალს) თქვი, ვის ჰკლავს სენი?

(შიშხილს) მითხარ, ვის ჰშია?

არ გამიკარეს ახლო ძილშიაც.

სახადი — მათ მეტად ტანჯავეთ შიმშილიც, სენიც,
ვიდრე ათასი ჭრილობის წყლული,
მაგრამ ვერ ვძლიეთ მხნეობა სულის.

შიშხილი — ვერ შევურყიეთ სიმტიცე რწმენის.

სასოწარკვეთა — ვერც გასტეხთ ნელი ტანჯვა ამგვარი,
ვხედავ, გვიან ჭრის თქვენი ლახვარი.
მაგრამ სხვა არის წყურვილის ღონე,
მშიერებს კი არა, ახმობს ყვავილნარს,
აქ რომ წყურვილი მომაყვანინა,
ციხეში მიხმონ იმდღესვე, მგონი.
მაგრამ წყურვილი ნებით, ვერც ძალით
აქ ვერ შემოვა, სანამ აქვთ წყალი,
წყალი კი, ჩანს, რომ ციხეს აქვს ბლომათ,
თორემ ეს ხალხი როგორ იცხოვრებს...
სახადს და შიმშილს.

წადით, გააღეთ, მუსრი ციხოვნებს,
საქმეს მიხედეთ, გეყოთ აქ დგომა.

მიერეკება, გადიან ერთად

დაჩი — (ძილში) გამიშვით, ხალხო! ამას რას ვხედავ!..

დედა — (აღვიძებს) რა იყო შეილო?

დაჩი — (იღვიძებს) შენ გღვიძავს, დედავ?

დედა — შეილის თვალს ძილი თუ არ ადგება,
საგულეს მართლა ქვა უნდა ედვას,
რომ დაეძინოს უგრძობლად დედას.

დაჩი — არ ვიცი, ფრთები მომცა განგებამ,
თუ სანატრელი სატრფოს წადილმა,
დილოში გავჩნდი, როგორც წამთვლიმა
და საშინელი ვნახე სურათი:

გარს მერტყა ხანძრის სვეტების ტევრი,
სატრფოს ხელიდან მტაცებდა მტერი
და მე დაჭრილი სისხლში ვცუტრავდი.

დედა — ტანჯვა გაბოდებს, შეილო, ამდენი,
კარგად ავიხდენს სიზმართ ამხდენი!..

დაჩი — შენ იცი, დედა, მეც ვარ სულგრძელი,
ჭირთათმენაშიც ბადალი არ მყავს —
გავუძლებ შიმშილს, გავუძლებ ალყას,
მაგრამ სატრფოს დარდს ვერ გავუძელი.

დედა — არაფერია, ცოტაც გაძელი,
მაღე დადგება ჩვენი საშველიც.

დაჩი — რატომ მარიდებ მაგ თვალთა მზერას,
თვალი სხვას ამბობს ცრემლების მჩენი,
მამხნევებ, მაგრამ საშველი ჩვენი,
რომ კიდევ დადგეს, თავათ არ გჯერა.

დედა — სამი ვაჟკაცის დამკარგავ დედას,
საგულეს მართლაც ქვა უნდა ედვას.

ომში დავკარგე სამი ძმა შენი,
 ვერცერთს საფლავი ვერ გავუთხარე,
 ვერ დავაფრქვიე ცრემლი მწუხარემ,
 ვით ქართველ დედას მოდგამს და შვენის.

იმ დიდი დარდის მიმე უღელში
 შენ ერთი იყავ ჩემი ნუგეში.

და ეს მიმაჩნდა ჩემთვის სახელად,
 ამას ვზრუნავდი ღამით და ღღისით,
 შენ აღმეზარდე ვაჟკაცი ღირსი,
 მამის ფეხად და ჩემს დამმარხველად.

გავჰადარავდი ამ ტკბილ ზრუნვაში,
 სახეს გომშვენებს შენც წვერულვაში.

და თუმცა სხვისთვის გააქვს კაშკაში
 შენს მზეს და გულმაც სხვისკენ გაგწია,
 ჩემთვის კვლავ ის ხარ, კვლავ ის პაწია,
 მინდა ჩაგაკრა ისევ აკვანში.

ჩემი ოცნება არ იყო განა?

მემღერა შენი შვილების ნანა.

მაგრამ თუ ბედმა ეს არ მაღირსა,
 აკვანზე ყელს თუ ვერ მოვიღერებ,
 მათ ნანას, შვილო, შენ ხომ გიმღერებ,
 შენ დაგაძინებ მსგავსად ბაღისა.

დაჩი ისევ მიწვევა დასაძინებლად.

დედა — (მღერის) იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო,
 დაიძინე, ჩემო შვილო, იავნანინაო,
 იავუნდის მარანშია, იავნანინაო,
 ღვინო დგას და ლალი სქვევსო, იავნანინაო.

ისმის ძაღლის გაბმული ყმული და წკაფწკავი. დაჩი წამოწევს თავს მიუგდებს ყურს.

დაჩი — ეს ყურშას ხმაა.

დედა — გაცოფდა ყურშა,
 პატრონებს ღრენა დაგვიწყო ურჩად,
 ალბათ, ქოლავენ ახლა და მალლით
 გადაისვრიან უფსკრულში საწყალს...

ნეტავი დროზე შეწყვეტდეს წკაფწკავს...

დაჩი — საბრალო ყურშა... საბრალო ძაღლი...

მიღებს ისევ თავს დასაძინებლად.

დედა — (განავრძობს სიმღერას) შეგ ალვის ხე ამოსულა, იავნანინაო,
 ნორჩია და რტოსა შლისო, იავნანინაო,
 ზედ ბულბული შემომჯდარა, იავნანინაო,
 გასაფრენად ფრთასა შლისო, იავნანინაო...

ისმის ჩილის გაბმული ტირილი. ყველანი თავს წამოსწევენ, შებლშეკრულები ყურს უგდებენ. შემოდის ჩილის დედა, ხელში მტირალი ჩვილით.

ჩვილის დედა — ვაიმე, შვილო, ვაი შენს დედას,
 კარგა ხანია გამიშრა რძე და,
 რით გაგაჩუმო, რით დაგაწყნარო,
 ძუძუ მკიდია მშიერს, ვით ჩვარი,
 კუჭს ვერ გაგიძლებს ლოცვა და ჯვარი,

შიშლით უნდა მოკვდე, საწყალო.
ციხისთავს.

მოგვხედე, ველარ გავუძლებთ, ვერა,
ჩვენი ბაღების სიკვდილის ცქერას.
იხოცებიან როგორც ჩიტები,
და არსაიდან არ არის შეგლა.
ან შენი ხელით დაგვხოცე ყველა;
ან მტერს ხმალდახმალ შეგვეყლიტებით.
მერე რა ვუყოთ, რომ ვართ ქალები
სუსტნი, ნატიფნი და ფერმკრთალები.
სანამდე ჯავრი გვაშფოთებს მტერთა,
სანამდე გული კიდევ მხნედ არი,
მოგვეც ხმალი და რკინის ბეგთარი,
რომ მტერს შევაწყდეთ ყველანი ერთად.

დედა — დაწყნარდი, მალე მაგის დროც მოვა,
ნუ გაუტყდები დარდსა და გლოვას.
ხელს ხვევს, დაისვამს გვერდით.

დაჩი — რით გაძლოს ჩვილმა, სულ თითისხელამ,
ველარ ვუყურებ მე მათ წამებას,
ლამის დარდისგან ენა დამებას...
წყლის მოსატანად წავიდეთ, გელა.

გელა — წავიდეთ!

წამოდგებიან, აიკიდებენ კოკებს და მიდიან ბარბაცით.

დედა — (ციხისთავს) არავინ არის სხვა წყლის მომტანი?
ხედავ? ძლივს მიდის დაჩი ტორტმანით.
ფეხზე წამოდგნენ ჩოქებ-ჩოქებით,
როგორ მთვრალივით მიბარბაცებენ,
წყლით სავსე ჭურჭელს როგორ აწევენ,
ძლივს ცარიელი მიაქვთ კოკები.

ციხისთავი — არავინ არი და აი, რატომ —
საიდუმლო გზა მან იცის მარტომ —
მტკვარს ჩასასვლელი მტრის ალყის გაღმა,
იმითომ ახლავს მას მხოლოდ გელა,
ბრმა არი, მისთვის დღედაღამ ბნელა,
ვერ გასცემს წყლის გზას...

დედა — მაშ ზიდოს ბაღღმა
ისევ მარტოკამ ღამით და დღისით,
როცა ძლივს მიაქვს თავის სხეულიც?
აახლე ვინმე თვალახვეული,
სხვა არა იყოს, მამა ხარ მისი.

ციხისთავი — მე ახლა მარტო შეილს როდი ვდარდობ,
ვერ მოიტანენ საყოფ წყალს მარტო,
ისე ჩანს ორივე ღონემიხდილი...
გოლა! შენ მიჰყევ დაჩის და გელას,
თვალს არ აგიხვევ, გახსოვდეთ ყველას —
ხერელის გაცემა არი სიკვდილი!
ჯერ კიდევ ალყის დაწყების წინა,

უხუცესთ კრებამ ეს დაადგინა:
რომ ალყამორტყმულ ციხისთვის წყალი
უძვირფასესი არის ქონება,
წყლის გზის გამცემი ჩაქოლება,
ვინც უნდა იყოს, კაცი თუ ქალი.
ვინც უნდა იყოს ციხის პირველი
ლაზერის ჩამცემი და გამყიდველი,
ვერას გააწყობს ხალხთან მუდარით,
ყველას ექნება დასჯაში წილი,
წყველით ჩაქოლავს ალალი შვილიც,
დედაც ჩაქოლავს მას საკუთარი.

გოლა — ვიცი, არ მინდა ეგ გაფრთხილება,
ციხიდან ჩიტიც ვერ აფრინდება,
ცოცხალი თბილისს რომ უღალატოს.
ცეცხლზე რომ დამსვან, მაქციონ ნაცრად,
ღალატი როგორ მომივა აზრად,
თავით ამ ციხის მკვიდრს და კალატოზს.
გადის.

ჩვილის დედა — დაჰყურებს ბავშვს, თანდათან სახე ეშლება
ვაი, არ სუნთქავს, რა მოგდის ბალო?
ანჯღრევს

გაცივდა სულმთლად... მიშველეთ, ხალხო!
შემოდიან ზუზუნით შაოსანი ქალები, ყველანი ეხვევიან ჩვილის დედას.

ჩვილის დედა — თითქოს ყინული უდევს გუგებში... (განწირულად)
ვაი, მომიკვდა ჩემი ნუგეში! (ჭვითინებს)
მეც მიცივდება ძარღვებში სისხლი,
ჩუმად მოგკვდებით ასე ყველანი,
ვილასთვის გვინდა ციხე ვერანი,
ამგვარ გაძლებას რა თავში ვიხლით.

სცენის სიღრმიდან ისმის კვილი და შეცხადება: ვაიზე მოკვდა... ყველანი თავს დახ-
რიან. შაოსანი ქალები შემობრუნდებიან ციხისთავისკენ და ხელაპყრობით შეჰღალადებენ.

შაოსანი ქალები — ასე ყოველდღე ღონემიხდილი,
ვინ სენით კვდება და ვინ შიმშილით!
ვით ავიტანოთ ტანჯვა ამგვარი —
ცქერა მომაკვდავ შვილთა და ქმართა,
მრისხანე მტერი დგას ციხის კართან,
სჯობს მტერს შევაწყდეთ, მოგვეც აბჯარი.

შემოვარდება პატარა ბიჭი. უკან მოსდევს სახეშეშლილი მეციხოვნე დანით ხელში. ის-
მის ძახილი:

დაიჭით ხალხო, ჩქარა, შეშლილი,
განსაცდელისგან გონწართმეული,
ზედ არ მიუშვათ გადარეული,
თორემ ბავშვს დაჰკლავს დანით მხეცქმნილი.

ციხისთავი გაიძრობს ხანჯალს, გადახტება და გულში დაჰკრავს ბავშვს დაღვენებულ
მეციხოვნეს.

ციხისთავი — (მძიმედ შემობრუნდება ქალებისკენ).

ასე, ამ ხანჯლით დავხოცავ ყველას,
ვინც აღუდგება ციხის კანონებს,

შფოთს და აღრევას ვინც გამაგონებს,
 ან შეუძლებელს ვინც მომთხოვს შველას.
 თუ არ გასურთ, ხანჯლით დაგჭრათ ძუძუნი.
 არ გამაგონოთ თქვენი წუწუნი.
 იქნებ არ იცით, რომ ცრემლი ქალთა,
 მტრის ხმალზე ბასრად ჭრის კაცის გულებს,
 მტერი ციხისკენ კვლავ დაიხუვლებს
 და რაკი ვენდეთ ლეთიშობლის კალთას,
 გიჯობთ, ევედროთ მას თმებგაშლილი,
 მან დაიფაროს თქვენი ქმარშვილი.

ქალები თავს დახრიან, შემობრუნდებიან და გადიან...

დედა — (ციხისთავს) როგორ აგვესო სისხლით თვალები,
 ამ ხალხში მარტო მე მებრალეები,
 მე ვიცი, როგორ ძნელია შენთვის,
 ეჩვენო ყველას კერპად და გულქვად,
 როცა თვით გიმძიმს დარდისგან სუნთქვა
 და მათ ცრემლს შენიც უჩინრად ერთვის.

ციხისთავი — მოწამლული მაქვს მართლაც გუნება...
 მე მთაში მზრდიდნენ და ეს თქმულება
 გამიგონია...

ყოფილა ძველად
 თუშეთში ციხე გარემოცული,
 არ გატყდა თურმე ალყამორტყმული,
 მაგრამ რომ არსით გაუჩნდა შველა,
 როდესაც მტერმა ხერელი შეთხარა,
 გაღუწყვეტა ციხისთავს მაშინ,
 თვით დაეხოცა ქალი და ბავშვი,
 ოღონდ მტრის ხელში არ ჩაეყარა.
 იმ ციხისთავსაც, მიმძიმს გამხელა,
 ბაკური ერქვა თურმე სახელად.
 და ვინც მომნათლა, ვინ იცის, ეგებ,
 ზედ დამანათლა ბაკურის ბედიც...
 მე ამათ ვიცავ მტრისაგან მკერდით
 და გაძლებაში ხსნას მათთვის ვეძებ..
 ო, ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ამ ხელებით
 ამ საცოდავებს დაგჭრა ყელები..

ფ ა რ ღ ა

მოქმედება III

სურათი V

მტკვრის პირას საიდუმლო ხერგლთან დაჩი და გელა წყლით ავსებენ კოკებს, გოლა მალ-
 ლობზე დგას, უთვალთვალებს, რომ არავენ წამოეპაროთ.

დაჩი — რამდენჯერ სისხლით გაწითლდა მტკვარი
 და მაინც მოდის ისევ ანკარა,

- ნეტავ ცოცხლობდეს კაციც ამგვარად,
არ აინდებოდეს ჩვენს გულსაც ბზარი.
- გელა** — რას იზამ, კაცის გული აგრეა,
თუ ერთხელ ჯავრმა ხელი დაგრია,
თუ ერთხელ გაჩნდა გულში იარა,
ჭრილობა რჩება, პირს შეჭკრავს წყლული,
ხმლით დაკოდელი მთელდება გული,
დარდით დაჭრილი გული კი არა.
- დაჩი** — მე შევეჩვიე, ვით ბედისწერას,
შავბნელ თვალებში სიკვდილის ცქერას,
გულს ჩამრჩა ჯავრი, როგორც ეკალი
იმედდაკარგულს და ღონემიხდილს —
მომკლავდა, მაგრამ იმ ოხერ სიკვდილს
შორს სატრფოსაგან არ მოვეკალი.
- გელა** — რას ამბობ, სიკვდილს რა უნდა შენთან,
ალყა მორჩება და სატრფოს შეგრთავთ.
- დაჩი** — სიზმარი ვნახე — მძიმე სურათი:
გარს მერტყა ხანძრის სვეტების ტევრი,
სატრფოს ხელიდან მტაცებდა მტერი
და მე დაჭრილი სისხლში ვცურავდი.
- გოლა** — ნეტავი ხომ არ მატყუებს თვალი,
დიღომზე ხანძრის ავარდა ალი.
- დაჩი** — წამოხტება და მირბის გოლსკენ
რას ამბობ გოლა?! (გაჟურებს) მართლა ცეცხლია!
- გოლა** — ჯერ კვამლი მისწვდა ცას შესაზარი,
მერე მთელ დიღმის მხარეს ხანძარი
ირგვლივ მოერტყა და ჩაეხვია!
- დაჩი** — დიდმელის სახლი! სწორედ ის არი!..
ვაი თუ ახდა ჩემი სიზმარი!..
- გოლა** — სწორედ იქით სცემს ხანძრის ელვები,
ნაპირი არ ჩანს ცისა და მიწის...
- დაჩი** — ვარდოს სახლია!.. ნამდვილად, იწვის!..
წავალ, როგორმე მივეშველები!
- გოლა** — რას ამბობ, დაჩი, შენ რას უშველი!
- დაჩი** — თქვენ წყლით აავსეთ ნელა ჭურჭელი,
დიღმის გზას დიდხანს არ მოვუნდები,
ფიქრის უსწრაფეს მასთან ვიქნები,
ან ცეცხლში მასთან მეც დავინთქმები,
ან გადავარჩენ და მოვბრუნდები.
- გოლა** — სატრფო რომ კიდევ დაგხვდეს უენებლად,
უკან ვით შეძლებ გამობრუნებას?!
გზა, ალბათ, სავეს არის მზირებით,
რაზმი რომ ჩუმად გამოგყვეს მტერთა,
აქ გაჩნდებიან წყლის ფარულ ხერელთან



და ჩვენც ყველანი გავიწირებით.

დაჩი ცდილობს გაქცეს, გოლა აჩერებს ძალით

დაგვლუბავ ჩვენ და ვერც მას უშვებლი...

დაჩი — მაშ დაკრეფილი მქონდეს გულხელი?

გოლა — იქ სად მიდიხარ ცეცხლში, უგნურო!..

დაჩი — დე ცეცხლმა დამნთქას მეც სატრფოს მსგავსად.

გოლა — დაგვლუბავ ჩვენ და საკუთარ თავსაც.

დაჩი — დიღმის დაფერფვლას როგორ ვუყურო...

გამიშვი გოლა... (გაუსხლტება, გარბის)

გოლა — გონს მოდი, დაჩი...

უკან მობრუნდი... შეჩერდი წამით...

გელა — რაღაც შიში მაქვს ამ გრძელი ღამის...

გოლა ხელს ჩააქნევს, უახლოვდება გელას

გოლა — მეც ტანში მზარავს, თვალთ მიბნელებდა...

გელა — ამადამ ცუდად გავგიტენდება...

სურათი VI

ციხე. მეციხოვნეებს სძინავთ. ფიზიოლოგ მარტო გუშაგები, დედა და ციხისთავი.

ციხისთავი — თბილისის ზეცა შავ ღრუბლებს იხვევს,

ვატყობ, დიდი დღე აღარ აქვს ციხეს.

კარს ძლივსდა იჭერს რკინის ურდული,

კოშკებზე დროშებს ეცვალა ფერი,

და რომ ციხეში შემოვა მტერი,

აღარ დახვდება კაცი სულდგმული.

უმძიმთ ალყაში გაძლება ქვეთაც,

ორმა თვემ განვლო, გათავდა ვადა,

უნდა დაბრუნდეს ვახტანგი მალე,

სიცოცხლედ გვიღირს წამი ყოველი,

თუ დღეს არ გაჩნდა ტახტის მპყრობელი,

ნამდვილად გვიან იქნება ხვალე.

დედა — როგორც დადგება ციხის საშველი,

ვინდა იქნება ღზინის დამშლელი!

უნდა გავმართოთ დაჩის ქორწილი,

დავდგათ სეფები, დავკლათ ხეასტაგი,

შვილის ქორწილში მეფე ვახტანგიც

მოვიპატიყოთ ძლივამოსილი.

ციხისთავი შუბლს შეიკრავს და გაოცებული უცქერის

იცი ვინ მოგვყავს, რა პატარძალი?

რძლად ისურვებდა თვით გორგასალიც,

ისე ტურთაა დიდმელოს ერთა,

ერთი შეხედვით აგყრის იარაღს,

რომ ნახო, იტყვი, კაცი კი არა,

მის ლამაზ თვალებს თვით ღმერთი წერდა.

ციხისთავი ამოიოხრებს, დედა განაგრძობს მოსაჩვენარი ვატაცებით.

მერე ურიცხვი შვილიშვილები

დაგვეხვევიან, ვით წიწილები.
ჩოხის კალთაზე კუდად მობმული,
ზოგი სირბილით, ზოგი ჰენებით,
გამოგვევიან ჯოხის ცხენებით,
თბილისის ქუჩებს რომ ჩამოუვლი.

ციხისთავი — რას ამბობ, ქალო, რა ღროს ეგ არი,
ქორწილი ჩვენს მტერს ექნა ჩვენგვარი.
წყლისგან წალბებულს ვგავართ ნაფოტებს,
ციხეს აღარ აქვს ბრძოლის უნარი,
მაგრამ შენ არ ხარ გასამტყუნარი,
შენ შიმშილი და სიციხე გაბოდებს.

დედა — შენც გატყდი, მეხო, რისხვით მქუხარო?
როგორმე სევდა რომ უკუჰყარო.
მიტომ გავბედე ზღაპრის მოყოლა,
შენც თუ სხვასავით დაკარგავ იმედს,
ციხე იქცევა მომაკვდავთ მღვიმედ
და შემომამტყრევს კარს მტრის მოწოლა.
სიკვდილი ძნელი როდი ყოფილა,
ცხედრები უხმოდ მიფინ-მოფინა,
ბოლოს მას ვერვინ ვერ უმკლავდება.
დე მოგვედეთ, მაგრამ ჩვენ მკვდრად ვინ ჩაგვევლის,
სამშობლოსათვის, თბილისისათვის
სიკვდილში ვპოვოთ ჩვენ უკვდავება.
ქალი ვარ, მიმიძმს მე შენზე მეტად.
მაგრამ იმედი სინათლის სვეტად,
სადღაც, სულ ოდნავ კიდევ მინათებს.
რომ არ გააძღვებთ სვავთ ჩვენი მძორი!
შთამომავლობის ხმა მესმის შორით,
მადლობას წრფელს რომ გვწირავს წინაპრებს.

ციხისთავი — მოვალეობა ჩვენი ეგ არი,
რომ არ გავულოთ ვერაგ მტერს კარი,
თუნდაც ყველანი გავწყდეთ უდროვოდ,
არ შევეუშინდეთ სიკვდილს არც ერთი,
რომ მაგალითი სასოწარკვეთის
შთამომავლობას არ დავუტოვოთ.
ჩვენს კაცობაზე რას იტყვის ხალხი,
ციხე თუ გატყდა პირველი ალყით,
თუ ომით ციხის პირველ ნათლობას
ვერ დაიფარავს ზღუდე მაღალი,
თუ ჩვენ გამირული ბრძოლის მაგალითს
არ ვუანდერძებთ შთამომავლობას.
ეს კარგად ვიცი, არ ვამბობ წყენით,
მე გამხნელება არ მინდა შენი.
მაგრამ რა ვუყო მშიერ ციხოვნებს,
ბოლოს ყველაფერს ხომ აქვს საზღუარი.
მე დამცა მათმა დრტვინვამ თავზარი
და გულს გოდება მათი მიღონებს.



ეს ღამე რაღაც მეტად შავდება,
ძლიერ გაგრძელდა, აღარ თავდება.
თითქო ვხედავდე ირგვლივ ავსულებს,
არ მომდის ძილი, ცუდს მიგრძნობს ტანი...
არ ჩანან, დიდი გავიდა ხანი,
შეაგვიანდათ წყალზე წასულებს.

დედა — მეც ეგ მაწუხებს, თქმას კი ვერ ვებედავ,
რათ არ დაბრუნდნენ ამდენ ხანს, ნეტავ?

ისმის ჩოჩქოლი, ხმაური თანდათან მატულობს.

დედა — გესმის? ციხეში რა ჩოჩქოლია?

ციხისთავი — მანდ ვინ ხმაურობს! ჰეი, ვინ არი!

შემოვარდება ხმაღაშიშვლებული მეციხოვნე

მეციხოვნე — მტერმა შემუსრა ხალხი მიძინარი,
წყლის იღუმალ ხვრელს ამოჰყოლიან.

ციხისთავი — რა სთქვით?!

მეციხოვნე — პირველად ჩვენ გვეცა ელდა,
მტერი რომ უცებ გამოჩნდა ხვრელთან.
მუსრი გაავლო წამსვე მიძინარებს,
ვიდრე მოასწრეს გახელა თვალის,
ჩვენც შევეუტიეთ, ვიშიშვლეთ ხმალი
და ახლა ყველგან ბრძოლა მიქინეარებს.

ისმის განგავის ხმა. მიძინარი მეციხოვნეები ფეხზე წამოცვივდებიან.

ციხისთავი — მომყეთ, ციხეში მტერია, ძმებო! (გაიძრობს ხმალს)

უკანასკნელად მტრის სისხლით ვღებოთ,
ზედ შევალეწოთ მომხდურს ლახვარი...

ისმის მეციხოვნეების ხმა ხელჩართულ ბრძოლაში.

— მოვდივართ ბაკურ!

დაჰკარი მედგრად!

მტრის ირგვლივ რკალი ჯაჭვივით შეცკრათ!

— მიდი, პირდაპირ!

— მარჯვედ დაჰკარი!

ყველანი ებმებიან ხელჩართულ ბრძოლაში, მხოლოდ ერთი მეციხოვნე
წევს გაუნძრევლად.

დედა — (უახლოვდება) ძილში მომკვდარა ჩემად, საწყალი...

აქებრდება.

მკვდარს აღარაფრად უნდა ფარხმალი.

ამოაძრობს ხმალს მკვდრის ქარქაშიდან.

დედა — (მარცხენა ხელში ფარით და მარჯვენაში ხმლით)

მეც თქვენთან! გასტრის ჩემი მახვილიც

მტერს დავუღამოთ ჩვენზე წინ დღენი,

მტერმა თუ ცრემლი ვერ ნახა ჩვენი,

დე სისხლი ნახოს წმინდად დაღვრილი!

გარბის ბრძოლისკენ. შემოდის სასოწარკვეთა

სასოწარკვეთა — გათავდა კიდეც ერთი ნახტომიც,

აღარავინ მყავს წინააღმდეგომი.

ხალხი ალყას რომ ქედს არ უხრიდა,

მტერს ზედ აწყდება რწმენაგამტყდარი,

ჩემს მოსახვევად ყველა მზად არი.

უკვე მიხმობენ ყველა კუთხიდან!

თმაგაშლილ ქალს შემოჰყავს მძიმედ დაჭრილი, მომაკვდავი მეციხოვნე. დაასვენებს ვა ქვითინებს.

თმაგაშლილი ქალი — ვაი, შენ ჩემო დიდო იმედო.

ვისლა შევსტირო, ვისლა მივენდო!?

სასოწარკვეთა — (მივა და მოხვევა)

მე, მე მომენდე საბრალო ქალო,

ცრემლებში ჰპოვებ დარდისგან შევებას

იტირე გულით, თბილისი ტყდება,

სიკვდილი ლეწავს თბილისში კალოს...

თმაგაშლილი ქალი დაემხოა მკვდარ მეციხოვნეს და განწირული ხმით ტირის. ფორთხვით შემოდის მძიმედ დაჭრილი მეციხოვნე.

მძიმედ დაჭრილი — გათავდა... ტყდება გაუტეხელი,

არავინ არი ჩვენი მშველელი,

წყალმა ჩაძირა ჩვენი ზომალდი

(ხმადაგუბული ქვითინებს)

სასოწარკვეთა — იტირე, ცრემლი ვაჟკაცსაც შეენის,

მე ერთიდა ვარ ნუგეში შენი,

შენთან ვარ სულის ამოხდომამდი...

შემოდინ დაჭრილები ზოგი ფორთხვით, ზოგი ფეხის თრევით, ზოგიც ერთმანეთზე დაყრდნობით.

I დაჭრილი — თუმცა კი მოვსებთ მტრის რაზმი სწრაფად,

მაგრამ ჩვენც დიდი დავადგა ჯაფა.

II დაჭრილი — დღე განკითხვისა იყო ნამდვილი,

თვითონ სიკვდილი გვიტევედა რისხვით...

III დაჭრილი — ჩვენს ბედად დიდი არ იყო რიცხვით

მტერი ციხეში შემოვარდნილი.

I დაჭრილი — ეგ ადვილია, ძმაო, სათქმელად,

მაგრამ ციხის გზა რაკი გათელა,

ჯარი შემოვა უფრო ძლიერი,

ალბათ, გვზვერავენ, ჯერ ვარჯიშობენ,

წყლის გზა იციან, წყალს დაგვიხშობენ

და რით გავუძლებთ ახალ იერიშს.

II დაჭრილი — ძვირად დაგვიჯდა ეს ბოლო გარჯა,

ციხე ქალების იმედად დარჩა.

კაცი არ არის დღეს დაუტრელი,

ჩვენ ყველას მოგვხვდა მომხდურის ხმალი,

ციხეში წვეთი არ არის წყალიც,

ცარიელია ყველა ჭურჭელი.

მძიმედ დაჭრილი ციხისთავი შემოჰყავთ ღედას და დაჭრილ უხუცესს.

ციხისთავი — ყური მომაპყარ, გკვდები, ეს არი,

და ვწუხვარ, ამ დღეს რომ მოვესწარი,


რაკი წყლის შესძლო მტერმა მიგნება,

და საიდუმლო გაიგო ხვრელის,

თქვენ ან წყურვილით სიკვდილი გელით,

ან მტრისგან ქლეტა და შეგინება.

შემორბის ორი ხმალამოღებული ქალი. უხუცესთან მიდიან და ჩურჩულით ეუბნებიან



ხმალამოღებული ქალი — მტრის დაჭრილებში აღმოჩნდა გახა,
 მან სიკვდილის წინ ბევრი რამ ჩმახა,
 მაგრამ ეს გვითხრა ყურად საღები:
 მარტო მე არ მაქვს პირიო შავად,
 ხერელის გზა დაჩიმ ვასცაო თავად,
 მან ჩააცვაო ციხეს თალხები.

უხუცესი — არ გააგონოთ მომაცვდავს, ჩუმად...
 გახა?

ხმალამოღებული ქალი — ჩაძაღლდა!

უხუცესი — მამ მკვდარი უმაღ
 მტრის ბანაკისკენ ისროლეთ ხევში,
 შორს. გადატყორცნეთ მძორი ციხიდან,
 მტერს მყრალი სული რაკი მიჰყიდა,
 მტერს ჰქონდეს მისი გახრწნილი ლეშიც.

ციხისთავი — თუ ხელთ ჩაიგდოთ ციხის პირველი
 ლახერის ჩამცემი და გამწირველი,
 ამას გაფიცებთ, შეგთხოვთ მუდარით,
 ყველას დაუდოთ დასჯაში წილი —
 დედამ ჩაქოლოს ალალი შვილი,
 მამამ ჩაქოლოს ძე საკუთარი.

ყველამ ჩაქოლოს გამცემი ხერელის —
 ციხის დამტყვევი და ჩვენი მკვლელი (დედას)
 დედა ხარ შენ და სუსტი ხარ, ვიცი,
 შვილის სიცოცხლე რა ძვირად გიღირს —
 დაჩიც რომ იყოს გამცემი ციხის,
 დაჩიც ჩაქოლე, მომეცი ფიცი.

დედა — ვფიცავ ჭაღარას, შენს გლოვად გამლილს,
 ჩვენი ცოლ-ქმრობის უმტკიცეს კავშირს,
 ვფიცავ მანდილის ჩემის სიწმინდეს —
 თბილისის გამცემს, იუდას მიმყოლს,
 თავათ ჩავქოლავ შვილიც რომ იყოს,
 თუნდაც საშველად ხელებს მიწვდიდეს!

ფ ა რ დ ა

მოქმედება IV

სურათი VII

ციხე. შუაში გორად ყრია ჯაჭვის პერანგები, ხმლები, ფარ-შუბები, ჩაჩქნები. ქალები აბჯარს ისხამენ. დედას ჯაჭვის პერანგი ჩაუცვამს და წელზე ხმალს ირტყამს. შემოდიან თმაგაშლილი შაოსანი ქალები.

დედა — თქვენც მორჩით?

შაოსანი ქალები — უკვე დავმარხეთ, მოვრჩით.

საფლავეზე დავრგეთ ალგები ნორჩი.
 და მოვასწორეთ მიწა მაღალი,
 რომ საფლავეები არ გარყვნან წმინდა,
 ახლა ჩვენც თქვენთან სიკვდილი გვინდა,
 ჩვენც ჩვენი ქმრების გვინდა ფარ-ხმალი.



დედა — აიღეთ. ჩვენთვის ჯაჭვი სჯობს ფარჩას,
ციხეში ფეხზე კაცი არ დარჩა,
ვინღა დაიცვას ციხის დიდება?!
დღეს ჩვენ ვართ ციხის ბატონპატრონი,
მტერს უნდა დავხვდეთ ქალნი მარტონი,
და ციხისთავიც ქალი გვჭირდება.

ყველანი — შენ უნდა იყო, შენა ხარ ღირსი,
ჩვენ უფროსობა არ გვინდა სხვისი.

დედა — ისარი მოხვდეს მტრის დასახლევი,
მას, ვინც მოხაროს მონურად ქედი,
ვინც შეარცხვინოს თბილისელ დედის
შეურცხვენელი წმინდა სახელი.

ყველანი — არა, არ გავცემთ ციხეს მტრის ტახტად,
არ ვნახავთ ჩვენეივ ნამუსის ახდას.
გვეძახის გმირთა გზა სხივოსანი,
გმირი ქმარშვილი გვიხმობს სისხლბორცებს,
ჩვენც, უნამუსო მონურ სიცოცხლეს,
სიკვდილი გვიჯობს პატიოსანი.
სანამ ლეჩაქი წმინდად გვახურავს,
გაგვიძეხ, გაგწყდეთ ჩვენც ვაჟკაცურად.

დედა — მაშ, შევანანოთ მტერს პირშაობა,
მიეწოდოთ მხოლოდ ხმალსა და ჩვენს მკლავს,
ციხის დაცემის საათი რეკავს,
დებო, ვკისრულობ ციხისთაობას.

იხურავს ბაჟურის ჩაჩქანს.


დაანთეთ ცეცხლი, ავარდეს ალი,
მტერს დავუბნელოთ სინათლით თვალი,
და ვათქმევინოთ მტარვალს, რომ ჯერაც
უკვდავ სიცოცხლის ნათელ დასტურად
თბილისის თავზე კვამლი დაცურავს,
და არც ჩაქრება თბილისის კერა.
მტერი მოიტანს ახალ იერიშს,
აქ, ხვრელთან დარჩეს რაზმი ძლიერი.
ვისაც ჯერ კიდევ მოსდევს მუხლები,
და გამოხდომა მტრის არ აშინებს,
გამოჰყვეს ამ ჩვენს დროშებს გაშლილებს,
ციხის შემოვლას თვით გავუძღვებთ.
ვისაც ტარება არ ძალუძს აბჯრის,
კაცებს მიჰხედონ მომაკვდავ-დაჭრილთ.

ამართვენ დროშებს. ერთი მხრივ გადიან დედა და აბჯარასხმული რჩეული ქალები,
მეორე მხრივ უფრო მოხუცები და სუსტები. ხვრელთან რჩება შეიარაღებულ გუშავ ქალთა
ძლიერი რაზმი.

I გუშავი — ქალი კი არა სწორედ კაცია,
მტერს რომ არ უფროთხის, რკინას რომ ამტვრევს...

II გუშავი — ტოლს არ უდებდა ვაჟკაცებს აღრეც,
ამ ალყამ ხომ სულ რკინად აქცია.

III გუშავი — ქმარი დაკარგა, მერე რა ქმარი,



მთელი ქალაქის ზღუდე და ფარი —
თვალიდან ცრემლიც არ გამოსწურა,
საღღაც გუგებში აუკაშკაშდა,
ქმრის დამკარგავი უფრო გაკაჟდა,
გამოეცვალა ხმაც ჯადოსნურად.

I გუშ. — არ ტყდება, თორემ ცოცხალს აღარ გავს,
ან რა ახარებს დაჩის დამკარგავს!

III გუშ. — ეს რომ ვთქვა, აბა, რა აუგია,
იოლად შეხვდა ამბავს უტყუარს,
შვილის დაღუპვის ხმას წაუყრუა,
თითქოს ჭორადაც არ გაუგია.

II გუშ. — ალბათ, არც უთხრეს დედას შავდღიანს,
რაც გახამ დაჩის გესლი ანთხია.
რაც ჭუჭყი მოსცხო, ვერ მორეცხს წყალი,
თუ მესამედიც არის ნამდვილი,
როცა კვდებოდა ტყვედ ჩავარდნილი,
მან დაჩის დასდო ღალატში ბრალი.

III გუშ. — ეგ არ ვიცოდი, რა სთქვა, როგორა?

I გუშ. — მათ მტრობა ჰქონდათ, ალბათ, მოჭორა.

II გუშ. — ეს უთქვამს, თითქოს ხანთან მისულა,
ჩუმიად გასული დაჩი ალყიდან,
თითქოს წყლის ხვრელი დაჩიმ გაჰყიდა
და საწადელი რამ აისრულა.

I გუშ. — მერე ეგ სიტყვა ვინ დაიჯერა?
დაჩის ცილს სწამებს, ის გაიძვერა.

II გუშ. — ცოდვის მოქმელ გამცემს ღმერთი თვით დასჯის,
პასუხი აგოს იმ ქვეყნად გამჩენს,
ციხეს მისივე მარჯვენით ნაშენს,
ღალატით როგორ გასცემდა დაჩი?!
მიწის ქვეშიდან ისმის დაჩის ხმა:

ჰეი, ციხოვანო!.. ასწიეთ ლოდი...

I გუშ. — თითქო ხვრელიდან კაცის ხმა მომდის...

II გუშ. — თითქო ნაცნობ ხმას ყური მოგვკარი,
რა კენესით გვიხმობს, რა შემზარავად...

დაჩის ხმა —

ასწიეთ ლოდი, მტერი არა ვარ,
დაჩი ვარ, ციხის ხუროთმოძღვარი...

I გუშ. — გესმით? დაჩია... მისი ხმა არი,
რას დგახარ, ხვრელის გავუღოთ კარი.

II გუშ. — აქ მტრის განზრახვა არ იყოს ბნელი,
არ გვიტყუებდეს ეშმაკი მახით,
დაეფიქრდეთ, კარს რომ იოლად გავხსნით,
შემდეგ დახურვა არ იყოს ძნელი.

I გუშ. — ხვრელში ძლივს ერთი კაცი ეტევა,
როგორ გაბედავს მტერი შეტევას,
აქ რომ შემოჭრა კიდევ ითავოს,
ამ ბნელ და ვიწრო ამოსავალთან



აქ ერთი კაცი გაყლეტს მრავალთა,
მთელ ლაშქარს დავჭირთ თავს სათითაოდ.

დაჩის ხმა —

ეპეი, ლოდი ასწიეთ ჩქარა...

II გუშ. — მოდი, ავწიოთ, ყოყმანი კმარა.
სწევინ ლოდს... ხვრელიდან ხოხვით გამოდის დაჩი.

დაჩი — (დაეცემა ულონოდ წყალი)..

I გუშ. — წყლის თხოვნა არის ამაო.

II გუშ. — შენთვის მტერსაც აქვს წყალი საკმაო!

დაჩი — ვიცი, რაც რისხვით დაბრუნდა ზეცა...

ველარ გიციქვით, თვალს ველარ ვახელ...

II გუშ. — იმ დღიდან, რაც შენ ციხიდან გახველ,

ციხეს წყლის წვეთი ოცნებად ექცა...

დაჩი — გატყობთ, რა მძიმე ტანჯვაც გინახავთ,

სახე შეგცვლიათ, ვერ გცნობთ ვინა ხართ.

III გუშ. — ჰო... ძველი დაჩიც შენ როდი გგავდა...

II გუშ. — ქალებს გვაცვია ქმრების აბჯარი,

ციხეში ერთი კაციც არ არი

დაჭირილების და ბავშვების გარდა.

დაჩი — მამა? ცოცხალი თუ არის მამა?

I გუშ. — არა, ბაკური მოკლა მტრის ხმაღმა.

დაჩი — მოკლეს? კლანჭები დააწყდა ვეფხვსაც,
გაძლა მტრის სისხლით, მარჯვედ ხმლის ცემით...

დედა თუ არის ცოცხალი ჩემი,

თუ კიდევ უძლებს თავს დამტყდარ მეხსა.

II გუშ. — დედასაც ჩვენებრ ფარ-ხმალი შვენის,

ციხისთავია ამჟამად ჩვენი.

დაჩი — ო, არც ის იყოს ცოცხალი ნეტავ,

ვისთვისღა ცოცხლობს თვალდასათხრელი!..

I გუშ. — გატყობთ, გაწუხებთ რაღაც სათქმელი,

მაგრამ გამხელას ჩვენთან ვერ ბედავ.

III გუშ. — არც შენ გენდობით, თუ გინდა სწორი,

შენზე აქ დადის ათასი ჯორი.

და სჯობს თვითონვე შენ გვითხრა ნათლად,

ამდენ ყლეტაში, ამდენ ავდარში,

მარტო შენ ერთი როგორ გადარჩი,

თუ მოღალატე არა ხარ მართლა.

დაჩი — ვაიმე, თურმე რას ფიქრობთ თქვენა!

რად არ წამერთვა უბედურს სმენა.

რატომ არ ფარავს ბინდი ამ თვალებს,

და მიწა ფეხქვეშ პირს რათ არ მიხსნის,

ჩემი ქალაქის და ჩემი ციხის

ბოროტ გამცემად, როცა ჩამთვალეს.

თქვენ, ალბათ, გახსოვთ, აქ იცის ყველამ,

მარტო ვზიდავდით წყალს მე და გელა.

იმ დღეს გამოგვყვა გოლაც და უცებ

საიდუმლო გზით ჩავედით მტკვართან,



ბნელში დავსხედით იქ, ხვრელის კართან
 და მტკვრის წყლით წყნარად ვავსებდით ჭურჭლებს.
 უცებ დიღმისკენ ავარდა ალი,
 ცეცხლმა შორიდან მომტაცა თვალი —
 დიღმელის მზარეს ხანძრის სვეტები,
 ცადაეტყორცნა, კვამლი იძროდა,
 მეგონა სატრფოს სახლი იწოდა
 და მეც გავფრინდი თავგამეტებით.
 უვნებლად დამხვდა სატრფოს სახლკარი
 და მეც მაშინვე ფეხი დავკარი,
 დიღმიდან უკან დავბრუნდი ჩქარა
 და რომ გამოვყე ღამეში უღრანს,
 ვილაცის ლანდი მომსდევდა უკან
 და ტყე მეჩვენა ურჯულოს ჯარად.
 ხვრელთან სირბილით მოველ თუ არა,
 მტკვრის პირს მტრის ჯარმა შემოუარა,
 გაჩნდა სიმრავლე მტრის არ ნახული,
 მე დაძახებაც ვერ მოვასწარი,
 ბეჭში უეცრად დამცეს ლახვარი
 და ძირს დავეცი გონდაკარგული.
 მერე რა მოხდა, არა ვიცი რა,
 გონს, როცა მოველ, ვეგდე მტკვრის პირას,
 მძიმედ დაჭრილი, ძალწართმეული,
 ძლივსდა წამოვდექე კენესით და ოხვრით,
 ციხის სხვა ხვრელთან მივედი ფორთხვით,
 ძლივს ავითრიე ჩემივ სხეული.

- I გუშ. — კიდევა ჰქონდა ციხეს სხვა ხვრელი,
 მტრისგან ფარულად მტკვარს ჩასასვლელი?
 დაჩი — ეს ერთი ხვრელი იყოფა ორად
 აქვე და ჩადის ორ ტოტად მტკვართან...
- III გუშ. — ბეჩავი, თურმე როგორ გავს მართალს,
 რაც ციხემ შენზე იცოდა ჭორად.
 დაჩი — ამაზე მეტი აქ რა იციან,
 მე ჩემი ციხე არ გამიცია.
- III გუშ. — რაც ჭორად თქმულა არის ნამდვილი —
 მტრის ლაშქარს ხვრელზე შენ მოუძეხი.
 რატომ გასტეხე ციხე უტეხი,
 გვითხარ, რა იყო შენი წადილი?
- I გუშ. — ალყიდან გასვლას თვით აღიარებს,
 რაღად ვუშფოთებთ ბეჩავს იარებს.
 გზად ვერ დავტოვებთ გამცემს სამადლოდ,
 ჩვენ გამოკითხვა მისი ვიკმაროთ,
 დაჭრილ უხუცესს იგი მივგვაროთ,
 ციხის კანონით გაასამართლოს.
- III გუშ. — რომ ნახონ, ვაპთუ შებრალებთ ქალთა,
 ჩამოვაფაროთ პატიმარს ხალთა...
 ჩამოცმევენ ტომარას თავზე, ამოუღებთან უკან.

I გუშ. — იარე, გასწი ნაბიჯით ნელით,
ციხის დამლუპველს დაღუპვა გელის...
დაჩი გადის ნელი ნაბიჯით. უკან ხმაღამოდებული გუშაგები მიჰყვებიან.

სურათი VIII

ციხე. აბჯარასხმული ქალები დგანან ნახევარწრედ. წრეში ტომარჩამოცმული დაჩი. შე-
მალღებულზე ნახევრად მწოლარე უხუცესი. მის გვერდით საკაცებზე მწოლარე დაჭრილი
მეციხოვნეები.

უხუცესი — ჯერ კიდევ ალყის დაწყების წინა,
უხუცესთ კრებამ ეს დაადგინა,
რომ ალყამორტყმულ ციხისთვის წყალი
ფასდაუდები არის ქონება —
წყლის გზის გამცემი ჩაიქოლება,
ვინც უნდა იყოს, კაცი თუ ქალი.
როცა კვდებოდა, თქვენ თავად იცით,
ბაკურს ჩვენ ყველამ მივეციით ფიცი —
თუ ხელთ ჩავიგდოთ ციხის პირველი
ლახვრის ჩამცემი და გამწირველი,
არ მოვისმინოთ მისი მუდარა,
ყველას დავუდოთ დასჯაში წილი,
დედამ ჩაქოლოს ალალი შვილი,
მამამ ჩაქოლოს ძე საკუთარი.
აი, ამ კაცმა...

დედა — არ სთქვა სახელი,
ჩვენი წახდენის გამომსახველი.
ერთი სახელი დარჩება მისი
სამაგალითოდ, სხვების მსახვრელად,
მას მოლაღატე ჰქვია სახელად
და სხვა სახელის არ არის ღირსი.

უხუცესი — ამ მოლაღატემ ციხე გაჰყიდა,
ჩუმად გავიდა ღამით ალყიდან
და მტერს მოუძღვა ციხეში, როცა
ეგულებოდა ხალხი მძინარი,
რისხვად დაგვატყდა მტერი მძვინვარი
და ციხოვანნი უწყალოდ ზოცა.
თუმცა მტრის რაზმი მოვსპეტ მთლიანად,
მაგრამ ჩვენც ძლიერ დაგვაზიანა,
ძვირად დაგვისვა მომხდურმა გარჯა,
კაცი აღარ გვყავს დღეს დაუჭრელი;
უწყლოდ ამოშრა ყველა ჰურჭელი
და ციხე ქალთა იმედად დარჩა.
მიწურულია იმედი ჩვენი,
უკვე ირღვევა თბილისის ბჭენი.
რაკი წყლის შესძლო მტერმა მიგნება,



გზა საიდუმლო გაიგო ზერელის,
ჩვენც ან წყურვილით სიკვდილი გველის
ან მტრისგან ჟღერა და შეგინება.
თქვენ წინ დგას თქვენივ ცოდვის მტვირთველი,
ციხის გამცემი და გამწირველი.
მე უხუცესი დავჯექ მსაჯულად
და დაჭრილები დავისვი გვერდით,
განაჩენს მათი ცრემლებით ვწერდით.
ვინც ამ ლალატის ხელით ტანჯულა.
გათეთრებულებს ხანძრების ნაცრით,
წინ გვედო ციხის კანონი მკაცრი.
გულს სიბრაღული არ გავიტარეთ,
როგორც შეჰფერის ვაჟკაცთა მოდგმას,
ბრალს სდებდა გამცემს ეგ თქვენი მოთქმა
და ჭრილობების ჩვენის სიმწარე.
მან არ სცნო თავის დანაშაული,
მაგრამ რა იხსნის, რა სასწაული...
ჩვენ დავადგინეთ ამ მოლალატის
ჩაქოლვა... (ყველანი შეტოკდებიან)
მისთვის ვერ ვპოვეთ შველა.
კაცი და ქალი თანაბრად, ყველა,
დღეს უნდა გახდეს მისი ჯალათი.
ნუ გაუფრთხილებთ სასჯელის ლოდინს,
ჰა, გამცემს ჩემგან პირველი ლოდი.
ესვრის ქვას, სხვებიც ესვრიან და იწყება ჩაქოლვა.

I ქალი — (ლოდამართული) აქ არვინ იცის, ვინ ვის შვილს ქოლავს,
და რომ ვიცოდეთ, არც შეგჩერდებით,
მოლალატეებს არ ჰყავთ დედები,
ჩაქოლვას ვარჩევთ გამცემის ყოლას.
შთამომავლობავ, გვიცქერდე ნეტავ!
ამართავს ქვას სასროლად.

შთამომავლობა — (დარბაზიდან) გიცქერთ და გმირულ მაგალითს ვხედავთ!

II ქალი — ჩვენ ვუსწორდებით გამყიდველს ცივად,
მაგრამ უგულოდ ნუ ჩაგვთვლით ნურცერტს..

შთამომავლობა — ჩვენ თქვენი გულის ვაებას ვუცქერთ,
და თქვენთან ერთად ჩვენც გული გვტკივა...
დედა მძიმედ დაიხრება, ხელის კანკალით იღებს ქვას, ოღნავ შეტორტმანდება, მაგრამ
ისევ გაიზარტება და ისვრის. მეციხოვნენი ერთად ქოლავენ დაჩის.

სურათი IX

ღამე ციხეში. ქვაზე სძინავს შეჭურვილ დედას. მთვარეს ღრუბლები ეფარება და სცენა
ბნელდება. სხვადასხვა მხრიდან შემოდინან დაჩი და ძაღლი. ძაღლი დაჩის დანახვაზე გახარე-
ბული შეხტება და წკმუტუნით მორბის მისკენ.

ძაღლი — ჰამი!... ჰამი!..
დაჩი — სს... დედას სძინავს...

ძალი — შენ რად არ გძინავს...

ღაჩი — ეგერ მეძინა, შავი კლდის ძირას.
ეფერება

შენ რაღად ფხიზლობ, ერთგულო ყურშავ!

ძალი — მე გაჩენილი ვარ ხალხის მცველად,
როცა ციხეში იძინებს ყველა,
ძილი არ მომდის, თვალს ვედარ ვხუჭავ,
ახლაც მტრის გეშს ვგრძნობ და ძლიერ ვშიშობ,
მგონი მოდიან საიერიშოდ..

ღაჩი — მეც წინათგრძნობამ წამომაყენა,
მტერი დაიწყებს მალე შეტევას...
ციხის სიმტკიცის მოიმედე ვარ,
თორემ ხმაღს ვერ სწევს ჩემი მარჯვენა.

ძალი — თუ მტერი მოდის, რას ვუცდიო, ხელად
შეგყეფ და ფეხზე დადგება ყველა.

ღაჩი — არა, დადლილებს ვაცალოთ ძილი,
მტერი ციხიდან კიდევ შორს არი...
ყურშავ, ხელფეხი რად გაქვს მომწყდარი,
თითქო ერთი გაქვს ძვალი და რბილი.

ძალი — ჩამქოლეს, მგონი, გყავარ ნახული,
რიყის ქვითა ვარ მთლად დანაყული.

ღაჩი — ყველას უყვარდი, დიდსა და მცირეს,
რა დაუშავე ვისმეს, საბრალოვ?..

ძალი — მეორედ მოგკვდე, თუ რამ დავმალო,
თვითონ არ ვიცი, რატომ გამწირეს.
მეც ალყას დიდხანს, დიდხანს ვუძელი,
სიცხეში ვეგდე უსმელ-უჭმელი,
თავი მიხურდა, აღმური მერტყა,
იმ დღეს პატრონი რომ ვერ ვიცანი,
დობლი შემნიშნეს, ცოფის ნიშანი
და დამაყარეს რიყის ქვა სეტყვად,
ჯერ კი ავყეფდი, გაქცევა ვცადე,
ჩემი ღმუხილი აღწევდა ცამდე...
მერე თათებში თავი ჩავყავი
და დედამიწას ჩაეხედე ურჩად...

ღაჩი — და მერე მოგკლეს, საბრალო, ყურშავ...
მე გავიგონე შენი წკავწკავი...

ძალი — ჰო, დამაყარეს შემდეგ ლოდები...
მაგრამ შენ ტირი? მე გეცოდები?..

ღაჩი — ჰო, მეცოდები ჩემებრ მოკლული,
მეც შენებრ ქვების ყორე მახურავს,
მეც ქვით ჩამქოლეს შენებრ ძალღურად,
როგორც ციხის და ხალხის ორგული.

ძალი — შენ, ციხის მცველი და ამბადარი,
ჩემებრ ჩაგქოლეს? ღმერთი სად არი?

ათას შეახებს.

დათეთქვილი გაქვს ჩემებრ სხეული...



შენ, ვინც აშენე თბილისის ზღუდე,
 ნუთუ ძალღვივით ხალხს უნდა სძულდე
 და მტყეარნი ეგდო ტვინდათხეული.
 როდესაც კაცი ერთგულ ძალს ქოლავს,
 არ ესმის მისი, არა თვლის ტოლად.
 მაგრამ შენსავით ნაამაგარებს,
 რომ გასწირავენ ძალღვივით უცებ,
 რა ძალა ჰყოფნით, რა გული უძლებთ,
 ან რა აოცებთ და ახარხარებთ,
 კაცი გაგწირეს ღმერთის ბადალი?
 სადა ჰქონია ხალხს სამართალი.

დაჩი — მთლად როდი იყო ჩემთან პირშავი,
 როცა მქოლავდა ხალხი ნაპრალთან,
 ციხის გაცემა ბრალად დამბრალდა
 და სიტყვით თავი ვერ დავიცავი.

ძაღლი — მერე, რომ სიტყვას ვერ მიაგენი,
 ვერ დაგიცავდნენ შენი საქმენი?

დაჩი — საქმეც გაცუდდა, ციხე უტეხი,
 ჩემმა შეცდომამ გატეხა რაკი,
 უკანასკნელი ჩავუჭრე ჭრაქიც
 ციხეს, მტრის ლაშქარს რომ მოვუძეხი.
 მაგრამ ეს მოხდა ჩემს უნებურად,
 ჩემს თვალებს მაშინ ნისლი ებურა.
 სხვა სადარდელი, სხვა საფიქრალი,
 მაგზნებდა მშიერს და ღონემიხდილს!..

ძაღლი — შენს დანაშაულს როდესაც მიხვდი,
 თავი თვით რატომ არ მოიკალი...

დაჩი — ვერ მოვასწარი, გავერკვი გვიან
 და ჰა, დამსაჯეს, ვით გამცემს სჯიან.

ძაღლი — საბრალო, დაჩი!

დაჩი — საბრალო, ძაღლო! (ეფერება)

ძაღლი — სულ ასე ბრუნავს საწუთროს ჩარხი,
 როცა განწირულს ზურგს აქცევს ხალხი,
 ძაღლიდა რჩება პატრონის ახლო.
 ეს არის ძაღლის წესი და ჯიში,
 არ მიატოვოს პატრონი ჭირში,
 მუდამ თან ახლდეს, როგორც შეთქმული,
 გინდ მკვლელი ჰყავდეს, გინდა გამცემი,
 ძაღლი პატრონის ხელით ნაცემი,
 მაინც პატრონის არის ერთგული.

დედა ამოიხრებს და შეირხევა ძილში.

დაჩი — საბრალო, დედა...

ძაღლი — ფარხმალი შეგნის,
 დედამ თუ ნახა სიკვდილი შენი.

დაჩი — არ ვიცი, როცა დასცეს ყოყინა,
 და ლოდებს დასწვდნენ ჩემს ჩასაქოლად.

იქ ყველამ წყველა ზედ დამაყოლა
და ყველამ ერთად ქვა დამიშინა.

ძაღლი — ნუთუ შენს სახეს დედა უცქერდა
და გული ცოდვით არ აუძგერდა.

დაჩი — ვერა მხედავდა, თორემ ღმერთმანი,
დამაფარებდა საკუთარ კალთას,
თავზე დამხურეს თავიდან ხალთა,
ჩემს ჩამქოლავებს რომ არ ვეცანი.

ძაღლი — საბრალო დაჩი..

დაჩი — საბრალო დედა...
მას მხოლოდ ჩემი თუ გასტეხს სევდა,
მას ერთი ნატვრა ჰქონდა რა ხანი,
ეს ნატვრა უთქვამს ჩემთვის ბევრჯერა —
ჩემი ბალები ნანა ემღერა,
დაერწო ჩემი შვილის აკვანი. (ღეღას)
ვერ მოესწარი ჩემს შვილებს, განა...
იძინე, მე თვით გიმღერებ ნანას:
იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო,
დაიძინე ჩემო დედავ, იავნანინაო...
იავუნდის მარანშია, იავნანინაო...
ღვინო დგას და ლალი სჭკვივსო, იავნანინაო...

ძაღლი — საბრალო დაჩი...

დაჩი — საბრალო დედა...
მას ჩემი დარდი მუდამ თან სდევდა...

ძაღლი — ახლა, თუ იცი, ნეტავ რა გველის?

დაჩი — სუნს დააყენებს ციხეში მძორი
და სადმე ხრამში გვისვრიან შორით,
რომ არ შეწუხდეს ჩვენი მნახველი.
ხალხი მკაცრია და ამაყია,
მე ციხის მიწას არ წამაყრიან.

ძაღლი — საბრალო დაჩი...

დაჩი — საწყალო ძაღლო!..

ძაღლი — ფეხის ხმა მესმის. ნეტავ ვინ არი?

დაჩი — (წამობტება) გამოაღვიძე ხალხი მძინარი,

მტერი დგას უკვე ციხესთან ახლო...

ძაღლი შეპყვდს, მერე გაბმით აყმუვლდება. დედა იღვიძებს... დაჩი და ძაღლი ქრებიან...
გამოჩნდება ციხის კედელზე ამოშავალი მტრის მეზობელი ხელში ჟინჯილით.

დედა — რა საშინელი ვნახე სიზმარი (მიმოიხედავს)

ხმაური მესმის, ჰეი, ვინ არი? (დაინახავს ციხის კედელზე ამოსულ მტერს)

ადექით ხალხო! დაგვეცა მტერი...

გამართავს მშვილდისას, ესვრის კედელზე ამოსულ მტერს... მოკლული ციხის კედ-
ლიდან ვარდება.

უკანასკნელად დაეკრავთ ნაღარას,

სიკვდილმა თავის მოსვლა გვახარა,

ციხეზე დროშებს ეცვალა ფერი...

შემორბიან მეციხოვნე ქალები შიშველი ხმლებით. იმართება ბრძოლა ციხის კედ-
ლებთან... მეციხოვნეები ძირს ჰყრიან კედლებზე ამოსულ მტერს... შემორბიან ქალები ანთუ-
ბული მუგუზლებით.

დედა — თავს დააყარეთ მტერს ნაკვერცხალი,



ჰა, უკან იხევს უკვე შემდრკალი,
ჩვენს მძლავრ იერიშს ვერ უმკლავდება...
სიკვდილად დღეს ჩვენს სიკვდილს ვინ ჩათვლის,
სამშობლოსათვის, თბილისისათვის,
სიკვდილში ვპოვებთ ჩვენ უკვდავებას.

ამასობაში ნელ-ნელა თენდებოდა... მთის წვერზე გამოჩნდება ამომავალი მზე, ყველაფერი ბრწყინდება.

ეს რა ლაშქარი მოადგა ზღუდეს,
ხალხო, მტერს ვილაც ზურგიდან უტევს!

ავარდება კოშკზე... მთის წვერზე გამოჩნდება ამომავალი მზე, ყველაფერი ბრწყინდება.
მთლად აირია, გარბის მტრის ჯარი,
დახოცილებით აივსო ველი...

აჰა გამოჩნდა თბილისის მხსნელი,
თბილისის თავზე ბრწყინავს ცისკარი...

ყველანი — ხელმწიფე მოდის, სწორედ ის არი,
მას გამარჯვების მოსდევს ცისკარი...

ყველანი — (იწყებენ სიმღერას:)

ჰეი, მუმლი მუხასაო, გარს ეხვეოდაო,
მუმლი ქრებოდაო, მუმლი წყდებოდაო,
ხე არ ხმებოდაო... მუმლი მუხასაო...

მეციხოვნენი ციხის კარს აღებენ... ციხეში შემოდიან დროშებამართული ქართველი მებრძოლენი ვახტანგ გორგასალის მეთაურობით... დაჭრილები და ცოცხლად გადაჩენილი ბავშვები სახეგაბრწყინებული გამოდიან, გარს ერტყმიან მეფესა და ციხის მხსნელ მე-ბრძოლენს.

ვახტანგი — გმირ მეციხოვნეთ ჩემი სალამი!

აჰა, გათავდა თქვენი ვარამი,
თავისუფლების მზე აკაშკაშდა!
თქვენ მოიხადეთ გმირული ვალი,
ძლევის დიდებით გაბრწყინდა ხმალი
თბილისის დამცველ ქართველ ვაჟკაცთა.
თქვენი მსხვერპლი და თქვენი ვაება
უქრობ შუქს ჰფენენ თქვენს უკვდავებას.
დღეს მთელი ერი გითვლით მადლობას
თბილისისათვის პირველ მეომრებს,
თქვენს სახელს კრძალვით გაიმეორებს,
დროშად გაიხდის შთამომავლობა.
ციხისთავს მიხმეთ, ბაკური არ ჩანს!

დედა — ბაკური მოჰკლეს... სხვაც არვინ დარჩა
ამდენ ქარცეცხლში კაცი ცოცხალი,
ქალნი ვიბრძოდით ქმრების ფარხმალით,
მკერდით დავიცვით ციხე მაღალი
მტრისგან ნანგრევი და ნაოხრალი.
ქალნი ვიბრძოდით და ციხისთავიც
გაცეცხლებული ქალი ვიყავი!

იხდის ჩაჩქანს, მხრებზე დაეყრება გაშლილი თმები.

ვახტანგი — (დაიჩოქებს) მადლობა შენდა, დიდება შენდა,
ჩვენო სინდისო, ქართველო დედავ!
ემთხვევა კალთაზე, წამოდგება



ვახტანგი — დაჩი სადღა, თქვენი მარჯვენა?

უხუცესი — ხანთან წავიდა ღამით ალყიდან.

მტერს წინ მოუძღვა, ციხე გაპყიდა,
ხალხმა ჩაქოლა და შეაჩვენა.

დედა — ვაიმე, შვილო! (დაეცმა)

ვახტანგი — თვით აღიარა?

უხუცესი — უარპყო სავსემ ღალატის შხამით!..

შემოვარდება ვარღ.

ვარღო — ეგ ტყუილია, სწორედ იმ ღამით

ის ჩემთან იყო, ხანთან კი არა...

I გუშაგი — შენთან?

ვარღო — ჰო ჩემთან გამოჩნდა უცებ,

ძლიერ ჩქარობდა, ითვლიდა წუთებს,

წამსვე გაბრუნდა წყლის ასატანად,

არ შეისმინა ჩემი მუდარა...

აღბათ, ასრულდა გახას მუქარა,

კვალში ჩაუდგა, დაჩის, სატანა.

II გუშაგი — გახა სად იყო?

ვარღო — დაჩის წინ გახლდათ,

უეცრად გაჩნდა ისიც ჩემს სახლთან,

ჯერ მაცოდებდა თავს საზიზღარი,

მერე გაცეცხლდა, იქცა მეხადა...

დაჩის დაღუპვას ის დამექადა,

მან დაადევნა დაჩის მტრის ჯარი.

I გუშაგი — აკი ასე თქვა დაჩიმაც თავათ,

ირგვლივ სიბნელე მერტყო შავად,

დიღმიდან უკან დავბრუნდი ჩქარა

და რომ გავყეო ღამეში უღრანს,

ვიღაცის ლანდი მსდევდაო უკან,

ტყე მეჩვენაო ურჯულოს ჯარად.

ვახტანგი — დაჩის ღალატი მეც არა მჯერა,

მაგრამ ამის დრო არა გვაქვს ჯერა,

რომ აქ განვსაჯოთ მტყუან-მართალი...

როს ხალხის ბედი ბეწვზე ჰკიდია,

დიდ განსაცდელში მსხვერპლიც დიღია, —

მსხვერპლი ვინ ნახა თქვენი ბაღალი.

ჯერ გარჯა გემართებს სამშობლოს მსხნელად,

მერე თავისას მივუზღავთ ყველას.

აღლ! მოჩვენებს ზავშვებს

უნდა მივხედოთ დაქრილ ციხოვნებს,

ამ ყრმებს ალყაში ცოცხლად დარჩენილთ,

მათი გმირობით, მათი მარჯვებით

ციხე ჩვენს შემდეგ კიდევ იცხოვრებს.

და ეს გმირული მათი ცხოვრება

მრავალ თაობას ემახსოვრება.

ქალებს.

წმინდა გახადეთ თქვენ ეს ალაგი



თქვენი სიწმინდით, თქვენი მანდილით
და დღეს ეს არის ჩემი წადილი —
თბილისი იყოს დედა-ქალაქი!
დღეიდან ჰქონდეს თბილისს სახელი
თქვენი გმირობის გამომსახველიც,
იცოდნენ მტერი როგორ ვერ გძლევდათ,
რა ცეცხლს ვუძლებდით, რა იერიშთა,
იყოს თბილისი ამიერიდან
დედა-ქალაქი — ქალაქი-დედა!

ფ ა რ ღ ა

ეპილოგი

მწვანე გორაკი ძველი თბილისის თავზე მთლად საფლავებითაა გაქედილი. გორაკიდან მოჩანს დიდი ქალაქის სილუეტი. ჰაბუკი გადაყრდნობია კლდეს და დასცქერის ქალაქს. მარჯვნივ, საფლაკთან თმავაშლილი შაოსანი დედა. იქვე, ახლოს ახლად გაჭრილი საფლავი. აღმართზე ამორბის ქალიშვილი.

ვაჟი — აპა, გამოჩნდა ჩემი ცისკარი,
თითქოს მოფრინავს, ჩემსკენ იჩქარის,
წამოღვება და ეგებება.

მოხველ და მოგყვა ვარდი ყელამდი,
შემომემატა თვალში ნათელი,
ძვირფასო, შენი ნახვის მნატრელი,
როგორ გელოდი, როგორ ვდეღავდი
გული ლოდინით გადამელია...

ქალი — მემღური?

ვაჟი — არა, რა სათქმელია!
შენი შეხვედრის იმედიც მარტო
ჩემთვის უსაზღვრო სიხარულია!

ქალი — ამ ბილიკებზე ვის არ უგლია,
მაგრამ მეგონა — თვალები ფართო
ჩემსკენ მოაპყრო იმ წუთში ყველამ,
როცა ამ აღმართს ამოვყე ნელა...

ვაჟი — სახეზე ჩრდილი გადაგვენია...

ქალი — შიშით დამიწყო გულმა ფართქალი,
მოგვრბოდი, როგორც შველი დამფრთხალი.

ვაჟი — ახლა ჩემთან ხარ, არაფერია.

ქალი — სულ შენთან ვიყო, როდის იქნება?

ვაჟი — მეც ახლა მხოლოდ ეგ მეფიქრება
მალე ჩამოგსვა ჩემს ლამაზ ქოხთან,
მალე მოგისპო ეგ სამღურავი.
უკვე დაგხურე ქოხს სახურავი.

ქალი — (დაპყურებს დაბლა ქალაქს) ქოხი კი არა, სახლია კოხტა,
ეზო არა აქვს და ახლო-მახლოს,
ეტყობა, კიდევ სხვაც ბევრი სახლობს.

ვაჟი — ბევრი!.. სადღაა ეზოს ალაგი,

რა დიდი გახდა თბილისი ჩვენი,
მთებს შეეფინა, გორაკებს შვენის,
ნორჩი როდია ჩვენი ქალაქი.

შემოდის ორი გოგონა. ერთი ყვავილებს კრეფს. მეორე — პეპელას მისდევს დასა-
ქერად.

I გოგონა — შორს აღარ წავალ, დავრჩე აქა სჯობს,
რა ხელი დაჰკრეფს ამდენ ყაყაჩოს!

II გოგონა — ერთი შეხედე, რა პეპლებია!
ფერად ყვავილებს თავს ევლებიან!
მისდევს სირბილით პეპლებს.

მთელ დღეს რომ ვთელო ეს მწვანე მდელი,
მინც დაგიჰერ, პეპელავ, ჰრელო!
მინც დაგიჰერ, პეპელავ, ჰრელო!

პეპელას დევნით გათოული გოგონა უახლოვდება ახლადგაპირილ საფლავს. ვაჟი და-
ახახავს და შემფოთებული წამოხტება.

ვაჟი — (გარბის გოგონასაკენ) შეჩერდი ბაღლო!

ქალი — (ისიც გოგონასთან მიიჭრება) ეს რა ხრამია?
შიგ როგორ ბნელა, თითქო ღამეა?

ვაჟი — როგორ იქნება თხრილთან ნავარდი,
ცოტალა გაკლდა, შიგ არ ჩავარდი!

II გოგონა — აქ საფლავია გათხრილი ახლად.

ვაჟი — მოშორდი, ბაღლო ნაპირს ახლავე.

II გოგონა — იცი? აქ მალე კაცს დამარხავენ,

I გოგონა — საფლავებს სჭრიან მკვდრებისთვის სახლად.

ვაჟი — თქვენ ეგ ვინ გითხრათ, აგრე პატარებს?

I გოგონა — დღეს ორი კუბო გამოატარეს,
ჩვენ თვითონ ვნახეთ, ვცხოვრობთ აქავე, —
აგერ, სულ ახლო სასაფლაოსთან.

II გოგონა — ყოველდღე ვხედავთ მტირალ შაოსანთ
და ვუცქერთ ხოლმე, მკვდრებს რომ მარხავენ.

I გოგონა — მინც ამ ბოლოს რა ბევრი კვდება,
ეს გორაც იქცა საფლავის ქვებად!

ვაჟი — მიწის პირისგან ასჯერ აღგვილი,
როგორ მოშენდა ჩვენი ქალაქი!
უკვე არ ყოფნით სახლებს ალაგო,
აღარც საფლავებს ჰყოფნით ადგილი.

II გოგონა — ისე მიჯრიან ერთმანეთს ჯვრები,
საფლავებს შორის ჩვენც ძლივსლა ეძვრებით!

I გოგონა — თურმე ვინც ჰპოვებს საფლავში ბინას,
მას დღედაღამე უშფოთვლად სძინავს.

ვაჟი — ჰო, მშვიდად სძინავთ ერთურთის გვერდით,
სძინავთ, ისვენებს მათი მარჯვენა,
ვინც ეს ქალაქი მკლავით აშენა,
ვინც ის მტრებისგან დაიცვა მკერდით.

II გოგონა — მაშ ჩვენ აქ ფეხის წვერებზე ვივლით,
რომ არ დავუფრთხოთ წინაპრებს ძილი...

I გოგონა — რომ არ ეწყინოთ ჩვენს გმირ წინაპრებს,

მათ ჯვრებთან აღარ დაგკრეფ ყაყაჩოს,
იქნება იგი მათ ძილს დარაჯობს,
ვისი ნათელიც ჩვენ გზას გვინათებს.

ვაჟი — არა! ახარებთ მძინარო, პირიქით,
როცა აქ რბიხართ მწვანე ბილიკით.
მათ მისთვის მართეს ხარაჩოები,
მისთვის შეღებეს სისხლით ველები,
რომ თქვენ გეჭირათ ჭრელი პეპლები,
რომ თქვენ გეკრიფათ ყაყაჩოები.
დაჭკრიფეთ, პეპლებს გასდიეთ ისევ...


I გოგონა — დაგკრეფ! (ჩაიჩოქებს ყვავილების საკრეფად)

II გოგონა — მე ისევ პეპელას მივსდეგ. (გარბის სიმღერით)

მთელ დღეს რომ ვთელო ეს მწვანე მდელო,
მაინც დაგიჭერ, პეპელავ, ჭრელო!
მაინც დაგიჭერ, პეპელავ, ჭრელო!

ფ ა რ დ ა





გივი გვგეჭკორი

ლტოლვა

შენ ვერ გაგთქვამენ შენი თვალები,
 შინაგან ძრწოლას სიმშვიდით ნიღბავ,
 მხოლოდ მე ვიცი, რაც იმალება
 მოჩვენებითი სიმშვიდის მიღმა!..
 შენ გეშინია საკუთარ გრძნობის,
 ჩემი მუხლების, მხრების, ფეხების,
 ჯერ არ განცდილი თვლემის და თრობის,
 თრთოლვის, სურვილის, ხელის შეხების...
 გასურს მომიშორო შენივე ხელებით
 და გეშინია, რომ შორს შესტოპე,
 გულს ვერ იჩერებ აფართხალეზულს,
 თრთოლვა გიბერავს ცხვირის ნესტოებს...
 სახეს მარიდებ, იხრები გვერდზე
 და თითქოს სადღაც გადაიწიე,
 შენში სურვილი გონებას ებრძვის
 და მიწიერი — არამიწიერს!..
 რასაც გუმანით გრძნობდი ადრევე,
 მკერდით, სიცილით, მთებით, კორდებით,
 ახლა შენს სულში იბინადრებენ,
 სხვა სიმღერებით, სხვა აკორდებით.
 შენ გეშინია ხელის შეხების
 და სურვილები თითქოს გახრჩობენ,
 გქენჯნის სინდისი და გულს ეხლები,
 როგორც ფუტკარი ფანჯრის ჩარჩოებს.
 და იღებ როგორც შიშის საზღაურს
 თავდავიწყებას, ალერსს და თრთოლვას,
 თავშეკავების ქრება საზღვარი
 და რჩება მხოლოდ უსაზღვრო ლტოლვა!..

1958 წ.

სუნთქვით გაგიტობო გათოშილ თითებს
 და საალერსოს გიხმობ სახელებს,
 ძვირფასო, ნულარ იტირებ კიდევ —
 გამხდარი მხრები გიცახცახებენ.

თუნდ შენებურად ისევ გაჯავრდი,
 მე მოვალ ისევ, გაივლის დღენი,
 უფაქიზესი სულის ლაქვარდი —
 ისევ მომპაყარ თვალები შენი.
 ჩემი ხელები, როგორც სიზმარში,
 სასიხარულოდ კვლავ გაკურთხებენ,
 დედაკაცური ცრემლის სიმლაშე
 აღარ აგიწვავს ტუჩის კუთხეებს.
 შენი სიცილი კვლავ განიბნევა,
 აინთებიან შენი ლაწვები,
 არ შეგაშინებს ღამის სიბნელე
 და ცრემლიანი აღარ დაწვები.
 შენ გაზაფხული კვლავ გაგაოცებს,
 შენს სულში დიდი სინათლე შევა,
 და სიარული სასაფლაოზე
 დარჩება მხოლოდ უბრალო ჩვევად.
 მე ახლა მჯერა: ღიმილი მოვა,
 ცრემლი — მიიღებს თავის მისაგებს,
 მე გამოგტაცებ დარდსა და გლოვას,
 მე დაგაბრუნებ სიცოცხლისაკენ!..

1957

•
* * *

ეს გაზაფხულიც მიდის ასეთი
 აყვავებული მთებით, კორდებით,
 ახლო იყო და არ ვაფასებდი
 და ძვირფასია, როცა ვშორდები...
 დღეს ძვირფასია ის, რაც შორია,
 ის, რაც განვლილის მწუხრში რიალებს,
 სველი ფოთლები და განშორება,
 ქალის თითები და როიალი...
 ბავშვის ღიმილი, კრძალვა ქალური
 და გაორთქლილი ფანჯრის მინები,
 წუთები რისხვის და სიბრალულის,
 წუთები ტანჯვის და მოთმინების...
 დღეს ძვირფასია გუმანი ჩემი,
 რასაც გონებას უკარნახებდა,
 დღეს ძვირფასია განვლილის ცრემლიც,
 ჩემი წინსვლაც და უკანდახევაც!..
 თეთრი ხეებიც და სიყმაწვილაც,
 კაცის სიკეთეც და თვით სიავიც,
 რადგან ისინი სულში ვარწიე,
 რადგან ხსოვნაში ვულოლიავე.
 ჩვეულებრივი რაც არის დღემდე
 და რაც განვლილის მდინარეს ერთვის,
 იგი სიმღერად იქცევა შემდეგ,
 რადგან ძვირფასი იქნება ჩემთვის!..

1958

117

* * *

ჩვენ სხვებს ვარწმუნებთ, რომ თითქოს დავალთ
 ქვეყნად მიწიერ ცოდვების გარდა,
 ჩვენ სხვასთან სხვა ვართ და მაშინ სხვა ვართ,
 როდესაც ვრჩებით საკუთარ თავთან.
 ჩვენ გვინდა გვთვლიდნენ მხოლოდ გმირებად,
 ჩვენ გვინდა გვცნობდნენ მხოლოდ მძლავრებად,
 ამიტომ ხშირად გვეთაკილება
 ჩვენი გრძნობების გამომჟღავნება.
 ჩვენ ვმალავთ ცრემლებს, ქურქში ვეხვევით
 და ხშირად ვიღებთ სახეს მხიარულს,
 ჩვენი სიტლანქით და უკემხოვით
 ვფარავთ სინაზეს ადამიანურს.
 რომ ზოგჯერ გვტოვებს ჩვენ სიმამაცე,
 რომ ზოგჯერ ჩვენზე ქალი გამგებლობს,
 რომ ვართ სუსტები და რომ გვამარცხებს
 ეჭვი ფარული და უსარგებლო.
 ჩვენ გვინდა აფხსნათ ცხოვრების სიბრძნით
 რაც გულჩვილობის არის საგანი,
 რომ ჩვენ ვიცვლებით და ჩვენში იბრძვის
 რაღაც ფარული და შინაგანი.
 ის, რაც არ გვინდა იყვეს საჩინო,
 ის, რაც გვიტაცებს, რასაც ვაკვდებით,
 ჩვენ ვცდილობთ მზერას გადავარჩინოთ
 არაფრის მთქმელი სახის ნაკვთებით.
 ჩვენ სხვასთან სხვა ვართ და როდი გვინდა,
 თვალი შეასწრონ უმწეო ცრემლებს,
 და ჩაიხედონ იქ, სადაც მშვიდად
 ხელუხლებელი გრძნობები თვლემენ...

1958

* * *

გეძებდი როგორც დათოვლილ ბილიქს,
 როგორც ბალახში ჩამალულ რუსსა,
 მე გავიარე მრავალი მილი
 და ბოლოს შენთან ჩავუშვი ღუზა.
 მოგნახე, როგორც ხმა საკუთარი,
 როგორც მინდორში ყვავილი მორცხვი...
 ჩუმი და მყუდრო ნავსაყუდარი,
 ჩემი კეთილი იმედის კონცხი.
 დიდხანს გეძებდი, ვფარავდი მანძილს,
 ხელის თითებზე ვთვლიდი თარიღებს,
 ბოლოს მოგნახე ძვირფასი განძი
 და დავიძახე: „სეზამ, გაიღე!..“

1958 წ.



როგორც ხბო ეძებს დედის ძუძუს...

როგორც ხბო ეძებს დედის ძუძუს, ისე დაგეძებ,
 შენი სახელი შემრჩენია გამშრალ ბაგეზე...
 შენ ხარ ჯალაბი,
 შენ ხარ სითბო,
 შენ ხარ კერია,
 შენ სიმღერა ხარ, რომელიც ჯერ არ მიმღერია!..
 შორეულ გზებზე,
 ბილიკებზე,
 ლიანდაგებზე,
 როგორც ხბო ეძებს დედის ძუძუს, ისე დაგეძებ...



ვერვინ გაიგო სასომიხდილი
 და საცოდავი ფოთლის სიკვდილი.
 წყალს მიაქვს ფოთოლი...
 ფოთოლს სიცოცხლე კიდევ სწყურია,
 მაგრამ საბრალო ხე უძღურია.

წყალს მიაქვს ფოთოლი...
 ხე ტოტებს იწვდის, კენესის, ქანაობს,
 წყლისკენ იხრება, მაგრამ ამაოდ.
 წყალს მიაქვს ფოთოლი...

გზა მიდის

გზა მიდის თეთრი და ირიბი
 და სადღაც კვამლია ბარში,
 გზა მიდის და არსად თავდება გზა,
 ბარბაცებს დაღლილი ბავშვი...
 გზა მიდის და გზაში ქარია,
 ხეხილი იხრება ქარში,

გზა მიდის და არსად თავდება გზა,
 ძილს ებრძვის დაღლილი ბავშვი...
 გზა მიდის და თოვლში ნაკვალევს
 ამაღამ ქარბუქი წაშლის,
 გზა მიდის და არსად თავდება გზა,
 მკლავებზე იძინებს ბავშვი...

ალერსი

ხავერდის საღამო მარტივ და ურთულეს
 პირველქმნილ ბუნების სიყვარულს ჩურჩულებს,
 ირწევა ალუბლის გაწვდილი ტოტი...
 გაშლილი მკლავები სასთუმალს აგებენ,
 მხურვალე ბაგენი ეძებენ ბაგეებს,
 ირწევა ალუბლის გაწვდილი ტოტი...
 ფოთლები ერთმანეთს ეკვრიან ძალიან,
 ბალახზე იძინებს დაღლილი კალია,
 ირწევა ალუბლის გაწვდილი ტოტი...

თაგვი

მთვარის სინათლე წვება ფანჯრებზე
 და მე ვიღვიძებ, თითქოს მანჯღრევენ,
 სადღაც თახჩაში ხმაურობს თავი...
 უცოდველ ბავშვის სიზმრებს შევეშვი,

ველარ ვიძინებ და სიბნელეში
 ხმაურობს თავგი...
 ტახტზე ვწრიალებ, თითქოს ვიცლები
 და ქრიალებენ ტახტის ფიცრები,
 ჩუმდება თავგი...
 მაგრამ, როდესაც დაღლილი თვლემით
 ძილს ესიტყვება თვალები ჩემი,
 თახჩაში ისევ ხმაურობს თავგი...

აღმოსავლეთით...

აღმოსავლეთით მიიწევს ჩრდილი
 ხეების,
 სახლის,
 წისქვილის,
 ქონის,
 კუდაპრეხილი ძაღლის და ძროხის,
 ღობის,
 სიმინდის,
 გაფხორილ მამლის,
 საკვამურიდან წასული კვამლის,
 გაყვითლებული მინდვრის ბალახის,
 მიმავალ მგზავრის და ყაბალახის,
 ქვებზე ჩამომჯდარ სოფლის ქალების,
 თვლემის,
 სიმშვიდის,
 იღუმალების
 მიიწევს ჩრდილი აღმოსავლეთით...

თუ მოვა ბარათი...

თუ მოვა ბარათი —
 მე ავდგები და გავიჭრები,
 გზას გავუდგები და თბილისში გადავბარდები,
 და მერე აღარ დამსუსხავენ ველზე ჭინჭრები
 და მერე აღარ დამკაწრავენ კატაბარდები.
 თუ მოვა ბარათი —
 მე სურვილი ქალაქის ნახვის,
 შემომაწვება, როგორც სევდა დევნილი ღრუბლის,
 მე მივატოვებ მდუმარებას პატარა სახლის
 და მოკრძალებულ შეღამებას ჩალაანთ უბნის.
 თუ მოვა ბარათი —
 გამაცილებს სიჩუმე სახლის
 და მივაშურებ მზის სხივებით გავსებულ ქალაქს,
 და მხოლოდ მაშინ გავიგონებ მინდვრების ძახილს,
 როცა შევხედავ ქვაფენილზე ამოსულ ბალახს...





წინასაყრილობა ტრიბუნა

გუგაგ გვაჩინითაი

უკანასკნელი წლების ქართული მხატვრული პროზა და დადებითი გმირის პრობლემა

დადებითი გმირის პრობლემა მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა. ყოველი ეპოქის ლიტერატურა, ანტიური პერიოდიდან მოყოლებული დღემდე (უძველესი ხალხური ეპოსებისა და თქმულებების ჩათვლით) გვარწმუნებს, თუ რა შეუწყნებელი ყურადღება ექცეოდა დადებითი სახის შექმნას ლიტერატურისა ან ზეპირსიტყვიერების განვითარების ყოველ ეტაპზე. ეს არცაა საკვირველი. მხატვრული ლიტერატურის სულს — ესთეტიკური იდეალის ყველაზე უფრო პოზიტიური მატარებელი დადებითი გმირია და ბუნებრივია ყოველი მწერლობა მთელი მონღომებით ძერწავდა თავისი კონკრეტულ-ისტორიული ეპოქით შეპირობებულ დადებით სახეებს. ამჯერად შორს წაგვიყვანდა თუნდაც უბრალო ჩამოთვლა მსოფლიო ლიტერატურის მიერ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შექმნილი შესანიშნავი დადებითი სახეებისა, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ მხატვრული ზემოქმედების ძალას, ხოლო თავისი დროისათვის კაცობრიობის პროგრესის სტიმულს წარმოადგენდნენ. ახლა გვესალარ იწვევს სიყალბე და უმეცრება იმ ვულგაროზატორული თეორიისა, რომელიც დადებითი გმირის პრობლემას მხოლოდ საბჭოთა ლიტერატურას უკავშირებდა და ამით მას დიდ კლასიკურ ლიტერატურას უპირისპირებდა.

საერთოდ, მხატვრული ლიტერატურის ერთგვარ შინაგან კანონზომიერებად უნდა იქნეს მიჩნეული მისი სწრაფვა ესთეტიკური იდეალის დადებით მხატვრულ სახეებში გადმოცემისა და დამკვიდრებისა. აქვე უნდა აღინიშ-

ნოს, რომ ეს მხოლოდ პროგრესულ ლიტერატურას როდი შეეხება. ლიტერატურის კლასობრივი არსის გათვალისწინება ნათელს ხდის რეაქციის სამსახურში მყოფი ლიტერატურის არანაკლებ მონღომებას — შექმნას თავისი კლასობრივი პოზიციების შესაფერი დადებითი სახეები, რომლებიც რეაქციული ძალების იდეოლოგიურ დაკვეთას ემსახურებიან და მხატვრული აზრის დამაჯერებლობის ძალით ცდილობენ გააპართონ სოციალური თუ პოლიტიკური ძალმომრეობა, წააქეზონ ადამიანში ბნელი ინსტინქტები. რაღა თქმა უნდა ასეთ ლიტერატურასა და მის დადებით სახეებს საერთო არაფერი აქვთ მჭიმარიტ, ხალხისა თუ ერის სამსახურში მყოფ ლიტერატურასთან და მის დადებით სახეებთან. ამიტომაც დადებითი გმირის ცნებაში უნდა ვივლისხმეთ მხოლოდ პროგრესული ლიტერატურის ის მხატვრული სახეები, რომლებიც წარმოადგენენ ტიპურ განზოგადებულ განსახიერებას როგორც ეპოქის მოწინავე ტენდენციების, ასევე ხალხის თუ ერის საუკეთესო თვისებების, ჩვევებისა და ხასიათის მატარებელი ადამიანებისა.

მართალია, საბჭოთა ლიტერატურა დადებითი სახის შექმნის საქმეში (ისევე როგორც მრავალ სხვა ასპექტში) ორგანულად უკავშირდება დიდ კლასიკურ ლიტერატურას და მისი ღირსეული მემკვიდრეა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს იგი უბრალო განმგვრძობი იყოს ამ ტრადიციებისა, როგორც ეს ზოგ მკვლევარს მიაჩნია. არა მარტო იდეურ-თემატური, არამედ მხატვრული არსეალის მხრივაც საბჭოთა ლიტერატურა წარმოადგენს თვისებრივად ახალ ლიტერატურას, რომელმაც განვითა-



რების ახალ საფეხურზე აიყვანა მხატვრული აზროვნება. სამწუხაროდ, ეს უბრალო კემპინგობა მიუწვდომელი გამხდარა ზოგი კრიტიკოსისთვის, რომელიც საბჭოთა ლიტერატურაში მხოლოდ თემატურ სიახლესა გრძობს, მხატვრულობის მხრივ კი ახალს ვერაფერს ხედავს და მას კლასიკური ლიტერატურის მკრთალ განმეორებად მიიჩნევს. აი, მაგალითად, რასა წერს კრიტიკოსი გვიგ ვარდოსანიძე თავის წერალში „პროზობრძეები თუ პოზიციას“:

„მხატვრული ლიტერატურის შეფასებაში მთავარია თვით მწერლობის ხასიათი. რუსულ მხატვრულ აზროვნებაში დღესაც თვალშეუღვამ ტიტანებად არიან აღმართული გოგოლი, ტლსტოი, დოსტოევსკი, ჩეხოვი. საბჭოთა მწერლობის თვით ყველაზე დიდი ქმნილებანიც კი ლიტერატურულ-მხატვრული ღირსებებით ვერ აჯარბებენ „ომსა და მშვიდობას“. ფრანგული ლიტერატურის საგანძურში შედიან ლუი არაგონის, ანდრე სტილის შესანიშნავი თხზულებები, მაგრამ მხატვრულ შესრულებაში ისინი მაინც ვერ გაეჯობებენ ბალზაკის რომანებს. და, როგორც მიხეილ შოლოხოვი საესებით სწორად აღნიშნავდა, საბჭოთა მწერლობის, საერთოდ, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის უბრაატესობა მანამდე არსებულ ყველა დროისა და ეპოქის ლიტერატურებთან იმაში კი არ მდგომარეობს, რომ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში დაპყრობილია მანამ უცნობი მწვერვლები სინამდვილის სრულყოფილ მხატვრულ ფერებში გამოსახატავად, არამედ იმაში, რომ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა არის თვისებრივად სრულიად სხვა, სრულიად ახალი ლიტერატურა, იგი შთაგონებულია უაღრესად მაღალი, ყველა დროისა და ეპოქის იდეებისაგან განსხვავებული იდეებით“ (ყურნ. „მინათობი“, 1957 წლის ივნისი).

თუმცე მხატვრული ლიტერატურის შეფასების მთავარი ყოფილა მწერლობის ხასიათი, რომელიც მხოლოდ მისი იდეურობით განისაზღვრება და რომელსაც მხატვრულობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. განა აშკარად არ შეიმჩნევა ავტორის ტენდენცია — კლასიკურ ლიტერატურას მხოლოდ მისი იდეურობით დაუპირისპიროს საბჭოთა ლიტერატურა, და საერთოდ, სოციალისტური ლიტერატურა? ჩვენ აღარაფერს ვიტყვი იმის თაობაზე, თუ რამდენად სწორად იმოწმებს კრიტიკოსი შოლოხოვს, ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ საბჭოთა ლიტერატურის ყოველდღიურ ღირსებად იგი მის შთამავრნებელ დებებს მიიჩნევს, ხოლო ამ იდეების მხატვრულ გადაწყვეტაში ახალს ვერაფერს ხედავს. მხატვრული აზროვნების ტიტანებსაც მხოლოდ გახული საუკუნის მწერლობაში ხედავს, ასა-

ხელებს კიდევ მათ: გოგოლი, ტლსტოი, დოსტოევსკი, ჩეხოვი. ხოლო ასეთსავე ტიტანებს რატომღაც ვერ ამჩნევს სოციალისტური რეალიზმის მწერლობაში. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის „მხატვრულ გაჯობებაში“ კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურასთან, ამ უკანასკნელის უდავო უბრაატესობის აღიარებით, კრიტიკოსი მტეტი რომ არაფერი ვთქვავ, უხერხულ მდგომარეობაში ვარდები. ცოტა პრიმიტიულია საკითხის ასე დაყენება, რომ „საბჭოთა მწერლობის თვით ყველაზე დიდი ქმნილებანიც კი ლიტერატურულ-მხატვრული ღირსებებით ვერ აჯარბებენ „ომსა და მშვიდობას“. განა გოგოლის, ლეე ტლსტოის, ჩეხოვის და სხვათა გვერდით, მათი შემოქმედების არა მარტო იდეური, არამედ მხატვრული სიძლიერის თვალსაზრისითაც, ყოველგვარი შედგავთების გარეშე ვერ მოიხსენიებთ მაქსიმ გორკის, ალექსეი ტლსტოის, მიხეილ შოლოხოვის და სხვა ტიტანებს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისას? განა მხოლოდ თავისი იდეურობის წყალობით შეძლებდა საბჭოთა ლიტერატურა იმ მსოფლიო ავტორიტეტის მოპოვებას, რომელიც მას აქვს, რომ ეს იდეები მხატვრულობის მაღალ ფორმებში არ იყოს აყვანილი? მართლია, მხატვრულად სშუალო, ან უბრალოდ მდარე ნაწარმოებები საქმარისადაა საბჭოთა ლიტერატურაში, მაგრამ განა ასეთები, ან თუნდაც უარესები, ლეე ტლსტოის ან გოგოლის ეპოქაში არ იყო? დრომ მხოლოდ ნაღები შემოგვიწინა. ასევე დაიწმინდება ჩვენი თანამედროვე ლიტერატურაც. მაგრამ კრიტიკოსი იმის კრიტიკოსია, რომ ამთავითვე შეეძლოს ამ ნაღების გამოჩენვა თანამედროვე ლიტერატურაში. და ვისაც ამის უნარი აქვს, ის არცაა ასე სკეპტიკურად განწყობილი სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის მიმართ. მისი მხატვრულობის ვიპართ.

რაც შეეხება დადებითი გმირის პრობლემას, საბჭოთა ლიტერატურა ამ მხრივაც გამოირჩევა კლასიკურისაგან. მან ამ პრობლემის ახლებური გადაწყვეტა მოგვცა. რაღა თქმა უნდა, უაზრობა იყო იმის მტკიცება, თითქოს დადებითი გმირი მხოლოდ საბჭოთა ლიტერატურის საკუთრება იყოს. მაგრამ ეს როდ გვაძლევს უფლებას, არ შევამჩნიოთ ის სრულიად ლოგიკური და კანონზომიერი ფაქტი, რომ საბჭოთა ლიტერატურა მართლაც ხასიათდება განსაკუთრებული მისწრაფებით დადებითი სახეების შექმნისადმი და მის მიერ გამოძეწილი გმირების გაღერით კიდევ სავარძლოდად გამოირჩევა ყოველი ეპოქისა და მიმართულების ლიტერატურისაგან. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ საბჭოთა ეპოქა, რომელმაც ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში და რომელიც ხასიათდება მასობრივი გმირობით, ხალხის მაღალი



შეგნებულობით, ნათელი სოციალისტური იდეალით, უმდიდრეს მასალას და, ამასთანავე, ძლიერ სტიმულს აძლევს ლიტერატურას დადებითი სახეების შესაქმნელად.

ამას ყოველთვის უნდა გავსვას ხაზი, როდესაც საბჭოთა ლიტერატურაში დადებითისა და უარყოფითის ასახვაზე გვაქვს ლაპარაკი, მით უმეტეს, როდესაც ამ მხრივ საბჭოთა ლიტერატურას კლასიკურს ვადარებთ ხოლმე. ზოგი კრიტიკოსი კი სრულიად უსაფუძვლოდ უარყოფს ამის აქტივობას. ვიგი ვარდისანიძის ზემოთ მოხსენებულ წერილში დასმულა ეს დიდმნიშვნელოვანი საკითხი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წერილის ავტორი მთელი რიგ საკითხებს ძირითადად მართებულად აყენებს და ჭრის კიდევ. მაგრამ „პროპორციების“ უარყოფით გატაცებული ავტორი ზოგჯერ, ნებით თუ უნებლიედ, მცდარი დასკვნები გამოტანის შესაძლებლობასაც გვაძლევს. გ. ვარდისანიძე აღარებს კლასიკურსა და საბჭოთა ლიტერატურას, მათს მიდგომას დადებითისა და უარყოფითის ასახვისადმი და წერს: „საგანს იმდენი მხარე აქვს, რამდენი კუთხიდანაც შეგვიძლია დავინახოთ იგი. ტალანტის თავისებურებად არის ცუდს უფრო ამჩნევს იგი და ძლიერად გამოხატავს თუ კარგს. ყველაზე ცუდ საზოგადოებაშიც კი მოიძებნება კარგი და ყველაზე კარგში — ცუდი“. გამოდის, რომ ვინც უარყოფითს აღწერს, თავისი ნიჭის თავისებურების გამო კარგს ვერ ხედავს ცხოვრებაში. ჩვენ კი გვგონია, რომ ყოველი მწერალი, ვისაც მართლა ნიჭი აქვს, უარყოფითსაც რომ აგვიწერდეს, მშვენივრად ხედავს და ჩვენც გვიჩვენებს არა მარტო იმ კარგს, რაც არის ცხოვრებაში, არამედ იმასაც, რაც უნდა იყოს. ამასთანავე ყოველი მწერლის ნიჭის სიძლიერე. სხვა საკითხია, თუ როგორ და რა საშუალებებით გამოხატავს მწერალი დადებითს იდეალს. მაგრამ ეს არაფერია. ვნახოთ შემდეგ რა დასკვნებამდე მიდის კრიტიკოსი. იგი აღნიშნავს, რომ გასული საუკუნის რუსეთშიც იყო კარგი და ცუდი, იყვნენ პროგრესული და რეაქციული ძალები, რომლებიც მხატვრულ ლიტერატურაში აისახნენ. ასევე „ჩვენს ცხოვრებაში ბევრია ცუდიც“, და ამას ყველაფერს ერთნაირი სიძლიერით გამოვსვამს საბჭოთა მწერლობა. მისივე აზრით, უნდა დავიხსნათ „პროპორციების“ ძებნას ცალკეულ ნაწარმოებებში: „უალერსად მცდარი და საზოგადოება, როცა ცალკეული ქმნილობისაგან იგვიყვანს მოითხოვენ, რასაც მთლიანად მთელი მწერლობისაგან. ცალკე აღებულ რომელიმე წიგნში შეუძლებელია ამოიწეროს მხატვრული ლიტერატურის ამოცანები. ცხოვრების სიმართლით გამოხატვის ვითარებაში, რათაც ძლიერია რელიზმი, პროპორციები დაკუ-

ლია“, „ფერების განაწილება“ ხდება სინამდვილის შესაბამისად მთლიანად მთელს ლიტერატურაში“.

ჯერ ერთი, დადებითისა და უარყოფითის „პროპორციების დაცვა“, „ფერების განაწილება“ მთელს ლიტერატურაში, აშკარად მცდარია აზრია, გამოდის, რომ კონტრევისა და აქაივის, ან სხვა მწერლების რომანების გვერდით, რომლებშიც ჩვენი ცხოვრება დადებითი კუთხიდანა დაიხსნა, არსებობს უფლება აქვს, მაგალითისათვის, იგივე დუდინცევის რომანსაც „არა პურითა ერთითა“. ეს ხომ უცნაური თეორიაა! მართალია, მწერალს არაფერია საზოგადოების რაიმე მზა პროპორციები, მაგრამ, რაც უნდა თავისებური ტალანტის პატრონი იყოს იგი, მაინც არა აქვს უფლება რაღაც განსაკუთრებული კუთხიდან უყუროს ჩვენი ცხოვრებას, შეამჩნიოს მასში მხოლოდ უარყოფითი და შემდეგ განაზოგადოს კიდევ ყოველ ნაწარმოებში აშკარად უნდა ჩანდეს ავტორის პოზიცია და მას სწორედ საკუთარმა მხატვრულმა ალღომ უნდა უქარნახოს, თუ რა პროპორციების დაცვა სჭირდება იმისათვის, რათა არ გააყაბლოს ჩვენი ცხოვრება, უარყოფითის გაზვიადებით არ მიჩქმალოს ის დადებითი, რომელიც ძირითადია სოციალისტური საზოგადოებისათვის.

მეორეც კიდევ, მართალია, კლასიკური ლიტერატურაც ამჩნევდა უარყოფითთან ერთად დადებითს, მაგრამ ვანა შეიძლება ამ მხრივ მისი ერთგვარი განაწარება საბჭოთა ლიტერატურასთან? ვანა შეიძლება უფლებილყოფილ იქნას არსებული საზოგადოებრივი ფორმაციის მნიშვნელობა ლიტერატურისათვის? XIX საუკუნის რუსული სინამდვილის კრიტიკა მხატვრულ ლიტერატურაში არ იყო მარტო მწერლების ტალანტის თავისებურებაზე დამოკიდებული. ეს ძირითადად განპირობებული იყო იმდროინდელი ცხოვრებით. ასევე საბჭოთა ლიტერატურის მისწრაფება დადებითის ასახვისაკენ არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ საბჭოთა მწერლების ტალანტის თავისებურებით.

ჩვენ სრულებითაც არ ვეჭვობთ გავთიშოთ ერთმანეთისაგან კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურა, მაგრამ ის თემატური-იდეური თუ მხატვრული ხასიათის მთელი რიგი თვისობრივი განსხვავებები თავს იჩენს დადებითის ასახვის საკითხშიც. მართალია, კლასიკურმა ლიტერატურამ დიდი გულწრფელობითა და სიყვარულით შექმნა თავისი დროის შესანიშნავი ადამიანების მხატვრული სახეები, მაგრამ მას ისტორიული პირობების გამო არ შეეძლო ეჩვენებინა მასების იდეურ-პოლიტიკური და მორალური ზრდა პროლეტარული რევოლუციებისა და სოციალიზმის ეპოქებში. ამის



მხატვრული განზოგადება სოციალისტური რეა-
ლიზმის ლიტერატურას ხვდა წილად. ასეთი
ხასიათის დადებითი სახეებს პირველად გორკის
შემოქმედებაში ვხვდებით, და მას შემდეგ
საბჭოთა მწერლები მთელი თავიანთი შემოქ-
მედებითი ძალითა და ენერგიით მუშაობენ ამ
დიდი მნიშვნელობის ამოცანის შესაფერო
მხატვრული სიძლიერით გადასაწყვეტად.

ის დიდი სიყვარული და პატივსაცემობა, რე-
მელიც საბჭოთა ლიტერატურამ სულ მცირე
ხანში, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე
მოიპოვა მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე
მკითხველთა შორის, იმით აიხსნება, რომ
იგი მხატვრულად ასახავს იმ ახალ საქუაროს,
სადაც დიდი რევოლუციური გარდაქმნების შე-
დეგად პირველად განხორციელდა სოციალიზ-
მის ნათელი იდეები. საბჭოთა ლიტერატურის
ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამოხა-
ტავს მშრომელთა მსებვის შემოქმედებითს
ძალას, მათს გმირულ შრომასა და საქმიანობას
დიადი კომუნისტური იდეების განხორციელებ-
ისათვის. ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის,
კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის
ღრმამხიანარისანი ცხოვრება დამაჯერებელი
მხატვრული სიმართლითა წარმოსახული და
განზოგადებული საბჭოთა ლიტერატურის მიერ
შემქმნილი დადებითი სახეებში.

თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის გან-
ვითარებისათვის უარესად დიდი მნიშვნელო-
ბა ენიჭება ნიკიტა ხრუშჩოვის გა-
მოსვლებს ლიტერატურისა და ხელოვნების
საკითხებზე, რომლებიც ამ ერთ წლის წინ
გამოქვეყნდა საერთო სათაურით: „ახალის
ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნე-
ბის მჭიდრო კავშირისათვის“. ეს პარტიული
დოკუმენტი ნათელს ჰფენს ლიტერატურისა და
ხელოვნების სასიცოცხლო პრობლემებს. მასში
მთელი სისრულითაა განმარტებული მთელი
რიგი საკვანძო საკითხები, რომლებიც აუცი-
ლებლად საჭიროებდნენ დაზუსტებასა და გარ-
კვევას, განსაზღვრულია საბჭოთა ლიტერატუ-
რის განვითარების მთავარი ხაზი, რაც იმაში
მდგომარეობს, რომ „ლიტერატურა და ხელოვნე-
ბა მუდამ განუყრელად იყონ დაკავშირე-
ბული ხალხის ცხოვრებასთან, მართლად ასე-
ხავდნენ ჩვენი სოციალისტური სინამდვილის
სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას, მკაფიოდ
და დამაჯერებლად გვიჩვენებდნენ საბჭოთა
ხალხის დიად გარდამქმნელ საქმიანობას, მის
მისწრაფებასა და მიზანთა კეთილშობილებას,
მალაღ მორალურ თვისებებს. ლიტერატურისა
და ხელოვნების მალაღ საზოგადოებრივი და-
ინიშნულებაა ხალხის დარაზმვა კომუნისმის მშე-
ნებლობაში ახალი წარმეტყველებისათვის საბრ-
ძოლველად“.

ამავე დოკუმენტში ნათლადაა განმარტებუ-

ლი ის სწორი პოზიცია, რომელიც უნდა დი-
კავოს საბჭოთა ლიტერატურამ დადებითისა და
უარყოფითის ასახვის საქმეში. უკანასკნელ
ხანებში ზოგიერთმა საბჭოთა მწერალმა სწო-
რად ვერ გაიგო ლიტერატურის დანიშნულება.
მწერლების ერთ ნაწილში ფეხი მოიკიდა იმ
მცდარმა მოსაზრებამ, თითქოს ლიტერატურის
უმთავრესი ამოცანაა ნაკლოვანებებისა და
უარყოფითის მოქმენა ცხოვრებაში. მათ ავიწყ-
დებოდათ ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ არა
უარყოფითი, არამედ სწორედ დადებითი, ახა-
ლი და პროგრესული, რომელიც სწრაფად
ვითარდება, შეადგენს მთავარს სოციალისტურ
ნიშნულოვნების სინამდვილეში და მწერლო-
ბის უმთავრესი ამოცანაც ამის მხატვრული
ასახვა და განზოგადებაა. ამიტომაც ამ დიდი
მნიშვნელობის მქონე პარტიულ დოკუმენტში
ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე
პირდაპირაა ნათქვამი, რომ „ჩვენ მხარს ვუჭერთ
მწერლებს, რომლებსაც სწორი პოზიცია უკა-
ვითა ლიტერატურაში, წერენ დადებითზე
ცხოვრებაში“.

ეს სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს ლი-
ტერატურამ დღემლით უნდა აუაროს გვერდი
ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებს. მაგრამ ამ
შემთხვევაშიც საბჭოთა მწერლობამ კი არ
უნდა გააზვიადოს უარყოფითი, რასაც თან
სდევს სინამდვილის დამახინჯება, ხოლო ზოგ-
ჯერ ცილისწამებაც კი, არამედ უარყოფითთან
ღამირისპირებით მხარი უნდა დაუჭიროს და-
დებითს და მკაფიო ფერებით ახვენოს იგი.

დღეს, როდესაც ქართული მწერლები ენზა-
დებთან თავიანთი მე-5 და საბჭოთა კავშირის
მწერლების მე-3 ყრილობისათვის, საინტერე-
სოათვალი გადავავლოთ უკანასკნელი წლების
მათს შემოქმედებას იმ ამოცანების შუქზე,
რომლებიც დასახულია ამ დიდი მნიშვნელო-
ბის პარტიულ დოკუმენტში ლიტერატურისა და
ხელოვნების საკითხებზე. ქართულმა მწერლო-
ბამ, რომელიც მუდამ წარმოადგენდა ერთიანი
საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ მძლავრ ნა-
კავს, უკანასკნელ წლებშიც გარკვეულ წარმა-
ტებებს მიადწია. შეიქმნა მთელი რიგი ახალი
ლიტერატურის მხატვრული ნაწარმოებები
ლიტერატურის ყველა კანონში. თუმცა, ამას-
თანავე, ქართული მწერლობისათვის მტრულ-
ბად დამახასიათებელი იყო ის ნაკლოვანებები,
რომლებიც შეიმჩნეოდა საერთოდ საბჭოთა
ლიტერატურაში. განსაკუთრებით დიდი შემოქ-
მედებითი მუშაობა მართლდ ჩვენს მწერლებს
საბჭოთა ადამიანების მალაღმხატვრულ დად-
ებით სახეთა შესაქმნელად, რადგანაც ამ უკა-
ნასკნელ წლებში გამოქვეყნებული რომანები
გვარწმუნებენ, რომ ისინი ამ მხრივ ჯერ კიდევ
ვალში არიან ჩვენი მშრომელების წინაშე.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ყველა, თუნდაც



მნიშვნელოვანი, პროზული ნაწარმოების განხილვა. ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ის, თუ როგორ გადაიჭრა უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში დაღვებითი გმირის პრობლემა. ამიტომ ჩვენ შევხვებით მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოებს, რომლებიც თავისი უარყოფითი ან დაღვებითი მხარეებით ამ შემთხვევაში პრინციპულია და მნიშვნელოვანი.

უკანასკნელი წლების რომანებში ნაკლები ყურადღება ექცეოდა მადალმატარული ღრმა დაღვებითი სახეების შექმნას, ამაში ერთგვარი როლი ითამაშა საბჭოთა მწერლების მე-2 ყრილობის წინა პერიოდში გამართულმა ლიტერატურულმა დისკუსიამ მხატვრულ ლიტერატურაში დაღვებითი გმირის შესახებ. ამიტომაც დღეის მნიშვნელოვან წინასაყრილობა დისკუსიებისა და მათ უარესად სერიოზული, პრინციპული ანალიზი სჭირდებათ ყრილობებზე საბოლოო სწორი პოზიციის შერჩევის მიზნით.

საბჭოთა მწერლების მე-2 ყრილობის წინა პერიოდის დისკუსიის დროს მწვავე კამათი ატყდა ძირითადად ორ მოწინააღმდეგე მხარეს შორის. ერთი მხარე არა მარტო იცავდა დაღვებითი გმირის სახის შექმნის კანონზომიერებას საბჭოთა ლიტერატურაში, არამედ საკითხი არსებითად განსაკუთრებული სახეების შექმნის აუცილებლობაზეც დაჟავდა, საბჭოთა ლიტერატურის სრულფასოვან გვირგვინად მხოლოდ იდეალურ გვირგვინს მიიჩნევდა. მეორე კი, პირიქით, ებრძოდა მხოლოდ იდეალური გვირგვინის შექმნის ტენდენციას და ფაქტურად დაღვებითი გვირგვინს წინააღმდეგ გამოდიოდა და პრინციპულად მოითხოვდა წინააღმდეგობით სავსე მხატვრული სახეების შექმნას. ამ უკანასკნელთა აზრით მხოლოდ იმ გვირგვინს შეუძლიათ იქონიონ გავლენა მკითხველზე, რომლებიც თანდათან თავს დააღწევენ მათთვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებს.

ამ ორივე მოკამათე მხარის საერთო ნაკლი ის იყო, რომ ისინი ნებით თუ უნებლიეთ მოითხოვდნენ გარკვეული სქემების დადგენას დაღვებითი გმირის სახის შესაქმნელად, რაც თავისთავად საფუძველშივე მცდარია, რადგან ჭეშმარიტი ლიტერატურა და ხელოვნება არავითარ სქემებსა და რეცეპტებს არ ემორჩილება. ამ შეცდომების მიზეზი ის იყო, რომ მოკამათენი ივეწყებდნენ საბჭოთა ლიტერატურის მდიდარ გამოცდილებას, რომელმაც დაღვებითი გმირის პრობლემა პრაქტიკულად ადრევე სწორად გადაწყვიტა.

მართალია, საბჭოთა ადამიანებს აქვთ საერთო მიზნები, ინტერესები, მისწრაფებები, რომლებიც შეპირობებულია უკლასო სოციალისტურ საზოგადოებაში მათი ცხოვრებით, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს ამ საზოგადოე-

ბის ყოველ წევრს არ გააჩნდეს თავისი მხედველური ხასიათი, ყოველი ადამიანის ცხოვრება რაღაც თავისებური განუყოფრებელი გზით არ ვითარდებოდეს. ყველა საბჭოთა ადამიანისათვის შექმნილი ერთნაირი უფლებანი და პირობები შემოქმედებითი შრომისა, ნიჭისა და უნარის გამოვლენისა, შინაარსიანი და ბედნიერი ცხოვრებისა როდი იწვევს ერთფეროვნებას. ცხოვრება მაკარისადა რთულია და მრავალსაფეხოვანი ხასიათი და პირადი ცხოვრება ადამიანისა.

საბჭოთა ლიტერატურის მიერ შექმნილი დაღვებითი სახეები ვადმოგვიკმენ საბჭოთა ადამიანების შრომით თუ მოქალაქეობრივ გვირგვინს, გვიჩვენებენ მათს ბრძოლას ახალი კომუნისტური საზოგადოების შესაქმნელად, ამ სინდნელებს, რომელთა ვადასაქვაც მათ უნდებოდათ ამ ბრძოლის გზაზე, ამასთანავე გვიხსნიან მათი ძლიერების წყაროს — მაღალ შეგნებულობას, საბჭოთა პარტიოტიზმის გრძნობას, უსაზღვრო სიყვარულს სოციალისტური სამშობლოსადმი. ის ლიტერატურული გვირგვინი კი, რომლებიც კი არ იმარჯვენენ, არამედ დაუბრუნებლად მისრიალებენ მწერლის ფანტაზიის მიერ შექმნილ იოლი ცხოვრების გზაზე და გზადაგზა ისერიან მყვიარალა ფრაზებს, არ წარმოადგენენ რეალისტურ მხატვრულ სახეებს და არც არამე ზემოქმედების მიხედნა შეუძლიათ მკითხველზე.

ჩვენი ცხოვრება აღსავსეა სიდიადითა და ამასთანავე სინელებითაც. ყველა ადამიანს ბრძოლის ერთნაირი უნარი როდი აქვს ამ სინელებების ვადასაღაზავად. ეს დამოკიდებულია არა მარტო მის შეგნებაზე, გონებრივსა და ფიზიკურ შესაძლებლობებზე, არამედ ხასიათის სიმტკიცეზე, ნებისყოფაზე, ტემპერამენტზე და მოელ რაც შემთხვევით მომენტებსა და მხარეებზე, რაც თვითთელი ადამიანის ცხოვრებას თავისებურსა და განუყოფრებელს ხდის. მხატვრული ასახვის პროცესი კი გულისხმობს როგორც ცხოვრებისეული მოვლენების განზოგადებას, ასევე მის კონკრეტულ ინდივიდუალურ ესთეტიკურ ფორმში ვადმოცემას. სწორედ ამ ინდივიდუალიზებული ზოგადის გახსნას გულისხმობს მხატვრულ შემოქმედებაში მარქსისტიული ესთეტიკის უმნიშვნელოვანესი კანონი ტიპიზაცისა. ტიპიზაციის ერთ-ერთი მხარის დავიწყება იწვევს სინამდვილის დამახინჯებულ ვადატანას ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რასაც აუცილებლიად თან სდევს მხატვრული მარცხიც. ამიტომაც, ერთი მხრივ, მართალი იყო წინასაყრილობა დისკუსიის მონაწილეთა ის ჯგუფი, რომელიც მოგონილი, ვანსაკუთრებული გვირგვინის ნაცვლად ლიტერატურისაგან მოითხოვდა რეალური, ცოცხალი ადამიანების, მხატვრული სახეე-



ბის შექმნას, ამ ადამიანებისათვის დამახასიათებელი ღირსებებთა და სისუსტით.

მაგრამ თავის მხრივ დისკუსიის მონაწილეთა ამ ჯგუფიდან ზოგიერთნი მეორე უკიდურესობაში გადავარდნენ; ისინი ფაქტურად მოწინავე საბჭოთა ადამიანის მხატვრული სახის შექმნის წინააღმდეგაც კი გამოვიდნენ. ტიპოლოგიის გაგებაში ისინი, მოწინააღმდეგეთა საპირისპიროდ, ძირითად მნიშვნელობას ანიჭებდნენ ხასიათების ინდივიდუალიზაციას და ჩქმალადდნენ მეორე არსებითი მხარის — მხატვრული განზოგადების მნიშვნელობას. ყალბ პათეტურობას ისინი უპირისპირებდნენ ლიტერატურაში ცხოვრების გულგრილი ასახვის ტენდენციას, რომელიც არანაკლებ მცდარია. მათი აზრით, მწერლობა არ უნდა ინტერესდებოდეს განსაკუთრებული ცხოვრებაში და მხოლოდ მის ყოფითს მხარეს უნდა სწვდებოდეს.

ზოგი მწერალი თავისი ნაწარმოებისათვის ირჩევს ისეთ ცხოვრებისეულ მასალას, რომელიც მართალია განსაკუთრებულია, მაგრამ მასში მთელი სიმკვეთრითა და სიძლიერითაა გახსნილი საბჭოთა ადამიანების ხასიათი. ასე მაგალითად, პოლევოვი, ფადეევა, ქიაჩელმა ომის თემაზე თავიანთი რომანების გვირგვინად აირჩიეს განსაკუთრებული ბიოგრაფიის მქონე ადამიანები. მათში აღწერილი ამბების რეალურობაში არაეის შეუძლია ეგვის შეტანა, რადგან ისინი ფაქტურ მასალას ეყრდნობიან. ამასთანავე ვერც იმას უარყოფს ვინმე, რომ ამ ნაწარმოების გვირგვინი, მიუხედავად თავიანთი განსაკუთრებული მორალური და სულიერი სიძლიერისა, წარმოადგენენ უაღრესად რეალისტურ ტიპურ სახეებს, რომლებშიც განზოგადებულია საერთოდ საბჭოთა ადამიანებისათვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებები.

ზოგი მწერალი, ყოფითი დეტალების სიხუსტით გატაცებული, დაადგა ლიტერატურაში ცხოვრების გულგრილი ასახვის გზას, დაივიწყა მხატვრული ასახვის სასიცოცხლო პრინციპი განზოგადებისა და თავის რომანებში ერთნაირი დანტერესებით ასახა როგორც ამოღებული, ისევე ბიუიერი, მოწინავე და ჩამორჩენილი, კეთილშობილური და გაბრწილი. ასეთ ობიექტივისტურ ნაწარმოებებში შეუძლებელია მხატვრული სიმართლითა და დამაჯერებლობით იქნეს გამოცემული ჩვენი ცხოვრების პათოსი, მისი სიდიადე, საბჭოთა ადამიანების გვირგვინი შრომა და მოქმედება. ჩვენი აზრით, ასეთი ნაწარმოებების რიგს მიეკუთვნება ცნობილი ქართველი პროზაიკოსის აკაკი ბელიაშვილის რომანი „უღელტეხილი“, რომელიც ცალკე წინადაც გამოქვეყნდა ამ ორიოდ წლის წინ.

რომანში დიდი ყურადღება აქვს დათმობი-

ლი გადაგვარებულ და გაბრწილ ელემენტებს, რომლებიც ომის პერიოდში, საბჭოთა ხალხის სულიერი და ფიზიკური სიძლიერის ამ დიდი გამოცდის ეპოს, დანაშაულებრივ ცხოვრებას ეწევიან თბილისში. ეს კიდევ არაფერი. მართალია რომანში მეტისმეტად დიდი ადგილი აქვთ დათმობილი ამ ელემენტებს, მაგრამ ავტორი იქნებ კონტრასტების საშუალებით ფიქრობდა ხალხის გვირგვინი სულის უფრო რეალურად გამოკვეთას? მაგრამ ყოფითი ცხოვრების აღწერით გატაცებული ავტორი საჭირო ძალით ვერა ხსნის ქართველი მშრომელების დაძაბულ და გვირგვინ ცხოვრებას ზურგში. პირიქით, იგი განზრახ აღიარებებს მათს ცხოვრებას, იგი ამით თითქოს მეტი დამაჯერებლობა მისცემს მხატვრულ ნაწარმოებს. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა იქ, სადაც ავტორი თბილისის ცხოვრებას გვიჩვენებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს თბილისის მშრომელებისათვის ომი რაღაც შორეული ამბავი იყო, რომელშიც მათს ცხოვრებაში, ისიც მხოლოდ ყოფითში, ცოტაოდენი შეზღუდულობა და უხერხულობა შეიტანა. ცენტრალური დონებითი გმირი დავით ბეჭია თავის მეგობარ მებრძოლთან ერთად თბილისში მოხვედრისას ამჩნევს, რომ ტროლეიბუსების გაჩერებებთან ხალხი უწყსრივად შეჯგუფულია, თუმცა ძველებურად ნორმალურად მუშაობს თვატრი, კინო, ცირკი, ხალხი შეჩვევია საზენიტო არტილერიის სროლას და თითქმის აღარც რეაგირებს მასზე, თავისი საქმეებით გართული. მწერალი თითქოს ღრმად ვერ იხედება თბილისელ მშრომელთა სულიერი სამყაროში. ზოგჯერ ამას თითქოს ახერხებს თავისი გმირის ბეჭიას საშუალებით, მაგრამ ამას ყოველთვის სასურველი შედეგი როდი მოაქვს. მაგალითად, დავით ბეჭია თავის მეგობართან ერთად უყურებს, თუ როგორ მიაცილებენ დედები, დები, ცოლები ომში გაწვეულთ. რამდენი სიყვარული, მოქალაქეობრივი გრძნობა, ვაჟაკური სული, აგრეთვე განსაცდელის შიშიც შეიძლება. დავინახოთ ამ ადამიანების სულში! ბეჭია კი ცინიკურად მსჯელობს იმის შესახებ, თითქოს ბევრი ქალის ცრემლი მოჩვენებითია, რომ მათ გულში კიდევ უხერხიათ ქმრების მოცილება. რასაკვირველია, ეს ვნებს როგორც რომანს მთლიანად, ასევე მის ცენტრალურ დაღებით გმირსაც, დავით ბეჭიასაც.

მწერლის ობიექტივისტური პოზიცია თავს იჩენს რომანის დაღებითი სახეების გახსნის დროსაც. იგი წერლობა, ყოფით დეტალებს ზედმეტი გულმოდგინებით მისდევს მეშახტეთა ცხოვრების აღწერისას, რაც ვნებს მათი მდიდარი შინაგანი სამყაროს გახსნასა და პატრიოტული სულისკვეთების გამოძიებებს. ავ-



ტორი ყალბი პათეტიურობის შიშით ახლასხვა უქიდურესობაში ვარდება. ამიტომაც რომანს აკლია დამაჯერებლობა, მასში სუსტადაა გადმოცემული ადამიანთა განცდები.

რომანის ცენტრალური დაღმართი გმირი დავით ბექიაა წინასწარ შერჩეული სქემით დახატულსა ჰგავს. ავტორი იმ მიზნით, რომ სახეს მეტი სიცოცხლე მისცეს, ხაზს უსვამს მის უარყოფითს მხარეებს, რაც ზოგჯერ უძნელებს მკითხველს მასში დაინახოს დაღმართი გმირი. განსაკუთრებით ეხება ეს რომანის პირველ ნაწილს. თავისი ხასიათის მხოლოდ უარყოფითი მხარით წარმოგვიდგება ბექია ნადიასთან დამოკიდებულებაში. რომანში ეს ხაზი საკმარისად ძლიერადაა გამოკვეთილი. მწერალი რომ დიდ ყურადღებას უთმობს თავისი გმირის ინტიმურ ცხოვრებას, ამაში დასაძრახი არაფერია. ომმა როდი ჩაჯდა ადამიანში ისეთი დიდი გრძობა, როგორცაა სიყვარული. ამიტომაც ომის თემაზე დაწერილი რომანების გმირები ამკლავებენ არა მარტო მტკიცე და ვაჟკაცურ ხასიათს, ან უსარღვრო პატრიოტიზმს, არამედ თავის დიდ ადამიანურ ინტიმურ გრძნობებსაც. ბექია კი ნადიასთან დამოკიდებულებაში თავისი ხასიათის სუსტ მხარეს ამკლავებს. მას ერთგვარი მიზეზი აქვს ველ-აზღვრული იყოს ქალებზე, ეს მისი ოჯახური ტრავმების შედეგია. მაგრამ ვერ გრძნობს, რომ შეუძლია მოიშუშოს ეს სულეერი ტრილია, თუკი დაფასებს იმ გულწრფელ ღრმა სიყვარულს, რომელთაც გამსჭვალულია მისი დამი მშვენიერი ახალგაზრდა ქალი ნადია. მაგრამ დავითი არ თანაუგრძნობს მას. ამის გამო, რასაკვირველია, არ შეიძლება გმირის გამტყუნება, ბექიას შეიძლება არ შეეყვარებოდა თუნდაც ისეთი მიმზიდველი და სათნო ქალი, როგორც ნადია; მაგრამ ბექია ისტყუის, თავს შეეყვარებულად აჩვენებს ნადიას და ამით მის წრფელ გრძნობებს ერთგვარად აბუჩად იფლებს. ნადიას კარგად ესმის დავითის არაგულწრფელობა და ისინი შორდებიან ერთმანეთს.

დავით ბექიას ხასიათის საუკეთესო მხარეები მთელი სიძლიერით ვლინდება რომანის იმ ნაწილში, სადაც მისი საბრძოლო ცხოვრებაა გადმოცემული. როგორც ცნობილ ალპინისტს, მას გაიწვევენ უღელტეხილზე დიდი მნიშვნელობის მქონე საომარ ოპერაციის მონაწილეობის მისილებადა. ბექია არა მარტო ასრულებს ამ საბრძოლო დავალებას, არამედ სწორედ აქ ამკლავებს მთელი სისრულით თავის მაღალ შეგნებულებას, დიდ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, სიმამაცესა და თავგანწირულებას, აგრეთვე გაულისხმეირ, მეგობრულ დამოკიდებულებას თანამებრძოლებისადმი.

რომანის მთელი რიგი ადგილები აკაკი

ბელიაშვილისათვის ჩვეული მაღალი ოსტატობითაა დაწერილი. ისინი ადღვებენ მკითხველს, აიძულებენ მას ახლოს მიიტანოს გულთან გმირების განცდები, მათი სიხარული და მწუხარება, მაგრამ რომანი მთლიანად თანაბარი სიძლიერის მიწაც არ არის. რომანის მეორე ნაწილშიც, სადაც ვლინდება ძირითადად ცენტრალური გმირის ხასიათის საუკეთესო მხარეები, შეიმჩნევა ერთგვარი ზერელობა, მისწრაფება იმისაკენ, რომ არა გმირის სულეერი სამყაროში ღრმად ჩაწვდომით გავიგოთ და ავხსნათ მისი კეთილშობილური ქცევა, არამედ მხოლოდ გმირის მოქმედებით, რომელსაც საკმარისად მარტივად გვიხატავს მწერალი. ამასთანავე, ავტორი ხშირად ისეთ სიტუაციებსა პქმნის და ისეთ საშუალებებს მიმართავს გმირის ამაღლების მიზნით, რომელიც ლიტერატურულ ნაწარმოებებში არაერთხელ შეგვხვედრია. ასეა, მაგალითად, როცა დავით ბექია ასრულებს თავისი თანამებრძოლის თხოვნას და ომში დაღუპულს იქვე ბრძოლის ველზე მიაბარებს სამარეს. მართალია, ამდღვებულადა ეს ადგილი დაწერილი, თვით ფაქტიც თავისთავად დიდი ზემოქმედების მქონეა, მაგრამ საკმაოდ ხშირად შეგვხვედრია იგი თანაბრადრე თუ კლასიკურ ლიტერატურაში. ეს კი აკვირებს მის მხატვრულ მნიშვნელობას. ვერც იმას მოუწონებთ ავტორს, რომ მისი გმირი პირველივე საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს საბჭოთა კავშირის გმირის წოდებას მისახერებს. ეს მხოლოდ იოლი და ზერეულ გზაა გმირის ამაღლებისა, მისი სულეერი სიდიადის ნაკლებად დასაბუთებული გადმოცემა, და, რასაკვირველია მხატვრულ დამაჯერებლობასაც მოკლებულია. ამიტომაც, ვფიქრობთ, დავით ბექია საბჭოთა კავშირის გმირი კი გახდა, მაგრამ მხატვრული რომანის სრულფასოვან დაღმართი გმირად გახდომამ ვერ შესძლო.

ბექიას სახის მხატვრული სისუსტე ერთგვარად განაპირობა მწერლის პოზიციამ დაღმართი გმირის პრობლემის საკითხში. მწერალთა მე-2 ყრილობის წინა პერიოდის დისკუსიის დროს აკაკი ბელიაშვილი მხარს უჭერდა იმ ჯგუფს, რომელიც ვარკვეულად უარყოფითად ეკიდებოდა ძლიერი, ყოველმხრივ დიდებუნი მხატვრული სახის შექმნას, და დაღმართი გმირის აუცილებელ პირობად მის წინააღმდეგობაში მოცემას მოითხოვდა. რომანის ცენტრალური დაღმართი სახის სრულად გასწნას იმანაც შეუშალა ხელი, რომ ნაწარმოები კომპოზიციურად არ არის კარგად შეკრული, მწერლის ყურადღება გაფანტულია. იგი ერთნაირი გულმოღვინებით (თუ გულგრობობით) გვიხატავს როგორც დავით ბექიას და სხვა პირველხარისხოვან პერსონაჟებს, ასევე რეაზ გავა-



შელსა და მის ამყოლებს. ავტორი ცდილობს ერთნაირი სიძლიერით გახსნას თავისი გვირგვინის ცხოვრების როგორც არსებითი მომენტები, რომლის დროსაც განსაკუთრებით მეკეთხარა ისახება მათი ხასიათი, ასევე არაარსებითი მომენტები. ეს კი უსათუოდ ნებს მხატვრულ სახეებს, პირველ რიგში კი დავით ბექაიას, ვნებს აგრეთვე მთელ რომანსაც.

უკანასკნელ წლებში ჩვენს ცხოვრებაში უღრესად მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა. კომუნისტურმა პარტიამ შეაცრად გააკრიტიკა ის სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებსაც ჩვენში ჰქონდა ადგილი და დასახა განადიოზული გეგმა ხალხის ცხოვრების სულ მოკლე ვადაში საგრძნობლად გაუმჯობესების მიზნით. სამუქოთა ხალხი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა პარტიის ისტორიულ მე-20 ყრილობას, რეზოლუცია ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე. საგრძნობლად გააქტიურდა მწერლობაც, რომელიც ახლა კიდევ უფრო ღრმად სწვდება ხალხის ცხოვრებას, უფრო მეტ გულისყურს იჩენს თანამედროვეობის თემებისადმი. მაგრამ ამასთან ერთად, ზოგმა მწერალმა მცდარად გაიგო პარტიის მიერ არსებული ნაკლოვანებების შეცდომად მხილება და თავისი შემოქმედების ძირითად წყაროდ ცხოვრების მხოლოდ სუსტი და ჩრდილოვანი მხარეები გაიხადა. ამის შედეგია უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული რამდენიმე ნაწარმოები, რომლებშიც უარყოფითის მხილების დროში ფაქტიურად არასწორად და ზოგჯერ აშკარად მახინჯადაა წარმოდგენილი ჩვენი ცხოვრება. რაღა თქმა უნდა, ასეთი განწყობილებით შექმნილ ნაწარმოებებში დადებითი გმირების ნაცვლად მოქმედებენ ან უღრესად უარყოფითი გმირები, რომელთა არსებობა ერთგვარ კანონზომიერებადაა მიჩნეული, ან მონარქისტო ინდივიდუალიზტები, რომლებსაც დადებითობის პრეტენზია აქვთ, სინამდვილეში კი უბირისპირდებიან ხალხს და ავტორების მიერ ერთგვარი მოწამეობრივი შარავანდელით არიან მოსილი. ქართულ ლიტერატურაში ეს ტენდენცია შედარებით სუსტად იყო გამოკვეთილი, თუმცა აქვე იჩინა თავი. ამის ერთგვარი გამოხატულებაა ოთარ ჩხეიძის რომანი „მეჩეჩი“. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ოთარ ჩხეიძის, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატის ნიჭი ამ რომანშიც ნათლად ჩანს, მაგრამ ვერ გავიზიარებთ იმ პესნიმისტურ განწყობილებას, რომელიც საერთოდ ახასიათებს რომანს, ვერც მის ერთგვარად გზაბნეულ გმირებს მიეჩინებოდა სამუქოთა ადამიანების განსუსახიერებელ დადებით გმირებად, თუმცა, როგორც ჩანს, ამის სურვილი აქვს თვით ავტორს.

არავის არასოდეს აუკრძალავს საბუქოთა

მწერლობისათვის ცხოვრების უარყოფითი მხარეების სურათებს მოცემა ან უარყოფითი ტიპური სახეების შექმნა. მაგრამ ეს არ უნდა იწვევდეს სინამდვილის დამახინჯებას, ჩვენი ცხოვრების ძირითადი ტენდენციების მიჩქმალვას. თინა დონეაშვილის უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ რომანში „ალაზანზე“ გადავარებული პარტიული მუშაკი გედეონ ვარამაძე ის ცენტრალური გმირი, რომელთან დაკავშირებითაც იშლება მოქმედება. მწერალი არ ერიდება ფერების გამოქმნას ვარამაძის სამხილბლად, სხვა უარყოფითს სახეებსაც საკმაოდ დაბეჯითებით ხატავს, მაგრამ მიინც ვერ ვუსაყვედურებთ ავტორს ამის გამო, რადგან ჩვენი ცხოვრების სალი საფუძველი, რომელიც ამარცხებს მათ, საკმაოდ რელიეფურადაა გამოკვეთილი. მკითხველი ნათლად ხედავს იმ ცხოვრებისეულ ძალას, საყოლმურნეო სოფლის მშრომელთა სახით, რომელთან ბრძოლაში განწირული არიან ვარამაძეები. მწერალმა რომანში მოგვცა დადებითი გმირის სახეებიც. ცოცხლად და მხატვრულად ძლიერადაა გამოკვეთილი გმირად და პატიოსანი მშრომელი ქალის, ერთგული მეუღლის ანიკას სახე, სოფლის მოწინავე ადამიანების ხასიათს გვიხსნიან ნიკო ხელაშვილი, ბადურ ბექაური. მანანა და სხვები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზაქრო სიყმაშვილის სახე. მწერალი დამაჯერებლად გვიხატავს გედეონ ვარამაძის გავლენის ქვეშ მის მოქცევისასც და იმასაც, თუ ხალხის მხარდაჭერითა და მზრუნველობით ეს ომგადაძლილი გულმართალი ვაჟაკი როგორ უბრუნდება პატიოსანი შრომის ფერხულს. ეს რომანი, თუმცა ცალკეული ხარვეზებისაგან არ არის დაზღვეული, მაინც უკანასკნელი წლების ქართული პროზის კარგი შენაძენია.

საერთოდ, აღსანიშნავია, რომ ქართული პროზა ამ უკანასკნელ წლებში საკმაოდ მომძლავრდა. მას შეემატა რამდენიმე სერიოზული რომანი, რომლებშიც მხატვრულად გახსნილია საბუქოთა ადამიანების მდიდარი სულიერი სამყარო. მათ შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კონსტანტინე გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს რომანი ავტორისათვის ჩვეული მაღალი მხატვრულობითაა დაწერილი, მეორეც, ისტორიული რომანების დიდი ოსტატი თანამედროვეობის თემას მოუბრუნდა და გატაცებით, ამაღლებულად გადავიშალა თვალწინ ჩვენი დროის ცხოვრების სურათები.

უკანასკნელი წლების ქართული პროზის მიერ შექმნილი დადებითი გმირის სახეებს შორის თავისი ღრმა და ლამაზი სულიერი სამყაროთი გამოირჩევიან ვოდვარძი ელანიძე, ნუნუ უჯირაული, ვახტანგ კორინთელი და სხვა დადებითი გმირები „ვაზის ყვავილობა-

სა“. მწერალმა კახეთის სოფელ ბერმუხის მცხოვრებთა მავალითზე შეძლო ეჩვენებინა ზოგადად ქართველი კოლმეურნე გლეხობის და სოფლის ინტელიგენციის ცხოვრება როგორც მშვიდობიან პერიოდში, როდესაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები ძალასა და ენერჯიას არ ზოგავდნენ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის, ასევე სამამულო ომის პერიოდშიც, როდესაც ამ ნათელ მონაპოვარს საუკეთესო სისხლი იცავდნენ. მწერალი დიდი გრძნობით გვიხატავს თავისი გმირების უსახულვრო სიყვარულს მშობელი ქვეყნისა და ხალხისადმი. უაღრესად თავისებური და, ამასთანავე, მდიდარი ბიოგრაფიის პატრონები, მხოლოდ თავიანთი მაღალი ზნეობით, ღრმა პუმანიზმითა და ვაჟკაცური სულით ჰგვანან ერთმანეთს. მათს სახეებში დიდი მხატვრული ძალითაა გახსნილი ქართველი საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებები. რომანში ნათლად გამოჩნდა ის ფართო მხატვრული დიაპაზონი, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია კ. გამსახურდიასათვის. მთელი რიგი საკითხების გამო შეიძლება, ვედავით ავტორს, შეიძლება კიდევ ვუსაყვედუროთ, რომ შედარებით მკრთალად და ზერეულდაა გახსნილი გმირების ხასიათი სამამულო ომის პერიოდში, ზოგი მათი საქციელი არ გავამართლოთ, ან ცალკეული აზრი არ მოეუწონათ, მაგრამ მთავარი ეს კი არაა, არამედ ის, რომ მწერალმა ქართულ პროზას შემატა ერთი საუკეთესო რომანთაგანი, რომელშიც მოცემულია საბჭოთა ადამიანების, ჩვენი თანამედროვეების დიდი მხატვრულობით აღბეჭდილი დადებითი სახეები.

როდესაც უკანასკნელი წლების ქართულ პროზაზე ვლაპარაკობთ და, მით უმეტეს, მის დადებითს სახეებზე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ გამოჩენილი ქართველი მწერლის კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალი რომანი „ნატერისთვალი“. ჯერ რომანის მხოლოდ პირველი ნაწილია გამოქვეყნებული და უნდა მოველოდეთ, რომ ძირითადად მოქმედება მხოლოდ ახლა იწყებს გაშლას. მიუხედავად ამისა, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი სახით ქართულ პროზას შემატება თანამედროვეობის თემაზე რეკონილი ერთი დიდი მნიშვნელობის მქონე რომანთაგანი. მწერლის ავტორიტეტთან ერთად ამის საწინდარია რომანის გამოქვეყნებული ნაწილი, რომელშიც უკვე ვეცნობით შესანიშნავ დადებით გმირებს —

ნაღიბიძეებს. რომანის პირველსავე ნაწილში მოქმედებენ ერთი შეხედვით უბრალო სოფლის ადამიანები — ხალხის წიაღიდან გამოსული, შრომასა და ბრძოლაში დაეჯაკებული გმირები. მწერალს ისე კარგად აქვს გააზრებული მოვლენები, ისეთი ცხოვრებისეული სიმართლით ასახავს მათ, ისეთი დიდი მნიშვნელობის პრობლემებს ეხება და ყოველივე ამას ისეთი მხატვრული დამაჯერებლობით სტრის, რომ მკითხველს თითქოს ამბის უშუალო მონაწილედა ხდის.

ჩვენ შეეჩერდით ქართული პროზის მხოლოდ რამდენსავე ნაწარმოებზე, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ დადებითი გმირის პრობლემასთან დაკავშირებით. ამით როდეს ამოიწურება უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული რომანები ან მათი დადებითი სახეები. თუმცა, საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა გამოქვეყნებული რომანი როდეს დგას საჭირო მხატვრულ სიმძლავრეზე. ზოგი მათგანი (მაგალითისათვის შეიძლება დაეასახელოთ გივი გოგიჩაიშვილის რომანი „პირველი დღეები“) ქართული მხატვრული პროზის განვითარების დევანდულ ეტაპზე არ შეიძლება მის მიღწევად მივიჩნიოთ. თანამედროვეობის თემა ვერ გამოისყიდის რომანის მხატვრულ სისუსტეს. პირიქით, მწერლისაგან პირველ რიგში სწორედ თანამედროვეობის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში უნდა მოვითხოვოთ მაღალი მხატვრული ოსტატობა, რადგან სწორედ მათ ენიჭებათ განსაკუთრებული მნიშვნელობა. ისეთ რომანებში კი, როგორცაა „პირველი დღეები“, არ არის დიდი ცხოვრებისეული პრობლემები მთელი სიღრმით დასმული და მხატვრულად გადაწყვეტილი. ასეთი რომანები სინამდვილის მხოლოდ მკრთალ სურათს თუ წარმოადგენს. მათს გმირებს არ შესწევთ ძალა გადაგვიხსნან საბჭოთა ადამიანის რთული ხასიათი, მისი შინაარსიანი ცხოვრება. სქემატურობა — იი ის სენი, რომელიც, სამუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრ ლიტერატურულ ნაწარმოებს და მათი დაღებით გმირის სახეებს სჭირთ.

ქართული პროზის წინაშე დიდი ამოცანები დგას. მან ჯერ კიდევ ბევრი უნდა გააკეთოს საბჭოთა ადამიანების ღრმა სულიერი საწყაროს, მისი შრომითი და მოქალაქეობრივი გამარობის მხატვრული განზოგადების მხრივ. განსაკუთრებით კი ჩვენი ხალხის ცხოვრების უკანასკნელი წლების მნიშვნელოვანი მოვლენები საჭიროებენ სათანადო მხატვრულ ასახვას.



პედაგოგიკა

ირაკლი აბაშიძე

თანამედროვე ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ირაკლი აბაშიძე, როგორც პოეტი და მოქალაქე, კომკავშირმა აღზარდა და დააეხეცა. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ 1927 წელს, რის შემდეგაც იგი სისტემატურად აქვეყნებს საბჭოთა ადამიანების მაღალი პატრიოტული გრძნობების, მათი გმირული სულისა და თვლადებული შრომის გამოხატველ ნაწარმოებებს, რომლებსაც თავისი მაღალი იდეურ-მხატვრული დონის გამო თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართული საბჭოთა ლიტერატურის საგანძურში. მათი ერთი მთავარი ღირსება ის არის, რომ ავტორის თვალსაზრისსა და იდეურ მრწამსს პოეტური აზროვნების საკუთარი, თავისებური კუთხე აქვს მონახული. და ყოველივე ის, რამაც დიდი ემოციური ძალით უშუალო გამოხატულება ჰპოვა ამ ლექსებში, ცხოვრებისეულ ფაქტებზე და მოვლენებზე პოეტის ღრმა დაკვირვების, მისი ნათელი პერსონის შედეგია.

ი. აბაშიძის პოეტური სიტყვის საიდუმლოება მდგომარეობს ხალხური მეტყველების სისადავისა და უბრალოების შეხამებაში დიდ ცხოვრებისეულ გრძნობებთან, პოეტის მიერ უშუალოდ ნანახსა და განცდილთან.

დიდი სამაჟულო თვის დროს ი. აბაშიძე მებრძოლთა მიწინავე რიგებში იდგა, თავისი პატრიოტული ლექსებით ამხნევედა და ძალღონეს მძებნებდა საბჭოთა მეომრებს. ხალხში დიდი პოპულარობა მოიპოვეს მისმა ლექსებმა „კაპიტანი ბუხაიძე“, „ქათვლებო, ვაჟფო მტერი“, „სამშობლო იყოს ჩვენი დიდება“. მტერზე გამარჯვების შემდეგ სოციალისტური მშენებლობის თემამ ი. აბაშიძის პოეზიაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა. ი. აბაშიძე მხარდამხარე მიხვედა ცხოვრებისეულ დიად მოვლენებს და მისი წრფელი ხმა ორგანუ-

ლად უერთდება ჩვენს ქვეყანაში გაშლილ მშენებლობის გუგუნს.

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო ვ. ი. ლენინის სახელობის ეოლგა-დონის არხის აგება, რომელსაც პოეტი გამოეხმაურა შესანიშნავი ლექსით „შეერთდნენ“. ეს ლექსი ნაკარნახევი და გამსჭვალულია იმ საყოველთაო-სახალხო სიხარულით, რომელიც ეოლგა-დონის დაწყვილებამ გამოიწვია. ორი მდინარის შეერთება ი. აბაშიძემ საბჭოთა ხალხების უძველესი მეგობრობის პოეტურ სიმბოლოდ გამოიყენა. ხალხთა საბედნიეროდ შეერთებული მდინარეები და ზღვები პოეტმა გაიზარა, როგორც ჩვენი სამშობლოს ძლიერების განსაზიერება, ჩვენი საზოგადოებრივი დოვლათის სიუხვე, მშვიდობისათვის ბრძოლის ფრონტზე მოპოვებული თვალსაჩინო გამარჯვება და სისხლსაცე შემოქმედებითი ცხოვრების ნამდვილი ტრიუმფი.

ამ ლექსში ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ბუნებრივად გადადის აღმშენებლობის თემა ხალხთა მეგობრობის თემაში, რომელსაც ი. აბაშიძემ მიუძღვნა ლექსები: „მოსკოვის ცათმზიჯენები“, „უკრაინაში“, „უზბეკეთში“, „სადაც არ უნდა მოხდეს ქართველი“ და სხვ. ამ ლექსებშიც ი. აბაშიძე უმღერის ხალხთა მეგობრობას და მხურვალე სიყვარულს გამოხატავს რუსი ხალხის მიმართ, რომელიც სათავეში უდგას საბჭოთა ხალხების მრავალეროვან ოჯახს. მოსკოვი, როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა ძლიერების სიმბოლო, ი. აბაშიძის პოეტობეული აქვს ლექსში „მოსკოვის ცათმზიჯენები“.

„მათს დიდ კედლებთან ოქროთ გაცისლი მუღამ სისხამი დგას განთიად; მათს დიდ კედლებთან ხარ შუბლგახსნალი, მათებრ მაღალი, მათებრ ზეიადი“.

ეს ის კედლებია, რომლებიც დარაჯად უღვანან ხალხთა მშვიდობას და გამოხატავენ საბჭოთა ადამიანების ძლიერსა და გაუტეხელ ნებისყოფას.

ი. აბაშიძის პოეზიის თავისებურება ის არის, რომ ლირიკულ ლექსში მას თხრობითი ელემენტები შეაქვს და ამგვარად ლექსის ლირიკულ ჩარჩოებს განზე სწევს. ამ მხრივ გამოირჩევა ლექსები: „წულუკიძის სიყვდილი“, „ოდიშის პლანტაციები“, „ოცდაერთი იანვარი“ და სხვ. ამ უკანასკნელ ლექსში დიდი ოსტატობით არის გამოყვეთილი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ლენინის სახე. მასში ნათლად ჩანს ვ. ი. ლენინის, როგორც კაცობრიობის იმედისა და სიხარულის, მთელი ძალა და სიბრძნე:

„ამ დღეს მოსკოვი
კვლავ გვახსენებს სევდიან ამბავს
და ისმის ქვეყნად
თითქოს ერთი სუნთქვა გაბმული, —
დღიე თვატრის
გაბრწყინებულ, გაქვილი დარბაზს
მიაპყრობს თვალებს
დღეამიწა სულგანაბული.“

ამ ლექსის ობტიმისტური ელვადობა მიაკოვსკის შესანიშნავი პოემის „ლენინის“ მღელვარე ბოზოქარი განწყობილებითაა აღსავსე და მკითხველს სიყვდილის დამამბობელი უკვდავების მძლავრ სუნთქვას განაცდევინებს.

ლექსებში „გმირები“, „შეიქმენ გმირი“ და სხვ. პოეტი ნათელი სურათებითა და სახეებით გადმოგვცემს იმ აზრს, რომ ჩვენნი ეპოქა გმირობისა და სიმამაცის, ადამიანის მიერ ბუნების გარდაქმნისა და დაუფლების ეპოქაა. ჩვენში —საქმე ყოველი გმირის სახელს შემოგთავაზებს — ჩაის ბუჩქია, მალარო თუ ჩალის ღერია, მხოლოდ დაჰკარი, გაიტანე, ხვალაც განავრძე...“ პოეტის აზრით, გმირობა ეს არის ფიზიკური და სულიერი ძალების შეგნვრულად თავმოყრა და დაძაბვა მიწის გულის, მინდორველის, საერთოდ, მთელი ბუნების დაპყრობისათვის ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. მართალია, ლექსებში: „ოდიშის პლანტაციები“, „გმირები“, „შეიქმენ გმირი“ ადამიანები არ მოქმედებენ თავიანთი საკუთარი გვართა და სახელით, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ეს ნაწარმოებები კონკრეტულობას მოკლებულა:

„და გმირი დადის
მიწის გულში,
მინდვრებს დაჰხარის,
დიდ გამარჯვების
გამყვარა, მათწყებელი

კაცი უბრალო
მალაროში ვეფხვი მაგარი,
კაცი უბრალო
ვაქაცურად ჩაის მკრეფელი“.

(„გმირები“)

აი, ეს უბრალო კაცია ტიპური სახე ადამიანებისა, რომლებიც ჩვენს დიად ქვეყანას, კომუნისტურ საზოგადოებას აშენებენ.

ირ. აბაშიძის მხატვრული შედარებები მუდამ ნათელი და რეალისტურია. ისინი მკვეთრად განგვატყვევებენ პოეტის სულში აბობოქრებულ გრძნობებს — მტრის სიძულვილს, სამშობლოს სიყვარულს, შრომის გამაკეთილშობილებელ ვავლენას ადამიანზე და ა. შ. მაგალითად, კაცობრიობის უბოროტესი მტრის ფაშისმის სახის მუქი ფერებით წარმოსახვის მიზნით, იგი მიმართავს ასეთ შედარებას: „არ ვუშვებდი დარიალთან გაფთრებულ ყვითელ გველებს“, ხოლო სასიქადლო შრომის ფერულში ჩაბმულ, გმირული ნების მქონე საბჭოთა ადამიანის მხატვრული სინონიმა — „ვეფხვ-მაგარი“. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მხატვრული სახე გააზრებულა ღრმა იდეური შინაარსით და ამოწურავს ნაწარმოების აზრით ნაკარნახევ მნიშვნელობას. მაშასადამე, როდესაც ი. აბაშიძის ლირიკული ლექსების თხრობითს ელემენტებზე ვლაპარაკობთ, ამით მისი პოეზიის კიდევ ერთ დირხებას აღვნიშნავთ. ცხადია, ამბავს ლექსში მხოლოდ მაშინ აქვს გამართლება, როცა ის ამაღლებულია ნათელი იდეით და გამსჭვალულია ლირიზმით.

ი. აბაშიძის პოეზიაში ბუნება და საზოგადოებრივი მოვლენები ერთმანეთთან კანონზომიერ ურთიერთობაშია, პეიზაჟი ორგანულ მთლიანობაშია ნაწარმოების შინაარსთან და ხელს უწყობს სიუჟეტის განვითარებას. პოეტი ბუნების სურათებს ჩინებულად იყენებს როგორც სიხარულის, ისე მწუხარების გადასაცემად. მაგალითად, ლექსში „წულუკიძის სიყვდილი“, რომელშიც ი. აბაშიძემ მკაფიოდ გამოაქრწა მგზნებარე ბოლშევიკის ალექსანდრე წულუკიძის სახე, ვკითხულობთ:

„თითქოს მწუხარე,
გლოვითა და სევდით დალილი,
ზაფხულს მზეზე
გაჩინდულან ბარში მინდვრები,
ყველა ფოთოლი დაკეცილა
და თავდახრილი
ველებზე დვანან
ჩინარები და სიმინდები“.

პეიზაჟი ამ შემთხვევაში პოეტს სულიერი განცდების გადმოცემასა და შთაბეჭდილებათა



გაძლიერებაში ეხმარება. თუ ი. აბაშიძის იმ ლექსებში, რომლებიც საზოგადოებრივ მწუხარებას გამოხატავენ, ბუნება დაღვრემილი და მოღუშულია, სამაგიეროდ, პოეტის ნაწარმოებთა უმრავლესობა, რომელიც ხალხის ან ლირიკული გმირის სიხარულის გამოხატველია, მოზეიმე ბუნების ნათელი ფერებითაა აღსავსე. ლექსში „გაზაფხული“, რომელიც ხალხის განხორციელებული ოცნების სიხარულითაა ამღვრებული, მკითხველი ნათლად ხედავს და გრძნობს ბუნებისა და ცხოველების გაზაფხულის მცხუნვარე ფერების ურთიერთ შერწყმას. აქ თითქოს მშით სავსე ბუნება და ხალხთა ბედნიერი ცხოვრება ერთმანეთს ავსებენ, ამდიდრებენ და ძლევაშობის ხდიან. ბუნებისა და ყოფის ეს ურთიერთ ჰარმონია პოეტის სულში ხმატბილ მელოდიად შექრილა, შთაგონების მაღლად ქტეულა. ხალხის დიდი ხნის ოცნება იყო „მაისს ეხარა ნამდვილ მაისად“; ეს ოცნება ჩვენს ქვეყანაში რეალურ სინამდვილედ იქცა, „კაცს დაუბრუნდა კაცის სახელი“.

„გაზაფხულია,
რად არ მიყვარდეს
მისი გაჩენა, მისი აპრილი,
მის მობრძანებას, მზეს და მის ვარდებს
ვეამბორები მე თავდახრილი“.

ეს სიცოცხლის, სიყვარულის ცხოველყოფელი ჰანგია. გაზაფხული პოეზიაში ყოველთვის სიცოცხლის სიმბოლოა იყო. გაზაფხულზე მზეს ელვარება ემატება, იგი „მკედარ ბუნებას“ სულს უდგამს, აღვიძებს მიძინებულ სამყაროს. მაგრამ პოეტისათვის ვარდები ფიზიკური სამყაროს გამოცოცხლება როდია მთავარი. მისთვის მთავარია ის გაზაფხული, რომელიც „ციმბირში წითელ რაზმელებს თან მიჰყვებოდა ბორკილაყარილი“ და ახლა თავისუფლების სახით მოველინა ჩვენს ქვეყანას. აი, ამ გაზაფხულის, ამ აპრილის მობრძანებას გაზაფხულეფით ლაღი სიმღერით ეგებება აღდგროთვანებული პოეტი. იგი აქაც ახალი გზით მიდის. ერთი სიტყვით, ბუნება მისთვის ნაწარმოების ძირითადი იდეის ძლიერად და მკაფიოდ გადმოცემის ერთ-ერთი საშუალებაა და არა თვითმზანი. სწორედ ამით აიხსნება, რომ მის ამ ლექსებში ვერ იპოვით გაცეცითლ გამოთქმებს, ერთხელ უკვე გამოყენებულ სიხეებს.

ი. აბაშიძის პოეზია მრავალფეროვანია არა მარტო თემატიკის მხრივ, არამედ ინტონაციის თელასზარისითაც. მის ლექსებში გამოხატულებას პოულობს ჩვენი ცხოვრების არა ერთი რომელიმე მხარე, არამედ მრავალი სხვადასხვაგვარი მოვლენა. ლექსებში „ქართველბო, ვკაფთო მტერი“, „პარტიზანები“,

„პორზონტზე იწვოდა მეტერსმიტი“ და სხვა ასახულია სამამულო ომის ცალკეული ეპიზოდები. აქ ი. აბაშიძე ჩვენს წინაშე დგას, როგორც პოეტი-მებრძოლი, მტრის მიმართ სისტიკი და დაუნდობელი. ერთი სიტყვით, ეს ლექსები ქართულიანი დღეების ბოროტარი სულით არის გამსჭვალული და, ცხადია, მათი ინტონაცია არ შეიძლება გაზაფხულის საამოსოსავით ნაზი და სათუთი იყოს.

სულ სხვა შინაარსსა და განწყობილებას გადმოგვცემენ ლექსები: „პირველი თოვლი“ და „ყვავილები ქალაქში“. აქ ფაქირ ინტიმარ გრანობებზეა ლაბარაკი. ამდენად სულ სხვა მათი კილო, ხმა, ინტონაცია. რა განწყობილებაა გადმოცემული ამ ნაწარმოებებში, თავისთავად რა ხასიათის ნაწარმოებებია „პირველი თოვლი“, „ყვავილები ქალაქში“? „ყვავილები ქალაქში“ და „პირველი თოვლი“ ნაზი ლირიკული გრძნობით აღსავსე ქმნილებებია. პირველი მთავანი ყვავილებში ჩაფლული, განახლებული თბილისის პოეტურ სურათს წარმოადგენს. მეორე კი გადმოგვცემს იმ ვანცლებს, რასაც ადამიანში სიყვარული წარმოშობს.

„ვარდებს მოგართმევ თეთრს და ფერადებს,
თუ მგოსნის ბაღში შემობრძანდები,
მე ვნახე გუშინ:
ხალხის რჩეულებს
იას ესროდნენ დემონსტრანტები,
ამ ნარკოზებმა
ჩუმმა და მხალმა,
დაუწყეს შებმა ქალაქს გოლიათს:
ქარხნეთან გაჩნდა ვარდი და პალმა,
ცადმწვდენის გვერდით დგას მაგნოლია.“

ი. აბაშიძის ამ ლექსში ყვავილები მხოლოდ ვარდგან საქაულებს კი არ წარმოადგენენ, არამედ დახატულნი არიან ცხოვრებისეული სილამაზის თვალწარმტაც სიმბოლოებად. ყვავილების სილამაზე და მშვენიერება ადამიანთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ქარხნების კეანული გაშურულ ქალაქში ყვავილებს ბუნებისეული სილამა, სილამაზე და სურნელება შეაქვთ. არა ნაკლებ ლამაზი და თვალწარმტაცია დათოვლილი თბილისი, ტყეების ყვავილებით დაფარულ გაზაფხულს რომ მოგვაგონებს. სატრფოვ ფიქრით შეპყრობილი პოეტი შესხარის პირველ თოვლი ვახვევულ თბილისის ქუჩებს და სათუთი გრძნობით იგონებს მის სათაყვანო არსებას, პირველი თოვლის სინაზითა და უბრალოებით რომ ხიბლავს მას. პოეტი ეძებს ბუნების ქმნილებათა შორის მისთვის ყველაზე ძვირფასსა და სანუკვარს და მისკენ ლტოლვის კეთილშობილურ გრძნობას ნაზ ლირიკულ სიმღერაში აქსოვს:



...დაეყარა სახლებზე და ვერის გზაზე თოვლი თეთრად დასახული, ასე თეთრად, გულუბრყვილოდ ჰყვავის ასე იმერეთში ტყემლის ხეზე გაზაფხული.

მიხარაინ

ცხელ ზაფხულის დაბრუნებაც წვიმიც, ქარიც უსაქმურად დანაბერი, ბევრი კარგი რამ სცილდნია ამ ბუნებას,

მაგრამ, კარგო, შენისთანა არაფერი".
(„პირველი თოვლი“)

ი. აბაშიძის იმ ლირიკული ლექსებიდან, რომლებშიც დიდი შინაგანი მღვდელაება და დრამატიზმი იგრძნობა, უნდა დავასახელოთ ლექსი „მამა“. ამ ლექსის მინორული ტონი ნაკარანახევია საყვარელი ადამიანის ტრაგედიათ, რომლის მთელი სიმძიმე უშუალოდ იგრძნობა და განიცადა ი. აბაშიძემ, როგორც შეიღმა და როგორც პოეტმა.

„თუ იმერეთში სინათლით საყვ ვინახავთ ჩვენი პატარა თემი და უსინათლო ვაჟაკი გასოვთ მშობელი მამა ის იყო ჩემი.

მის ერთხელ გაკვრა სიყვდილმა გვერდი და თვალში მოხვდა რჯულძაღლის ცილი და მერე ჩამქრალ თვალებს სევდიით იღაში იჯდა თხუთმეტი წელი“.

მომდევნო სტრიქონებში დრამატიზმი კიდევ უფრო ძლიერდება, მაგრამ ეს იწვევს არა სევდიან წინაგრძობას, არა სიყვდილის შიშს, არამედ ცხოვრებისა და ბუნებისადმი იმ განუყოფელ სიყვარულს, რომელიც ადამიანს ჭირსა შვიან ქვიტყირივით ამაგრებს და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნარჩუნებს მძიმე ხეგდითან ჭიდილის უნარს.

ამ უკანასკნელ წლებში ჩვენს ქართულ საბჭოთა პოეზიაში ტრადიციად იქცა ლექსების ციკლები, რომელთა შორის ბევრმა მათგანმა ფართო მკითხველის ყურადღება დაიმსახურა. მათს რიგს ეკუთვნის ი. აბაშიძის ლექსების ციკლები „ჰყვავის გურია“, „სიმღერა მის ღრის“ და სხვ. გურიის რეკოლუციური წარსული, თანამედროვე გმირული ცხოვრება ყოველთვის იყო და არის ქართული პოეზიის წარმტაცი თემა, პოეტური შთაგონების დაუშრეტელი წყარო. ერთი სიტყვით, საქართველოს ამ ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის გუშინდელ და დღევანდელ დღეზე ბევრი კარგი ლექსი დაწერილა. მაგრამ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ლექსები უშთაბრუსად ეპიზოდურია და ცხოვრების მხოლოდ ერთ მხარეს ეხება. თანამედროვე გურიაში, მისმა წარსულმა და აწმყომ შედარებით სრულყოფილი გამოხა-

ტულება პპოვა ი. აბაშიძის ლექსების ციკლში „ჰყვავის გურია“.

პოეტს ღრმად შეუგრძენია გურული გლეხის განვლილი ცხოვრება, მისი წარსული და დღევანდელი ყოფა. თუ წინათ თავისუფლებისათვის მებრძოლი გურული გლეხი თავშესაფარს ტყეში ეძებდა, დღეს იგი ახალი ცხოვრების ღვიძლი შვილია. სოციალური უკუღმართობის წყალობით გაფიარლებული სისონა დარჩაის ბედნიერი შთამომავალი ელისე დარჩია „არის თავაკი, არის მშრომელი, მისი ძმური ხმა ყველგან გაისმის...“ იგი მილიონერი კოლმეურნეობის ხელმძღვანელია და თვალსაჩინო წვლილი შეაქვს სახალხო დოვლათის ზრდაში. ამგვარად, ი. აბაშიძე ახალი გურიის ცხოვრების მავალითზე, ცოცხალი პოეტური სიტყვით წარმოსახავს საბჭოთა საქართველოს ახლანდელ სახეს, გვიჩვენებს იმ განსხვავებას, რაც ქართველი ხალხის გუშინდელ და დღევანდელ დღეს შორის არსებობს, იმ მიღწევებს, რომლებიც ჩვენმა ხალხმა მოიპოვა წლების მანძილზე, გვიჩვენებს ჩვენს ქვეყანას ზრდა-განვითარებასა და პერსპექტივაში.

გურიის ბუნებით მოხიბლული, გურული გლეხის შრომით აღტაცებული პოეტი ამბობს:

„ამიერიდან აქ დავსახლდები,
ჩემი ქვეყანა არის გურია;
სტუმარს, მოყვარეს აქვე დავხვდები,
მე სხვა სამშობლო აღარ მწყურია.“

ეს, რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავგოთ ისე, თითქოს პოეტი შეზღუდულია ვიწრო კუთხური „პატრიოტიზმით“. აქ საქმე გვაქვს ჩვენი ქვეყნის სიდიადის გამოხატვის თავისებურ მხატვრულ ხერხთან, ღრმა პატრიოტული აზრის გაღმოცემის, პოეტური გამოვლენლობის ერთ-ერთ საშუალებათან.

„...მაგრამ რა ვუყო ჩემს ტკილ იმერეთს:
გვეუთს, ვარციხეს, ალისუბანს;
ოჭროს ბავშვობას, სიზმრებს, სიმღერებს.
ყრმობას, ოცნებებს თავისუფალსა.
ოღიშს რა ვუყო, ზღვისფერ ქალაქებს...
ისიც მკვიდრია, ისიც ჩემია...
ზუგდიდს, სალხინოს, რუხს, ნოქალაქეც
გავცლივარ, სული იქ დამარჩენია.“

ყველა ღვიძლია მიწით ზეცამდე,
ჩვენი ზორცია, ჩვენი გულია,
და ნუ გაოცებს — თვისკენ გემაზდეს
იქით კახეთი, აქეთ გურია.“

(„აქ დავსახლდები“)

ერთი სიტყვით, ლექსების ციკლი „ჰყვავის გურია“ გამსჭვალულია საბჭოთა პატრიოტიზ-



მის მაღალი გრძნობით, მდიდარია პოეტური სახეებითა და ფერებით, ბუნების ცოცხალი და მრავალფეროვანი სურათებით.

„მიყვარს მამული, მიყვარს მამული, ცაძე ვაზრდილი, ამაღლებული, რა სიცოცხლეა, რა საამური მისი მთა-ბარი განახლებული.“

ასეთი მაღალი და ძლიერი გრძნობითა და სულისკეთებით, ღრმა იდიური თვალსაზრისით არის შეკრული „ჰყვავის გურია“ ერთ მთლიან და დასრულებულ ნაწარმოებად.

მ. გორკი ამბობდა, რომ თავისუფალი შრომა არის ის დასაყრდენი წერტილი, რომელსაც მოითხოვდა არქიმედი ქვეყნიერების გადასატრიალებლად. სწორედ ამ თავისუფალ შრომას მიუძღვის ი. აბაშიძემ ლექსების ციკლი „სიმღერა მკის დროს“. ამ ლექსებში ჩვენი ვხვდებით ცოცხალ ადამიანებს, ხორცშესხმულ პოეტურ სახეებს, ჩვენი სახელოვანი კოლმურელი გლეხობის ტიპურ წარმომადგენლებს, რომელთაც აკეთილშობილებს და აღამაზებს კოლექტიური შრომის სიხარული. ამ მხრივ ყველაზე დამახასიათებელია ლექსი „გოი“, რომელშიაც ნაჩვენებია, თუ რა გარდატეხას ახდენს ადამიანთა ფსიქიკაში თავისუფალი გმირული შრომა. გოი ასი წლისაა. თავისი ცხოვრების ნახევარზე მეტი მან ვაატარა იმ პერიოდში, როცა ადამიანი ადამიანისათვის მგელი იყო. გოი შრომობდა. მაგრამ შრომის ტკბილი ნაყოფის ნაცვლად იგი მუდამ ტანჯვამებასა და შიმშილს იმეკიდა. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ძირ-ფესვიანად შეცვალა მშრომელთა ცხოვრება, შეიცვალა წალთა სიმძიმით წელში მოხრილი გოი მრელაშვილის ცხოვრებაც, გოი — ეს უბერებელი სულის გამრჯელი კაცი მხარში უდგას ახალგაზრდებს და, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „შრომა-ლდე აქვს ცხრაფუთიანი“. ამით აიხსნება მისი ესოდენ დიდი სიყვარული სიცოცხლისა და ამქვეყნიური ავ-კარგისადმი.

„მზემ მიწას სხივი მოპოვინა, ნათელი, დამათრობელი...
მინც პატარა ყოფილა
ასი წლის წუთისოფელი“, —

ამბობს პოეტი და ეს საესებით ვასაგებია. ხალისიანი შრომის პათოსით გაჭაბუკებული გოი მრელაშვილის ცხოვრებამ აღრძა პოეტში ეს განწყობილება.

ხემათ ვთქვით, რომ ი. აბაშიძის ლექსებში ჩვენ ვხვდებით ცოცხალ ადამიანებს, ხორცშესხმულ პოეტურ სახეებს, კოლმურენ გლეხობის

ტიპურ წარმომადგენლებს. ამის ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია დავსახელოთ აგრეთვე ივანე მახინაშვილი ამავე სახელწოდების ლექსიდან, „კომპანიერის“ ლირიკული გმირი და სხვ; როგორც პირველ, ისე მეორე ლექსში დახატულია უხვი მოსავლისათვის ბრძოლის სურათი, მაგრამ მეითხველს პირველ რიგში ალბანის ველზე მოგუგუნე ტრაქტორის ხმა კი არ იზიდავს, არამედ სახე ვეკაცისა, რომელიც მხოლოდ მაშინ გრძნობს სიამოვნებას, „გულს რომ ვაიერებს სიმკალით, როცა ტბილ შრომით ივადება.“

ამრიგად, როცა ვახასიათებთ ი. აბაშიძის პოეზიას, კერძოდ, მისი ლექსების ციკლს „სიმღერა მკის დროს“, საქაროა განსაკუთრებით აღინიშნოს ის ვარემოება, რომ ი. აბაშიძის პოეზიაში მთავარი სწორედ მოქმედი აღამიანია. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი, როგორც არაერთხელ ვითქვამს, კარგად ხატავს ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვან და მდიდარ ბუნებას, მის ლექსებში ყოველთვის პირველ პლანზე აღამიანი დგას, აღამიანი ჩაბმული შემოქმედების შრომით.

ახალი საინვილირადმი მიძღვნილი ლექსების ციკლს პოეტმა „მონადირის დამეები“ დაარქვა. ამ ციკლში შემავალი ლექსები ტიპურად და დამახასიათებლად გვიხატავენ ინვილოელების ყოფითს სურათებს:

„დასვენებულნი, დანაყრებულნი, მკერდზე შეხსნილი დილილოებით, დაწითლებულნი, დაღლებულნი კოცონს უსხედან ინვილოები.
ირველივე კუბრი დგას შუალამურად, სძინავთ ბერმუხებს გარინდებულებს, სძინავთ მყეფარებს ტკბილსა-საამურად, თვის ბულულზე თავიშობულებს.
წიფლის კუნძებზე ცეცხლის ენები, მუხის კუნძებზე ბიბილოები...
ღამის მეხრენი, ღამის მთველები კოცონს უსხედან ინვილოები.“

აქ ნამდვილ სილამაზესთან გვაქვს საქმე, დახელოვნებული ოსტატის მიერ შექმნილ სურათთან, რომელიც იტაცებს მაყურებელს თავისი არაჩვეულებრივი მშვენიერებით. ამ ლექსში ოსტატურადაა გახსნილი თანამედროვე აღამიანის ხასიათი. ლაზარე, რომელმაც „ხელისგულივით იცის პრუსია“, თავისი სულის სიჯანსაღით ავსებს მთელ ლექსს. პოეტი პირველ რიგში გვაცნობს უბრალო აღამიანებს, მათ ღირსებასა და მაღალ თვისებებს; ნადირობა აქ მხოლოდ თავისებური მხატვრული ხერხია, გამოყენებული იმისათვის, რომ ჩვენს თვალწინ ვადაშვალოს უბრალო აღამიანების უთელი შინაგანი სულიერი სამყარო, მათი

მისწრაფებების ღრმა იდეური შინაარსი. ამ ციკლის მეორე, მესამე და მეოთხე ლექსი („რადიო კახში“, „მასწავლებელი“, „არწივი“) ერთხელ კიდევ ხელშესახებად ამკვანებს ინგილოვლების მაღალ პატრიოტულ სულიკვეთებას და შეგნებას, ხოლო საფინალო ლექსში — „მონადირის ღამე“ პოეტი ხატავს ნადირობის უკანასკნელ ღამეს:

„ჩამოვდგით დინჯად გავსილი გზისთვის
ხელადა, როგორც ძვირფასი ვანძი,
და საქართველოს მიწის და მზისთვის
ინგილომ შესვა პირველი ყანწი.

ღამით, მთელ ღამით, შფოთიან ძილში
ღამდევდა სიზმრად ყუმი და კახი
და თასმანლუსთან ბერძენის ძირში
ხმელ ფესვებს გლუჯდა დაჭრილი ტახი“.

დასასრულს, უნდა შევეხებით ლექსების ციკლს „რუსთაველის ნაკვალევზე“, რომელიც ირაკლი აბაშიძემ დაწერა ინდოეთში მოგზაურობის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებათა საფუძველზე.

ეს ახალი თემა ი. აბაშიძის პოეზიაში. ეს ნაწარმოებები საყურადღებოა, ერთი მხრივ, „ზღაპრული ქვეყნის“ კოლორიტის გადმოცემით, ხოლო, მეორე მხრივ, თავიანთი სულისკვეთებითა და იდეური შინაარსით.

„ზეიმის ეშში იყო ბუნება,
სიცოცხლის ახლად შემობრუნებას,
ვარდების ხევენას, ფრინველის ფრენას,
თითქოს უჩუმრად შევეწყვეთ ჩვენაც;

ხან ფრთა გავშალეთ კრიალა ცაში,
ხან ფრთა ნაალხარ ველზე დავუშვით
და ავზმიანდით ბუნების სპაში
ბუნების ამ ტკბილ დღესასწაულში.

ავწიეთ ჭიქა ამ ძველ მიწა-წყლის
ამ გაშლილ განგის მწვანე ნაპირის
და ვთქვით დიდება უკვდავ სიცოცხლის,
მისი იანვრის, ჩვენი აპრილის“.

ამ სტრიქონებში პოეტს ღრმად აქვს გაცნობილი ინდოეთის მომჯადოებელი ბუნება. ამასთანავე ამ სტრიქონებში გამოხატულია საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე სიყვარულის ცხოველი განცდაც. სხვისი კარგი და ღამაში ისევე ხიბლავს და იზიდავს ჩვენს პოეტს, როგორც საკუთარი. აქედან გამომდინარეობს საოცარი სისასესე იმ სურათისა, რომელიც პოეტმა დახატა ზემოთ მოტანილ ლექსში. მაგრამ ჩვენ ლექსების ამ ციკლის მაცოცხლებელ გულად

მაინც მიგვაჩინა ლექსი „რუსთაველის ლეგია“. აქ პოეტი გამოთქვამს რწმენას, რომ ქვეყანა, რომელიც ესოდენ ხიბლავს ადამიანის თვალს, „არ იქნება არ ენახოს რუსთაველს“.

„თითქოს ვხედავ,
თითქოს მართლაც ნათლად
ვხედავ,

ჩუმს და ფერმკრთალს,
უქმელსა და უსმელს...
არა, ეს გზა

როგორც მგოსანს, როგორც
მხედარს,
არ იქნება არ

ენახოს რუსთაველს.
რა იზოვა,

რა წაავა, რა მოიგო,
რა დაჰკარგა,

ქვეყნად არცინ იცის,
მხოლოდ მესხეთს
უცხო განძად წამოიღო
სიყვარული
ინდოეთის მიწის!“

ეს სახეებით გასაგებია, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ ადამიანს, რომელსაც თავისი ქვეყნის გარდა სხვა ქვეყანა ეჩვენება უცხოდ და არა მახლობლად, ის შეზღუდული და ჩაკეტილია ცხოვრების ვიწრო ნაკუჭში.

„რა მზეც სწვავდა,
ემლერი მეც იმ ვარსკვლავეთზე,
სადაც შედგა,
მეც იმ ზღურბლზე შევდექე...
ინდოეთში,

რუსთაველის კვალს დივიქებ,
ალარც აქ ჩანს
რვაასი წლის შემდეგ... აბზობს პოეტი და

ჩვენ ვგრძნობთ, რომ მზე, რომელიც სწვავდა ჩვენს დიდ მგოსანს, ეს არის ქემშარბიტი პოეზია, რომელშიც გამოხატულია ნათესაური თუ მეგობრული კავშირი ყველა ქვეყნის ხალხებს შორის, რომელსაც ასე მძლავრად უმღერის ახლა ჩვენი პოეზია და მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ი. აბაშიძე. ამ ციკლში შეტანილია ერთი პატარა ლირიკული ლექსი, რომელიც მკითხველზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს. მასში არაჩვეულებრივი სიღრმით არის გამოხატული სამშობლოს ცასა და მიწას დამორბეული ადამიანის სიყვარული თავისუფალი და ძლიერმოსილი სოციალისტური ქვეყნისადმი. უცხო ქვეყნის თავისებურებით და სილამაზით მოხიზლულ პოეტს ყველგან თავისი მამულის ხმა ესმის, და მამულის ესოდენ ღრმა სიყვარულს ვერ ანელებს ვერავითარი ეგზოტიკა.



„შორს, შორს გაგაფრენს მხარე განგების, ხან საოცრების, ხან უმეცრების, მაგარ მამულის ყველგან ხმა გესმის — ჩვენი მერცხლების, ჩვენი მერცხლების“.

აქ გამოხატული სულიერი განწყობილება დამახასიათებელია საბჭოთა ადამიანისათვის, რომელსაც არაფერი იმაზე უფრო მეტად არ უყვარს, როგორც თავისი საყუთარი სამშობლო.

ლექსების ამ ციკლში მკითხველს ხიბლავს არა უბრალო ეგზოტიკა. აქ მთავარი როლი ინდოეთის ბუნების მცნეწარება, ზღაბრული კოლორიტი, არამედ ის გულწრფელი გრძნობა, რაც ამჟღავნებს საბჭოთა პოეტის არა მარტო ჯანსაღ ფანტაზიას, არამედ მის მდიდარ პუმანურ ბუნებას.

მოსკოვში 1958 წელს გამართული ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მსვლელობის დროს მომე რესპუბლიკების წარმომადგენლები დიდი სიყვარულითა და გულისხმიერებით ლაპარაკობდნენ ქართული საბჭოთა მწერლობის თვალსაჩინო კმნილებებზე. აბაშიძის პოეზიას, კერძოდ, მისი, ლექსების ციკლს „რუსთაველის ნაკვალევზე“ დრმად და საფუძვლიანად შეეხო მწერალი ყარა სეიტ-ლიევი, რომელმაც თქვა: „მე მინდა ვილაპარაკო ირაკლი აბაშიძის ინდოეთზე დაწერილი ლექსების შესახებ. ჩვენ ერთად ვიმოგზაურეთ ინდოეთში და მე ერთგვარი მოწმე ვარ ამ ლექსების პირველი დაბადებისა. მე მინდა გავიხსენო ირაკლი აბაშიძის ლექსი „რუსთაველის ნაკვალევზე“. ინდოეთში, ამ შესანიშნავ ქვეყანაში ჩვენ ჩვენი წინაბრების, კლასიკოსების ნაკვალევზე დავდიოდით. აბაშიძე იქ რუსთაველის ნაკვალევს დაქებდა, სხვები — ნინაშის, ნავოსის ნაკვალევს და ა. შ.“

როცა ჩვენ მუსულმანურ უნივერსიტეტში იყავით, როცა ამ უნივერსიტეტის ხელნაწერი ფონდი გვიჩვენეს, ჩვენ იქ აღმოვაჩინეთ ნინაშის, ნავოსის, ფიზულის და მამუდ ყულის უძველესი ხელნაწერები. ეს პოეტური წარმოსახვა კი არ იყო, არამედ მე იქ ნამდვილად ხელნაწერი ვიპოვე მამუდ ყული.

„მე იქ შევხვდი ინდოელ პოეტ ქალს ამრიტა პრიტამს. ჩვენ მაშინ ყველანი განვიცდიდით იმ გრძნობას, რომელიც მის ლექსებშია გამოხატული. ამრიტა იდგა ტრიბუნაზე და კითხულობდა თავის უნაზეს ლირიკულ-რომანტიკულ ლექსებს. მას უღელავა გრძელი, შავი წამწამები, რომლებიც ფრთხილად ჩრდილავდა მის დამწველ თვალებს; ჩვენ ვუტკეარდით, გუსმენდით და გესურდა შეგვეგრძნო, რაზე ლაპა-

რაკობდა მისი ლექსი. სწორედ ეს გრძნობა გამოხატა ირაკლი აბაშიძემ თავის ლექსში:

„ამრიტა!
ლექსად დამწვარო ქალო,
ყველაფრის ენა
მე ვანა მესმის?
ბუღბული ვარღზე
რა სიტყვას ვალობს,
ან მტრედი ტოტზე
რა სიტყვებს კენესის?
მე არ მესმოდა
ეგ შენი ენაც,
ბუღბულის, მტრედის
ენაზე მეტად
და თუ სიყვარულს
უმღერდი შენაც,
ის ბედნიერი
ვინ იყო ნეტა?
ვერ დაგიხელეთ
მარტოდ თუ ლხინზე,
გარს გეხვევოდა
სპარსი, თურქმენი...
და წამოვედი
დელიდან ისე,
რომ დამჩრა დარდი
შენთვის უთქმელი!“

„ამ ლექსში მე დავინახე ის ძალა პოეზიისა, რომელიც აერთიანებს ხალხებს, მეგობრობის ხიდებს სდებს სხვადასხვა ერის შეიღთა გულებს შორის“.

მართლაც რომ დიდი მალაღამიანური და თავისი დროის მოწინავე იდეებით თუ სულისკვეთებით გამსჭვალული პოეზიის ძალა. ასეთი პოეზია შინაგანად ამაღლებს ადამიანს, აფრთოვანებს მას შრომასა და ბრძოლაში, უღრმავებს სიყვარულს ყოველივე იმისადმი, რაც ძვირფასი და კარგია ქვეყნად, და, რაც მთავარია, მეგობრულად აახლოებს სხვადასხვა ერებს, რა მანძილითაც უნდა იყვნენ ისინი ერთმეორისაგან დაშორებულნი.

პოეზიის (იგულისხმება მხატვრული ლიტერატურის ყველა დარგი) ამოცანაა მართლად ასახოს ცხოვრება და ხელშეახება გვაგრძნობინოს ცხოვრების მაჯისცემა, დაგვემაროს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენებისა და ფაქტების ესთეტიკურ შეგრძნობა და გავებაში, გააძლიეროს ბუნებაზე ადამიანის გამარჯვების რწმენა, დაგვატკბოს, იმოქმედოს ჩვენს სულსა და გულზე. ასეთია ჩვენი ლიტერატურის ამოცანა, ამ ამოცანის გადაწყვეტის ემსახურება მთელი ჩვენი მწერლობა და მათ შორის ი. აბაშიძის პოეზიაც.



ნოქა ჩხიძე

ანა კალანდაძის პოეზია

მოულოდნელი იყო მისი გამოჩენა. ის მოვიდა, როგორც ზედმიწევნით ორიგინალური და მნიშვნელოვანი. ის შეეშტა საუკეთესოთა მკირე რიცხვს. მან მოიტანა საკუთარი თავისუფლება ფიჭრის და განცდისა, თემის არჩევის და მისი გადაწყვეტისა.

ანა კალანდაძეს მართლაც რაინდულად შეხვდნენ პოეტები. იგი უჩვეულო მოკრძალებით და ერთგვარი კომპრომისით მიიღო ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამ.

მთელი ჩვენი პოეზია, უმნიშვნელო გამოჩენისის გარდა, იყო ამაღლებულ განცდათა პოეზია. ის პირველ რიგში მოითხოვდა და აღგნდა ამაღლებულის განცდის უნარს. ჩვენი ისტორია, ბუნება, ხასიათი დანახული იყო ამ მხრით. ანა კალანდაძე არის ერთერთი იმ ქართველ პოეტთაგანი, რომლებმაც ჩვენს ხასიათში, წარსულში, ბუნებაში, სულში აღმოაჩინეს (და შეიტანეს) ძირითადად მშვენიერი და უმღერეს მას. მან გააქალურა ყოველივე და გვიჩვენა ისეთი სილამაზე, როგორსაც ჩვენ შედარებით იშვიათად ვხედავდით. მან გვიჩვენა, თუ ძალის გვერდით რა უფლებით სარგებლობს სინაზე და როგორ შეიძლება იქცეს ჩუმი ალერსის საგნად ის, რაც თითქოს სცილდება ასეთი გრძნობის სფეროს.

ჩვენ იშვიათი ტრადიცია გვაქვს ქალის პატივისცემისა ცნობრებაში და განსაკუთრებით ხელოვნებაში, მაგრამ არ გვექონდა ტრადიცია გვენახა რაიმე ქალის თვალებით. ყოველ მოკლენაში ჩვენ ვხედავდით მამაკაცის საუკეთესო თვისებათა ანალოგიას და არა ქალისას. თანაც ეს იყო დამოკიდებული არა ჩვენზე, არამედ ქალის ისტორიულ ბედზე საზოგადოებაში.

ანა კალანდაძის ლექსებში არის ის, რაც საუკეთესოა ქალში. ამიტომ ეს ლექსები ანა კალანდაძისაა. მაგრამ ისინი სცილდებიან ერთი აღმზანის ხასიათის, მისი კონკრეტული ბიო-

გრაფიის ფარგლებს. ამიტომ ეს ლექსები ხატვენ არა მარტო და არა იმდენად კონკრეტულ, აი ამ აღმზანს, არამედ საერთოდ ქალს, საუკეთესოს ქალში, მაქსიმუმს, თუ შეიძლება ითქვას, მისი სულიერი სილამაზისას.

პირველ რიგში ამით არის ანა კალანდაძის პოეზია ორიგინალური და ახალი. მაგრამ, ამასთანავე, თავი რომ დაეანებოთ კონკრეტულ თემატიკას, კონკრეტულ ქართულ პეიზაჟს და, რაც მთავარია, მის პოეზიაში გამოხატულ ქალის სულსა და ხასიათს, პრინციპი, რომლითაც ის ქმნის თავის ნაწარმოებებს, არაა ახალი; ის არაა ახალი პოეზიის ისტორიაში. ის არაა ახალი საფეხური, თუმცა არც ისეთი საფეხურია, რომლის ახლებურად განმეორება არ შეიძლებოდეს. ის ისეთივე ძველია, როგორც ძველია სილამაზე და როგორც ძველია თვით პრინციპი სილამაზის ძიებისა და შექმნისა. ის ეძიებს და ქმნის მშვენიერ განწყობილებებს. ამასთანავე ყველას შეუძლია დაუკვირდეს, თუ რა უმნიშვნელო საბაზი აძლევს ხოლმე მას საშუალებას თავისი სულის სილამაზის გამოსახატავად.

ტრადიციად იქცა, რომ თითქმის ყველა პოეტის შემოქმედების დახასიათება იწყება მისი იმ ლექსების გარჩევით, რომლებიც ბუნებისაღმია მიძღვნილი. ქართველი პოეტის წარმოსახვისათვის ჩვენი ბუნების მშვენიერება არ უნდა თავსდებოდეს გაციების განცდაში არც უბრალო ხილვისას, არც, მით უმეტეს, ჩვენი პოეტური ტრადიციის გამო. დღევანდელ მკითხველზე ბუნების უშუალო შემოქმედებას თან ერთვის ის სულიერი ძალა და სილამაზე, რომლებსაც ქართველი პოეტები ბუნებას და მის სურათებს აძლევდნენ. ფშავ-ხევსურეთის მთების გასაოცარ შემოქმედებაში უდიდეს როლს ასრულებს ჩვენში ბუნდოვნად არსებული ტრადიცია ვაჟს მიერ შექმნილი სურათების ზემოქმედებისა. ამ ტრადიციამ და მხოლოდ ამ



ტრადიციამ განაპირობა ის, რომ მკითხველთა დიდი ნაწილი, და საკმაოდ კარგ მკითხველთა ნაწილი, ასე სკეპტიკურად შეხედა ანა კალანდაძის ფშაური ლექსების ციკლს. მაგრამ საკმარისია შეადაროთ ვაჟას ლექსებისა და ანა კალანდაძის ლექსების ემოციური შინაარსი, მათი სათქმელი თუ ნათქვამი კაცის გულისა და გონებისათვის, რომ ცხადი გახდეს, თუ რამდენად უსაფუძვლოა ანა კალანდაძის ფშაური ლექსების ზემოხსენებული შეფასება. მკითხველებს ტრადიციის გამო გაუძნელად განთავისუფლებულყვენ ვაჟასეული ამაღლებულის სფეროდან და კალანდაძის ფშაურ სურათებში ენახათ ქალური სილამაზე და მშვენიერება. ანა კალანდაძის ყოველი პეიზაჟური სურათი ქალის თვლით არის ნანახი, განცდილი და შექმნილი.

ანა კალანდაძე ისეთი პოეტია, რომელიც ქალაქის გარემოდან გამოდის და ასე მიდის ბუნებასთან. ამასთანავე ის თავის შთაბეჭდილებასა და წარმოსახვის სპეციფიკას უმორჩილებს ბუნებას, რაც სრულიადაც არ ქმნის რაიმე შეუსაბამობას, ან ხელოვნურობის შთაბეჭდილებას. მისთვის უცხოა ბუნების მოვლენათა ბუტაფორული სურათების ხატვა. ეს იმის შედეგია, რომ ანა კალანდაძემ მშვენიერად იცის რაზე უნდა წეროს.

ბუნების განცდა ყველა ადამიანს შეუძლია და ყველას თავისებურად. ამით ეერ აფხნით რომელიმე პოეტის განსაკუთრებულ ლტოლვას ბუნებისადმი. ბუნებას რომ ყველა ადამიანი „ჩვეულებრივად განიცდის“, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ყველას შეუძლია მისი — ბუნებისა და მის მიერ გამოწვეული განწყობილების გადმოცემა. შეიძლება იყო და განიცდიდე მას, ან არ განიცდიდე. ბევრი რამაა დამოკიდებული ხსიათსა და კაცის გუნებაზე.

ბუნების განსულიერებას, მასში ადამიანური ვნებების შეტანას ანა კალანდაძის შემოქმედებაში არა აქვს ბუნებასთან ტრადიციული დამოკიდებულების ხასიათი. ეს დამოკიდებულება ემოციურია და არა ინტელექტუალური. პოეტი იშვიათად ქმნის ბუნების ფიზიკურად ხელშესახებ სურათს, ფიზიკურ მსგავსებას, ამგვარი მსგავსების ილუზიას. ის ყურადღებას ამახვილებს ძირითადად შთაბეჭდილებასზე, საგნებისაგან მიღებული განწყობილების მთლიანობაზე. ასეთია ლექსი „აქ საუფლოა მთვარის“:

„აქ თერთი ვარდი ცხოვრობს
და მაგნოლია მარტო...
და... ჩუმი ავოკადო.
და... ზღვის ტალღები თელემენ...“

აქ ზეფერია წყნარი,
ვარდებთან მოუბარი,
აქ საუფლოა მთვარის
და თერთი ხრიზანტემა...“

ჩვენ განვიცდით ამ შემთხვევაში უფრო პოეტს, მას, ვინც ხედავს, და არა იმას, რაც პოეტის ირგვლივაა გაშლილი. ასეთივეა ლექსი „ზედაზნიდან“, რომელშიაც თვალი ხედავს მხოლოდ და მხოლოდ მთავარ ფერს, სადაც დეტალები მკვეთრი ხაზების გარეშე გადადის ერთმანეთში:


„შრიალებს წიფელი, შრიალებს, ხმაურობს
ქარები მსურველი...
მაყვალი მწიფეა, მწიფეა მაყვალი
და ნაზი კუნელი...“

ცა ისევ ლურჯია არაგვის ხეობის,
ლურჯი და შორი,
და იმერეთის გზა, ო, იმერეთის გზა
ლარივით სწორი
არაგვით უხვევს...
შრიალებს წიფელი ზედაზნის კალთებზე,
შრიალებს მუნა...“

ასეთივე იშვიათი დინამიზმითა და ოსტატობითაა შესრულებული „ზედაზნის ტყეებზე“. აქ პოეტური ტექნიკა კარგავს ამ სიტყვის მშრალ მნიშვნელობას და თავისთავად ბალებს მოხიბლვის განცდას:

„ზედაზნის ტყეებზე ციმციმებს ვენერა,
ციმციმებს ვენერა,
ლურჯ სხივთა მფენელად, ნაზ სხივთა
მფენელად...
მკრთალ სხივთა მფენელად...
რამდენი ხმები, როგორი მუსიკა,
რა უცნაური!...
გაგჩრდეთ, გაგჩუმდეთ და ფეხქვეშ
შეწყდებთა
ფოთლების ხმაური...
და ყური დავუგდოთ ამ ძლიერ მუსიკას
ცისა და მიწის,
ქვეყანას რომ თავზე ევლება...“

ანა კალანდაძის „პეიზაჟური“ ლექსები იმის კარგი ნიმუშია, თუ რაოდენი წარმოსახვის ძალა და ფანტაზიაა საჭირო „პეიზაჟური პოეზიისათვის“, თუ რაოდენ პრიმიტიულია ფართოდ გავრცელებული მაგალითები ბუნებიდან ასლის გადმოღებისა. იმის თვალნათლად წარმოსადგინად, თუ რა მნიშვნელობა აქვს წარმოსახვას და ფანტაზიას, გამოდგება ანა კალანდაძის რუსული პეიზაჟი ლექსში „ლუმს მკედარ ღუმლით“ და „არაბები“, მშვიდი



აქლემის, პალმის რტოებისა და «ცეცხლმოკიდებული უღაბნოს ქვიშის» ეგზოტიკით ან კიდევ:

„ტყემ პირსაბურთი ჩამოიცილა,
გზას მიჰყვებიან ჩუმად არყები,
გამოიღვიძებს სადღაც ყაყაო
და ჩუმ ბილიკებს ისიც გაჰყვება“.

პოეტს უყვარს ქარსა და ყვავილებში, მავნოლიებსა და ზღვის ტალღებში, ფოთლებსა და ბუნების პოეტიზებულ მოვლენებში სიყვარულისა და ექვიანობის ვენებთა შეტანა, ის ქმნის ვარიაციების მთელ რიგს ამ თემაზე: „პაწაწინა რტო ვაჰ“, „ფოთლები... ფოთლები“, „ნუშის ხე...“, „როგორ მინდა შენთან, ჩემო მავნოლია!“ „შეყვარებული ოდეს ქარები“, „მარამ“ და სხვა. ამასთანავე აქ ყველგან მკვეთრად იგრძნობა ქალის თვალი, ქალური განცდა. ის ხშირად ატოლებს თავის პოეტურ „მე“ მათს ბედს. ხშირად მათთან პოულობს მყუდროებასა და საბაბს თავისი გულისწინადაც სათქმელად. და ყველგან, ყოველთვის ეს განცდა არის დახვეწილი და მინორული; მან არ იცის შავისა და თეთრის კონტრასტი, მან საერთოდ არ იცის მკვეთრი გადასვლები; მან არ იცის ამბის პოეზია, მომხდარის პოეზია, ის მდგომარეობის, ჩუმი მოლოდინის, გაუმხელელის პოეზიაა. მე მგონი, არც ერთ პოეტს საქართველოში არ გადმოუცია ის ემოცია, რომელსაც იწვევს შეუღლებელი ქალთა ცეკვა „სამაია“. ანა კალანდაძის მრავალ ლექსში, და განსაკუთრებით ლექსში „ლამის სახლში შემოვიდეს თუთა“, გადმოცემულია ის ჩუმი თრთოლვა სულისა, ის უბიწო და უსაგნო სინაზე, მგლოღია მოძრაობისა და გრაციისა, რომელიც ამ ცეკვას აქვს და დაკავშირებულია ჩვენს კეთილშობილურ წარმოდგენასთან ქალზე.

ანა კალანდაძისთვის დამახასიათებელია სურათების აღდგენა მებსიერებაში, „მებსიერებითი ფერწერა“. შემონახული ფერებით და დეტალებით ქმნის თავისებურ სურათებს და მთელი მათი თავისებურება სწორედ მოვონებისათვის დამახასიათებელ სიტკბოსა და სინაუნდოშია. ისინი არ იწვევენ უშუალო კვრეტის შთაბეჭდილებას. ასეთია „შემოდიოდა ჩვენში კალანდა“, „თოვლი აქარა-გურიის მთების...“, „როცა“ და სხვ. ყველა ამ ლექსში არის პლასტიკა, და არა მხოლოდ მოძრაობის პლასტიკა, არამედ საერთოდ პლასტიკური აზროვნება.

*
* *

ანა კალანდაძის ბევრი კარგი ლექსი წარსულის გაცოცხლებით არის შექმნილი. ის

გარკვეულად საზრდოობს გარდასულით, გორაკ პოეტი. მის ლექსებში ისტორიით შემონახული არა მარტო სიტყვებია და ენობრივი ფორმები, ბევრი სახე, შედარება, წარსულიდან არის გამოხმობილი.

ანა კალანდაძე მშვენივრად გადმოცემს იმ სიძველესა და საიდუმლოების, მარტოობისა და ერთგვარი კრთოლის განცდას, რომელსაც აღამიანში ძველი ტაძარი იწვევს. გადმოცემს არა პირდაპირ, არამედ იშვიათი პოეტური სიმბოლიკით.

„ჩაინის აივანს, მყუდრო აივანს
იშვიათად თუ ეწვევა კაცი...
სამაგეროდ ნუშის და ცაცხვის
აქ ფოთოლცვენა ისე ხშირია...
ნუთუ ამ ფოთლებს ამ მღვიმეების,
ამ მარტოობის არ ეშინიათ?“

ყოველი პოეტის პირველ ლექსებში, თუ აშკარა მიმდევრისთან არა გვაქვს საქმე, მინდა არის „შემონახული“ ზემოქმედება იმ პოეტთა რიტმის, იდეების, სახეების და თემისაც, რომელთაც ის კიბულობდა და რომლებსგანაც სწავლობდა. გვაქვს მისი არჩევანი და მიდრეკილება რომელიმე პოეზიისა და მიმართულებისადმი, გვაქვს რომელიმე პოეტის მაგალითად, ნიმუშად, მეტრად ცნობა. პოეზიას უფრო მეტად, ვიდრე სიტყვიერი ხელოვნების რომელსავე ქანრს, ახასიათებს დამორჩილება ტრადიციისადმი. აქ უფრო ნაკლებ არის შესაძლებელი მოცემული სინამდვილიდან, დღევანდელი და კონკრეტული საზოგადოებრივი გარემოდან პირდაპირი ამოსვლა. სწორედ ამიტომ ხშირად ვაკვირებავს არ იწვევს ის ბრალდება, რომელსაც ანა კალანდაძეს უყენებენ, — ბრალდება მწიგნობრულობისა, განვლილი პოეტური ტრადიციებიდან და ტენდენციებიდან ამოსვლისა. ეს მართლაც ასეა, მაგრამ ამოსვლა იშვიათად ნიშნავს იმად დარჩენას, რისგანაც პოეტმა შემოქმედებითი ზიძვე მიიღო.

ანა კალანდაძე ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურიდან მიიღო გარკვეული პოეტური დასაყრდენი და იპოვა თავისი, ორიგინალური ხმა. მან დაიმორჩილა რიტმი და მეტრი ლექსისა და თავისებური სიმშვენივრით დატვირთა ის.

დიდი ოსტატობით, რიტმთა მოხდენილი შენაცვლებით არის შესრულებული ანა კალანდაძის ის ლექსები, რომლებშიც აღამიანები, მათი პორტრეტები, მათი ხასიათები თუ ისტორიული ბედია დახატული და გადმოცემული, და, რაც მთავარია პოეტისათვის, წინ წამოწეულია მისი დამოკიდებულება, მისი შეფასება, მისი პოეტური ცხოვრება მათით და მათთან ერთად. ეს ითქმის არა მარტო ისტო-



არიულსა და მიძღვნილ ლექსებზე — „ამ სუ-
რით სვამენ“, „მოდიოდა ნინო მთებით“, „არც
ქვა უბრალო“ და სხვანი, არამედ ისეთებზეც,
როგორიცაა „ხატთან ანთია საწველი ორი...“
„თათრის გოგონავ“, „შაფიგა“ და ა. შ.

ანა კალანდაძის ლექსთა ციკლები — „ლა-
მისყანაში“, „ფშავში“, „ჩეხოსლოვაკიაში“ და
უკანასკნელი შვიდი ლექსი (ტურნალი „მნა-
თობი“ № 1, 1958) ცალკე აღებული წარ-
მოადგენს ინტერესს ჩვენი კრიტიკისათვის.
ყველა ეს ლექსი შესრულებულია სხვადასხვა
პრინციპით, სხვადასხვა განწყობილებით და მა-
თი პოეტური მიზანიც სხვადასხვაა. ამ განსხ-
ვავებს ბაღებს არა მარტო თემატიკა, არამედ
მისი გადაჭრის სხვადასხვაგვარი ხერხები ყო-
ველ ცალკეულ შემთხვევაში.

ჩვესი ლექსებში უარყოფილია უკვე შაბ-
ლონად ქცეული, თვისთავადაც არც თუ
მალალი პოეტური პრინციპი უცხო ქვეყნის,
უცხო ბუნების, ხასიათის საკუთარ ქვეყანას-
თან, ბუნებასთან დაძირისპირებით გამოხატვი-
სა. ეს მეტად პრიმიტიული ხერხია და ლაბა-
რაჟობა შთაბეჭდილების უნარის თუ წარმოსახ-
ვის სიღარიბეზეც და იმაზეც, თუ რა ძნელია
უცხოში მხოლოდამხოლოდ მისთვის დამახა-
სითებლის მოძებნა, ისე რომ ანალოგიას არ
მიმართო და შექმნა სრულიად ახალი ხატი.
ანა კალანდაძემ გვერდს აუბარა ამ პრინციპს
საერთოდ, იქნებ უნებურად ან იქნებ შეგნე-
ბულად. ყოველ შემთხვევაში ის უფველად
იცნობდა ამის ზღვა მაგალითებს. „ვლტავა
კამყამებს კარლოსის ხილთან“, „პრადის ვენე-
ცია“, „მიდის დუნაი“ არის მშვენიერი ლექ-
სები, რომლებშიც ერთნაირად იქნებოდა პოე-
ზია და ჩეხოსლოვაკია, რა ეროვნების პოეტ-
საც უნდა დაეწერა ისინი. ანა კალანდაძემ აქ
პირველად და იშვიათად დახატა ქალაქის პეი-
ზაჟი, განსაკუთრებით მშვენიერ ლექსში „ზლა-
ტა ულიკა“.

პოეზია მართლაც სულის თვისებაა და არა
საგნის, ან ბუნებისა.

„ვიტეს ტაძარში, ო. წმინდა ვიტეს,
მძიმე ორღანო ღუმს მალაქიტის...
და ხორცშესხმული სული ძლიერი
აქ ყალბით დაღის ვენციელი
და დიდებული ამ კედლებს ხატავს...
ო, ჯადოქარო, გრძნობას ვერ იტყვს...
ვიტეს ტაძარში, ო, წმინდა ვიტეს,
მძიმე ორღანო ღუმს მალაქიტის“.

ორღანო ღუმს და მისი ღუმლით, ტაძრის
ღუმლით სიჩუმეს უსმენ. მოღის ლანდები,
დას ძველი, ნესტიანი კედლების სუნი, კარგავ
შეგრძნებას დროისას, რომელიც გასულა ამ
მხატვრობიდან შენამდე, და გუფულება ისეთი

განწყობა, როცა ვერა გრძნობ სხეულში
არსებობას. მერე გესმის ფხვის ხმა, საკმე-
ლის სუნი, ტაძარი იცემა ხმებით, დიდებული
ხმებით, და ძნელი გასარჩევია ეს გუნდი გა-
ლობს თუ ორღანოზე უკრავენ ბაბს. მერე
გაქრება ყველაფერი, გაქრება ლანდები, დგას
მხოლოდ ძველი, ნესტიანი კედლების ცივი
სუნი და „ვიტეს ტაძარში, ო, წმინდა ვიტეს,
მძიმე ორღანო ღუმს მალაქიტის“.

ეურნალ „მნათობის“ წლებანდელ პირველ
ნომერში გამოქვეყნებული შვიდი ლექსი არის
ახალი სიტყვა ანა კალანდაძის პოეზიაში. შეიძ-
ლება ამ ციკლს ენათესაებოდეს რამდენიმე
ძველი ნაწარმოები საერთოდ. მასში ორგანუ-
ლად შედის მეორე კრებულის ბოლო ლექსი.
ეს სრულიად ახალი საფეხურია და, ჩემი აზ-
რით, მეტად სინტრეტუკო საფეხური პოეტის
შემოქმედებაში. ეს ციკლი გვაფიქრებინებს,
რომ არის მთელი რიგი ლექსებისა, რომლებიც
პოეტს არ გამოუტყვევებია. ამაზე მიუთითებს
ისიც, რომ ამ ლექსებამდე უნდა ყოფილიყო
მოსამზადებელი ან გარდამავალი პერიოდი
ლექსების სიახით.

ამ ლექსებში (გარდა პირველისა — „ლა-
პილზე ისევ...“) არა გვაქვს განცდის განიფთე-
ბა, „სულიერი მდგომარეობის“ (ილია) განიფთე-
ბა საგნებში და საგნებით განწყობის გაღმე-
ცემა. მოხსნილია საგნობრიობა როგორც საგ-
ნობრიობა და როგორც პირობითობა. გარეგა-
ნი და გარეშე აღარაა ობიექტი. იმის შემდეგ,
რაც დაიხატა პეიზაჟები, ვაცოცხლდა ძველი,
დაიწერა პორტრეტები, პოეტი თითქოს დაჩა-
თავისთავთან. აქ მხოლოდ საკუთარ თავზე,
რწმენაზე, პოეტისათვის ყველაზე მნიშვნელო-
ვანზე ლაბარავი. ზოგიერთს აქ იქნებ მოეჩვენ-
ოს სიყვარულის განცდა, ბუნებრივი და ერთ-
გვარად მიწიერი. მათი აზრით, ასეთი სული-
ერი მდგომარეობა იქნებ სიყვარულის ტრავი-
კული შეგრძნებიდან მოდიოდეს:

„გასასობს ისევ, და კვლავაც მიმიცენ •
განქიქებათა...
ზოგთა ბანოვანთ თუ გამოიწვევ
გულთა კლებათა,
იცოდნენ ყოველთ: აღმატები
ჩემთა ნებათა...
მომქმენდ ისევ და ნუ გარდამცემ
დავიწყებათა...“

სხვებმა კი იქნებ ისეთი მდგომარეობა დაინა-
ხონ რაც მხოლოდამხოლოდ რელიგიას, უხილა-
ვის, უცნობისა და ძლიერისადმი შიშსა და
რწმენას, რწმენასა და შიშს ახასიათებს. თავ-
შესაფარს ეძებენ მასთან, რაც არ არსებობს და
რასაც თვითონვე ქმნიან, როგორც თავშესა-
ფარს.



„შენს თეთრ ტაბარში სიწმინდეს ვაგებ, ურომლისოდაც განწმინდებულს მხოლოდღა შიში, მომიცავს სრულად. აქ იწმინდება გული, გონება, სილამაზითაც მომეფონება“

განიტვირთება სიმძიმით სულა“.

ან:
„გულში ვშმანი მიჭრობენ კანდელს, მომიახლებენ კვლავ შენსა ნათელს და... აღარ ძალმძის, უკუევაგლო ცდუნება ესე“.

მაგრამ იქნებ აქ იყოს გადმოცემული წუთიერი მერყეობა, სსუსტე, შეეძვება პოეტისა თავის ძალსა და რაობაში, თავის მისიაში? მე ვგონი, რომ ასეთი სულიერი მდგომარეობა გარდუვალია ყველა დიდი ხელგანანის ინტელექტუალური მომწიფების პერიოდში, მაგრამ ბევრთან არ გამოხატულა, არ გადამტყდარა იგი ისევე პოეზიად. ექვია ყოველთვის ამის პირველი ნიშანი, ექვი და მუდარა:

„ნუ მიმცემ ეჭვთა: იმონვენ სულსა, ვანსა ადვილად ჰპოებენ ყველგან... ნუთუ ყოველი გაქრება ჩემგან, სხივიცა წავა ვეშმარტების? მწუხრი მოიცავს ჩემსა სასანთლეს, სულში მდებალნი დაიმკვიდრებენ?“

აქ თითქოს გაქრა ის პირველი და უშუალო რწმენა თავისთავისა, ის სიხარულით საეცე ალტყანება, რომელიც დაკავშირებულია პოეტურ სისავსესთან და ექნისა, რაც მწვენიერად იტყვ ათვის დროზე: „შთამბერე ქარო, ნახონ ძალა ჩემი გრძნობისა“.

მაგრამ გაივლის ეს ეჭვი, გაივლის ეს წუთიერი მერყეობა, სხეულს გაავსებს ისევე სითბო და სიცოცხლე, ხოლო სულს ის ძალა, რომელსაც არც ასეთი ეჭვისა და მერყეობის დროს დაუტოვებია ანა კალანდაძე.

„შენ მე ყოველთვის მომცემ საღატურს სულთ დასამკვიდრებს, და მშვიდთა ცათა ამოენთება ვარკვლავი კიდეთ, დაუბრუნდებათ თავისი ფერი დაიდებულ ნაძვებს და კვლავ სიჩუმე მოიცავს ყოველს, ვითარცა ტაბრებს...“

„შენ მე ყოველთვის მომცემ წყნარ საღატურს სულთ დასამკვიდრებს“.

ხოლო ის, ვისაც აქვს გემოვნება, უევაძს პოეზია და ცხოვრობს პოეზიით, ყოველთვის მაღლობელი იქნება იმ ბუნებრივი გაორების,

მერყეობის და ეჭვისა, რომელიც ასეთ ლექსებად მოვა მკითხველამდე.

*
* *

შეიძლებოდა პოეტის ენის შესწავლა წმინდა ენათმეცნიერული, ლექსიკური თუ სტილისტური თვალსაზრისით. განსაკუთრებით საინტერესოა იმ არქაულ სიტყვათა გაციოცხლების მაგალითები, რაც ასე უხვგვად გვაქვს ანა კალანდაძის პოეზიაში. იქნებ ისინი შემოტანილინი არიან ძველი სავანების, განცდების თუ მდგომარეობის გაციოცხლების მიზნით, ან ამ სიტყვებს მართლაც ისეთი რამ მოაქვთ, რასაც მხოლოდ ეს არქაული სიტყვები მოიტანდნენ და გამოხატავდნენ. ამასთანავე შეიძლებოდა ბუნებრივი ყოფილიყო ამ სიტყვების გამოყენება სილამაზის მიზნით, ენობრივი სილამაზისა და ორიგინალობის გამო. ანა კალანდაძემ მშვენიერად იცის ქართული ენა, გრძნობს მას. მაგრამ ამას თავისთავად არ შეუძლია გახადოს ის ეროვნული ან დიდი. ერთი მხრით ენა ხომ სხვა არაფერია, თუ არა იმ საგანთა, განცდათა და აზრთა სიმბოლოები, რომლებსაც ის გამოხატავს. ამ აზრით, უფრო მეტად, საინტერესოა ყოველი პოეტის ენის შესწავლა. მაგრამ ანა კალანდაძის პოეზიაში იქნება ეს არქაული, თანამედროვე თუ ახლადშექმნილი სიტყვები, გვაქვს სიტყვის მუსიკალური აზრის წინ წამოწევა. ყოველ სიტყვას მასთან, ვარდა იმისა, რომ ის რაღაცას გამოხატავს, აქვს თავისი მუსიკალური აზრი, მუსიკალური სიჭრითობა და გამართლება.

ქვეშარტილად გაციოცხლს იწვევს ის სხვადასხვაობა ფორმისა, რომელიც ანა კალანდაძემ თავისი ლექსებისათვის მიუცია. თითოეული ლექსის რიტმი ისე მთლიანად არის ნაგრძნობი, რომ ის თითქოს უარყოფს სტრიქონთა თანაბარმარცვლოვანი სტრიქონებს უმეტეს შემთხვევაში. რიტმი მასთან ნამდვილად არის ლექსის „მეორე“ ემოციური შინაარსი, რაც ლექსის ჩვეულებრივ შინაარსთან ერთად ქმნის მის შესატყვის მუსიკალურ შინაარსს. ამიტომ ზშირად გავონდება ლექსის მხოლოდ მელოდია. ამიტომ ეს მელოდია, თუ კაცი დაუკვირდება, იწვევს იგივე განწყობას, რაც თავის დროზე ლექსის წყაიხვამ გამოიწვია.

ბრწყინვალე რითმების გვერდით, რაც ზშირად რიტმს ქმნის ან მის მოვალეობას ასრულებს, ანა კალანდაძის ლექსებში ვხვდებით რითმის უარყოფასაც იგავე მძლავრი რიტმის იმედზე დაყრდნობით.

მის დატვიხლ სტრიქონებს და იშვიათი ზომიერებით, გემოვნებით შერჩეულ რაფერენებს აქვს ემოციაში ექსპრესიულობის შეტანისა და დადგენის მიზანი, ემოციური სურათის, ან ზა-

ტოვანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნივთივით ხელშესახები ემოციის დადგენისა და აღძვრის მიზანი.

ანა კალანდაძე პოეტური განმეორების ოსტატია. ამ მან მშვენივრად იცის ამ განმეორების ეფექტი, ძალაც და დანიშნულებაც. ის ამ განმეორებით არა მარტო ამაგრებს და სრულყოფს განცდას, არამედ ისეთ სინათლეს და ფიზიკურ ხელშესახებლობას აძლევს საგნებს, როგორსაც ჩვეულებრივი მყურებელი ვერასოდეს მიაღწევს. მშვენიერია: „აქ სიჩუმეა, მზე და სიჩუმე“, „შენი მზით, შენი მზით სავსეა და ტრფობით სავსეა“, „შენც გოლიათი, მზეც გოლიათი“, „ო, ვარსკვლავები... როგორ ბრწყინავენ, როგორ ბრწყინავენ“, „შებნდე, ცაა ძალიან ლურჯი, ძალიან ლურჯი, დაუსაბამო“, „შორით ვარსკვლავი ციმციმებს, ქრება, ციმციმებს“, „მაყვალე მწიფეა, მწიფეა მაყვალე და ნაზი კუნელი...“ მაგრამ უკვე არ ვარგა „მთვარე, მთვარე, მთვარე“, ან „ბზიფი, ბზიფი, ბზიფი“, რადგან, ეტყობა, ძალა აქვს მდგომარეობის, ფერის, მელოდიის ინტენსიობას, რომელსაც მათ განმეორება აძლევს და არა საგნის მშრალად და უბრალოდ რამდენჯერმე ხსენებას. ისევე როგორც ყველა ჰუმარიტ პოეტთან, ანა კალანდაძის პოეზიაში არაპროფესიონალი მკითხველისათვის გამოირჩეულია ტექნიკის, როგორც ტექნიკის შეგრძნება. რა თქმა უნდა, დიდი ნაკლია, როცა გრძნობენ, და თანაც პირველ რიგში ტექნიკას, ლექსის თუნდაც ბრწყინვალე ნაკეთობას და არა ემოციას, სავანს, აზრს. მაგრამ ანა კალანდაძის აქვს იმის რამდენიმე მაგალითი, თუ ეს „ეგორტოზობა“ რა უაზროა ხოლმე ხანდახან. თუნდაც: „მზეი შენით მზეობს, მზედ ენთები, ზეობ, გვირგვინს ირქმევ მზისებრ...“ მაგრამ ასეთი შემთხვევები თითზე ჩამოითვლება.

ანა კალანდაძის ლექსებში გვხვდება მდგომარეობის, მოვლენის, ემოციის ისეთი მხატვრობა, რაც საგნის სხვადასხვაგვარ შეგრძნებასთან არის დაკავშირებული ერთსა და იმავე დროს. ერთიანობაშია მოყვანილი ფერი და სივრცე, სავანი და მდგომარეობა, განწყობა და ხასიათი. ეს მხოლოდ ახალი, დღევანდელი

სიტყვიერი ხელოვნების ხერხია და თავისებურება ძირითადად: ღამეა — „ივი და ღამაზი“, წყალზეა — „ნისლი და მწუხრი“, მზეა — „ცივი და მშვიდი“, ცა არის „უღიმილამო და ტყვიანფერი“, „ლურჯი და შორი“, აქ არის — „მზე და სიჩუმე“ და სხვა. ამასთანავე ასეთი პოეტური სახეები უფრო რეალისტურია, ვიდრე, მაგალითად, „ლურჯი სიშორე“, ან „ციანფერი სიშორე“, რაც სიმბოლიზმთანაა დაკავშირებული.

*
* *

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ თანადროულიზმისათვის იმ კარდინალურად დამახასიათებელი და უმნიშვნელოვანესი საკითხების პოეტური დამუშავების მაგალითებს, რომლის ბრწყინვალე ნიმუშები ანა კალანდაძემ მოგვცა. ეს ითქმის არა მარტო პატრიოტიზმსა და, განსაკუთრებით, საბჭოთა პატრიოტიზმზე, არამედ მშვიდობისადმი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვებისადმი მიძღვნილ კალანდაძისეულ ლექსებზე. ვერაფერ შეძლებს ამასთანავე გვერდი აუაროს კომუნისტური სულისკეთებით დაწერილ უმშვენიერეს ლექსებს ნაზიმ ჰიქმეთსა და იულიუს ფუჩიჩზე, ორესოსა და კოსმოდემიანსკიაზე. ხოლო „ლენინი ეისლებენში“, „ლენინის ქული“ და „მე გხედავ ვლადიმერ ლენინს“ — საუკეთესო ლექსებია ანა კალანდაძის შემოქმედებაში თანამთხვეულიზმის ხელოვნებით, სიღრმით და სილამაზით.

ჩვენ, გარდა სილამაზისა, მშვენიერებისა და ხელოვნებისა, ვცხოვრობთ კიდევ ათასი რამით, რისი პოეზიაში ასახვის ბუნებრივი სურვილი გვაქვს ხოლმე. მაგრამ საჭიროა ანგარიში გავუწვიოთ ამა თუ იმ ხელოვანის ბუნებას, ხასიათს, მის პოეტურ სამყაროსა და სპეციფიკას. ამასთანავე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ თუ ვინმე დღევანდელი ქართველი და გინდა რუსი პოეტებიდან ჩვენ გვაყვარებს სიცოცხლეს, ცხოვრებას, აღმოსანს, მის სულიერ, გრძნობადს და ინტელექტუალურ ძალასა და სილამაზეს—გვაყვარებს ანა კალანდაძეც.



დავით გამყვარაძე

გ. წერეთლის ლიტერატურული შეხვედრები

გ. წერეთელი, როგორც მოაზროვნე და მხატვარი, ტიპური „თერგდალეულა“. ის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია იმ თაობისა, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე ი. ჭავჭავაძის წინამძღოლობით გამოვიდა. მაგრამ ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ „თერგდალეულა“ სოციალ-პოლიტიკურსა და ესთეტიკურ კონცეპციებში არ შეინიშნებოდეს განსხვავება და თავისებურება, რის გამოც ისინი კიდევ უფრო საინტერესონი არიან ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიისათვის.

როგორც ცნობილია, თავისი მოღვაწეობის მრავალფეროვნებითა და ხასიათით ი. ჭავჭავაძეს სამოციანელთაგან ყველაზე მეტად გ. წერეთელი ჰგავს. გ. წერეთელი არ იყო მხოლოდ მხატვარი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქტორი. მსგავსად ი. ჭავჭავაძისა, ის იყო, აგრეთვე, ეროვნული მნიშვნელობის დიდი მოღვაწე, რომელიც არა მარტო თვითონ იღვა თავისი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების სადარჯჯოზე, არამედ სხვებსაც რაზმავდა და მიმართულებას აძლევდა მათს საქმიანობას. ამიტომ ბუნებრივად გვეჩვენება ის ურთიერთობა, რომელიც მასსა და ი. ჭავჭავაძეს შორის არსებობდა და რაც ხასიათდება არა მხოლოდ ურთიერთ პატივისცემით, არამედ სშირად აზრთა სხვადასხვაობითა და უთანხმოებითაც. მაგრამ ეს უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა არ სცილდებოდა ერთი მიზნისათვის მებრძოლ საზოგადო მოღვაწეთა შორის იმ დროისათვის მოსალოდნელ უთანხმოების ფარგლებს. ამას უდავოს ხდის, უწინარეს ყოვლისა, თვით გ. წერეთლის პუბლიცისტური და კრიტიკული სტატიები, თუ რომ პოლემიკაში ჩაბმული ავტორის გადაჭარბებულ პათოსს ჩვენც გადაჭარბებულ მნიშვნელობას არ მივცემთ.

ჩვენი აზრით, დავას არ უნდა იწვევდეს ის ვარაუდი, რომ გ. წერეთლის ესთეტიკურ შეხედულებებში, რომლებიც მას გამოთქმული აქვს, ერთი მხრივ, 60-იან წლებში, ხოლო, მეორე მხრივ, შემდგომ პერიოდში, არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს. ცხადია, მისი ესთეტიკური კონცეპცია მდიდრდებოდა და ვითარდებოდა, მაგრამ ძირითად და ამოსავალ პუნქტებში უცვლელი რჩებოდა. ის ერთგვარი განსხვავება, რომლის შესახებ თვით გ. წერეთელი „ლაპარაკობს“, როცა ის პირველი და მეორე დასებების სამოღვაწეო პროგრამების შეპირისპირებას ახდენს¹, არ სცილდება ერთი და იგივე მხატვრული მეთოდის ერთგულ, მაგრამ სხვადასხვა შემოქმედებითი ინდივიდუალობის მქონე მხატვართა შორის არსებულ თავისებურებებს. ეს განსაკუთრებით ნათელია მას შემდეგ, რაც უკვე ვიცით ე. წ. „შეუფერავი რეალობის“ ნამდვილი ბუნება და შინაარსი².

შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი გამოჩენილი სამოციანელის ლიტერატურული შეხედულებების შესწავლათ არ დაინტერესებულა იმდენი მკვლევარი, რამდენიც დაინტერესდა გ. წერეთლის ლიტერატურული შეხედულებებით და მისი მხატვრული მეთოდის ხასიათის გაგებით. საბაბი ასეთი დაინტერესებულისა იყო თვით გ. წერეთლის სტატია („კიტა აბაშიძე და „ჩვენი ახალგაზრდობა“), ხოლო საფუძველი — ე. აბაშიძის მიერ გ. წერეთლის ნათურალისტად გამოცხადება. ამ საკითხის შესწავლისადმი უკანასკნელად მიძღვნილ ნაშრომ-

¹ გ. წერეთელი. „კიტა აბაშიძე და „ჩვენი ახალგაზრდობა“, „კვალი“, 1897 წ. № 46.

² დ. გამყვარაძე. ნარკვევები ქართული რეალობის ისტორიიდან, 1957, II, გვ. 600 — 612.



თა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ქართული ფილოსოფიური აზრის ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები¹. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი დაკვირვებების მოწოდების მიუხედავად, ვერც ეს ავტორები აღწევენ თავს ზოგიერთ წინააღმდეგობას, რაც, პირველ ყოვლისა, შედგება თვით გ. წერეთლის მიერ თავისი მხატვრული მეთოდისათვის შერჩეული სახელწოდების — „შეუფერავი რეალიზმი“² არამართებული გაგებისა.

ილია ქაქავაძისა და აკაკი წერეთლისაგან განსხვავებით, გ. წერეთელი თავდაპირველად მკითხველს გაეცნო არა მხატვრული ნაწარმოებით, არამედ კრიტიკული სტატიით — „ციცქარს“³ რა აკავანდებდა?“. აღნიშნულ სტატიაში გ. წერეთელმა გასაგებად გადმოსცა თავისი შეხედულებები ხელოვნებასა და ლიტერატურის დანიშნულებასა და მწერლის მოვალეობაზე.

რუს რევოლუციონერ დემოკრატთა (ბ. ბელისკის, ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვის) და გამოჩენილი გერმანელი მწერლისა და მთარგმნელის — ლესინგის ესთეტიკურ მოძღვრებებს ვაცნობილი ახალგაზრდა გ. წერეთელი იმათერთვე ი. ქაქავაძის ერთ-ერთი აქტიური თანამებრძოლი გახდა. თავის პირველ სტატიაში მან გარკვეულად მიუთითა „წმინდა ხელოვნების“ თეორიის მცდარ საფუძვლებზე და განავითარა იდეა ქეშმარიტად რეალისტური ლიტერატურის შექმნისა. მწერალი, მისი აზრით, არის არა ქურუმი და საზოგადოებისაგან მოწყვეტილი შემოქმედი, არამედ თავისი დროისა და თავისი ხალხის კანონიერი შვილი. „მწერალი, — შენიშნავს ის, — არის ერთი თავის საზოგადოების წევრთაგან, ერთი იმ პირთაგანი, რომლებს კრებაც შეუადგენს საზოგადოებას. ის არის საზოგადოების ტანჯვის და შეების თანამგრძობელი“. ამიტომ ის ვალდებულია გამოამჟღავნოს თანამედროვე ცხოვრების ნაკლოვანებანი და, ამასთან ერთად, „აჩვენოს საზოგადოებას თავისი აზრი ამ ნაკლოვანებების შესახებ, უჩვენოს იმ გვარი საშუალებები, რომლებიც მისის ფიქრით, საუკეთესო არიან ამ ნაკლოვანებების მოსასპობელად“.

მწერლის მოვალეობის ამგვარი გაგება აშკარად მეტყველებს იმაზე, თუ რა ამოცანებს უსახავდა გ. წერეთელი მხატვრულ ლიტერატურას, რომელ შემოქმედებითს მეთოდს აყენებდა ყველაზე მაღლა და რა მიანდა ამ მე-

თოდის უპირატესობად.

ხელოვნების, ლიტერატურის ძირითადი დანიშნულება ცხოვრების სინამდვილის მხატვრული ასახვაა; ქეშმარიტი ხელოვანი საზოგადოების ყურადღებას მიიპყრობს მისი თანამედროვე ცხოვრების უარყოფით მოვლენებზე და, ამასთან ერთად, სახავს გზებს მისგან განსათავისუფლებლად. ამიტომ ესთეტიკისათვის საინტერესო ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რამდენად მაღალ დონეზე იდგა ამა თუ იმ ეპოქის ლიტერატურაში სინამდვილის მხატვრული ასახვა, „თავი კანონი ესთეტიკისა, — ამბობს გ. წერეთელი, — არის ცხოვრების სურათის სიტყვიერ გაცოცხლება“⁴.

ესთეტიკის ამოცანების მართებულად გაგების საქმეში გ. წერეთელი მაღალ შეფასებას აძლევდა, პირველ ყოვლისა, ლესინგს. ლესინგმა, მისი შეხედულებებით, პირველმა გადაჭრა მართებულად საკითხი მშვენიერების რაობისა და სწორად ახსნა ის ურთიერთდაპირისმართებულება, რაც არსებობს, ერთი მხრივ, ბუნებასა და, მეორე მხრივ, ხელოვნების არსებულ მშვენიერს შორის. კერძოდ, ის იზიარებს ლესინგის შეხედულებას, რომ ხელოვნება გამოხატავს მშვენიერებას, მშვენიერება კი სიცოცხლესთანაა დაკავშირებული. ამიტომ მშვენიერება ხელოვნებაში მით უფრო მაღალ დონეზეა, რაც უფრო დაახლოებულია ცხოვრების მშვენიერებასთან. ლესინგმა, — წერს გ. წერეთელი, — „ამცნო ახალ კაცობრიობას, რომ საგანი ცხოვრებისა არის მისწრაფება მშვენიერებისადმი, იმისათვის, რომ თვით მშვენიერებაში გამოხსვედეს სიცოცხლე, რომელიც მხოლოდ ასულდამგულებს და აშკარებებს ყოველ არსებას. ხილო საგანი ხელოვნებისა ამ მშვენიერების აღმოხატვაა. ამის გამო ხელოვნება იმდენად მაღლა დგას, რამდენადაც იგი დაახლოებულია ცხოვრების მშვენიერებასთან; იგი იმდენად აყვითლობილებს, აღუწიფებს და აღაშალებს თვითუნებს კაცს, რამდენადაც უფრო განიტაცებს მას მშვენიერებისადმი. თვით მშვენიერება კი იმდენად ვრცლად აღმოიხატება ხელოვნებაში, რამდენადც იგი ეცდება წამოაყენოს კაცის თვალწინ ცხოვრების სინამდვილე“⁵.

აშკარაა, რომ გ. წერეთელი ხელოვნების ფუნქციითა შორის ყველაზე დიდ მნიშვნელობას შემეცნებითს ფუნქციას აძლევს, ამასთან, შემეცნებითი ფუნქციის თავის უფლებებში ყოფნის შესაძლებლობას მხოლოდ რეალისტურ ხელოვნებაში ხედავს, ვინაიდან ცხოვ-

¹ იხ. ს. ავალიანი — გიორგი წერეთლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, 1954 წ., მ. გაფრინაშვილი — გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობა, 1955 წ.

¹ გაზეთი „დროება“, 1871 წ., № 24.

² „გ. წერეთელი თეატრის შესახებ“, 1955, გვ. 127.

რების სინამდვილეს ყველაზე უფრო ღრმად და სრულყოფილად რეალისტური ხელოვნება ასახავს. მხოლოდ რეალისტურ ხელოვნებაშია დაცული ის პროპორცია, რაც უნდა არსებობდეს სინამდვილის სურათებსა და მწერლის ფანტაზიას შორის. ეს გარემოება კი რეალისტურ ხელოვნებას ათავისუფლებს ყალბი ტენდენციისა და ილუზიური ბურჟუასიზმის „ხელოვნება და ლიტერატურა, — ამბობს გ. წერეთელი, — მხოლოდ მაშინ არის საზოგადოების გონების განმავითარებელი, როცა იგი თვით ცხოვრებაზე დაკავშირებული, როდესაც იგი აღმოჩატავს ნამდვილად, ზედმიწევნით სიმართლით, ცხოვრების ვითარებას, მის გულის ტკივილს, მის გულის კრწობას, რომ საზოგადოებამ და მთელმა ერმაც სამართლიანად იძიოს წაშალი თავის სატიკვიოსა და დამაუღმურებელის სენისაგან თავი განაჯეროს. როდესაც ხელოვნება ამ ზომამდე დაკავშირებულია ცხოვრებასთან, აი, მაშინ კჭია მას ნამდვილი ხელოვნება, ესე იგი რეალური ხელოვნება. მხოლოდ რეალურს ხელოვნებას აქვს ძალა ხელში ცხოვრების გაუშვებულობისათვის. უგუნურია ის დედა, რომელიც ცდილობს ატირებული შვილის გაჩუქებას სხვა და სხვა ტკბილეულის მიცემით, მაშინ როცა ბავშვს ავი მუტლის ტკივილი აწუხებს. მანებელია ის ლიტერატურა და ხელოვნება, რომელიც იკვლევს და აღმოჩატავს ისეთს სურათს კი არა, რომელიც ნამდვილად ცხოვრებაშია, არამედ ისეთს, რომელიც არ არსებობს, მაგრამ, მისი აზრით, სასურველია, რომ იყოს. ასეთს მიმართულებას ლიტერატურაში და ხელოვნებაში ეწოდება ტენდენციური მიმართულება...

რათ მინდა შენი იდეალური, გალამაზებული ცხოვრების სურათი, თუ იქ ჩემს დაგრძილს უზნეო სახეს ვერ შევხვდავ; რომ შევიგნო ჩემი სისაძავე და მოვიშლო. ეს არის მიზეზი, რომ ჩვენ უარს ვყოფთ ხელოვნებაში მოჭორბულს ტენდენციას“¹.

ამგვარად, გ. წერეთელი წინააღმდეგია მხატვრულ ნაწარმოებში ადგილი დაეთმოს „მოჭორბულ ტენდენციას“, ე. ი. ისეთ ტენდენციას, რომელსაც ადგილი არა აქვს თვით ცხოვრებაში, რომელიც არ გამოძინარეობს ცხოვრების განვითარების კანონზომიერებდან. ტენდენცია, — ამბობს ის, თუნდ კეთილშობილურიც იყოს, „თუ ასეთი რამ თვით ცხოვრების ვითარებაში არ არის, გამოიღოს უბრალო თავის მოტყუება“². სამაგიეროდ, ის მოითხოვს მხატვრულ ასახვის გარეშე არ

დარჩეს ის ტენდენცია, რომელიც ცხოვრების სინამდვილეში ისახება და რომელიც მომავალში ფეხს მოიდგამს და აშკარა გახდება.

გ. წერეთლის შეხედულებით, მხატვარი თავის ტენდენციურ აზრს კი არ უნდა ახვევდეს თავს მკითხველს, არამედ თვით საზოგადოებრივი ცხოვრების წიაღში წარმოშობილი ტენდენციები უნდა შეამჩნიოს და დაანახოს სხვებსაც. ასეთ მწერლებად და მხატვრებად კიაჩნია მას შექსპირი, ბალზაკი, რუბენსი, რაფელი. გამოჩენილი ქართველი მხატვრის გ. ვაბაშვილის შემოქმედების დასასიათებისას გ. წერეთელი შენიშნავს: გ. ვაბაშვილი „ჩუკთუნის რეალურ შკოლას, ყოველივე მისგან გამოხატული სურათი ცხოვრების სინამდვილით არის აღბეჭდილი. და რადგანაც თვით ცხოვრება და მისი მოვლენა იგივე აზრი და იდეა არის, მას რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ მოკრიტიკის დაფასებას, რომელიც ამკიცებს, რომ ვაბაშვილის მხატვრობა, მართალია, ცხოვრების სინამდვილით არას აღბეჭდილი, მაგრამ იდეა აკლიაო. ცხადია, რომ მოკრიტიკე ან სუსტობს ხელოვნების ცოდნაში, ანდა მხატვრობაში მის სატრფიალო ტენდენციას ეძებს, ის კი არ იცის, რომ ვაბაშვილის მხატვრობის ღირებულება კიდევ იმითაა უფრო ამაღლებული, რომ ეს ეგრეთწოდებული ტენდენცია იქ არ არის, როგორც იგი არ არის არც შექსპირის თხზულებაში, არც ბალზაკისაში, არც რუბენისაში და არც რაფაელისაში“¹.

თავის თანამედროვე ლიტერატურის დანიშნულებას გ. წერეთელი უფრო მეტად მიუღებელი სინამდვილის წინააღმდეგ ბრძოლაში, დრომოჭმული და მავნე მოვლენების გამომჟღავნებაში ხედავს, ვინემ სასურველი ცხოვრების სურათების ხატვაში. მაგრამ, ვიყო რებთ, განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას მოითხოვს იმ მოვლენებისა და ტენდენციებისადმი, რომლებიც უკეთესი მომავლის მათუწყებელია. ასეთი შეხედულებებიდან გამომდინარე, გ. წერეთელი თავის კრიტიკულ წერილებში ვრცლად ეხება ტიპისა და ტიპიურის საკითხს მხატვრულ ლიტერატურაში.

გ. წერეთელი დიდ მნიშვნელობას აძლევდა ტიპური სახეების შექმნის ტექნიკას, ვინაიდან ასეთი სახეების შექმნას ის უკავშირებდა რეალისტური ხელოვნების განვითარებას; ბრძოლა ტიპიური სახეების შექმნისათვის ნიშნავს ბრძოლას რეალისტური ლიტერატურისთვის. ტიპიური სახეები მოითხოვენ თანამედროვე ცხოვრების დამახასიათებელი, არსებითი მოვლენების განზოგადებას და გამორიცხვენ

¹ „ბიორგი წერეთელი თეატრის შესახებ“. 1955, გვ. 131—132.

² იქვე, გვ. 131.

¹ ჟურნალი „კვალი“, 1899, № 5.



შემთხვევით მოვლენებზე ყურადღების გადატანას. გ. წერეთელი ეკამათებოდა ერთ-ერთ კრიტიკოსს და წერდა: „ეგ არის თქვენი უეცრობა, რომ თქვენ კერძო შემთხვევა დრამის საგნათ მივაჩინათ და დრამას, როგორც ხელოვნურს ნაწარმოებს მნიშვნელობას უპარგავთ...“

ხელოვნების რომელსაჲე ნაწარმოებისაგან ჩვენ ვითხოვთ ტიპს (საზოგადო შემყრებლობითს მოვლენის ნაყოფს) და არა განკერძოებულს პირს (შემთხვევით მოვლენას) ¹.

მაგრავ გ. წერეთელი ყოველგვარი „კერძო შემთხვევის“ და „განსაკუთრებული პირის“ აღწერისა და დახატვის წინააღმდეგ როდია. პირიქით, ის მოითხოვს ასეთი მოვლენისა და სახის ტიპურ სიმაღლემდე აყვანას, თუ რომ მას განვითარების პერსპექტივა აქვს მომავალში. „მწერალს, — ამბობს ის, — შეუძლიან გამოიყვანოს ხოლმე თავის თხზულებაში ან იმისთანა გეგმა, რომლის მსგავსიც ბევრი იპოვება საზოგადოებაში, ან იმისთანა გეგმა, რომელიც ამჟამად სამაგალითოა საზოგადოებისათვის; და თუ ახლა არა, შემდეგს უფრო გამჯობინებულს ცხოვრებაში მაინც შესაძლებელია ამგვარი პირების არსებობა“ ².

მწერალმა რომ ტიპური სახე შექმნას, ამისათვის მან სწორად უნდა ასახოს არა მარტო ტიპური ხასიათი, არამედ შესაფერი გარემოც, რომლის პროდუქტია ის ³. ტიპურისა და ტიპს შესახებ მსჯელობისას გ. წერეთელი აქცენტს აკეთებს თანამედროვე ცხოვრების ასახვაზე. მხატვარი, მისი თქმით, უნდა გვეცნობდეს „ცოცხალ ტიპებს“, ე. ი. მის თანამედროვე ტიპურ სახეებს.

ლიტერატურის დანიშნულების, ტიპისა და ტიპურის ასეთ გაგებას გ. წერეთელი ბუნებრივად მიჰყავდა სინამდვილის კლასიციტური და რომანტიკული ასახვისადმი უარყოფით დამოკიდებულებამდე.

კლასიციზმის თეორიას, კერძოდ, ბუალოს „პოეტურ ხელოვნებას“, გ. წერეთელი „მეტაფიზიკურ აქია-ბაჰიას“ უწოდებს ⁴. კლასიციტი მწერლები, მისი შეხედულებით, მეფეებისა და ძველი რაინდების „ზეადამიანური“ ბუნების ჩვენებით იყვნენ გატაცებულნი. ამიტომ ისინი მტრწილად ყალბი პათეტიკური ტონით მეტყველებდნენ, ქმნიდნენ გმირთა მოქმედების ტრაგადრეტულ ჩარჩოებს და მოწყვეტილი იყვნენ თანადროულობის საჭირობორტო სა-

კითხებს, ხალხის ცხოვრებას. „კლასიციტური ასახვა“ გ. წერეთლისათვის „ცრუ რეალისტური ასახვის“ სინონიმი იყო. ზოგიერთი ქართული დრამატურგისა და მსახიობის საყურადღებოდ გ. წერეთელი თავის დროზე ამბობდა: „გვეყოფა აშდენი ეფექტები, ხანჯლის ტრიალი და თოფის წაშლის სუნი, დროა შევიგნოთ, რომ სცენა უნდა იყოს ნამდვილი კაცის ბუნების და მისი ნაკლებეანების, ან ღირსების გამოხატველი, რომ საზოგადოება კპობდეს მასში ან თავის წგრთანს ან კეთილშობილურს გატაცებას... მოგვეცით, დაგვიხატეთ ხელოვნურად ჩენი აწინდელი ცხოვრება... შორს ჩენგან ცრუკლასიკური გამოხატვა ცხოვრების! ეგ მხოლოდ რყენის საზოგადოებას და არ ასწავებს“ ¹.

რომანტიკოსებმა, გ. წერეთლის შეხედულებით, ბევრი სიახლე შეიტანეს ლიტერატურულ ცხოვრებაში. მათ „თავი დაანებეს ძველის გმირებისა და ხელმწიფეების გამოყვანას სცენაზე; ამათ მაგვართ ისინი აქოყვდნენ დიდს ყურადღებას თავის თანამედროვე საზოგადოებას; გამოხატეს მისი სუიოთი, მისე სულისკვეთება; მათი გამოყვანილი გმირები სცენაზე იყვნენ უბრალო თანამედროული კაცები ცუდისა და კარგის ხასიათებით შემკულნი“ ². მაგრამ ვერც რომანტიკოსებმა მოახერხეს სინამდვილის პირთუნელი ასახვა. ვერც ისინი აცდნენ იმ ნაკლოვანებებს, რაც კლასიციტებს ახასიათებდათ. „მათს თხზულებაში ხშირად ვიპოვით გაზვიადებულს, გადაამტებულს შემთხვევებს და სურათებს, რომელნიც არ ეთანხმებიან ცხოვრების სინამდვილეს“ ³.

გ. წერეთელი არ იზიარებს არც ნატურალიზმის ულტრარეალისტურ მოძღვრებას, რომლის ცუდ გავლენას, მისი თქმით, თვით გენიოსი მწერალი ვილ ზოლაც ვერ გადაურჩა ⁴.

რეალისტურ ხელოვნებას, გ. წერეთლის შეხედულებით, ყველა სხვაგვარ ხელოვნებასთან შედარებით, აქვს ის უპირატესობაც, რომ ის ქეშმარტივად ხალხურია, გამოხატავს ხალხის ინტერესებს და ხალხისთვის მისაწელომია. „მავნებელია ლიტერატურა და პოეზია, — შეინიშნავს მწერალი, — როდესაც ის არ მსახურებს ხალხის ცხოვრებას, ატარებს დროებს ფუჰ დეკლამაციაში, როდესაც (მხატვარი)... ხელმძღვანელობს ერთ გარეგან ბრკილა სახით და ვერ სცნობს მის (პოეზიის) მართალს მნიშვნელობას, მის შინაგანს აზრს, ურომლისოდაც თვით ელვარე ფორმა ფუჰია და მავნე-

¹ ჟურნალი „კვალი“, 1894, № 11.

² ვაზეთი „დროება“, 1867, № 35.

³ Г. Церетели. Лекции в кружке г. г. Пальм и Ерицова, газ. «Тифлисский Вестник» 1878, №38.

⁴ ჟურნალი „კვალი“, 1894, № 11.

¹ ჟურნალი „კვალი“, 1893, № 12.

² „ვიორტი წერეთელი თეატრის შესახებ“, 1955, გვ. 88.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 124.



ბელი¹. იმ ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელიც ხალხისათვის გაუგებარ ენაზეა დაწერილი, უნდა ვივარაუდოთ, რომ არ შეესრულება თავისი ჰუმანიტარული დანიშნულება. და ეს იმიტომ, რომ „ენა არის ორგანული კუთვნილება ცოცხალი ერისა და ვინც ამ ცოცხალ და ადვილ გასაგებ ენაზე წერს, მხოლოდ ის ერის ხალხს“².

ასეთი ზოგადლიტერატურული და ესთეტიკური შეხედულებებით ხელმძღვანელობდა გ. წერეთელი თავის მხატვრულ შემოქმედების პრაქტიკაში, ამევე შეხედულებათა დასაცავად იბრძოდა იგი, როგორც ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკოსი.

*
* *

ლიტერატურული კრიტიკის სფეროში გ. წერეთელმა გაცილებით მკრთალი კვალი დატოვა, ვინემ ი. ჰევქვაძემ და ნ. ნიკოლაძემ. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის გ. წერეთელი — კრიტიკოსი შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანია, ვინემ გ. წერეთელი — მხატვარი და პუბლიცისტი. მიუხედავად ამისა, მისი დამსახურება ამ დარგშიც საკმაოდ თვალსაჩინოა. თავისი კრიტიკული სტატიებით გ. წერეთელი ეხმარებოდა იმდროინდელი ლიტერატურის აქტუალურ საკითხებს და იბრძოდა რევოლუციის თეორიული პრინციპების მხატვრული რეალიზაციისათვის.

გ. წერეთლის კრიტიკული და ისტორიული ლიტერატურული შინაარსის წერილები ძირითადად ერთ მიზანს ისახვენ: შეაფასონ ესა თუ ის მწერალი, ანდა ცალკეული მხატვრული ნაწარმოები მატერიალისტური ესთეტიკის, რევოლუციის მოთხოვნის სიმართლიდან. ასეთი მიდგომით გატაცებული, ის ზოგჯერ უკიდურესობაშიც ვარდებდა. ლიტერატურის ისტორიულ თვალსაზრისს. ამიტომაც, რომ „ეფესისტუასინს“ ავტორს ის საყვედურობს ზოგიერთი არაბუნებრივი სიტუაციისა და ზედამიანური თვისებათა მქონე პერსონაჟებისათვის პოემაში ადგილის დათმობის გამო.

ქართული მწერლობის რეალიზმის გზაზე დაყენების საქმეში გ. წერეთელი დიდად ამაყუნებდა. გურამიშვილის ღვაწლს. „დავით გურამიშვილის თხზულებაში, — წერს ის, — აღბეჭდა თავის თანამედროული სურათი ერის ცხოვრებისა: იმის აზრი, სულისკეთება და გაპირება“³.

ამ შემთხვევაში გ. წერეთელი იმავე შეხედულებისა რა შეხედულებისა იყენებდა ი. ჰევქვაძე, ა. წერეთელი და ნ. ნიკოლაძე. როგორც ცნობილია, ი. ჰევქვაძემ დ. გურამიშვილს უწოდებს „ევროპეიზმის“ დამწყებს ქართულ ლიტერატურაში. ხოლო ცნებას „ევროპეიზმს“ ი. ჰევქვაძე ხმარობდა — „რეალისტურის“ მნიშვნელობით.

ქართულ ლიტერატურაში რეალიზმის პრინციპების დამკვიდრების საქმეში გ. წერეთელი, ბუნებრივია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გ. ერისთავის დრამატურგიას. გ. ერისთავს, როგორც მხატვარს, გ. წერეთელი, მართალია, სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარ შეფასებას აძლევდა, მაგრამ ყოველთვის ხაზს უსვამდა იმ ვარემოებას, რომ მისი კომედიების წყალობით, „ქართველმა საზოგადოებამ პირველად დაინახა სცენაზე თავისი უმსგავსი ცხოვრება“⁴.

ახალი ქართული ლიტერატურის დამწყებად გ. წერეთელს, სრულიად მართებულად, ი. ჰევქვაძემ მიანიშნა. „ქართული ლიტერატურის ახალი ხანა, — წერს გ. წერეთელი, — ჩვენ იმ პერიოდს ეუწოდებთ, რომელიც საქართველოში ბატონ-ყმობის განთავისუფლების წინა წლებიდან იწყება, სახელდობრ, 1861 წლიდან, როდესაც თ. ელ. ჰევქვაძემ ახალი ლიტერატურული მოძრაობა ატეხა ჯერ კიდევ „ციხაკარში“ და ვარს შემოიკრიბა თავისი საკუთარი წრე. ამ წრეში მოქმედ პირებად იყენებდა თ. ილ. ჰევქვაძე, როგორც მეოთხე და ლუმიანტარული დროშის ამფორალებელი, პეტრე ნაკაშიძე, გ. ყაზბეგი, ივ. პოლტორაკი, მიხ. ყიფიანი, ივ. ბერიძე, დავ. ყიფიანი, გ. ჩიქოვანი, ალ. სავანელი, მიხეილ ჩიქვიძე, ილ. წინამძღვარიშვილი და გ. თულაშვილი...“ აი ამ წრემ თ. ილ. ჰევქვაძის მეოთხრობით გამოცა „საქართველოს მოამბე“ 1863 წელს...

„საქართველოს მოამბე“ დაკავშირებული ბატონყმობის დამოკიდებულება, მანტიმენტალურათ შეხედა მან თავის მწერლობაში გლეხის დაჩაგრულ ბედს და შემდეგ ესევე გარწმობა გადაიტანა სამშობლოზედაც⁵.

ი. ჰევქვაძის გარშემო შემოკრებილ წრეს გ. წერეთელი უწოდებს პირველ დასს, რომელმაც, მისი თქმით, ლიტერატურაში დამკვიდრა „სანტიმენტალურ-ტენდენციური მიმართულება“. 1866 წლიდან კი გამოჩნდა უფრო პროგრესული მიმართულება — მეორე დასი, რომლის მოწინავე წარმომადგენლები იყენებდა ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე, პ. უშიკაშვილი. მათ შეუერთდა შემდეგ ა. წერეთელიც.

1 გ. წერეთელი. თხზულებანი, 1931, ტ. 1, გვ. 14.
2 ეურნალი „კვალი“, 1898, № 47.
3 „დავითიანი“, 1870 წ., გ. წერეთლის წინასიტყვაობა.

1 ეურნალი „კვალი“, 1893 წ., № 2.
2 „კვალი“, 1897, № 46.



მეორე დასი, გ. წერეთლის შეხედულებით, ერთი საერთო პროგრამით მოქმედებდა 1877 წლამდე, შემდეგ კი „მოხდა მათ შორის დიფერენციაცია“. ამასთან, თუ გ. წერეთელს დაუუკერებთ, „მეორე დასს სულ სხვა იდეალებში ჰქონდა ცხოვრებაში და ლიტერატურაში, ვიდრე პირველ დასს“. კერძოდ, ლიტერატურაში მეორე დასამ დაამკვიდრა „ნამდვილი, შეუფერავი, შეუკეთებელი რეალიზმი“.

როგორც „შეუფერავი რეალიზმის“ შესწავლამ გვიჩვენა, პირველი და მეორე დასები არც ისე მკაცრად განსხვავდებოდნენ ლიტერატურაში, როგორც ამას გ. წერეთელი გვიღვენს. მისი თქმით, ეს დასები „ერთმანეთისაგან ისე განირჩეოდნენ, როგორც ცეცხლი და წყალი და ლიტერატურაში მუდამ პრინციპალებრათ იბრძოდნენ“. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ, როცა გ. წერეთელი პირველ და მეორე დასებს შორის არსებულ განსხვავებებზე მსჯელობდა, მაშინ ის ჩაბმული იყო ი. ჭავჭავაძესთან პოლემიკაში. ასეთ ვითარებაში კი ის ყოველთვის ვერ ახერხებდა თავი დაეღწია სუბიექტივიზმისათვის. ი. ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი არაობიექტური დამოკიდებულება გ. წერეთელმა გამოამჟღავნა ჯერ კიდევ ადრე დაწერილ სტატიაში, რომელშიც ის აზრი გაატარა, რომ 1865 წლიდან თითქოს დაიწყო ი. ჭავჭავაძის „შემოქმედებითი ძალის უქუმსველობა, უკან დახევა“¹, რაც, ცხადია, ეწინააღმდეგება ისტორიულ სინამდვილეს.

გ. წერეთელმა სწორად ვერ შეაფასა აგრეთვე ხალხოსან მწერალთა როლი ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესში. მან ვერ შეამჩნია და წინ ვერ წამოსწია მათი შემოქმედების სწორედ ის მხარე, რომლითაც ხალხოსანმა ლიტერატურამ თავისი საკუთარი და საინტერესო სიტყვა თქვა. ამაში, მას ხელი შეუშალა კვლავ იმ გადაჭარბებულმა დაპირისპირებამ, რომელსაც ახდენდა პირველ და მეორე დასებს შორის. მისთვის აშკარა იყო, რომ ხალხოსანი მწერლები განიცდიდნენ ი. ჭავჭავაძის გარკვეულ გავლენას და ამ უკანასკნელს ისინი მიიჩნევდნენ თავიანთ მასწავლებლად. ამიტომ იმ „სისუსტეს“, რასაც ის ი. ჭავჭავაძეს მიაწერდა, კიდევ უფრო ძლიერად ხალხოსან მწერალთა შემოქმედებაში ხედავდა².

შეიძლება თამამად ითქვას, რომ გ. წერეთელმა უფრო მეტი გააკეთა როგორც თეატ-

რალურმა კრიტიკოსმა, ვიდრე როგორც ლიტერატურმა კრიტიკოსმა. მისი სტატიები და რეცენზიები ქართული თეატრის ისტორიის საკითხებზე და ცალკეული თეატრალური დადგმების წესახებ არა მარტო რიცხობრივად, არამედ თავისი მნიშვნელობითაც დღევანდელი მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ. ა. წერეთელთან ერთად, გ. წერეთელი ქართული თეატრალური კულტურის აღმავლობისთვის აქტიური მებრძოლი იყო მას უდავოდ დიდი დეაწლი მიუძღვის ქართული სცენიური რეალიზმის მაღალ დონეზე აყვანისა და თეატრალურა ხელოვნების კონკრეტული საკითხების გაშუქება-პოპულარიზაციის საქმეში.

გ. წერეთელი მხარში ედგა ჩვენი თეატრის გამოჩენილ მოღვაწეებს და ენერჯის არ ზოგავდა დიდი ეროვნული საქმის მოგვარებაში თავისი წვლილის შესატანად. თეატრის ის უყურებდა როგორც ერთ-ერთ საიმედო ბურჯს ეროვნული კულტურის განვითარებისათვის და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამარჯვებისათვის. „სცენას, — ამბობდა ის, — დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის აღზრდაში“¹.

გ. წერეთელს სწამდა, რომ თეატრალური საქმის წინსვლელობა დამოკიდებული იყო არა მხოლოდ მის უშუალო მსახურთა თავდადებაზე, არამედ მთელ საზოგადოებაზე, რომლის თანაგრძნობის გარეშე შეუძლებელი რაიმე სერიოზული შედეგის მიღწევა. ამიტომ იყო, რომ თავის თანამემამულეებს მოაგონებდა: „ყოველნაირი ხელოვნება, მათი წარმატება და აფეთქება საზოგადოების თანამგრძნობელობაზეა დამოკიდებული. სადაც საზოგადოება გულცივად ექცევა ხელოვნების წარმატების საქმეს და არ გრძნობს მოვალეობას, ცოტაც აისი, მსხვერპლიც შესწიროს, იქ ყოველი გონებითი წარმატება მქის ნიაღვრება აღმოცენებული; მას არ რწყავს საზოგადოების ფანაგრძნობა და ამის გამო სჭკნება და ჰქრება“².

სცენიური რეალიზმისა და მატერიალისტური ესთეტიკის მოთხოვნათა სიმძალირად იმდროინდელი პიესებისა და წარმოდგენების განხილვა-შეფასება, რაც დამახასიათებელია გ. წერეთლისათვის, როგორც თეატრალური კრიტიკოსისათვის, მდიდარ მასალას აწვდის თეატრის თანამედროვე ისტორიკოსს და უადვილებს ბევრი საინტერესო საკითხის შესწავლას.

საერთოდ, გ. წერეთელი, როგორც ერთ-ერთი სახელოვანი თერგდალეული, წარმატ-

¹ „კვალი“, 1894, № 6.
² იხ. სტატიები: „ქიტა აბაშიძე და „ჩენი აბლაზარობა“, „კვალი“, 1897, № 46; „ჩენი სახობა“, „კვალი“, 1897, № 47.

¹ „გორგი წერეთელი თეატრის შესახებ“, 1955, გვ. 72.
² იქვე, გვ. 88.



ბით იბრძოდა, რათა მკითხველისათვის სინთეტურად მიეწოდებინა მოწინავე ესთეტიკური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები. ერთ-ერთ თავის სტატიასი ის წერს: „ყოველს ყურნალს მხოლოდ საზოგადო ცხოვრების მოვლენათა ძიებით უნდა ჰქონდეს სული ჩადგმული. ის უნდა იყოს მკითხველი საზოგადოების მოძღვარი, მისი გონების განმანათლებელი, მისი თვალის ახელი. ასეთი ღირსება ყურნალს მხოლოდ მაშინ მიეცემა, როდესაც მისი ქრონიკების მწერალნი არიან სოციოლოგიურ (საზოგადოებრივ) მეცნიერებით დახელოვნებულნი, ბევრით მეცნიერულ გზას ადგიან კვლევასი და არა მეტაფიზიკურს“¹.

უნდა შევნიშნოთ, რომ თვით გ. წერეთელი არა მხოლოდ თავის ქრონიკებსა და კრიტიკულ სტატიებში, არამედ მხატვრულ შემოქმედებებშიც ადგილს უთმობდა პუბლიცისტურ წინაღუედებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო სოციოლოგიური მეცნიერებების მისთვის საინტერესო მონაპოვართა ხალხში შეტანის სურვილით.

გ. წერეთელი, როგორც კრიტიკოსი და პუბლიცისტი, სხვა თერგდალეულებთან ერთად, ნაყოფიერად იბრძოდა ქართული ლიტერატურული ენის დემოკრატიზაციისთვისაც. მართალია, როგორც მხატვარი ამ მხრივ ის ზოგჯერ უკიდურესობამდეც მიდიოდა და დიალექტიზმებისადმი მეტად თავისუფალ დამოკიდებუ-

ლებას ამჟღავნებდა, მაგრამ თავის კრიტიკულ წერილებში უდავოდ სწორად სწყვეტდა საკითხის თეორიულ მხარეს, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სტატია — „ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა“¹. რომელშიც მან მკაცრად გაილაშქრა ანტონ კათალიკოსისა და პლატონ იოსელიანის გრამატიკული ნორმების წინააღმდეგ და მტკიცედ მოითხოვა ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის პროცესისადმი მხარის დაჭერა: „ახლა, — წერდა მაშინ გ. წერეთელი, — არსდება ახალი ენა, რომელშიც არის შერთული... ქართლის კილოც, კახეთისაც და იმერეთისაცა. აი, ეს ენა ყველას ესმის და ჩქარაც იზრდება. როდესაც ლიტერატურულათ კარგად შემუშავდება ეს ახალი ენა, ის არასოდეს არ უნდა დაჯაცილოთ... დიალექტებს, თუ რომ გვინდა მუდამ ცოცხალი ლიტერატურული ენა გვეპოვდეს და ისე არ მოკვდეს, როგორც ძველი ლიტერატურული ენა მოკვდა“.

ამგვარად, გასული საუკუნის გამოჩენილი ქართველი პროზაიკოსი გ. წერეთელი არა მარტო თავისი რეალისტური მხატვრული შემოქმედებით უკავშირდება ჩვენს თანამედროვე ლიტერატურულ მიღწევებს, არამედ იმ ესთეტიკური და ისტორიულ-ლიტერატურული შეხედულებებითაც, რომელთა მოკლე დახასიათების ცდაც ჩვენ გაუკეთეთ.

¹ „კვალი“, 1894, № 7.

¹ „კრებული“, 1872, № 7.



ნაკოდგონ ციგუნდსკი ივანე თარხნიშვილის შესახებ

ივანე თარხნიშვილი გასული საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და ჩვენი საუკუნის დამდეგის ერთი გამოჩენილი ფიზიოლოგთაგანი იყო. რუსეთში და უცხოეთში იგი ცნობილი იყო თარხან-მოურავად, თარხან-მოურავოვად, თარხანოვად. მსოფლიო ფიზიოლოგიურ ლიტერატურაში გასული საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და მოყოლებული ხშირად არის მოხსენიებული ი. თარხნიშვილის ნაშრომები. ამ ნაშრომებს, როგორც დიდმნიშვნელოვანსა და ავტორიტეტულ გამოკვლევებს, ხშირად ეყრდნობოდნენ სხვადასხვა ქვეყნის ფიზიოლოგები.

ივანე თარხნიშვილი ეპოქის მოწინავე იდეებზე აღიზარდა. იგი, გიორგი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე ერთად ჩაეიდნენ პეტერბურგში 1860 წლის დამდეგს. ამ დროისათვის, მართალია, ილია ჭავჭავაძე პეტერბურგიდან საქართველოში გამოემგზავრა, მაგრამ პეტერბურგის მოსწავლე ქართველებს შორის ძალიან დადნანს ტრიალებდა ილიასეული სულისკვეთება. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მოწინავე იდეებთან ერთად, იმ ხანებში პეტერბურგელ ქართველთა გაფითვებობისა და იდეურ ჩამოყალიბებაში დიდ როლს ეს იდეური ზემოქმედების წყაროც ასრულებდა.

პეტერბურგში ივანე თარხნიშვილი სწორედ ამ ილიასეული იდეების ატმოსფეროში მოხედა. ამასთანავე იგი დაუახლოვდა რუსეთის მოწინავე ადამიანებს, მათ შორის ივანე სეჩენოვს. იგი ხარბად დაეწაფა მსოფლიოს ბიოლოგიურ მეცნიერებათა უახლეს მონაბოვრებს. 1871 წელს იგი უკვე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ—სამხედრო-სამედიცინო აკადემიის პროფესორი და სათავეში უდგას ამ აკადემიის ფიზიოლოგიის კათედრას, რომელსაც წარსულში ივანე სეჩენოვი ხელმძღვანელობდა.


ივანე თარხნიშვილმა აკადემიის ფიზიოლოგიის კათედრა შემოქმედებითი მეცნიერული მუშაობის სანიმუშო კერად აქცია. მისი ხელმძღვანე-

ლობით კათედრაზე თავი მოიყარეს სხვადასხვა ეროვნების ნიჭიერმა ახალგაზრდებმა.

ი. თარხნიშვილთან მუშაობა დაიწყო პოლონელმა ნაკოდგონ ციბულსკიმ, რომელიც იმ დროს მეორე კურსის სტუდენტი იყო. მალე მასწავლებელი და მოწაფე დაახლოვდნენ და განუყრელი მეგობრები გახდნენ. სამხედრო-სამედიცინო აკადემიის დამთავრების შემდეგ ნ. ციბულსკი, როგორც ნიჭიერი, მუყაითი, კარგად მომზადებული და ფიზიოლოგიით დაინტერესებული ახალგაზრდა, დატოვებულ იქნა სამხედრო სამედიცინო აკადემიაში, სადაც მან მუშაობა განაგრძო თავის მასწავლებელ ი. თარხნიშვილთან. ნ. ციბულსკის შესახებ პოლონელი ფიზიოლოგი პრუშინსკი წერდა: „მეცნიერება მას ისე შეუყვარდა, რომ მეორე კურსიდან მოყოლებული, არც ერთი წუთით თავი არ დაუნებებია ფიზიოლოგიური ლაბორატორიისათვის. იგი ჯერ მუშაობდა, როგორც სტუდენტი, ხოლო შემდეგ როგორც პროზექტორი იმ კათედრისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა მისი მეგობარი პროფ. თარხანოვი. ახლა კი მუშაობს, როგორც დამოუკიდებელი და ფასდაუდებელი ხელმძღვანელი“ (ლაპარაკია ნ. ციბულსკის მუშაობაზე კრკოვის უნივერსიტეტში, წერილი გამოქვეყნებული იყო ნ. ციბულსკის სამეცნიერო მუშაობის 25 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით).

სამხედრო-სამედიცინო აკადემიიდან ნ. ციბულსკი სამუშაოდ კრკოვის უნივერსიტეტში გადავიდა. აქ იგი წლების მანძილზე განაგრძობდა ფიზიოლოგიის კათედრას და თავის ირგვლივ შემოიკრიბა ნიჭიერი პოლონელი ფიზიოლოგები, ილზარა ახალგაზრდა კადრები და პოლონეთის ფიზიოლოგიაში, როგორც პროფესორმა, მკვლევარმა და მოღვაწემ, წარუშლელი კვალი დატოვა.

პეტერბურგიდან კრკოვში სამუშაოდ გადასვლის შემდეგ ნ. ციბულსკის არ გაუწყვეტია კავშირი ი. თარხნიშვილთან. ისინი მთელი სიცოცხლის მანძილზე უახლოეს მეგობრებად დარჩნენ.



როდესაც რიგი მიზეზების გამო ი. თარხნიშვილი იძულებული გახდა სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში მუშაობისათვის თავი დაენებინა, ნ. ციხულსკიმ თავის მასწავლებელს და შეგობარს ფართოდ გაულო კარი კვლევითი მუშაობის საწარმოებლად მის გამგებლობაში მყოფ კრაკოვის ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში. ი. თარხნიშვილმა მიიღო მეგობრის ეს წინადადება და აღნიშნულ ლაბორატორიაში მივლი რიგი გამოკვლევები აწარმოა.

საერთოდ, ი. თარხნიშვილი ახლო იდგა პოლონეთის მოწინავე ადამიანებთან. იგი ხშირად ტრიალებდა ახლო მყოფ პოლონელებს შორის. შესაძლებელია, ამ გარემოებამ შეუწყო ხელი იმ ამბავს, რომ ი. თარხნიშვილის ერთადერთი ასული ტატიანა პოლონელზე გათხოვდა (საინტერესოა აგრეთვე აღინიშნოს, რომ, ივანე თარხნიშვილის ახლო ნათესავის ცნობის თანახმად, ი. თარხნიშვილის ტატიანა თავისი ორი შვილითურთ ამჟამად ცოცხალია და პოლონეთში ცხოვრობს).

ი. თარხნიშვილსა და ნ. ციხულსკის შორის რომ მეცნიერულ-შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა არსებობდა, ცნობილი იყო, მაგრამ ნ. ციხულსკის მიერ 1908 წელს „სამედიცინო გაზეთის“ ორ ნომერში გამოქვეყნებული წერილის შინაარსი, რომელიც მის მასწავლებელსა და მეგობარს ეხება, არც ქართულ და არც რუსულ პრესაში მოტიანილი არ ყოფილა. ვფიქრობთ, ქართველი მკითხველისათვის ეს წერილები საინტერესო იქნება. წერილი მკვერძე-ტყველურად ღლადებს თან შესანიშნავი მეცნიერის შემოქმედებითის თანამეგობრობასა, პატივისცემასა და სიყვარულზე და მთელ რიგ ახალ ცნობებს გვაწვდის ი. თარხნიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

პოლონელი ფიზიოლოგი წერილი საკმაოდ გრცელია. იგი მოთავსებულია „სამკურნალო გაზეთის“ ორ ნომერში. ავტორი მკითხველებს ამცნობს, რომ ოცდაოთხ აგვისტოს გარდაიცვალა ი. თარხანი-მოურავი-თარხანიოვი. მისი თქმით, იგი ეკუთვნოდა იმ რჩეულ ადამიანთა მცირე რიცხვს, რომელთა შესახებ სრული უფლებით შეიძლება ითქვას, რომ მათ თავიანთი ცხოვრება ფუჭად არ გაუტარებიათ, იგი მთლიანად მეცნიერებისა და ხალხის სამსახურს მოაძღვრეს.

მის გარდაცვალებას, როგორც მიმე დაწაკარგს, განიცდიან არა მხოლოდ ოჯახი და მეგობრები, არამედ საზოგადოების ფართო ფენები. თუმცა იგი ამ უკანასკნელი ცამეტი წლის მანძილზე აღარ მუშაობდა სამედიცინო აკადემიის პროფესორად, მაგრამ სინამდვილეში, სიყვარულამდე, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, არ შეუწყვეტია სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

ამ ადამიანის დაკარგვა ძალიან დიდხანს სა-

გრძობი იქნება იმსჯელოებში, რომლებშიც ის საქმიანობდა.

საკუთარი აზრების გამოთქმის საუცხოო უნარით შექუღმა, იშვიათი მესსიერების პატარნმა და უაღრესად რთული საკითხების მარტივად გადმოცემის ბრწყინვალე ოსტატმა პეტერბურგში კათედრაზე მოღვაწეობის დაწყების მომენტიდანვე მოიხვეჭა საუცხოო ლექტორის სახელი, და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვახდა ერთერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული პირი იქნება არა მარტო ქალაქში, არამედ მთელ რუსეთში.

ამასთან ერთად ნ. ციხულსკი იძლევა ი. თარხნიშვილის სამეცნიერო მუშაობის ზოგად დახასიათებას და მკითხველს აწვდის მცირე ბიოგრაფიულ მონაცემებს. იგი აღნიშნავს, რომ ი. თარხნიშვილი იბიდა 1846 წელს თბილისში და რომ ივანეს მამა შთამომავალი იყო სააკაძეებისა, „რომელთაგან გიორგი სააკაძეს დიდ მოურავს უწოდებდნენ“.

ნ. ციხულსკი წერს, რომ ივანემ ძალიან ადრე დაკარგა დედა და იგი მას სრულებით არ ახსოვდა. ბავშვობა მამის სახლში გაატარა. მამა სამხედრო პირი იყო. ივანეს გამზრდელად მიუჩინეს ჩერქეზი სალდათი და ფრანგი მასწავლებელი. ათი წლის ასაკში ბავშვმა უკვე ბრწყინვალედ იცოდა ფრანგული ენა. მისი ცხოვრების ამ პერიოდში კავკასიაში მოგზაურობდა ალექსანდრე დიუმა (მამა). იგი თარხნიშვილის ოჯახსაც ესტუმრა სოფელ ახალქალაქში (ციხულსკის ეს ცნობა განმარტებას საჭიროებს. როგორც ჩანს, თარხნიშვილებს ახალქალაქთან მჭიდრო კავშირის შესახებ მას სათანადო ცნობები მოეპოვებოდა და ამიტომ მიიჩნია, რომ დიუმა თარხნიშვილებს ახალქალაქში ესტუმრებოდა. სინამდვილეში კი დიუმა ივანე თარხნიშვილის ოჯახს ქ. ნუხში შეხვდა). ყრმა ივანემ, რომელიც ფრანგულად თავისუფლად ლაპარაკობდა, თარჯიმნობა გასწია მამასა და ფრანგ მწერალს შორის. ბავშვს დიუმაზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოუხდენია, რაც მისი მოგზაურობის აღწერის იმ ნაწილიდან ირკვევა, რომელიც სპეციალურად თარხნიშვილს მიუძღვნა. როგორც ციხულსკი ვარდოვცეკმს, დიუმისთან გამოშვებების შემდეგ ივანე მხოლოდ იმას ნატრობდა, რომ ესწავლა, ცოდნა მიეღო და დიდი მწერალი გამოსულყო. ბოლოს და ბოლოს მან მამისგან ნებაართვა მიიღო და პეტერბურგში გაემგზავრა სსსწავლებლად. სათანადო მომზადების შემდეგ პეტერბურგის მეორე განმანათლებლობის განყოფილებას სიმწიფის ატესტატზე და იმავე წელს შედის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ბიოლოგიის განყოფილებაზე. იგი ყველაზე მეტად ბიოლოგიამ დააინტერესა და ამ საგანში მუშაობა დაიწყო პიროფ. ოგსიანიკოვთან.

ამავე დროს იგი ჩაება სტუდენტების პოლიტი-



კურ მოძრაობაში, რის გამოც მთელ რიგ ამხანაგებთან ერთად იძულებული შეიქნა უნივერსიტეტიდან წასულიყო. თარხნიშვილს უშველა თავისმა წოდებამ და შესაძლებელია იმ გარემოებაში, რომ ამ საქმის მონაწილეთა შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო. თარხნიშვილი დატოვეს პეტერბურგში და მიიღეს სამედიცინო აკადემიაში. მეცადინეობამ გასტანა 1864 წლიდან 1869 წლამდე. გამოცდების ჩაბარებისა და ექიმის დიპლომის მიღების შემდეგ პროფესორთა კოლექტივას დადგენილებით იგი დატოვეს აკადემიაში ე. წ. საპროფესორო ინსტიტუტში. სამედიცინო აკადემიაში სწავლა მერად სასარგებლო აღმოჩნდა თარხნიშვილისათვის. მეცადინეობის გარეშე მძულ თავისუფალ დროს იგი ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში ატარებდა. ამ ლაბორატორიას განაგებდა რუსი ფიზიოლოგი სეჩენოვი. მასთან განაგრძობდა მუშაობას თარხნიშვილი აკადემიის დამთავრების შემდეგაც. 1869 და 1870 წლებში, როცა უკვე ექიმი იყო. სამწუხაროდ, 1870 წელს სეჩენოვი იძულებული გახდა დაეტოვებინა აკადემია და სამუშაოდ ოდესაში წასულიყო. თარხნიშვილი, რომელსაც სურდა არჩეული მიმართულებით მუშაობის გაგრძელება, იძულებული გახდა სხვა დაწესებულებებისათვის მიემართა. მან თავშესაფარი ჰპოვა ნაწილობრივ ბოტკინის კლინიკაში, ნაწილობრივ უნივერსიტეტსა და აკადემიაში, პროფ ოსიანიკოვთან.

იმ ხანებში თარხნიშვილი აქვეყნებს პირველ შრომებს, რომლებიც სეჩენოვთან მუშაობის დროს დაწერა. ამ შრომების დიდი ნაწილი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენებში დაიბეჭდა. 1872 წელს თარხნიშვილი უცხოეთში გამგზავრა სახელმწიფო ხარჯზე. უცხოეთში ყოფნის დროს იგი მუშაობდა შტრასბურგში ჰოლცთან, რეკლინჰაუზენთან და ჰობენაილერთან. მისი იმ პერიოდის გამოკვლევები შეეხებოდა ნერვული სისტემის გავლენას სისხლის მიმოქცევის სისტემაში, ნაღვლის პეგმენტის წარმოქმნის საკითხს და სხვ. შტრასბურგიდან თარხნიშვილი პარიზს გამგზავრა. იმ დროს კლოდ-ბერნარი და მარიეი თავიანთი მოღვაწეობის მწვერვალზე იყვნენ, კ. ბერნარის მოწაფე რენევიერი შესანიშნავ პისტოლოგად იყო მიჩნეული. თარხნიშვილმა სამივე მეცნიერის ლაბორატორიებში დაიწყო მუშაობა. წელიწადნახევრის განმავლობაში იგი დაუახლოვდა, დაუმეგობრდა კლ. ბერნარს, რენევიერსა და სხვა ცნობილ მეცნიერებს. განსაკუთრებით მეგობრული ურთიერთობა დამყარდა მასსა და კარლ რიშეს შორის და ამ სათავეებზე მთელ სიცოცხლის გასტანა. პარიზში ყოფნის დროს ი. თარხნიშვილმა შეასრულა და გამოაქვეყნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი გამოკვლევები.

პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ 1875 წელს თარხნიშვილი დოცენტად მიიწვიეს ფიზი-

ოლოგიის კათედრაზე. 1875-76 სასწავლო წლის მეორე ნახევარში მას მიანდეს ლექციების კონკრეტული სისტემის ფიზიოლოგიაში დოცენტ გორაშვილოვთან ერთად, რომელიც სავალდებულო კურსს ხელმძღვანელობდა. ივანე თარხნიშვილის პირველივე ლექციებმა, რომლებსაც, როგორც არასავალდებულო, ჯერ მსმენელების მცირე რაოდენობა ესწრებოდა, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მსმენელების რიცხვმა სულ უფრო და უფრო იმატა და ბოლოს მის ლექციებს მთლიანად ესწრებოდნენ მეორე და მესამე კურსების მსმენელები.

ამ დღემა წარმატებამ და საყოველთაო აღიარებამ შედეგი გამოიღო და შემდგომ წელიწადს მას უკვე მიანდეს აკადემიის ფიზიოლოგიური ინსტიტუტი და მალე პროფესორადაც აირჩიეს.

ფიზიოლოგიურ ინსტიტუტში მუშაობის დაწყებისთანავე ი. თარხნიშვილმა დიდი მონაწილეობით მოჰკიდა ხელი მუშაობას, კვლავ გააღვივა სიცოცხლე ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში, მიიზიდა ახალი მუშაკები. მე და გიორგეესკომ, — წერს ნ. ციბულსკი, — მაშინ შევასრულეთ ჩვენი პირველი ნაშრომები.

ყოველივე ამის შემდეგ ნ. ციბულსკის სტატიაში ვკითხულობთ: აღნიშნულ პირად თვისებებთან ერთად იყო კიდევ ერთი გარემოება, რაც იზიდავდა და ხიბლავდა სტუდენტებს. ცნობილია, რომ რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდობის უმრავლესობა რადიკალურად იყო განწყობილი. განუწყვეტლად ქვეყნდებოდა ბრძანებები, რომლებიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდობის თავისუფლების შეზღუდვას და განუწყვეტელ კონტროლს. ეს დავალებული ჰქონდათ სამხედრო-სამედიცინო აკადემიის თანამშრომლებს. ისინი ვალდებული იყვნენ თვალყური ედევნებინათ ახალგაზრდებისათვის. ყოველივე ეს, რასაკვირველია, აღუვებდა ყველაზე წყნარ და ლოიალურ პირებსაც კი. ამიტომ იყო, რომ აკადემიის ახალგაზრდებში მღელვარება არ ცხრებოდა.

იმ ხანებში, როდესაც ი. თარხნიშვილმა სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში დოცენტურა მიიღო, პეტერბურგის ერთ-ერთ ციხეში გარდაიცვალა აკადემიის მსმენელი ჩერნიშევი. ყველა უმაღლესი სასწავლებლის ახალგაზრდებამ გადაწყვიტა პოლიტიკური დემონსტრაციის მოწყობა. დაკრძალვაზე თავი მოიყარა უზომო ხალხმა. ჩერნიშევის დაკრძალვაზე აკადემიის ერთადერთი წარმომადგენელი იყო თარხნიშვილი, რომელიც პროცესიის დროს სტუდენტებს შორის აღმოჩნდა.

ახალგაზრდობამ თარხნიშვილის ეს ნაბიჯი შეაფასა როგორც უმაღლესი მოქალაქეობრივი გამბედაობის გამოვლინება და ახალგაზრდა სწავლულის სიმამათის გამოხატულება იმ მიმდინარეობებისადმი, რომლებიც მაშინ გავრცელებული იყო ახალგაზრდებს შორის. ერთი ს-



ტყვი, ამ დემონსტრაციამ დიდი ხნით, შესაძლოა სამუდამოდაც, განამტკიცა ახალგაზრდების სიმპათია თარხნიშვილის მიმართ.

არაჩვეულებრივი მესხიერების პატრონი და მოვალეობის შეგნებით გამოქვეყნებული თარხნიშვილი ძალიან ბევრს მუშაობდა და მუდამ იმის ცდაში იყო, რომ სტუდენტებისათვის გაეცნო მეცნიერების უახლესი მიღწევები. ეს ამბავი ახალგაზრდობის დიდ მოწონებას იმსახურებდა.

იმავე „სამედიცინო გაზეთის“ მომდევნო, ორმოცდამესამე ნომერში გამოქვეყნებულია ნ. ციხულსკის წერილის გავრცელება. ავტორი ავითარებს წინა წერილში გამოთქმულ აზრს და წერს: როდესაც ევროპის თითქმის არცერთ ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში ყურადღება არ ექცეოდა მეორე კურსის სტუდენტების პრაქტიკულ მუშაობას ფიზიოლოგიაში, თარხნიშვილმა თავისი საპროფესორო მოღვაწეობის დაწყების პირველივე წლიდან შემოიღო სტუდენტებისათვის პრაქტიკული მეცადინეობა. ამ პრაქტიკულ მუშაობაში, რომელსაც სავალდებულო, იძულებითი ხასიათი არ ჰქონდა, ემბეზოდნენ ეს ახალგაზრდები, რომლებიც ნამდვილი იყვნენ დიდიტარგებელი მეცნიერებით.

ი. თარხნიშვილს სურდა რაც შეიძლება მეტი ესწავლებინა სტუდენტებისათვის. გამოცდებს დრის კი იგი უღარესად გულსხმიერი იყო და მას მუდამ კეთილი გამოცდელად იხსენიებდნენ.

ლექციის შემდეგ ი. თარხნიშვილი რამდენიმე საათს ლაბორატორიაში ატარებდა და ამ დროს მომდევნო ლექციის მოსამზადებლად და საკუთარი ცდების ჩასატარებლად იყენებდა. ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში მომუშავეთა ცდებიც ყოველთვის ი. თარხნიშვილის მეთვალყურეობით ტარდებოდა.

ნ. ციხულსკის სიტყვით, სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში ი. თარხნიშვილის პროფესორობის სხვადასხვა პერიოდში ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა სამოცდარი ექიმი, მათ შორის: ვინიჩი, გროზოცკევი, ეკი, თვიანი ციხულსკი, გიორგევსკი, შოლკოვსკი, ველიუმოვიჩი, ვუკულოვი, ტროიცი, პარხომენკოვი, ბლუმენაუ, ჩაგოვეცი, ბულატოვი და სხვანი.

თარხნიშვილის მოწაფეებმა მრავალი საყურადღებო შრომა გამოაქვეყნეს. ეს შრომები მოიცავდა ფიზიოლოგიის ყველა დარგს. მაგრამ მათი უმეტესობა შეეხებოდა ფიზიოლოგიის ამ სფეროებს, რომლებშიც ი. თარხნიშვილი თვითონ მუშაობდა, ე. ი. გულისა და სისხლის ძარღვების, ნერვული და კუნთოვანი სისტემების ფიზიოლოგიას.

საკვლევ თემებს სტუდენტებს და ექიმებს ი. თარხნიშვილი აძლევდა, მაგრამ თარხნიშვილი თავის ლაბორატორიაში სამუშაოდ დიდი ხალხით ღებულობდა იმ პირებსაც, რომლებიც საკუთარი თემებით ცხადდებოდნენ.

მთავრობა იმდენად ცოტას ხარჯავდა ლაბორატორიის საჭიროებებზე, რომ ამ სახსრებით ძალიან ძნელი იყო დემონსტრაციებისა და ცდების მოწყობა სტუდენტებისთვისაც კი. ამიტომ ი. თარხნიშვილი ხშირად კითხულობდა საჯარო ფასიან ლექციებს და მთელ შემოსავალს ლაბორატორიას ახმარდა.

ყოველთვის ამის შემდეგ ნ. ციხულსკი ეხება ი. თარხნიშვილის მიერ წაკითხულ საჯარო პოპულარულ ლექციებს.

ი. თარხნიშვილის ლექციები განსაკუთრებულ პოპულარობით სარგებლობდა და მათ ათასობით მსმენელი ესწრებოდა. მსმენელთა შორის იყვნენ პეტერბურგის საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები. ამ ლექციების შემოსავალი ყოველთვის რაიმე საზოგადოებრივ დანიშნულებას ხმარდებოდა.

ნ. ციხულსკი იქვე წერს, რომ განსაკუთრებული და მრავალფეროვანი მოღვაწეობის შედეგად ივანე თარხნიშვილმა პეტერბურგის სამეცნიერო წრეებში კარგი მეცნიერის სახელი დამკვიდრა. მის მუშაობას სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში დიდად აფასებდნენ მისივე კოლეგები. ი. თარხნიშვილი ორჯერ აირჩიეს აკადემიის კონფერენციის სწავლულ მდივნად.

ი. თარხნიშვილის საქმიანობა კონფერენციის სწავლული მდივნის მოვალეობის შესრულების დროს ზოგჯერ მეტად რთული და მძიმე იყო, მაგრამ, მრავალი წინააღმდეგობისა და შეჯახების მიუხედავად, მას არასოდეს არ დაუტკარავს მოსწავლე ახალგაზრდობის სიმპათიები.

როგორც ნ. ციხულსკი გადმოგვცემს, ბოლოს ისეთი ვითარება შექმნა, რომ თარხნიშვილი იძულებული გახდა თავი დაენებებინა არა მარტო სწავლული მდივნის მოვალეობის შესრულებისათვის, არამედ თვით სამხედრო-სამედიცინო აკადემიისთვისაც.

როდესაც ი. თარხნიშვილმა სამხედრო-სამედიცინო აკადემიას თავი დაანება, ის მხოლოდ ორმოცდარვა წლის იყო. სამხედრო-სამედიცინო აკადემიიდან იგი „აკადემიოსის“ წოდებით წავიდა. ამ წოდებას აკადემია მხოლოდ განსაკუთრებით დამსახურებულ პროფესორებს ანიჭებდა.

სამხედრო-სამედიცინო აკადემიიდან წასვლის მომენტისათვის ი. თარხნიშვილს შეუსრულდა ამ დაწესებულებაში მოღვაწეობის ოცდახუთი წელი. ახალგაზრდობამ მას თბილი ვაკილება მოუწყო.

სამხედრო-სამედიცინო აკადემიიდან წასვლის შემდეგ ი. თარხნიშვილს სამეცნიერო და პედაგოგიურ ასპარეზზე მუშაობა არ შეუწყვეტია. რამდენიმე წლის მანძილზე იგი მუშაობდა უნივერსიტეტის პრეპარატორიულ და კითხულობდა ზოგადი ბიოლოგიის კურსს. მაგრამ აქ მუშაობასაც მალე დაანება თავი. ამის შემდეგ იგი საჯარო ლექციებს კითხულობდა ერთ-ერთ



უმადლეს სამხედრო სასწავლებელში, ხოლო სამეცნიერო მუშაობას კერძო ლაბორატორიებში აწარმოებდა.

ი. თარხნიშვილი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა პერიოდულ გამოცემებში. იგი „ცხოვრება და ცოდნის“, „ჯანმრთელობის“, „შინაური ექიმის“, „სამედიცინო ჟურნალის“ და სხვა პერიოდული გამოცემების რედაქტორი ყოფილა.

ი. თარხნიშვილი მონაწილეობდა სახალხო უნივერსიტეტების ორგანიზაციაშიც და „პედაგოგიური აკადემიის“ ჩამოყალიბების საქმეშიც, დიდხანს მუშაობდა აგრეთვე „სახალხო უნივერსიტეტების სრულიად რუსეთის საზოგადოების“ ლექტორად და შემდეგ მისი თავმჯდომარის შოადგილად.

ნ. ციბულსკის თქმით, ი. თარხნიშვილმა საზოგადოებას დიდი სამსახური გაუწია არა მხოლოდ როგორც მეცნიერმა და პიროვნებამ, რომელიც მეცნიერების მონაპოვარს მასებში ავრცელებდა, არამედ იმიტაც, რომ იგი ნამდვილი ადამიანი იყო.

მისი გულკეთილობა, გულისხმიერება და პოპულარობა იყო მიზეზი იმისა, რომ სტუდენტები, ექიმები და ისეთი ადამიანებიც კი, ვისაც არაფერი ჰქონდა საერთო მედიცინასთან, ხშირად მიმართავდნენ მას რჩევისა და დახმარებისათვის.

გამოჩენილი პოლონელი ფიზიოლოგი სპეციალურად განიხილავს ი. თარხნიშვილის პოლონელებთან ურთიერთობის საკითხს. ნ. ციბულსკი აღნიშნავს, რომ საბროფესორო მოღვაწეობის ოცი წლის მანძილზე ოთხი პოლონელი იყო ი. თარხნიშვილის ასისტენტი. სამი მათგანი სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორი გახდა. რამდენიმე პოლონელმა ექიმმა ი. თარხნიშვილის

ხელმძღვანელობით შესრულა სადოქტორო დისერტაცია. თარხნიშვილის ურთიერთობა პოლონელ მოწაფეებთან ფიზიოლოგიური ლაბორატორიის გარეთაც ვრცელდებოდა. მე სიამაყის გრძნობით შემიძლია აღვნიშნო, — წერს ჩვენი ავტორი, — რომ ჩემი ურთიერთობა ივანე თარხნიშვილთან ოცდათორმეტ წელიწადს ვრცელდებოდა და ამ ხნის განმავლობაში არაფერი მომხდარა ისეთი, რასაც ოდნავ მიინც ჩრდილი მიეყენებინოს ჩვენი მეგობრობისათვის. მისი ყოფილი მოწაფეების ყოველი ახალი აზრი, ახალი შრომა მასში ჰეშმარით სიხარულს იწვევდა.

ი. თარხნიშვილის სამეცნიერო ღვაწლს ნ. ციბულსკი შემდეგნაირად ახასიათებს: ივანე თარხნიშვილის მოწაფეების მიერ შესრულებულმა და გამოქვეყნებულმა უამრავმა სამეცნიერო გამოკვლევამ ღრმა კვალი დააჩინა ფიზიოლოგიის განვითარებას. მთელი რიგი საკითხები, რომლებიც გულის და სისხლის ძარღვების, რეფლექსების ფიზიოლოგიას, თავის და ზურგის ტვინში ფუნქციონალური ლოკალიზაციას ეხება, დადგენილი და გაშუქებული იქნა ი. თარხნიშვილის შრომებში.

ივანე თარხნიშვილი, როგორც მისი პოლონელი მეგობარი აღნიშნავს თავის ვრცელ წერილში, იყო პირდაპირი, გულახდილი და პატიოსანი და მას ვერ წარმოედგინა, რომ შესაძლებელი იყო სხვები სხვაგვარად მოქცეულიყვნენ. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი ადვილად იეიწყებდა იმ უსამართლობასა და უსიამოვნებას, რასაც ხშირად განიცდიდა პირად ცხოვრებაში. ასეთი იყო, — ასკენის ნ. ციბულსკი, — ივანე თარხნიშვილი — ადამიანი და მეცნიერი.



626 კვანძი

პაპი პასაძე

ღამ მესხიშვილი

მრავალმხრივ მნიშვნელოვანია ღამო მესხიშვილის შემოქმედება და მოღვაწეობა ქართული თეატრის რეალისტური სკოლის ჩამოყალიბებისათვის. რევოლუციამდელი ქართული თეატრის აქტიორული ხელოვნება ვასო აბაშიძისა და ღამო მესხიშვილის სკოლით განისაზღვრება. შეუძლებელია ამ ორი მწვერვალის დაცილება ან დაპირისპირება ქართული თეატრის ისტორიაში, რაგინდ თავისებურად უნდა იყოს თითოეული მათგანის მხატვრული საშუალებანი სახის ხორცშესხმისათვის. ორივე მათგანი მხატვრულ სიმართლეს ემსახურებოდა და ამიტომაც იყო, რომ თავისებურება ღამო მესხიშვილის რომანტიული აქტიორული სკოლისა უცხო არ ყოფილა ვასო აბაშიძის რეალისტური სკოლისათვის, სადაც ცხოვრებისეული სიმართლე შემოქმედებითი თვალთ გაანალიზებულ სასცენო სიმართლედ გარდისახებოდა.

არც ვასო და არც ღამო თავიანთ შემოქმედებაში მარტოდენ ცხოვრების ასახვით არ დაკმაყოფილებულან.

რა იყო მიზეზი ღამო მესხიშვილის არაჩვეულებრივი წარმატებისა ლევან ხიმშიაშვილის როლში: „მისი გრძნობიერი ელექტრონული ხმა“, მომჯადოებელი გარეგნობა, არაჩვეულებრივი სასცენო ტემპერამენტი, მისი თანდაყოლილი სცენური მონაცემები, რაც ხიმშიაშვილის სახეს ემთხვეოდა, თუ ის, რომ მან შექმნა გმირის მხატვრული, შთაბეჭდავი სახე, რომელმაც დაჩრდილა აქტიორული ოსტატობით ბრწყინვალედ შესრულებული როლები სვიმონ ლიონიძისა — კოტე ყიფიანისა და ვიქტორ გამყრელიძის მიერ, ფაიროსისა — მარიამ საფაროვა-აბაშიძის მიერ, და სხვებისა?

რა თქმა უნდა, ლევან ხიმშიაშვილის შემსრულებელი ვერ ინატრებდა უკეთეს სცენიურ მონაცემებს, რაც ბუნებას ღამო მესხიშვილისათვის მოემადლებინა, მაგრამ მე ხომ, თქვეს-

მეტი წლის ქაბუქმა, ღამო ვნახე ლევანის როლში 58 წლისა, ქალარა; არც ხმა, არც გარეგნობა ხელს აღარ უწყობდა ამ როლის შესრულებისათვის, მაგრამ ჩემს მაშინდელ შთაბეჭდილებას ვერ აქარწყლებს მერმინდელი შესრულება ამ როლისა მთელ რიგ გამოჩენილ მსახიობთა მიერ.

ღამოს მიერ შესრულებულ ყოველ სცენურ სახეს ისეთი თვისება გააჩნდა, რომ მაყურებლის ყურადღებას გამოჩენისთანავე ელვის სისწრაფით იპყრობდა და შემდეგ თავის ნება-სურვილზე ატარებდა. ასეთი იყო ღამო მესხიშვილის როლშიც. ისეთი სიმკვიცხლით შემოდიოდა, რომ სრულიად მოულოდნელი იყო მაყურებლისათვის მისი უეტარი შეჩერება, ქეთევანისათვის თვალის თვალში გაყრა. შემდგომ, თითქოს რაღაც უხილავმა ძალამ უბიძგაო, იგი მიიმედა, მრუდვ ხაზით გადაქრდა სცენას; ცალი მხარი მოშვებული ჰქონდა, თვალები სასოწარკვეთილებას გამოხატავდა. და თქვენ გრძნობდით, რომ მსახიობს უკვე თავის ანკესზე ჰყავხართ წამოგებული და მისი განცდის თანაზიარი ხდებით. ლევანი მოუსვენრობს, ალერსს ალერსით ვერ უბასუხებს, დიდ გამოუთქმელ სევდას ატარებს; მსახიობის გაბზარული ხმა, რაღაც მანქანებით, გულის სიმების ოდნავ შერბევასაც კი სწორად გადმოსცემს: ხან ხავერდითი რბილია, ხან ფოლადივით მკრელი, ხან ციცხლზე დაყრილი ხველი ფიჩხივით ტკაცანი გაქვს, ხან კი მტრედივით ღელუნებს. რა ძუნწუ, მკვეთრ ფორმაშია გადმოცემული ლევანის სულიერი ჭიდილი: არაფერი ზედმეტი, ბროლივით სტეტაკი და გამჭვირვალე, სადა, — და მაყურებელს ეჩვენებოდა, რომ ეს საშუალო ტანის მსახიობი მთელი თავით მაღალია ყველა პარტნიორზე. თქვენს წინ იდგა ქართულ ქულაჯაში გამოწყობილი თვალწარმტაცი ვიქტორი, რომელმაც მხურვალე მონანიებით ჩამოირიც-



ბა სვიმონის ღალატი და მზად არის თავი შესწიროს სამშობლოს ღირსებასა და მის დაცვას. ლაღოს შესრულებული ლევანის საბედისწერო სიყვარული ქეთევანისაში წუთიერი თავდაფრეების ნაყოფია, ახლა თითქო მისი ანარეკლია შერჩენია და ამ თავდაფრეებას ეს სინდისიერი მეომარი სამშობლოს სამსახურში გამოისყიდის. აი ეს იყო მთავარი მიზეზი ვისი ლევანის არაჩვეულებრივი ზემოქმედებისა მაყურებელზე, რომლის „ბორჯილ-დადებულ აზრსა“ და სულიერ ცხოვრებას იგი დინამიკივით აფეთქებდა და აფორიაქებდა შეუღარებელი რაინდული საქციელითა და გმირობით ხასიათით.

პირველი მოქმედებიდან უკანასკნელ მოქმედებამდე ლაღო მესხიშვილს მხატვრული აღწერა არ ღალატობდა არც ერთ საყვანძო სცენაში და წარმოდგენის უქნობი გვირგვინიც მის მიერ შექმნილი ლევანის სახე იყო.

განა შეიძლება გულდამწვრთვით გეცქირათ მისი ლევან ხიმშიაშვილისათვის, როდესაც ის შაჰს სამსახურზე უარს ეუბნებოდა და შაჰის მიერ მისი ქალის თხოვნით დაბრუნებულ ხმაღს ფეხქვეშ მიუღებდა: „არა, ვერ მივიღებ... მე კარგად ვიცნობ ჩემს ხმაღს, ის ამჯობინებს ჩემს გულში გადატრიალდეს, ვიდრე თავის მტერს ემსახუროს... მე და ჩემი ხმაღი ქართველები ვახლავართ. დიდებულო შაჰო!“

რა გაბედობა და რა თავხედობაა ამ საქციელში, რომელიც პიესიდან, თვით ტექსტიდან მომდინარეობს, მაგრამ ლაღოს შესრულებით ეს საქციელი ისეთი მხატვრული ზომიერებით იყო გადმოცემული, რომ მის მიერ შექმნილი ლევანის ხასიათის მთლიანობას ხაზს უსვამდა. მესხიშვილი-ლევანი მოწიწებით, თავჩაღუნული იდგა, შაჰის მიერ დაბრუნებული ხმაღი ტრიათა და ქარქაშით ორთავ ხელში ეპყრა და ეგერ თავგაქმნარული ხმაღადა, მტკიცედ აცხადებდა: „არა, ვერ მივიღებ...“ მერმეულები თავს ასწევდა, სივრცეში თვალთა ისრებს გასტყორცნიდა და მწარე ნალველით განაგრძობდა ლაპარაკს, თითქოს მტრის სურვილით შევიწებულ თავის საყვარელ იარაღს სამუდამოდ ეთხოვებოდა: „მე კარგად ვიცნობ ჩემს ხმაღს, ის ამჯობინებს ჩემს გულში გადატრიალდეს, ვიდრე თავის მტერს ემსახუროს!“ — ფეხქვეშ მიუღებდა ხმაღს შაჰს და კვლავ მოკრძალებით თავჩაღუნული იდგა, თითქოს ამით ეუბნებოდა: გამაგდებინე თავი, მაგრამ „მე და ჩემი ხმაღი ქართველები ვართო!“

ღიახ, ეს დიდი თავხედური და გაბედული საქციელი იყო ლევანისა, რასაც შეიძლო სულ ჩაფიქვანა შეთქმულთა წმინდა საქმე, მაგრამ ლევანის მიერ საკუთარი აღამიანური ღირსების ავგარბა დაცემა, მესხიშვილის გადმოცე-

მით, შაჰსაც უკან დაახეინა და მოყვანილი გააჩვენა იმედით შეატოკა. მართლაც, თეატრალური ეფექტით სავსე სცენა! პირდაპირ რომ ვთქვათ, სცენიურ ჯამბაზობისაკენ კი მოუწოდებს მსახიობს, მაგრამ თვით დაბალი ღირსების დრამატულ ბიესაშიც კი ლაღოს ისტატობა არასოდეს არ დაცემულა სცენიურ ტრიუკამდე და ჯამბაზის ფოკუსებამდე.

ასევე სცენიური ბრწყინვალეობითა სავსე სოლემიან ხანის როლი აღ. სუმბათაშვილის „ღალატში“, რომელიც მესხიშვილის შესრულებამ ისტატობის უმაღლეს მწვერვალამდე აიყვანა. ღიახ! განუწყობებელი იყო ლაღო მესხიშვილი სოლემიან ხანის როლში. ეფუხისებრი მოქნილობით, კონტრასტულ ფერებში მიპყვავდა როლი. აქ იყო აღმოსავლური მოღვენილობა და გაზაფხულის პირველი ელვაქუხილი, ნადირის ყნოსვა, გუმანი და უმოქმედობა, მხედარი და არა პოლიტიკოსი, ძილ-გამფრთხალი, ეჭვიანი, ჰალუცინაციამდე მისული. ერთი სიტყვით, საშინელი დესპოტი. როგორ მართალ შენაგან განცდებზე იყო დაფიქნებული ყოველი სცენა და ეპიზოდთან ეპიზოდზე გადასვლა! ფარდა მიდის, ბალიშებზე წამოწოლილი მესხიშვილი-სოლემიან ხანი განისვენებს, თელემს თუ ნირგანაშია. კრიალოსნის მარცხელი ცალხელში გამოშვებისა და უტყობი თითქოს ელვა გამოკრთა თვალუბიდან, თითქოს რალცამ შეაერთო, მთრთოლვარე ხმით ყრუდ აღმოხდა: „დიდ არს ალაჰი!“ და მას ექოსავით მოპყვება ოთარბეგისა, ყარა იუსუფისა და აღრაზაჯის ამოძახალი: — „დიდ არს ალაჰი!“ შემდეგ როგორც შინაწარმოვს, დაბალი ტრინთ, ტრემოლის მსგავსად, ღრუნით, მუქარით განაგრძობდა: „შაჰინ-შაჰ საყვედურს მითელის მე, გურჯისტანის მბრძანებელს! ჯერ შორიდან ყრუდ მოისმის მისი მრისხანების გრგვინვა!“ და ტანის მოძრაობით ისეთ სურათს ქმნიდა, თითქოს ვეფხე ყოფილიყო, თავის ბუნავში მწოლარე, რომელიც სავაა კამარას შეკრავს თავის მსხვერპლის გასაფრთხავად.

ამ ჩემს შთაბეჭდილებას ლაღო მესხიშვილის მუსიკალობასა, პლასტიურობასა და მგზნებარე ტემპერამენტზე ადასტურებს 1913 წელს „ჩვენს დროებაში“ დაბეჭდილი მოვონება ცნობილი მწერლის სთვრამ მგალობლიშვილისა — 1887 წელს აკაიის „თამარ ციხერში“ ლაღოს მიერ გოჩას როლის შესრულების გამო.

პლასტიურობის უსაზღვრო შეგრძობის უნარი ლაღო მესხიშვილისა ფიქსირებულია გადაღებულ ფოტოსურათებშიც კი. ყოველი სახე მის მიერ შესრულებულ როლებში ისე გადაღებული ფოტოსურათზე, რომ მნახელი, რომელიც იცნობს პიესას და როლს, ზუსტად გამოიკნობს ეპიზოდს, ადგილს, მსახიობის

განწყობილებას იმდენად, თითქმის ტექსტიც ვსმოდეს. და არსად განმეორება ექსტისა, მიქისისა, პოზისა! არსად სიყალბე. მხოლოდ სიმართლე, სიმართლე, დიდი მხატვრული სიმართლე.

სცენაზე მრავალი ტექნიკური საშუალება მოაპოვება საიმისოდ, რომ მსახიობმა შესვენების მიზნით დაფაროს შინაგანი სიციარილე და დაზოგოს ენერჯია (დიდ ტრაგიკულ როლებში, რომლებიც მოითხოვენ უდიდეს ენერჯიას, ასეთი შესვენების ადგილების გამოყენება მსახიობისთვის სავალდებულო და აუცილებელიცაა).

მაგრამ ფორთობიექტი უღმობელია, მის წინ ვერაფერს დაძალავთ. ვის შეუძლია როლის სათანადო ფსიქო-ფიზიკური განწყობილების განმეორება, თუ არა პროფესიონალს, აქტიორული ტექნიკით აღჭურვილ მსახიობს, რომელიც ვალდებულია თავისი სახის ერთნაირი მხატვრული დონე დაიცავს ყოველ სპექტაკლში, სახის განცდა თავის ნება-სურვილს დაუმორჩილოს!

მართალია, ლალო მესხიშვილის სპეციალური სასცენო განათლების მოწმობისთვის ჯერ ვერაფერი მიუკლევია, მაგრამ მოსკოვში სტუდენტობის დროს იგი მსახიობობის სიყვარულს იმით იკლავდა, რომ თამაშობდა საკლუბო სცენებზე სცენისმოყვარეებთან, რომელთაც, როგორც წესი, მცირე თეატრის გამოჩენილი მსახიობები ხელმძღვანელობდნენ და ამ ქველმოქმედებისათვის მოსკოვის საზოგადოება მათ უხვად ასაჩუქრებდა ბენეფისებზე. სამშობლოში დაბრუნებისას ლალო მესხიშვილი, როგორც გამოცდილი სცენისმოყვარე, რუსულ პროფესიულ დასს მიუწვევია ჩერნიშევსის პეისაში — „წამბდარი სიცოცხლე“ მთავარ, კურჩაევის როლზე. აქ მას წილად ხვდა ისეთი მასწავლებლების უმრავლესობა და ხელმძღვანელობა, როგორც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დავით ერისთავი, ივანე მაჩაბელი, მიხეილ ბებუთაშვილი და სხვები; რაც მთავარია, უშუალოდ დავით ერისთავისა და მიხეილ ბებუთაშვილის ხელმძღვანელობით თითქმის ერთი წელიწადი ემზადებოდა იმ დიდი წარმატებისათვის, რომელიც მას წილად ხვდა ლევან ხიშიაშვილის როლში გამოსვლის გამო 1882 წლის 20 იანვარს. თუ რა ნაყოფი გამოუღია მესხიშვილისთვის, როგორც მსახიობისთვის, ერთი წლის წყურთნას და მზადებას, ამას გვიდასტურებს ეკატერინე გაბაშვილის პირუთვნელი მოგონება:

„წინადაც მენახა მესხიშვილი სცენაზე, გამეგონა იმისი მომავალდებელი, პარმონით საეხე ხმა, იშვიათი, თითქმის დაუჯერებელი და წარმოუდგენელი ჩემი სმენისათვის, მაგრამ დღეს ლალო სულ სხვა იყო ის აღარ იყო

აქტიორი, რომელიც ცდილობდა ხოლმე ზემორად დასწავლილი როლი ქართულ-რუსული კილოთი გადაეცა ამხანაგისთვის, არა, — ის იყო მშვენიერი ექვაცი, ქართულ ძველებურ ტანისამოსით გამოწყობილი, ქართულ ძვირფას იარაღით შესხმული მეომარი, რომელსაც სამშობლო უნდა დაეცვა მტრისაგან და რომელიც ამ დაცვის ასრულების ფიცს მშვენიერის, უზაველის, ყოველგვარს აქცენტს აცილებული ქართული ენით წარმოთქვამდა.

„ღღესაც თვალწინ მიდგას ის სცენა, როდესაც ხიმშიაშვილი ზეციურის ხმით, რანდულის გრაციით და შეუღარებელი გმირობით ეუბნება შაას სამსახურზე უარს...“

„მე მზად ვიყავი, — განაგრძობს მსახიობის უხადო შესრულებით აღტაცებული მწერალი, — გადაემხტარიყავ ლოქიდან და მუხლი მომეყარა საოცნებო გმირის წინაშე. ასევე გრძობდა უთუოდ მთელი საზოგადოება, რადგან ლევან ხიმშიაშვილის სიტყვებს უზომოდ და შეუჯავებელი ოვაციით მიეგება. რამდენიმე წამი და ხიმშიაშვილი-მესხიშვილი თავჩაღუნული იდგა და მოწონებით ელოდა ხალხის დამწვიდებას, რომ საღაპარაკო განცხრობა და კვლავ ყოველის თავის ნაბაჯით, ყოველის თავის გულშიდან ამოხეთქილის ნათქვამით და გულამდე ჩამწოდის ხვევრდოვანის ხმით დაეპყრო, დაემორჩილებინა მსმენელი.“

ლესინგის თქმით, „სულიერ სამყაროში ხასწავლები არ ხდება; აქ ყველაფერი კანონზომიერად ვითარდება“, და ლალო მესხიშვილიც პროფესიულ სიმაღლეზე ზემოთდასახებულ მოღვაწეთა შემწეობით ავიდა, ხოლო შემდგომში კი მისმა უხადლო ნიჭმა, განათლებამ და ბეჯითმა შრომამ დრამატული ხელოვნების უმაღლესი მწვერვალები დააპყრობინა და თავისი სკოლია შეაქმნევინა.

ცნობილია, რომ მსახიობის ოსტატობა მოწმდება როგორც მთლიანი ხასიათის, ასევე სახის დეტალებისა და ნიუანსების გადმოცემისას. ლალოს მიერ შექმნილი სახეები მსახიობის ოსტატობის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენენ.

ავილოთ მისი შესრულება ჰამლეტის უძნელესი მონოლოგისა — „ყოფნა-არყოფნა“.

სცენის სიღრმიდან რამისაკენ მოემართება შავ მოსასხამში გახვეული, გულხელდაკრფილი, თვალბდახუჭული, წარბებზიდული, მძიმე ფიქრებით დატვირთული ჰამლეტი; შუბლი თითქმის მთელ სახეს გამოყოფია, ნელის ნაბიჯით, უაფრო ხომალდივით გიახლოვდებათ, მოდის, მოდის და ვერ მოუღწევია; გარშემო ბნელა, სანათურის შუქი მარტო მის სახეს ანათებს, სხვა ყველაფერი ბნელშია დანთქმული. გინჯათ მსახიობი გააფრთხილოთ — რას მოემართება უგზოუკვლოდ ორკესტრის ბნელი



ორმოსაყენ? თან შიში გიპყრობთ — ვაი თუ გადმოცდეს რამჰას! და თქვენდა უნებურად მისაშულებლად ემზადდებით. აჰა, ეს წუთიც დაღვა, მოადგა რამჰას და უეცრად ანთებულ თვალთა სხივებმა მზის შუქივით მოგვკრათ თვალები და გესმით გულის სიღრმიდან ამონახეთქი ხმით წარმოთქმული: „ყოფნა“; თვალთა ისრებმა თქვენგან გადაინაცლა, ჩაგწვდათ გულის სიღრმეში, და მსახიობმა წარმოთქვა: „არყოფნა“. და რაკი უკვე დიპყროთ თქვენი ყურადღება, ფრანკა დაასრულა: „საკითხავი აი ეს არის“. შედეგ სმენადგაქცეულ მაყურებლებს ქუთუთოები ქოლვად გადმოგაბურთა, თავის თვლებში მოგვიმწყვდია და წავეილო და გვატარა მონოლოგის შემდეგ ფრაზამდე:

„სულდიდ ქმნილებას რა შექმერის?
ის, რომ იტანჯოს
და აიტანოს მიჯარავ ბედის
ნეტრითა გმირვა,
თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ
უბედურებას
და ამ შებრძოლვით მოსპოს იგი,
მოსპოს სიცოცხლე“.

და ასე ბოლომდე, მონოლოგის ყოველი ფრაზის წარმოთქმით ბოროტებასთან ბრძოლის წყურვილით აღნთებდა მაყურებელს და სულიერად ამაღლებული მაყურებელიც მესხი-შვილს-ჰამლეტს ისე აღიქვამდა, როგორც საეკუთარი სინდისის უბღალურ განსახიერებას. ანატოლ ფრანსის თქმით, „ჰამლეტი—ეს შეიდგურ ადამიანი“, როგორ შეძლებს განყენებულ ფილოსოფიურ მსჯელობას სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე, როდესაც ვენებათა აბოროტებული ტალღები აზნაზარებენ მაშის საიდუმლო დაღუპვის გამო უსახლგო სევდით შეყრობილ მის მაღალ სულს, რომელსაც თავზე დატეხილი უბედურების გამო დამშვიდებული აზროვნება არ შეუძლია. ეს იყო მთავარი მიზეზი მესხიშვილის ჰამლეტის ზეგავლენისა მაყურებელზე, სადაც ორთავე — მსახიობიც და მაყურებელიც — აღზნებულნი მისწრაფოდნენ დასახული მიზნისაკენ — საიდუმლოს ამოცნობისკენ. ასეთი იშვიათი წუთები დაუგვწყარია და სათავყვანო!

ასე აღიბეჭდა ჩემს მესხიერებაში ეს სცენა და სასცენო საშუალებანი მისი შემოქმედისა.

აი მეორე კლასიკური ნიმუში აქტიორული ხელოვნებისა გუკოვის „უროიდ აკოსტაში“.

თერა ხიტონში გამოწყობილი აკოსტა-მესხიშვილი რამჰასთან დგას უარყოფის აქტიურ ზელში. მის სახეს მისივე სამოსის ფერი დასდებია. ფანატრებით დაბრმავებული რაბინების მუქარამ — დაგწყველითო, მაყურებელი ისე-

დაც მოომინებიდან გამოიყვანა, მაგრამ მესხიშვილი როლის დაქაყოფილებულა მარტო ბიუსიდან გამომდინარე სიტუაციით, რომ ახლა დაქაყოფილდეს, რომ თავისი ხაზი არ გაუსვას იმ დრამატულ მომენტს, რომელშიც ყველაზე მეტად შეიძლება აკოსტას ვენებათა ჭიდილის გამომეღვენება, მისი არსის, მისი ხასიათის დასურათება.

დგას ფერწახელი რამჰასთან, უარყოფის აქტიურ ზელში და უარყოფის ყოველი სიტყვა ლოდივით ეცემა მაყურებლის გულს, თანდათან დაბალ ტონებში წარმოთქმული უარყოფის სიტყვები ძირს ეშვება, ერთიმეორეში ირევა, სიტყვის ნახევარი, ნატეხი მეორე სიტყვას ზედ აჯდება, უაზრო ლულულში გადაღვას. ტექსტს ჩამეტარებელი თვალები აკოსტას თანდათან გაუელაჰა, გული ყელს მოეპჯინა, ტუნების მოძრაობა დამბლადაცემულივით მოეშალა, გაეყინა, ენა გაუშრა, საცაა გულწახელი დაეცემა და ამ დროს, თითქოს მჭის გაყარად — დასქევა: „მანიც ბრუნავს!“

რა გასაკვირია, რომ ასეთი უსრულების შემდეგ მაყურებელი მქუხარე ოვაციებით მიეგებოს მსახიობს და დიდხანს არ დააცალოს წარმოდგენის განგრძობა!

მესხიშვილის სცენიურ სახეთა გალერეაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აგრეთვე შილერის „უჩაჩლებში“ ფრანც შიორის სახეს. ეს სახე კონდენსირებული საშუალებებით ასახვის ყველაზე უფრო მკვეთრი ნიმუშია მესხიშვილის სასცენო შემოქმედებაში. საგულსსმომ ის კი არ არის, რომ მანიშნდეს რუსულ და ევროპულ დრამატულ ხელოვნებაში კონდენსირებულ საშუალებებს მიმართავდნენ ან არ მიმართავდნენ, არამედ ის, თუ როგორ აბორციებდნენ მათ შემოქმედების პრაქტიკაში და რა განასხვავებდა მესხიშვილის მიერ ამ გზით შექმნილ სასცენო სახეს მის თანამდროვე ხელოვნათგან. მესხიშვილს საკმაო განათლება და განვითარება გააჩნდა, რომ სწორად გაერკვია ფრანკის როლის დანიშნულება და ადგილი პიესაში და მარტო „ბოროტი ფრანც შიორის“ წარმოდგენა არ შექმნა.

ფრანკის სახისათვის მის მიერ კონდენსირებულ საშუალებათა არჩევის მიზეზი უნდა ეეძებოთ უკლასიკურ ხელოვნებაში და არა იმ შელოდრამებში, რომლებშიც ავტორები მხოლოდ ზერეულ იყენებდნენ კლასიციზმის მიერ ღრმად გააზრებულ ამ ფორმებს.

განა შექსპირის მხატვრული სახეები ჰამლეტისა, მაკბეტისა, ლირისა, რიჩარდისა, ოტელოსისა კონდენსირებული საშუალებებით არ არის შექმნილი? მესხიშვილის მაღალი გემოვნების წყალობით ჩვენს წინ იდგა არა საერთოდ შელოდრამატული სახე „გარეწობისა“ და „ბოროტებისა“, რომელიც თვითვე ტკბება თავი-



სი ბოროტებით და სურს მარტო ამ გზით იაროს, არამედ საოცარი მახინჯი ადამიანისა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ადამიანურ უფლებას და გაბოროტებული ებრძვის უსამართლობას.

მესხიშვილი ფრანცის არაადამიანურ ბოროტ გზას მარტო გარეგნული სიმახინჯით როლი ასახულებდა; მისი ფრანცი ღრმა სულიერი განცდებებს საშუალებით ზნეობრივად ამაღლებდა მაყურებელს და ბოროტებასთან უსაზღვრო ბრძოლის წყურვილს უნერგავდა.

ფრანცის როლში გასული რომანტიული დრამის განსასახიერებლად მესხიშვილი იყენებდა თავისი დროისათვის ჯერ კიდევ უცნობ, ახალ საშუალებებს, რომელთა აღმოჩენა შეუძლია ხელოვნებას მხოლოდ თავისი სპეციფიური საშუალებებით.

მესხიშვილი კონდენსირებულ საშუალებათა სიახლედ ამ როლში ის კი არ იყო, რომ შილერის დახასიათებას დაუმტაც კუხი, კოკლობა, წითური თმა და სიმახინჯისა და „ბოროტების ფენომენი“ წარმოგვიდგინა, არამედ ის, რომ მან, სახის შინაარსიდან გამომდინარე, შექმნა მთლიანი მხატვრული, სცენიკური სახე, სიაქისა და ბოროტებას წიაღში აღმოცენებული.

მესხიშვილის ხელოვნების სიღრმე და სიმართლე, როგორც ამ როლში, ისევე მის სხვა სასცენო სახეებში, ყურდნობოდა არა მარტო ავტორს, არამედ ცხოვრებას. ამიტომ იყო მასი შემოქმედება ცხოველყოფილი, დაუფიქვარი, შთამბეჭდავი. მისი სახის ზუსტი სილუეტო, ფერი, გრიმი, კოსტიუმი, პლასტიკა, რიტმი, ტემპი და სიტყვა საყვებით შეთანხმებული იყო სახის შინაგან განცდასთან და მის სურვილებთან.

სარდუსი, მიუგოს, იბენის, ოსტროვისკის, სუხოვო-კობილინის, შილერის, შექსპირის გმირები — აი ფართო დიაპაზონი ამ არაჩვეულებრივი ხელოვანისა, რომელიც, როგორც ქუშმარიტი მხატვარი, სწავლობდა თავის თანაპერსონაჟს გამოჩენილ მსახიობთა გამოცდილებებს, აფარაოვებდა თავის ოსტატობას. მისი რეპერტუარი შეიცავდა დრამატული ხელოვნების ყოველ ენარს: ტრალიკულს, ისტორიულს, მელოდრამატულს, კომიკურს, ვოდევლს და ფსიქოლოგიურ დრამას.

ლადო მესხიშვილი მხარჯრული სახის შინაგან ცხოვრების, განცდების უზადლო გამომსახველი და სცენიკური პაუზის, სულიერი ნიუანსების არაჩვეულებრივი ხელოვანი იყო, რასაც „მარტო არტისტის ნიჟი და ცოლმა შესწავლიდა“. მისი შემოქმედების ეს მხარე განსაკოორბებულ ყურადღებას მოითხოვს. რადგან, როგორც ილია ჭავჭავაძე გვასწავლის, უფროდ „ბურთი და მოედანი არტისტისა მავისთანა სცენებია ხოლმე, სადაც სულის

მოძრაობა ადამიანისა ავტორის მიერ განგებარ თქმულა, მაგრამ მსახიობისგან კი უნდა ითქვას იმოდენათ, რაოდენადაც შესაძლოა კაცმა უთქმელი საგულებელი გახადოს მაყურებლისათვის“.

1920 წლის გაზაფხულზე მე, სტუდიადასრულებული, ახლადგამოცხვარი უმუშევარი მსახიობი დავხვდი ლადო მესხიშვილის რუსეთიდან ჩამოსვლას თბილისში. ჩემმა უფროსმა ამხანაგმა, მსახიობმა მიხეილ გელოვანმა ლადო მესხიშვილი ბათუმში ორი სპექტაკლით საგასტროლოდ მიიწვია და მეც ემიზოდური როლები დამავალა. ჩემს სინარჯულს საზღვარი არა ჰქონდა, რომ შემთხვევა შემელოდა ქართული სცენის სათაყვანო მსახიობთან ერთად სპექტაკლში ემიზოდური კი არა, თუნდ უსიტყუო როლში მონაწილეობა მიმეღო. პიესაში „შეშლილი“ ექიმის როლი უნდა მეთამაშა და „ინსტიტუტი“ — ლაქისა.

იმ დღესვე საყუთარი ხელით გადავიწერე როლი — ჩვენი დიალოგი რეველის ერთ ფურცელზე მითარხდა. რეპეტიცია ჩასვლისს ბათუმში უნდა გაგვეყოლო, მაგრამ ის ორი დღე და მატარებელშიც მთელი დამე ვსწავლობდი ტექსტს. ვიცნებობდი, რაღაც არაჩვეულებრივს ექვებდა, რომ სიტყვები არ მეკვამა დიდი ოსტატის წინაშე, თვალში ცუდად არ ჩაგვარდნოდი. რეპეტიციამ ბათუმშიც ოტატი გამამხნევა. ლადომ რეპეტიციაზე ჩემი როლის ამოცანა ნათლად დამისახა: პიესაში „შეშლილი“ მე, გამაოცებელი ექიმი. გუმანიც ვერ უნდა მიმეტყობა მართლა შეშლილს ველაპარაკებოდი თუ არა.

ჰარლევი-მესხიშვილი ექიმს შეშლილი ჰკონია და არცა სჯერა თავისი დასკვნისა. ჩემი როლის სატყუიერი ქარცა მოკლე რეპლიკებისგან შედგებოდა: „ბრძანეთ, ბატონო პარლიე“, „დიხა, ბატონო პარლიე“, „მობრძანდეთ, ბატონო პარლიე. არაჩვეულებრივი შემთხვევაა, ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. მშვიდობით!“ — ეს იყო და ეს — რა ადვილი სათქმელია! ჩემთვის უსაზღვროდ გაგარძელდა დრო წარმოდგენის დაწყებამდე; როგორ ვისაილიე, არ მახსოვს, თეატრის საბრფარემოში დავბრუნდი და სცენაზე ჩემთვის, მარტოკა, რეპეტიციას გაედიოდი, თუ როგორ უნდა გამელოკარი, როგორ ჩამომერბოძი ხელი მესხიშვილისათვის, როგორ დამეგდო მური, ცალი ხელთათმანი როგორ მჭეროდა ხელში, და, საერთოდ, როგორ უნდა დამეჭირა თავი სცენაზე ისე, როგორც ოჯახში გამოძახებულ ცნობილ ფსიქიატრს შეეფერება. ჩანახატე კი მოვასწარი ფანქრით ქაღალდზე გრიმისათვის — ჩემ მიერ დაბატული ექიმი რუს შერარლს ვარშინს ჩამოგავდა. გრიმის მიგნებამ ჩემს აფორიამებულ სულს რაღაც გამებედობა შეჰპაძა და



პირველ მოქმედებაში თამამად შევალე კარი. ვერ მოვასწარი თვალი მომეცლო ჩემთვის უცხო ბინისთვის, რომ მარჯვენა კარიდან შემოვიდა თითქმის უგრიბოდ სახეშეცვლილი პარლეიგი-მესხიშვილი. ბაგე — დიმილით გაყინული, თვალები — შიშით და გაკვირებით გადმოჟაკლული, შუბლი — მწუხარების ნაოკით დაღარული; წამით შედგა ჩემს წინ, მერმე ხელი გამომიწოდა. ამ სანახაობით შეძრწუნებულს ყველაფერი დამავიწყდა და არ მახსოვს, ხელი როგორ ჩამოვართვი, როგორ აღმოჩნდი სავარძელში მის წინ, სცენიური ყურადღების ნაცვლად მაყურებლის ყურადღებაში შემამყრო. და ისევ ლადო-პარლეიგის სახის შეცვლამ გამომარკვია და ჩემი სათქმელი გამახსენა: „ბრძანეთ, ბატონო პარლეიგი! მე ვისმენთ“ — თითოვლით წარმოთქვი და მას კვლავ ელვის სისწრაფით ეცვალა სახე: აღარც ნაოკით დაღარული შუბლი, მშვიდი, სუფთა, გონივრული თვალები, რომლებიც თითქოს პატივებს ვთხოვდნენ, რომ შეგაშინათ, გავაშტერათ; ეს თვალები თითქოს გუებნებოდნენ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ, მოგჩვენათ, მე სრულ გონებაზე გახლავართო. მაყურებელთან ერთად გულისწევით თვალსა და გონებას ვადვენებდი პარლეიგის მოქმედებას. ამ სცენამ ჩემზე ისე იმოქმედა, იმდენად გადმომედო, რომ მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როდესაც ვასახლელ კართან აღმოჩნდი და ჩემი ხელთათმანი ლადომ მომაწოდა. ამ ამბავმა კიდევ უფრო უხერხულ მდგომარეობაში ჩამავლო, მაგრამ წყალწლებულივით ხავსს მოგვეიდე — იქნებ ბოლო სათქმელით მაინც ცოტათი გამოვისყიდო-მეთქი ჩემი დაბნევა, და სულ ავირიე, უაზროდ კარისაკენ თითი გავიშვირე და, მცირე პაუზის შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ მეთქვა: „მოზრძანდით ჩემთან, ბატონო პარლეიგი! არაჩვეულებრივი შემთხვევაა, ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით! მშვიდობით“ — სიტყვები „არაჩვეულებრივი

შემთხვევა“ გამოეტოვებ და სიმწრის ოფლით გაწურულმა ჩემს საპირფარეშოს მივაშურე. ჩემი როლი პირველ აქტში სრულდებოდა და ვრბიმი უნდა მომეხსნა, მაგრამ გაოგნებული ვიდექი სარკის წინ და ვცდილობდი მესხიერებაში აომედგინა, თუ რა გავაკეთო სცენაზე. ამ დროს მეზობელი საპირფარეშოდან შემომესმა ლადოს ხმა: „მოდი აქ, შვილო!“ დარცხვენელი ძლივს შევედი მის საპირფარეშოში. „ყოჩაღ! გულისხმიერი პარტნიორის თვისება ვაქვს. დღეს არტიტულმა ნერვმა გავიტაცა, მაგრამ თუ გონებით აღადგენ იმას, რაც დღეს გააკეთე სცენაზე და ავ სახისთვის მშვენიერად მონახული ვარგუნების ჩარჩოში ჩასვამ, ამ როლს შენს გარდა არავის მივცემ, თუ კიდევ მომიხდა ამ პიესის თამაში“. ვეცდები-მეთქი, ბატონო ლადო, ვუბასუხე და დაბლა თავის დაკვირით, ცოტაოდენი იმედით გამოვედი. არ დასცალდა ლადოს ამ პიესაში თამაში. მაგრამ რუსთაველის თეატრის შამინდელ პირველ სეზონში მესხიშვილის რეჟისორობით დადგმულ პიესაში — „მარია მაგდალინელი“, სხვებთან ერთად მეც, ნაზარეველი ვაჟრის როლში, თვალსაჩინო გაკვეთილებს ვიღებდი სცენიური პაუზისა და სულეირი ნიუანსების დაუფლების საქმეში.

მესხიშვილის ფართო შემოქმედებითი დიპაზონი მისი თეატრალური თვალთახედვის ფართო პორიზონტს ყყრდნობოდა. სიხლის გრძნობით აღჭურვილი უდიდესი ხელოვანი ერთი სკოლის, ერთი მიმართულების ეიწრო ჩარჩოებში ვერ თავსდებოდა, მაგრამ სასცენო ხელოვნებაში არასდროს ულაღატნია მხატვრული რეალიზმის სკოლისათვის. ამ პოზიციებიდან იგი რომანტიულ და ფსიქოლოგიურ დრამასაც ისე თამაშობდა, როგორც ავალბდა ტრაგედიის ფენომენი თავის „პამლეტში“ პირველ აქტიორს: „მოქმედება აზრს შუწონე და აზრი მოქმედებასო“.



ფასი 6 ჰს6.

~~6-23/32~~

5-12/60



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„**ცი ს კ ა რ ი**“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«**ს ა ბ ჭ ო თ ა ს ა კ ა რ ტ ვ ე ლ ო**»